ავტორის სტილი დაცულია

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკა დევიძე

კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები

დისერტაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ლილი კოჭლამაზაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

დავით ნარმანია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2012

თბილისი

შინაარსი

შესავალი.

თავი I.კულტურული ტურიზმი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების საფუძველი.

1.1. კულტურული ტურიზმის არსი, როლი და ფუნქციები;
1.2. კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის როლი და ადგილი საერთაშორისო მოგზაურობებში;
1.3. ტურიზმის განვითარების ეტაპები და საქართველოს ადგილი მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში;

თავი II. კულტურული მემკვიდრეობის როლი იმერეთის ტურიზმის განვითარებაში.

2.1. იმერეთის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დახასიათება;
2.2. იმერეთის დაცული ტერიტორიები, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები;
2.3. იმერეთის ეპარქიები და ეკლესია-მონასტრები, როგორც რელიგიური ტურიზმის განვითარების წინაპირობა;
2.4. მუზეუმების როლი კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში;
2.5. არქეოლოგიური ძეგლები, როგორც არქეოლოგიური ტურიზმის განვითარების საფუძველი;

თავი III.იმერეთის ტურიზმის პრობლემების გადაჭრის გზები და განვითარების პერსპექტივები .

3.1. იმერეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალის შეფასება;

3.2. რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისა და მდგრადიგანვითარების პრინციპები;

3.3. იმერეთში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის სამომავლო პერსპექტივები;

დასკვნები და წინადადებები.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები.

დანართი 1: თემატური ტურების გაანგარიშებები და პროგრამები.

ნაშრომში გამოყენებული ცხრილები

ცხრილი 1.1 მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა კლასიფიკაცია გეოგრაფიული ზონების მიხედვით.

ცხრილი 1.2 საერთაშორისო ტურისტების მიერ მსოფლიოს ათი ყველაზე მონახულებადი ქვეყანა.

ცხრილი 1.3 საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები.

ცხრილი 1.4 საერთაშორისო ტურიზმის დანახარჯები.

ცხრილი 1.5 საერთაშორისო ტურისტების მიერ ყველაზე მეტად მონახულებადი ქალაქები.

ცხრილი 1.6 საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩამოსული უცხოეთის მოქალაქეები.

ცხრილი 1.7 უცხოელების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული ადგილები (2011წ).

ცხრილი 1.8 ქართველების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული ადგილები (2011წ).

ცხრილი 1.9 უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურა/ჯამური სურათი.

ცხრილი 1.10 უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურა საზღვრის ტიპის მიხედვით.

ცხრილი 1.11 უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურა მიზნობრიობის მიხედვით.

ცხრილი 1.12 უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით.

ცხრილი 2.1 იმერეთის რეგიონის კურორტები და დასასვენებელი ზონები

ცხრილი 2.2 იმერეთის რეგიონის დაცული ტერიტორიები ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.

ცხრილი 2.3 იმერეთის დაცული ტერიტორიების შესახებ.

ცხრილი 2.4 იმერეთის ეპარქიები და ეკლესია-მოსატრები.

ცხრილი 2.5 საეკლესიო დღესასწაულები.

ცხრილი 2.6 იმერეთის რეგიონის მუზეუმები.

ცხრილი 3.1 SWOT –ანალიზი (ტურიზმში არსებული ძლიერი და სუსტი მხარეები).

ცხრილი 3.2 SWOT –ანალიზი (ტურიზმში არსებული სუსტი მხარეების დაძლევის შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები).

ცხრილი 3.3. PESTLE –ანალიზი.

ცხრილი 3.4 SMART –ანალიზი.

ცხრილი 3.5 თემატური ტური „მეთუნეობა".

ნაშრომში გამოყენებული დიაგრამები

დიაგრამა 1.1 უცხოელების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული ადგილები (2011წ)

დიაგრამა 1.2 ქართველების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული ადგილები (2011წ)

დიაგრამა 2.1 2011 წლის სათაფლიისა და ყუმისთავის მღვიმეთა სტატისტიკა თვეების მიხედვით

დიაგრამა 2.2 ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოს დაცული ტერიტორიების მიხედვით 2011წ

დიაგრამა 2.3 ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2005-2011წწ

დიაგრამა 3.1 ოთხი ძირითადი საფეხური რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის წარმატებული განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობისათვის

ნაშრომში გამოყენებული რუკები

რუკა 1.1 აბრეშუმის საქარავნო-სავაჭრო გზა

რუკა 2.1 იმერეთის რეგიონები

რუკა 2.2 საქართველოს დაცული ტერიტორიები

რუკა 2.3 საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები

რუკა 2.4. ვანის მუნიციპალიტეტი

შესავალი

თემის აქტუალურობა

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მსოფლიოს მდგრადი და ჰარმონიული განვითარების საშუალებებს ეძებდნენ პოლიტოლოგიურ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციოლოგიურ და სამეცნიერო დისციპლინებში. არცთუისე შორეულ წარსულში მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ტურიზმი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელიც აახლოვებს მსოფლიო ხალხებს, კულტურებს და ხელს უწყობს მსოფლიო საზოგადოების მდგრად და ჰარმონიულ განვითარებას.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო მასშტაბით ტურიზმი მეტად საყურადღებო მიმართულებით ვითარდება. კერძოდ, ტურიზმზე მოდის მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 11% და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის 37%. ტურიზმის სფეროში დასაქმებულია მსოფლიოში არსებული სამუშაო ძალის 16%-ზე მეტი. ამ დარგში იქმნება მსოფლიო შიდა პროდუქტის 10%, კერძო მომსახურების 10,9%, მსოფლიო ინვესტიციების 11,8%, ტურისტების მიერ უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას იხარჯება 600 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი და ა.შ. თანაც, ტურიზმის განვითარებას საერთაშორისო მასშტაბით აშკარად გამოხატული ზრდის მყარი ტენდენცია ახასიათებს.[1] მსოფლიო ტურიზმის განვითარებაში კიდევ ერთი საყურადღებო ტენდენცია შეინიშნება. სახელდობრ, საერთაშორისო ტურიზმის სფეროში 2004 წლიდან ეკონომიკური ზრდა მსოფლიოს ექვსივე ტურისტულ რეგიონში (აფრიკის, ამერიკის, აზია-წყნარი ოკეანის, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის) იგრძნობა. განსაკუთრებით გააქტიურებულია აზია-წყნარი ოკეანისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონები. თუმცა, ტურისტული შემოსავლების მიხედვით კვლავ ლიდერობს ევროპა, რომელზედაც მსოფლიო ტურისტული შემოსავლების ნახევარი (326,7 მილიარდი დოლარი) და მსოფლიო ბაზრის 52,5% მოდის, მეხუთედია (თითოეულის) ამერიკისა და აზიის წყნარი ოკეანის რეგიონების ხვედრითი წილები, ხოლო შედარებით მცირეა (3%-მდე) აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის

[1] http://mkt.unwto.org/en/barometer

შემოსავლები. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიო ლიდერთა პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: ტურისტების რაოდენობის მიხედვით მოწინავეობს საფრანგეთი (75 მილიონი ტურისტი წელიწადში, ბაზრის წილი 9,8%), ესპანეთი (54 მილიონი, ბაზრის წილი 7%), აშშ (46 მილიონი, ბაზრის წილი 6%), ჩინეთი (42 მილიონი, ბაზრის წილი 5,5%) და იტალია (37 მილიონი, ბაზრის წილი 4,9%). შემოსავლების მიხედვით ლიდერობს ამერიკის შეერთებული შტატები (74 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 12%), ესპანეთი (45 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 7,3%), საფრანგეთი (41 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 6,6%), იტალია (36 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 5,7%) და გერმანია (28 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 4,4%. ქართული ტურისტული პროდუქციის რეალიზაციის ბაზრების მოსაძებნად ყველაზე მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების მონაცემების გაცნობა, რომლებიც ყველაზე მეტს ხარჯავენ ტურიზმში. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით ტრადიციულად გერმანელებს უყვართ მოგზაურობა და ყველაზე მეტს ისინი ხარჯავენ ტურიზმში – ბაზრის წილის 11,4%. ტურიზმში ბევრს ხარჯავენ შეერთებული შტატების მოქალაქეებიც (10,5%), რაც გამოწვეულია ამერიკელთა რაოდენობითა და ცხოვრების მაღალი დონით. მნიშვნელოვანი საბაზრო წილი აქვთ გაერთიანებულ სამეფოსა და იაპონიას (შესაბამისად 9,1% და 6,1%). ბოლო წლებში საერთაშორისო ტურიზმში დანახარჯების მიხედვით მსოფლიოს 10 მთავარი ქვეყნის რიცხვში გადმოინაცვლა რუსეთის ფედერაციამ და ჩინეთმა. ექსპერტთა მონაცემებით, ტურიზმი XXI საუკუნეში გაცილებით დიდ მასშტაბებს შეიძენს. 2003 წელს მსოფლიოში დაფიქსირდა 715 მილიონი ტურისტი და ვიზიტორი, რომლებმაც იმ ქვეყნებს, სადაც იმყოფებოდნენ 500 მლრდ აშშ დოლარამდე შემოსავალი მოუტანეს.[2]

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით, 2020 წლისათვის ტურისტების რიცხვი 1560 მილიონ ადამიანს მიაღწევს, ანუ უახლოესი 15 წლის განმავლობაში გაორმაგდება. ზრდის ყველაზე მაღალი ტემპებია მოსალოდნელი აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში. მომსახურების ამ სეგმენტიდან შემოსავლები გაიზრდება 5-ჯერ: 1995 წლის 399 მილიონი დოლარიდან, 2020 წლის 2 ტრილიონ დოლარამდე. ასევე გადიდდება ტურისტების დანახარჯი ერთ მოგზაურობაზე (შესაბამისად, 707 დოლარიდან 1248 დოლარამდე). ამ

[2]http://whc.unesco.org/en/publications/

პერიოდისათვის ტურისტებისათვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა იქნება ჩინეთი მსოფლიო ტურიზმის განვითარებას ხელი შეუწყო ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მუშაობის გააქტიურებამაც. სახელდობრ, ეს ორგანიზაცია მკაფიოდ მიიჩნევს, რომ მიღებული იქნას სათანადო ზომები ქვეყნის იმიჯის გასაუმჯობესებლად, კულტურულ-ისტორიული რეგიონების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად, კერძო სექტორთან, მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონებთან თანამშრომლობის გასაფართოებლად, ტურისტული კომპანიების მიერ ახალი ტერიტორიების ასათვისებლად და რეკრიაციული პოტენციალის გასაძლიერებლად იმ რეგიონებში, სადაც ნავარაუდევია დარგის განვითარების დაჩქარებული ტემპები.[3]

თანამედროვე ტურიზმს, როგორც ეკონომიკურ მოვლენას:

- გააჩნია (აქვს) ინდუსტრიული ფორმა;
- ბაზარზე გამოდის ტურისტული პროდუქტის და მომსახურების სახით, რომელიც არ შეიძლება დააგროვო, შეინახო ან მოახდინო მისი ტრანსპორტირება;
- ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და გამოდის, როგორც ახალი ეკონომიკური რეგიონების ათვისების პიონერი და როგორც ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და დაჩქარების კატალიზატორი;
- გამოდის, როგორც ეროვნული შემოსავლის გადანაწილების მექანიზმი იმ ქვეყნების სასრგებლოდ, რომლებიც განსაკუთრებით სპეციალიზებული არიან ტურიზმზე;
- იგი წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის ზრდის, დასაქმების, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მულტიპლიკატორს;
- ხასიათდება ეფექტურობის მაღალი დონითა და ინვესტიციების სწრაფი გამოსყიდვით;
- გამოდის, როგორც ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეფექტური საშუალება იმდენად, რამდენადაც, სახელდობრ,

[3]http://www.unwto.org/facts/eng/publication.htm

ეს ელემენტები წარმოადგენენ (შეადგენენ) მისი რესურსული ბაზის საფუძვლებს;

- პრაქტიკულად შეთავსებადია მეურნეობის ყველა დარგთან და ადამიანთა ყოველგვარ საქმიანობასთან, რამდენადაც სწორედ მათი დიფერენციაცია ქმნის სხვადასხვაობებს რეკრეაციული გარემოს პოტენციურ შესაძლებლობებს შორის და იწვევს ადამიანებს შორის მოთხოვნების წარმოშობას მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში ყოფნაზე, დასვენებაზე, რეკრეაციასა და შემეცნებაზე.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა - ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს. მისი ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა მუდმივად იზრდება, რაც განპირობებულია სხვადასხვა ქვეყნის შემოსავლების ზრდითა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებით. საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს, უდავოა ქვეყნის შემოსავლების ზრდაში მისი დიდი პოტენციალი, როგორიცაა: მოსახლეობის დასაქმების მასშტაბური შესაძლებლობა; რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების რეზერვების არსებობა, ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების სტიმულირება და სხვა.

საკუთრივ იმერეთის რეგიონში დაწყებულმა აღმშენებლობამ ახალი მასშტაბები გამოკვეთა ტურიზმის დარგის წარმატებული განვითარების საქმეში. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, 2007 წლის სექტემბერში, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ქუთაისის მეორე დედაქალაქად და ტურისტულ ქალაქად ჩამოყალიბებასთან. 2011 წლის 5 აპრილს ქუთაისში შეიქმნა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ქუთაისის მერიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. იმერეთის რეგიონის ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციას და ქ. ქუთაისის მერიას. აღსანიშნავია, ასევე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტის ტურიზმის მიმართულების მიერ ჩატარებული ღონისძიებები, რაც დაკავშირებულია

სტუდენტების პრაქტიკა-სტაჟირებასთან, დასაქმებასთან, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა და კონფერენციებში მონაწილეობასთან და ა.შ.

მიუხედავად ზემოთჩამოთვლილი, გატარებული თუ გასატარებელი ღონისძიებებისა, ტურიზმის სფეროში (იმერეთი), კვლავ მრავალი პრობლემა ფიქსირდება, როგორიცაა: აუთვისებელი ტურისტული რესურსები, ერთფეროვანი ტურები, ინფორმაციული ვაკუუმი (ტურისტული ორგანიზაციების შესახებ ცნობარების არ არსებობა), ენობრივი ბარიერი, მომსახურების დაბალი დონე, პროფესიული კადრების სიმცირე (გიდები), რეგიონში შემოსულ ვიზიტორთა აღურიცხაობა, რეგიონში ტურისტებიდან მიღებული შემოსავლების სტატისტიკის არარსებობა, განთავსების საშუალებების სიმცირე, სუსტი მენეჯმენტი და ა.შ.

იმერეთში მოქმედი ტურისტული სააგენტოები ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს სთავაზობენ ერთფეროვან ტურებს, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ, გელათი, მოწამეთა, ბაგრატი, სათაფლიისა და პრომეთეს მღვიმეების შეთავაზებით, მაშინ როცა, კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის ფარგლებში შესაძლებელია, ისეთი ექსკლუზიური ტურების ორგანიზება, როგორიცაა: სამუზეუმო ტური, კანიონ ტური, არქიტექტურული ტური, ტური არქეოლოგიურ პარკში, თემატური ტურები „მეთუნეობა", „არქიტექტურული ტური ქუთაისში" და მრავალი სხვა.

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ შევეხეთ და გავაანალიზეთ როლი და მნიშვნელობა კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობისა, ვაჩვენთ ურთიერთკავშირი კულტურას, კულტურულ მემკვიდრეობასა და ტურიზმს შორის, გამოვიკვლიეთ იმერეთში ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები, დავსახეთ ამ პრობლემათა გადაჭრის გზები, ჩამოვაყალიბეთ რეკომენდაციები, წინადადებები, შევთავაზეთ ახალი ინიციატივები და სახელმძღვანელო პრინციპები, რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის, შევადგინეთ ექსკლუზიური სამი ორგანიზებული ტური.

კვლევის მიზნები და ამოცანები:

კვლევის მიზანია იმერეთის რეგიონში კულტურული მემკიდრეობის ტურიზმის განვითარების პრობლემების შესწავლა, მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება და სამომავლო განვითარების კონცეპტუალური მოდელის შემუშავება.

ამოცანები:

- კვლევითი მეთოდების საფუძველზე რეგიონში არსებული პრობლემების გამოკვლევა და დაფიქსირება,
- რეგიონში არსებული მდგომარეობისა და ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა,
- პრობლემების მოგვარების გზების ძიება,
- სამომავლო ხედვის შემუშავება და ოპტიმალური მოდელის შეთავაზება;
- მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შეთავაზება.

კვლევის ობიექტი: იმერეთის რეგიონი, ქალაქი ქუთაისი და 11 მუნიციპალიტეტი, მათ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, ასევე ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ინფრასტრუქტურა.

ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს ტურიზმის საკითხებზე არსებული თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევები, უცხოური და ქართულენოვანი ლიტერატურა, ინტერნეტრესურსი, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები, ეკონომიკურ-სტატისტიკური, SWOT, PESTLE და SMART ანალიზები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე:

- იმერეთის რეგიონში, ჩვენს მიერ პირველადაა წარმოდგენილი ტურიზმის ახალი მიმართულება, ე.წ. ახალი ნიშა: **„კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი"** და მისი სახეები.

- კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის მიმართულების სახეების ფარგლებში, იმერეთის სინამდვილეში, პირველად ხდება **სამი ორგანიზებული, ექსკლუზიური ტურის შეთავაზება სამიზნე ობიექტების დასახელებით, გაანგარიშებებითა და შესაბამისი პროგრამით.**
- დისერტაციის ფარგლებში, გამოქვეყნებულია იმერეთის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღწერილობითი ხასიათის ორი დამხამრე სახელმძღვანელო:
    1. **„იმერეთის დაცული ტერიტორიები", ქუთაისი, 2010**
    2. **„იმერეთის ეპარქიები და ეკლესია-მონასტრები", ქუთაისი, 2010**
- 2012 წლის 2 მარტს, **ფლორენციაში, კონგრესზე** (რიგით მეთოთხმეტე მრგვალი მაგიდა - Fondazione Romualdo Del Bianco®-Life Beyond Tourism) წარმოვადგინეთ დისერტაციის თავი 2. (2.3) **„რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები იმერეთის რეგიონში", http://www.florence-expo.com/pages/page.asp?lang=2&idcontent=160**

1. ვმონაწილეობთ მიმდინარე ერთობლივ პროექტში **(იტალია, მოლდოვა, ქუთიასი, 2012): „ტურისტული პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება",** რაც მიზნად ისახავს იმერეთის რეგიონის, კერძოდ ქ. ქუთაისის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და სამოქმედო გეგმის შედგენას ინგლისურ ენაზე.

ავტორის პირადი მონაწილეობა - ავტორი უშუალოდ ღებულობდა მონაწილეობას კვლევის პროცესში, მის მიერ იქნა მოპოვებული ყველა საჭირო ინფორმაცია კაბინეტური თუ საველე კვლევითი მეთოდების გამოყენებით, მან შეადგინა პროექტი, რომელიც ფლორენციის ფესტივალის გამარჯვებულთა 12-კაციან ჯგუფში მოხვდა, ავტორი მონაწილეობს ასევე იტალია, მოლდოვა, ქუთაისი ერთობლივ პროექტში „ტურისტული პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება".

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა - ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების გამოყენება შეიძლება რეგიონის (ქვეყნის) ტურისტული ორგანიზაციების მიერ, ტურისტული პროდუქტის ფორმირების სტრატეგიის შემუშავებისას, მიგვაჩნია, რომ სადისერტაციო ნაშრომში მიღებული კვლევის

შედეგები აგრეთვე დაეხმარება სახელმწიფო სტრუქტურებს ტურიზმის სფეროში სათანადო ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა - ნაშრომი შედგება შინაარსის, შესავლის, სამი თავისა და თერთმეტი ქვეთავისაგან, მოცემულია გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების, ცხრილების, დიაგრამებისა და რუკების ჩამონათვალი, ნაშრომს თან ახლავს დანართი **1.** სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობაა 180 გვერდი (არაუმეტეს 400 000 ასო-ნიშანი), ფურცლის ზომა A/4; ტექსტი აკრეფილია 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობაა – აკადნუსხური, სტრიქონებს შორის მანძილია – 1,5, გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან 1 სმ., ზემოდან 2,5 სმ., ქვემოდან 2,5 სმ.

პუბლიკაციები ავტორს გამოქვეყნებული აქვს 5 დამხმარე სახელმძღვანელო, სამეცნიერო სტატიები რეფერირებად ჟურნალებში, დისერტაციის პირველი და მეორე თავი გატანილი აქვს საერთაშორისო კონფერენციებზე (თურქეთი, იტალია).

დამხმარე სახელმძღვანელოები:

1) დევიძე ე. განთავსების საშუალებები, სტუმარმასპინძლობა და სასტუმრო ინდუსტრია, ბერლინი, გერმანია, 2012
2) დევიძე ე. შესავალი ღონისძიებათა მენეჯმენტში, ბერლინი, გერმანია, 2011
3) დევიძე ე. პროექტის მენეჯმენტი, ბერლინი, გერმანია, 2011
4) დევიძე ე. ცაგარეიშვილი ს. იმერეთის დაცული ტერიტორიები, ქუთაისი, 2010
5) დევიძე ე. იმერეთის ეპარქიები და ეკლესია-მონასტრები, ქუთაისი, 2010

2012 წელს გამოქვეყნებული სტატიები:

1. დევიძე ე. რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები იმერეთში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ფლორენცია, იტალია, 2012
2. ცაგარეიშვილი ს. დევიძე ე. ტურიზმი, რეალობა და პერსპექტივები იმერეთის რეგიონში, ეკონომიკა და ბიზნესი, თბილისი, 2012
3. დევიძე ე. ქუთაისის ტურიზმის განვითარების სტრატეგია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ვენეცია, იტალია, 2012
4. დევიძე ე. იმერეთის დაცული ტერიტორიების როლი და მნიშვნელობა, ეკონომიკა და ბიზნესი, თბილისი, №1, 2012

თავი I. კულტურული ტურიზმი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების საფუძველი

1.1. კულტურული ტურიზმის არსი, როლი და ფუნქციები

კულტურა--ლათინური სიტყვაა *„Cultura"* და დამუშავებას ნიშნავს *(Latin: Cultura, lit."Cultivation")*.კულტურაში იგულისხმება არა ცალკეული შემოქმედებითი აქტი, არამედ შემოქმედება, როგორც ადამიანის უნივერსალური დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომლის მეშვეობით იგი ქმნის „ახალ სამყაროს" და საკუთარ თავს. თითოეული კულტურა განუმეორებელი სამყაროა, რომლის შიგნით არსებობს ადამიანის (ადამიანთა) სწორედ ასეთი დამოკიდებულება გარემომცველი სინამდვილისა და საკუთარი თავისადმი[67].

ედუარდ ბურნეტ ტეილორი კულტურას განმარტავს, როგორც ცოდნის, ხელოვნების, მორალის, კანონის, ადათ-წესების, ჩვევებისა და შესაძლებლობების ერთობლიობას, რომელსაც იყენებს ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი [80].

ანთროპოლოგიური მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ ტერმინ „კულტურის" განმარტებამ უფრო კომპლექსური ხასიათი მიიღო. 1952 წელს ჩატარებული გამოკვლევის თანახმად ამერიკელმა ანთროპოლოგებმა ა. კროიბერმა და ც. კლუკხონმა (A.L. Kroeber and C. Kluckhohn) სხვადასხვა ავტორთან, კულტურის 164 განმარტება დათვალეს. მას განმარტავდნენ, როგორც: შესწავლილ ქცევას, იდეებს გონებაში, ლოგიკურ მოსაზრებას, სტატისტიკურ ფიქციას, ფიზიკური დაცვის მექანიზმს და ა.შ (Learned behaviour", "ideas in the mind", "a logical construct", "a statistical fiction", "a psychicdefence mechanism"). ენციკლოპედია ბრიტანიკაში ტერმინი კულტურა განიმარტება, როგორც მოქმედებისგან განყენებული ქცევა[77].

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა კულტურის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია: ისტორიული, სტრუქტურული, სტრუქტურულ-ფუნქციური, სისტემური (ფ. ბოასი, კ. ლევი-სტროსი, ბ. მალინოვსკი, ა. რადკლიფ-ბრაუნი, ლ.

უაიტი) და სხვა. დამკვიდრდა ტერმინი *„კულტურული ტრანსმისია"* – ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობით კულტურა გადადის მომდევნო თაობებზე ინფორმაციის გადაცემის არაგენეტიკური (სწავლების) გზით. კულტურული ტრანსმისიის შედეგია *კულტურული მემკვიდრეობა*, მისი დროში უწყვეტობა. კულტურის განვითარების ციკლების თანმიმდევრობით ცვლა ერთი ერის, ხალხის ან ქვეყნის ფარგლებში უნდა მიმდინარეობდეს კულტურის საბაზისო ელემენტების შენარჩუნებით. კულტურული მემკვიდრეობა გადაიცემა კულტურის მატარებელი ორი ცოცხალი სუბიექტის (მასწავლებლისა და მოსწავლის, გამცემისა და მიმღების) უშუალო კონტაქტის შედეგად. ნებისმერი კულტურის გავითარებაში იგულისხმება კულტურის ძირითად ფასეულობათა სისტემის შენარჩუნება დროში. სწორედ ამ გზით ხალხის, ერის, ფენების, ჯგუფების არსებობით და თაობათაშორისი ელემენტარული ურთიერთობებით შესაძლებელია, ისტორიული კატაკლიზმების (რევოლუციები, ომები, კონფლიქტები) მიუხედავად, კულტურის სიცოცლხლისუნარიანობის შენარჩუნება. კულტურული ტრანსმისიის მეშვეობით ყოველი ახალი თაობა მემკვიდრეობით იღებს ძველ, დაგროვილ გამოცდილებასა და მიღწევებს და აგრძელებს კულტურის განვითარებას იმ წერტილიდან, რომელზეც მისი წინამორბედი თაობა შეჩერდა[89].

ტურიზმი

- ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილებაა თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების და/ან სხვა მიზნით[36].
- ადამიანის დროებითი გადაადგილებაა მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა ქვეყანაში ან თავისი ქვეყნის ფარგლებში, სიამოვნების მიღებისა და დასვენების მიზნით, გამაჯანსაღებელი, სამკურნალო, შემეცნებითი, რელიგიური, პროფესიულ-საქმიანი ან სხვა მიზნებით, მაგრამ მასპინძელი ქვეყნის ან ტერიტორიის ადგილობრივი საფინანსო წყაროებიდან ანაზღაურებადი საქმიანობის გარეშე[28].
- მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტურიზმს განმარტავს, როგორც, მოგზაურობას დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან ბიზნეს მიზნებით[103].

მეცნიერი გ. რიჩარდი—კულტურულ იგივე შემეცნებით ტურიზმს განმარტავს, როგორც ადამიანთა გადაადგილებას თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან კულტურულ ატრაქციამდე, ცნობიერების ამაღლებისა და გამოცდილების შეძენის მიზნით, კულტურული მოთხოვნილებების/საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

შილბერბერგის განსაზღვრებით, კულტურული ტურიზმი არის ვიზიტორთა მოგზაურობა, რომელთა ინტერესი და მოტივაცია სრულად ან ნანწილობრივ მაინც ისტორიულ--კულტურული მემკვიდრეობის ადგილების მონახულებაა.

რიდგენის გაგებით, ტურისტისათვის თავად კულტურა არის ატრაქცია ანუ ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ა.შ.

ტიგემ კულტურული ტურიზმის სამი კომპონენტი გამოყო, როგორიცა:

1. **მოგზაურობა,**

2. **ტურისტი,**

3. **ღირშესანიშნავი ადგილები,** და კულტურული ტურიზმი განსაზღვრა, როგორც მოგზაურობა, რომელიც ხორციელდება ისტორიულ-კულტურული ადგილების, მუზეუმებისა და ღირშესანიშნაობების მოსანახულებლად[67].

კულტურულ ტურიზმს ერთი მიზანი აქვს: „გააცნოს ტურისტს იმ ქვეყნის ეროვნული კულტურა და მისი მახასიათებლები, რომელშიც იგი იმყოფება"— **კოიშირა მაცურა—იუნესკოს გენერალური მდივანი** [20].

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტებით კულტურული ტურიზმი - არის ადამიანთა მოგზაურობა, რაც განპირობებულია კულტურული მოტივაციებით, როგორიცაა სასწავალო და სამეცნიერო ტურები, ხელოვნებასთან ზიარება, ფესტივალებზე და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება, ძეგლებისა და ღირშესანიშნაობების მონახულება, კულტურული ტრადიციების, ფოლკლორის, ხელოვნების გაცნობა, მომლოცველობა და ა.შ[104]. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 თებერვლის №49 დადგენილებაში, „საქართველოს ტურიზმისა და კურორტების განვითარების ღონისძიებათა შესახებ" პირველად იქნა ოფიციალურ დონეზე გამოყენებული ტერმინი „კულტურული ტურიზმი".

მ. მეტრეველის ტურისტულ-ტერმინთა ინგლისურ-ქართულ განმარტებით ლექსიკონში კულტურული ტურიზმი განსაზღვრულია, როგორც, ტურიზმის სახეობა, კულტურულ-სანახაობრივი მოგზაურობა. ისტორიული ქალაქების, კულტურული ღირშესანიშნაობების, მუზეუმების, თეატრების, ხუროთმოძღვრული ძეგლების და ა.შ. მიზნით[28].

კულტურა ყოველთვის იყო მოგზაურობის მთავარი მიზანი, რაზეც მეტყველებს XVI საუკუნეში ე.წ. „გრანდ ტურის"განვითარება. XX საუკუნიდან თვითონ ტურიზმი გახდა კულტურის ნაწილი. ტურიზმის ამ მიმართულების მიზანია ტურისტული ცენტრების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონახულება შემეცნებითი მიზნით. ტურისტული ინტერესის ობიექტებს კი წარმოადგენენ მუზეუმები, ბუნებრივი ძეგლები და ლამაზი ლანდშაფტები.

კულტურული ტურიზმის მნიშვნელობა ხასიათდება რამდენიმე კომპონენტით, გარდა ეკონომიკური და სოციალური სარგებლისა იგი ახდენს ქვეყნის ტურისტულ იდენტიფიცირებას, ხელს უწყობს კულტურულ მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ადამიანებს შორის ჰარმონიისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას. კულტურულ ტურიზმს ორი ძირითადი ასპექტი განსაზღვრავს:

- კულტურული ტურიზმის ეკონომიკა (ბაზრის შესწავლა, დაგეგმვა, ანალიზი)
- შინაარსობრივი მხარე (შემეცნებითი მოგზაურობებისათვის ფორმების, სახეების, თამატიკის, სამოგზაურო მარშუტების და ექსკურსიების შედგენა).

კულტურული ტურიზმის კლასიკური და ტრადიციული ფორმებია:

1. ***თემატური, შემეცნებითი მოგზაურობები*** – (მოგზაურობები ფოტომოყვარულთათვის, სასწავლო მოსწავლეთათვის, განსაკუთრებული ფორმები: მუსიკა, თეატრი, სამუზეუმო მოგზაურობები)
2. ***აქტიური შემეცნებითი ტურები*** – შემეცნებითი მოგზაურობები, ლაშქრობები, მოგზაურობები ველოსიპედით, შემეცნებითი ექსპედიციები, მიზნობრივი მოგზაურობები სავარჯიშოდ)
3. ***მიზნობრივად შერჩეული ადგილების დათვალიერება*** – (საქალაქო ტური)
4. ***შემეცნებითი, მიმოხილვითი კრუიზები*** -- (მიმოხილვითი მოგზაურობები იახტით, საზღვაო მიმოხილვითი მოგზაურობები).

კულტურული ტურიზმის მახასიათებლები და უშუალოდ მისი მონაწილეები არიან:

1. ***მომსახურების მიმწოდებლები კულტურულ ტურიზმში*** --- მუზეუმები (გიდი), ტურიზმის გაერთიანება (ფესტივალების ორგანიზატორები), დანიშნულების ადგილი (შოუ ბიზნესი), განთავსების საშუალებები (სატრანსპორტო საშუალება)

1.1. ***გასაღების საშუალებები*** – ტუროპერატორი, პირდაპირი დაჯავშნა.

2. ***მოგზაურობის ფორმა*** – საქალაქო ტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ენების შესწავლა, თემატური მოგზაურობები.

2.1. გასაღების საშუალებები – ტუროპერატორი, პირდაპირი დაჯავშნა,

3. ბაზრის სეგმენტი **-** მიზნობრივი ჯგუფები.

კულტურული ტურიზმი არის პიროვნების მიერ კულტურასთან და მის ნამდვილობასთან ექსკურსიებისა და მოგზაურობების მეშვეობით ზიარება, რამდენადაც თავისებური და უნიკალურია ბუნება, იმდენად უნიკალური და თავისებურია გზა ტურიზმის საშუალებით მისი შემეცნებისა. კულტურულ ტურიზმს პიროვნების უშუალო კონტაქტით კულტურულ ღირებულებებთან შემეცნების შეუცვლელი ეფექტი გააჩნია კულტურას, ტურიზმთან კავშირში შესწევს უნარყ ისტორიული ტერიტორიების განვითარების, კულტურული მოღვაწეობის სხვადასხვასუბიექტების შეკავშირების, მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ისინი თავიანთ პროცესებში რთავენ მოსახლეობის სხვადასხვაჯგუფებს, საზოგადოებრივ და ბიზნეს – სტრუქტურებს სახელმწიფო – ადმინისტრაციული ერთეულების ეგიდით[20].

კნუტ გერბერის მოსაზრებით დღესდღეობით ევროპაში კულტურულ ტურიზმს ზურგს მნიშვნელოვანი ფაქტები და მონაცემები უმაგრებს, მაგალითად ტურისტთა საერთო რაოდენობის 23,5% კულტურულ ტურისტებზე მოდის, მათგან 31%-ზე მეტი ზოგადად კულტურული, ხოლო 3,5% კი კონკრეტული კულტურული ტურისტია. ეს შუქს ჰფენს მოსალოდნელ შედეგებს, როგორც მასპინძელი რეგიონებისათვის, ისე ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და კულტურული მემკვიდრეობისათვის.

კნუტ გერბერი აღნიშნავს, რომ კულტურული ტურიზმის ეკონომიკური ეფექტის დადებითი მხარე ძირითადად არის ***მოხმარება***, რაც მოსდევს ტურისტთა მეტი რაოდენობით ჩამოსვლას და ღამისთევით დარჩენას. ეს გულისხმობს მეტ საგადასახადო შემოსავალს მასპინძელი რეგიონისათვის და ეკონომიკური ეფექტის შემდგომ გავრცელებას ადგილობრივ ტურისტულ, კულტურულ და სხვა სამსახურებზე. კულტურული ტურიზმი ქმნის სამუშაო ადგილებს, კულტურულ და საწარმოო სექტორებში.მუშა ხელზე გაზრდილ მოთხოვნას თან სდევს დადებითი გავლენა სოციალურ და საგადასახადო სფეროზე. კულტურული ტურიზმი დიდ როლს ასრულებს დანიშნულების ადგილის ახალი პროფილის შექმნაში. ხელს უწყობს გარკვეული ადგილის "სათუთი" მხარეების გამოვლენას, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინვესტორები გადაწყეტილებების მიღებისას და მას, ასევე, გააჩნია ხარისხობრივი და არამატერიალური ფუნქცია სამომავლო საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბებაში. კულტურული ტურიზმი სეზონური არ არის, რის გამოც ტურისტთა რაოდენობა არ აღწევს სეზონურ პიკს და, შესაბამისად, ეკონომიკური ეფექტიც მთელ წელზე ნაწილდება. კულტურულ ტურიზმს წვლილი შეაქვს ენდოგენური პოტენციალის განვითარებაში. ეს ხელს უწყობს რეგიონის/ქალაქის თვითმყოფადობის და ბაზარზე გაყიდვის უნიკლური შეთავაზების გაჩენას, ამასთანავე, ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის და მეწარმეთა საქმიანობის დაკავშირებას და, შესაბამისად, ახალი საქმიანი კონტაქტების და შესაძლებლობების გაჩენას. თუმცა, იმავდროულადკულტურულ ტურიზმს ეკონომიკური ეფექტის ნეგატიური მხარეც აქვს პირველ რიგში, ეს არის თავად ტურიზმის კომერციალიზაცია -- ამ შემთხვევაში კულტურული მომომსახურების მიზანია მხოლოდ მოგების მიღება და არა კულტურის სხვა ფასეულობების წარმოჩენა. იმისათვის, რომ ჩამომსვლელთა რაოდენობა მაქსიმალურად გაიზარდოს და ა.შ., კულტურული მომსახურება ხშირად მოდიფიცირებულია ტურისტის მოლოდინის გასამართლებლად, მაგრამ, ასეთ შემთხვევებში, ხშირად იკარგება იდენტურობა და ყველაფერი მხოლოდ სანახაობას ემსგავსება. ამას მივყავართ ადგილობრივი თვითმყოფადობის და მის მიღმა არსებული კონცეფციის დაყვანას კულტურული პროდუქტის დონემდე. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მეტი ტურისტის ჩამოსვლას მოსდევს მეტი საცობი, ხმაური, დაბინძურება და სხვა დატვირთვა გარემოსათვის, ამით ადგილის მომხიბვლელობა კლებულობს, რომ არაფერი ვთქვათ ნაგებობათა ისტორიული არსის "ცვეთის" შეუქცევადობაზე[5].

კულტურა ისტორიის მანძილზე აღიქმებოდა და განიხილებოდა, როგორც ელიტარული, განსაკუთრებული საზოგადოებრივი ფენის შემოქმედების ან მოხმარების სფეროდ და ნაკლებად იყო გააზრებული, როგორც ეკონომიკურად მომგებიან საქმიანობა ან ბიზნესი. კულტურისადმი მსგავსი დამოკიდებულება დღესაც გრძელდება და ძირითდად შემოიფარგლება ესთეტიკური ღირებულების მინიჭებით და განსხვავებით დასავლეთის ქვეყნებისაგან მოკლებულია ეკონომიკურ ხედვას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცნება - კულტურა ეკონომიკური განვითარების დატვირთვასაც იძენს. ამის ნათელი მაჩვენებელია დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს პრაქტიკა, სადაც კულტურული პროდუქციის საშემოსავლო წილი პროცენტულად უტოლდება და, ხშირ შემთხვევაში, აღემატება, მაგალითად წარმოების ისეთ სფეროებს, როგორიცაა მცირე ბიზნესი, ტურიზმი, რეწვა, რომ არაფერი ვთქვათ კინომატოგრაფიაზე ან მუსიკის ინდუსტრიაზე. კულტურის სფერო, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წყარო, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც ხელოვნება ისტორიის უძველესი პერიოდიდან დაწყებული, წარმოადგენს ქართული ეროვნულობის, ტრადიციულობის მახასიათებელს, მსოფლმხედველობის თუ ცნობიერების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს. სადაც დღესაც, კულტურული თვითმყოფადობა საზოგადოების ცნობიერების ორგანული ნაწილია. ყოველივე ეს იძლევა საშუალებას ორგანიზებული მართვის პირობებში კულტურის დარგი იქცეს ეკონომიკურად მომგებიან სფეროდ.

ამრიგად, კულტურული ტურიზმი უნდა განიხილებოდეს, როგორც ალტერნატიული საქმიანობა (მცირე ოჯახური ბიზნესის ფორმა) და მას უნდა გაეწიოს პოლიტიკური და იმავდროულად იურიდიული და ფინანსური მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდან. კულტურულმა ტურიზმმა შეიძლება იარსებოს გარკვეულ სივრცით გარემოში, ადგილის ისტორიულ – კულტურული პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხარჯზე. მის ბაზაზე ჩამოყალიბებულ პარტნიორობას კი ექნება ტერიტორიული, ადგილობრივი (ლოკალური), რეგიონთშორისი და ინტერნაციონალური ხასიათი.

1.2. კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის როლი და ადგილი საერთაშორისო მოგზაურობებში

კულტურული მემკვიდრეობა - ბუნებრივი ან ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტებია, რომელთა განსაკუთრებული ისტორიული ან ეკოლოგიური ფასეულობის გამო, პრიორიტეტულ ამოცანებად მათი შენახვა და პოპულარიზაცია ითვლება. კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება იყოს:

ა)*მატერიალური* – ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დოკუმენტური მასალები, ასევე ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან;

ბ)არამატერიალური – ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათ-წესები, ჩვეულებები, ტრადიციულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ- ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, რომლებიც საზოგადოების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ აღიარებულია მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად[37].

კულტურული მემკვიდრეობის განმარტებანი, როლი და ფუნქციები კარგად არის განხილული უამრავ ქარტიას, რეკომენდაციასა თუ კონვენციაში, რაც ქრონოლოგიურად წლების მიხედვით წარმოგვიდგინა ჯ. ჯოკილეტომ ნაშრომში „კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრებები”[72].

მ. მეტრეველი ტურისტულ ტერმინთა ინგლისურ-ქართულ განმარტებით ლექსიკონში კულტურული მემკვიდრეობის ასეთ განმარტებას იძლევა: კულტურული მემკვიდრეობა აერთიანებს როგორც მატერიალურ (ისტორიული, ხუროთმოძღვრული ძეგლები) ასევე არამატერიალურ (ხალხური შემოქმედება, ენა, აღმსარებლობა, ტრადიციები და ა.შ.) ფასეულობებს[28]. კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე ცნება არის თანამედროვე საზოგადოების, მისი ღირებულებებისა და მოთხოვნების განვითარების შედეგი. წარსულში ძირითადი ყურადღება მიმართული იყო ხელოვნების ცალკეული ნიმუშებისა და უმნიშვნელოვანესი ძეგლებისაკენ. მსოფლიო ომების მიერ გამოწვეულმა მასობრივმა ნგრევებმა და 1950-იანი წლების შემდგომმა სწრაფმა ინდუსტრიულმა განვითარებამ განაპირობა ადამიანების მიერ მათ საცხოვრებელ და სამუშაო გარემოსთან მჭიდრო ურთიერთკავშირის გაცნობიერება. ის წარმოადგენს ადამიანების კულტურული მეობის საფუძველს, ცხოვრების დაბალანსებული ხარისხის ერთგვარ მენტალურ და სულიერ ათვლის წერტილს. დღეს კულტურული მემკვიდრეობა აღიქმება მისი უფართოესი გაგებით და მოიცავს ნებისმიერ ნიშანს, რომელიც ასახავს ადამიანის ქმედებებსა და მიღწევებს კაცობრიობის არსებობის განმავლობაში. ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, სულ უფრო ნაკლებად ესმოდათ თუ რამდენად ურთიერთდამოკიდებულია ადამიანი და ბუნება. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი რესურსები წინაინდუსტრიულ ხანაშიც გამოიყენებოდა – ზოგჯერ უდიერადაც – ადამიანები და განაშენიანებული გარემო დღევანდელზე მეტად იყვნენ ბუნებაზე დამოკიდებული. პარალელურად, ახალი პრობლემები წარმოიქმნა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოსახლეობის მკვეთრი ზრდისა და ურბანიზაციის მსოფლიო ტენდენციების გამო. დროთა განმავლობაში, არაგანახლებადი (ნავთობი, მინერალები) თუ ნაწილობრივ განახლებადი (წყალი, ჰაერი, ტყეები) ბუნებრივი რესურსების დაუფიქრებელი მოხმარება საერთაშორისო შეშფოთების საგანი შეიქმნა. ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი არაგანახლებადი რესურსია, განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო ადამიანების მოთხოვნილებებსა და მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებს შორის წონასწორობის აღსადგენად. კულტურული მემკვიდრეობა სხვადასხვა ვითარებაში არსებული სხვადასხვა

ტიპის ობიექტებისაგან შედგება; ამასთან, იგი მოიცავს არა მხოლოდ ცალკეულ მნიშვნელოვან ძეგლებს, ისტორიულ არეალებსა და ბაღ-პარკებს, არამედ ადამიანის მიერ შექმნილ გარემოს, როგორც ერთ მთლიანს. კულტურული მემკვიდრეობის რესურსები, მათი კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება ასოცირებულ იქნენ სხვადასხვა ღირებულებებთან, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებენ სხვადასხვა შემთხვევაში მათი მოვლა-შენარჩუნების სპეციფიკას.

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში ხვდებიან მხოლოდ ის ძეგლები, რომლებსაც უნივერსალური მნიშვნელობა აქვთ ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით. არჩევის გადაწყვეტისას გათვალისწინებულია ძეგლის ორიგინალურობა, აუთენტურობა (ისტორიული ნამდვილობა) და მისი ერთიანობა (მთლიანობა). გარდა ამისა ძეგლი უნდა აკმაყოფილებდეს იუნესკოს ერთ ან რამდენიმე კრიტერიუმს ათიდან. 2005 წლის დასაწყისამდე კულტურული და ბუნების ძეგლებისათვის კრიტერიუმები ცალ-ცალკე იყო, 2005 წლის შემდეგ კი ყოველი ძეგლისათვის საერთო კრიტერიუმები შემუშავდა. კერძოდ,

კულტურული კრიტერიუმები

• ობიექტი წარმოადგენს კაცობრიობის შემოქმედებითი გენიის შედევრს.

• ძეგლი წარმოადგენს არსებული ან გადაშენებული კულტურის ორიგინალურ ან მინიმუმ განსაკუთრებულ ნიმუშს.

• ძეგლი წარმოადგენს ნაგებობათა გარკვეული ტიპის, არქიტექტურული ან ტექნოლოგიური ანსამბლის ან ლანდშაფტის განუმეორებელ, საუკეთესო ნიმუშს, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ერთ ან რამდენიმე მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას უკავშირდება.

• ძეგლი წარმოადგენს ადამიანის დასახლების გარკვეული ტიპის, მიწის ან ზღვის გამოყენების განსაკუთრებულ, საუკეთესო ნიმუშს, რომელიც ერთი ან რამდენიმე ცნობილი კულტურისათვის ტიპურია. ან ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედებას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში თუ შეუჩერებელი ცვლილების გამო ძეგლს გაქრობა ემუქრება.

• ძეგლი უშუალოდაა დაკავშირებული მოვლენებთან ან ტრადიციულ ცხოვრების წესთან, იდეებთან ან რელიგიურ რწმენებთან, ხელოვნებასა და ლიტერატურულ

ნაწარმოებებთან, რომლებსაც განსაკუთრებული, უნივერსალური მნიშვნელობა აქვთ (ეს კრიტერიუმი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ ძეგლი სხვა რომელიმე კრიტერიუმსაც აკმაყოფილებს).

ბუნებრივი კრიტერიუმები

• ობიექტი წარმოადგენს ბუნების საოცრებას, ან ტერიტორიას, რომელსაც აქვს გამორჩეული სილამაზე და ესთეტიური მნიშვნელობა.

• ობიექტი არის დედამიწის ისტორიის მთავარი ეტაპის გამორჩეული მაგალითი, მათ შორის წარსულის ძეგლები, რომლებიც წარმოადგენენ სიმბოლოს გეოლოგიური პროცესებისა და რელიეფის განვითარებისა ან გეომორფოლოგიურ და ფიზიოგეოგრაფიულ თავისებურებებს.

• ობიექტი წარმოადგენს ხმელეთის, მტკნარი წყლის, ყურეებისა და ზღვების ეკოსისტემის, ასევე ფლორისა და ფაუნის განვითარებისა და ევოლუციის გამორჩეულ და მნიშვნელოვან მაგალითს გარკვეულ ეკოლოგიურ და ბიოლოგიურ პროცესებში.

• ობიექტი წარმოადგენს დედამიწაზე არსებულ უმნიშვნელოვანეს ტიპურ საცხოვრებელ ტერიტორიას, მათ შორის ისეთებს, რომლებიც შეიცავენ გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, რომლებიც მეცნიერული საფუძვლების და მათი შენარჩუნების აუცილებლობის გამო ძვირფასნი არიან[75].

კულტურული ატრაქცია

2001 წელს პირველად მსოფლიოს ისტორიაში იუნესკომ გამოაქვეყნა ხელთუქმნელი მუსიკალური და არამატერიალური შედევრების ნუსხა, რომელშიც შევიდა ქართული მრავალხმიანობა, რაც ქართული ხალხური პოლიფონიის დიდი გამარჯვება და აღიარება იყო. იუნესკო მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები დაყოფილია ხუთ გეოგრაფიულ ზონად.

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების 5 გეოგრაფიული ზონა	აფრიკა არაბული ქვეყნები (წარმოდგენილია ჩრდილოეთ აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი) აზია-ოკეანია (წარმოდგენილია ავსტრალია და ოკეანია) ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა ლათინური ამერიკა და კარიბები

სულ 936 მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია 148 ქვეყანაში. აქედან: 725 კულტურულია, 183 ბუნებრივი, ხოლო 28 კი შერეული ტიპის. იხილეთ ცხრილი 1.1

ცხრილი 1.1.

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა კლასიფიკაცია გეოგრაფიული ზონების მიხედვით

ზონა	ბუნებრივი	კულტურული	შერეული	სულ
ლათინური ამერიკა და კარიბები	32	62	3	97
ნაკლებად გაორმაგებული	13	17	0	30
სულ აქედან	183	725	28	936
სულ	196	742	28	966
აფრიკა	35	43	4	82
არაბული ქვეყნები	4	61	1	66
აზია-ოკეანია	52	142	9	203
ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა	73	432	11	516

წყარო: http://whc.unesco.org/en/list/stat

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა თითქმის 60% მოდის ევროპა-ჩრდილო ამერიკაზე, 25%--აზია-ოკეანეთის ქვეყებზე, დანარჩენი კი აფრიკა-არაბეთის ქვეყნებზე. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება მასობრივი საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ხანა. 1950 წელს, საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობამ 25 მილიონს მიაღწია, 1970 წელს 170 მილიონს, 1990 წელს 400 მილიონს. ამჟამად თითიქმის ყველა ადამიანი მეტნაკლებად ჩაბმულია ტურისტულ საქმიანობაში. XX საუკუნის ბოლოს მთელ მსოფლიოში 4,5 მილიარდი ტურისტი მოგზაურობდა, მათ შორის 10% საერთაშორისო ტურისტები იყვნენ და ყოველწლიურად ხარჯავდნენ 100-150 მილიარდ აშშ დოლარს. წარმოგიდგენთ საერთაშორისო ტურისტების მიერ ყველაზე მონახულებად ქვეყნებს. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით 2010 წელს, მსოფლიო მასშტაბით 940 მილიონი საერთაშორისო ტურისტული ჩასვლა განხორციელდა, რაც წინა წელთან შედარებით 6.6%-ით მეტი იყო. ქვემოთმოყვანილ ცხრილში 1.2. მოცემულია საერთაშორისო ტურისტების მიერ მსოფლიოს ათი ყველაზე მონახულებადი ქვეყანა.

ცხრილი 1.2

საერთაშორისო ტურისტების მიერ მსოფლიოს ათი ყველაზე მონახულებადი ქვეყანა

ქვეყანა	მტო-ს რეგიონალური დაყოფა	საერთაშორისო ტურისტთა ჩასვლები (2009))მლნ	საერთაშორისო ტურისტთა ჩასვლები (2010)მლნ	ცვლილება 2010/2009
საფრანგეთი	ევროპა	76.8	76.8	+0.0%
აშშ	ჩრდილოეთ ამერიკა	55.0	59.7	+8.7
ჩინეთი	ზია	50.9	55.7	+9.4%
ესპანეთი	ევროპა	52.2	52.7	+1.0%

იტალია	ევროპა	43.2	43.6	+0.9%
გაერთიანებული სამეფო	ევროპა	28.2	28.1	-0.2%
თურქეთი	ევროპა	25.5	27.0	+5.9%
გერმანია	ევროპა	24.2	26.9	+10.9%
მალაიზია	ზია	23.6	24.6	+3.9%
მექსიკა	ჩრდილოეთ ამერიკა	21.5	22.4	+4.4%
სულ		391.1	417.5	

წყარო: http://whc.unesco.org/en/list

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2010 წელს ჩამოთვლილ ქვეყნებში 2009 წელთან შედარებით საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა გაიზარდა 6.7%-ითდა შეადგინა 417,5მლნ. ადამიანი, აქედან, ჩინეთმა ჩასვლათა რაოდენობით გაუსწრო ესპანეთს, საფრანგეთისა და აშშ-სშემდეგ 10 ქეყანაში მსოფლიოს მესამე ყველაზე მონახულებადი ქვეყანა გახდა. აღსანიშნავია, ისიც, რომ ათეულში შემავალი ქვეყნების უმრავლესობა ევროპული სახელმწიფოები არიან. 2010 წელს, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 919 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (693 მლრდ ევრო), რაც 2009 წელთან შედარებით 4.7%-იანი ზრდა იყო. ცხრილში მოცემულია 2010 წლის მოწინავე ქვეყნების ათეული შემოსავლების მხრივ, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა ევროპული ქვეყნებია, მაგრამ ლიდერობას კვლავ აშშ განაგრძობს (იხ.ცხრილი 1.3).

ცხრილი 1.3

საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები

რანგი	ქვეყანა	მტო-ს რეგიონული დაყოფა	საერთაშორისო ტურისტული შემოსავლები (2010) მილიარდი დოლარი
1	აშშ	ჩრდილოეთ ამერიკა	103.5
2	ესპანეთი	ევროპა	52.5
3	საფრანგეთი	ევროპა	46.3
4	ჩინეთი	ზია	45.8
5	იტალია	ევროპა	38.8
6	გერმანია	ევროპა	34.7
7	გაერთიანებული სამეფო	ევროპა	30.4
8	ავსტრალია	ოკეანია	30.1
9	ჰონკონგი(ჩინეთი)	ზია	23.0
10	თურქეთი	ევროპა	20.8

წყარო: **http://whc.unesco.org/en/periodicals**

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა იმ ქვეყნების ათეული, რომელთაც 2010 ყველაზე მეტი დახარჯეს საერთაშორისო ტურიზმში (ტურისტების გენერატორი ქვეყნები) იხ. ცხრილი 1.4.

ცხრილი 1.4

საერთაშორისო ტურიზმის დანახარჯები

რანგი	ქვეყანა	მტო-ს რეგიონული დაყოფა	საერთაშორისო ტურისტული დანახარჯები (2010)მილიარდი დოლარი
1	გერმანია	ევროპა	77.7
2	აშშ	ჩრდილოეთ ამერიკა	75.5
3	ჩინეთი	ზია	54.9
4	გაერთიანებული სამეფო	ევროპა	48.6
5	საფრანგეთი	ევროპა	39.4
6	კანადა	ჩრდილოეთ ამერიკა	29.5
7	იაპონია	აზია	27.9
8	იტალია	ევროპა	27.1
9	რუსეთი	ევროპა	26.5
10	ავსტრალია	ოკეანია	22.5

წყარო: http://whc.unesco.org/en/resources/

ამრიგად, ტურისტული მოგზაურობის გეოგრაფია გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. საერთაშორისო ტურისტების 2/3 ევროპის ქვეყნებში მოგზაურობს. შემდეგ ყველაზე პოპულარული რეგიონია ამერიკა, რომლის წილად მოდის ტურისტების 20%, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებზე მოდის 10%, აფრიკაზე 3%. ასევე წარმოგიდგენთ საერთაშორისო ტურისტების მიერ ყველაზე მეტად მონახულებად ქალაქებს (იხ. ცხრილი 1.5).

ცხრილი 1.5.

საერთაშორისო ტურისტების მიერ ყველაზე მეტად მონახულებადი ქალაქები

ქალაქი	ქვეყანა	საერთაშორისო ტურისტები (მილიონი)	წელი/შენიშვნები
პარიზი	საფრანგეთი	15.1	2010
ლონდონი	გაერთ.სამეფო	14.6	2010
ნიუ-იორკი	აშშ.	9.7	2010
ანტალია	თურქეთი	9.2	2010
სინგაპური	სინგაპური	9.2	2010
კუალა-ლუმპური	მალაიზია	8.9	2010
ჰონკონგი	ჰონკონგი	8.4	2010
დუბაი	არაბთა გაერთიანებული საამიროები	8.3	2010
ბანკოგი	ტაილანდი	7.2	2010
სტამბოლი	თურქეთი	6.9	2010

წყარო: **http://travel.usnews.com/features/Worlds_Most_Visited_Cities/**

აღსანიშნავია, რომ 2003 წელს იუნესკომ მიიღო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია. არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად მიიჩნიეს ზეპირი გადმოცემები, ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, რიტუალები, ფესტივალები და ხალხური რეწვა.

2000 წლიდან ასევე ამ დოკუმენტთა ჩამონათვალს ემატება შემდეგი სია:

- ბიომრავალფეროვნების კონვენცია (2000)
- ლანდშაფტის შესახებ ევროპული კონვენცია (2000)
- წყლისქვეშა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (2001)
- ხელთუქმნელი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (2003)
- ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოსქარტია (ICOMOSCharter) კულტურული მემკვიდრეობის ადგილების ინტერპრეტირება—პრეზენტაციის შესახებ (2007).
- ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს ქარტია კულტურული ტურების შესახებ (2008).

იუნესკოს მიერ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სისტემაში შეიძლება გამოიყოს ორი მიმართულება, რომლებიც ასევე დაკავშირებულია ტურისტულ მოღვაწეობასთან.

- **საქმიანობა ტურიზმის მდგრადი განვითარების პროგრამის ჩარჩოებში**
- **მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტისა და რეგიონების წარმომადგენელთა მიმდინარე მუშაობა.**

ტურიზმი წარმოადგენს ასევე მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის და ორი საკონსულტაციო ორგანოს მზრუნველობის საგანს, კერძოდ:

1. **ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (International Union for Conservation of Nature; IUCN) — არაკომერციული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანიცაა ბუნების კონსერვაცია/დაცვა) და**
2. **ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო ICOMOS.**

აღსანიშნავია, ასევე მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ განხორციელებული აქტივობები. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) – გაეროს სპეციალიზებული ორგანოა, იგი კონცენტრირებულია საერთაშორისო ტურიზმის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და შედარებაზე. ამ ორგანიზაციის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწოდებული

მონაცემები საშუალებას იძლევა გაკეთდეს მსოფლიო მასშტაბით ტურიზმის ზრდისა და შემცირების შედარებითი ანალიზი. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ხელს უწყობს გონივრული, სიცოცხლისუნარიანი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ტურიზმის განვითარებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განვითარებად ქვეყნებს. იგი წევრ ქვეყნებს არწმუნებს იმაში, რომ ტურისტული დესტინაციები და ბიზნესი იწვევს ტურიზმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შედეგების დადებითი მხარეების მაქსიმალიზაციას და იმავდროულად ამცირებს მის უარყოფით სოციალურ და გარემო ზეგავლენას. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის საწყისი ფესვები უნდა ვეძებოთ 1925 წელს, როდესაც ქ. ჰააგაში შეიქმნა "ოფიციალური ტურისტული მოძრაობის ასოციაციების საერთაშორისო კონგრესი"(ICOTT). მეორე მსოფლიო ომისა და საერთაშორისო მოძრაობების გაზრდის შემდეგ მოხდა ICOTT-ის გარდაქმნა ოფიციალურ მოგზაურობათა ორგანიზაციების საერთაშორისო გაერთიანებად (IUOTO).ეს იყო ტექნიკური, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდა ნაციონალური ტურისტული კომპანიები და მომხმარებელთა ჯგუფი. მისი მიზანი იყო არა მხოლოდ ტურიზმის დაწინაურება, არამედ, ის, მიზნად ისახავდა გამოეყენებინა ტურიზმის უპირატესობები საერთაშორისო ვაჭრობაში და ეჩვენებინა მისი დადებითი მხარეების ეფექტი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში. 1970 წელს IUOTO-ს გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის შექმნას (მტო). ბრძანების რატიფიცირება მოხდა 51 სახელმწიფოს მიერ, მხოლოდ ამის შემდეგ, 1974 წლის 1 ნოემბერს, დაიწყო მტო-მ ფუნქციონირება. დღესდღეობით მტო-ს წევრია 154 სახელმწიფო, 7 ასოცირებული წევრი (პუერტო რიკო, არუბა, ჰონგ კონგი, მაკაუ, მადეირა, ნიდერლანდები,ფლამანდია)[103].

„დღის წესრიგი 21” მოგზაურობისა და ტურიზმისათვის წარმოადგენდა საზოგადოებრივი/კერძო სექტორის მცდელობას, რაშიც მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოსთან ერთად ჩართული იყო მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია და დედამიწის (earth) საბჭო. ისინი ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ მოგზაურობა და ტურიზმი გლობალურად გაიზრდებოდა და განვითარდებოდა.ტურიზმი პოპულარული, გლობალური საქმიანობა გახდა. როგორც ზემოთ აღინიშნა 2010 წელს, მსოფლიო მასშტაბით 940 მილიონი საერთაშორისო ტურისტული ჩასვლა განხორციელდა, რაც 6.7%-იანი ზრდა იყო

2009 წელთან შედარებით. 2010 წელს, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 919 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (693 მლრდ ევრო), რაც წინა წელთან შედარებით 4.7%-იანი ზრდა იყო. თუმცა 2000-იანი წლების ბოლოს დატრიალებულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ტურიზმზე საგრძნობლად უარყოფითად იმოქმედა, დაღმასვლა დაიწყო 2008 წლის ივნისში და ამავე წელს საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების რიცხვმა 2%-ით იკლო. ეს ნეგატიური ტენდენცია კიდევ უფრო ინტენსიური გახდა 2009 წელს, რადგან ბევრ ქვეყანაში იფეთქა H1N1 ვირუსმა, რასაც საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების 4%-იანი კლება მოჰყვა და მან 880 მილიონი შეადგინა, მიღბული შემოსავლები კი 6%-ით შემცირდა. ამასთანავე, მსოფლიო ტრაგიკულმა მოვლენებმა: 11 სექტემბრის ტერაქტი, ომი ერაყში, ტერორიზმი და ა.შ. ძალზედ იმოქმედა მსოფლიოზე, ამას თავისთავად დამანგრეველი ეფექტი ჰქონდა მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიისთვის. თუმცაღა „მსოფლიო მოგზაურობის და ტურიზმის საბჭოს" უნდა გადაედგა პოზიტიური ნაბიჯი, რათა მოეპოვებინა საზოგადოების ნდობა ტურიზმის ინდუსტრიაში და გაემხნევებინა მსოფლიო ხალხები კვლავ ემოგზაურათ. მის მიერ განხორციელებული აქტივობა უნდა ყოფილიყო უსაფრთხო და მიმზიდველი. საბჭომ შემოიკრიბა ყველა მეგობარი პარტნიორი ორგანიზაცია რათა ჩამოეყალიბებინათ კოალიცია, რომელიც მოუწოდებდა სამთავრობო სტრუქტურებს ეთანამშრომლათ მათთან და მიეცათ გარანტია, რომ უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები იქნებოდა ეფექტური, საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული და გლობალური. მთავარი მიზანი კოალიციისა კი მაინც მომხმარებლის რწმენის გაღვივება იყო. „მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭომ" სარეკლამაო კამპანია წამოიწყო, მოწოდებით: „გადით გარეთ და შეხვდით მეზობლებს" (Go out and meet your neighbours) , რაც გლობალურ ბეჭდურ მედიაში განთავსდა, მათ შორის „ტაიმსა და ნიუზვიკში"[121].

2003 წელს ჩატარდა მოგზაურობის და ტურიზმის სამიტი, თემატიკით „ავაშენოთ ახალი ტურიზმი". სამიტის მიზნები ეთანხმებოდა მსოფლიო მოგზაურობის და ტურიზმის საბჭოს მომავალ მიზნებს. იგი წარმოადგენდა ახალ სტრატეგიულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებდა მოგზაურობისა და ტურიზმის წარმატებას მომავალში. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭო ხელს შეუწყობდა კერძო და საზოგადო სექტორის წევრთა პარტნიორობას, გაითვალისწინებდა ქვეყნების ლოკალური და რეგიონალური

ეკონომიკის ინტერესებს და საჭიროებებს. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს მისიაა აამაღლოს ცნობიერება მოგზაურობისა და ტურიზმის შესახებ, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გლობალური ინდუსტრიისა, სადაც დასაქმებული დაახლოებით 235 მილიონი ადამიანია და მსოფლიოს მთლიანი შიდა მოგება 9.2% პროცენტია. გაზარდოს სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები, რომლის მეშვეობითაც ტურიზმის ინდუსტრია გახდება ეკონომიკური მნიშვნელობის და სამუშაო ადგილების მხრივ პრიორიტეტული. დაეხმაროს ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებსა და წევრებს გააცნობიერონ, გაითვალისწინონ, ინტეპრირება გაუკეთონ და საჯაროდ განიხილონ ისეთი გლობალური საკითხი, როგორიცაა რეგიონის ტურისტული განვითარება. მოაწყოს ბიზნეს ლიდერთა ფორუმი, სადაც მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენელთა და წევრთა მისწრაფებები და სურვილები იქნება გაჟღერებული. რიგით მეცხრე გლობალური მოგზაურობის და ტურიზმის სამიტი გაიმართაა 14-16 მაისს 2009 წელს, ფლორიანოპოლისში ბრაზილიაში, რიგით მეათე სამიტი გაიმართა ბეიჯინგში, ჩინეთი. 2011 წელს გლობალური მოგზაურობის და ტურიზმის სამიტი ჩატარდა ლას ვეგასში, რომელსაც მასპინძლობდა ლას ვეგასის კონვენციისა და ვიზიტორთა წარმომადგენლობა (პრეზიდენტი როსი რალენკოტერი).

მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს მიერ შემუშავებული ახალი ტურიზმის დეტალური გეგმა (Blueprint for new tourism) ის სტრატეგიული გეგმაა, რომელიც მოგზაურობის და ტურიზმის ინდუსტრიის წარმატების გარანტიას პროგნოზირებს მომავალში. იგი განიხილავს მოგზაურობასა და ტურიზმს, როგორც პარტნიორობას, რომელიც ითავსებს რა საზოგადო და კერძო სექტორის ფუნქციებს სახეზე ჰქონდეს ის შედეგები, რაც შეესატყვისება ლოკალური და რეგიონალური სტრუქტურების და ადგილობრივი თემისა და ეკონომიკის საჭიროებებს, ამისათვის იგი ეფუძნება შემდეგ მოსაზრებებს:

- **მთავრობის ძირითადი პრიორიტეტია მოგზაურობა და ტურიზმი** დღესდღეობით ტურიზმი ფოკუსირებულია იმ სარგებელზე (მოგებაზე), რომელიც არა მხოლოდ იმ სოციუმზეა გათვლილი ვინც მოგზაურობს, არამედ იმავდროულად იმ რეგიონზე/თემზე რომლის სანახვადაც მიდის ვიზიტორი---ანუ ქვეყნის/რეგიონის ტრადიციებისა და კულტურის გასაცნობად. სახელმწიფოები ტურიზმის ინდუსტრიას აღიარებენ, როგორც

ძირითად პრიორიტეტს. ყველაზე ეფექტური პოლიტიკა გულისხმობს ფოკუსირებას მთავრობის იმ ძირითად ამოცანებზე, როგორიცაა ინფრასტურქტრის განვითარება, კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

- **ბიზნესის მიერ დაბალანსებული ეკონომიკა** (საზოგადოება, კულტურა და გარმეო)- მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიამ უნდა დაიცვას ბალანსი ბიზნეს იმპერატივებსა და ადგილობრივ მოსახლეობის ცხოვრების მოთხოვნილებებს შორის. კერძო სექტორის წინსვლა მდგრადი განვითარების გარანტიაა და დიდ როლს თამაშობს საზოგადოების კულტურის ჩამოყალიბებაში. კერძო სექტორმა უნდა გაატაროს ის პოლიტიკა, რაც შესაფერისი იქნება დაინტერესებული პირებისათვის. მან უნდა გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რითაც მიიღებს სარგებელს, დაწყებული ეკონომიკის განვითარებით დამთავრებული გარემოს კონსერვაციით.

- **საერთო გრძელვადიანი წინადადებები და პერსპექტივები**---მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭო მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში, თუმცა კერძო სექტორს არ შეუძლია დამოუკიდებლად იტვირთოს ეს როლი. ახალი ტურიზმის ერთიანი სტრატეგია საჭიროებს ახალი მექანიზმების გამოყენებას. ორივე მხარე (სახელმწიფო და კერძო სექტორი) უნდა მოემზადოს გრძელვადიანი სტრატეგიისა და ერთობლივი ღონისძიებების დასანერგად. სახელმწიფო აღიარებს ტურიზმის ინდუსტრიას, როგორც მთავარ პრიორიტეტს. სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობები გააფართოვოს ინდუსტრიის პოტენციურობა, შექმნას სამუშაო ადგილები.

ბოლოდროინდელმა ტრაგედიებმა და მსოფლიო კრიზისმა ნათლად დაანახა სახელმწიფო მოხელეებს, თუ რამდენად დიდია ტურიზმის ინდუსტრიის როლი ქვეყნის თუ რეგიონის ეკონომიკის აღმავლობაში. სათადარიგო სტრატეგიამ შეიძლება შექმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც თავიდან აიცილებს ან შეამცირებს ნეგატიურ გავლენას ინდუსტრიულ ეკონომიკაზე, შეამცირებს ნგრევისა და დაღმავლობის რისკს და გრძელვადიანი სარგებლის და აღმავლობის გეგმას შეიმუშავებს. სახელმწიფოებს შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ ინვესტიციების მოძიებაში, ინოვაციების დანერგვაში და ლოკალურ --

რეგიონალურ დონეზე იზრუნონ სოციალურ კეთილდღეობაზე. საზოგადოებამაც თავის მხრივ დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ტურისტული აქტივობების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში, გაუფრთხილდეს და სიამაყით წარუდგინოს ვიზიტორს ეროვნული კულტურული ღირებულებები, საჭიროა ლოკალურ დონეზე გამოყენებულ იქნას ყველა ის რესურსი, რაც უფრო მიმზიდველს გახდის ტურისტულ გარემოს და იმავდროულად გაზრდის კონკურენტუნარიანობას ტურისტულ კომპანიებს შორის. ,,Blueprint for new tourism"- სტრატეგიის ყველაზე საპასუხისმგებლო და ეფექტური ნაწილი სახელმწიფოს როლზეა დამოკიდებული[116].

ტურიზმში არსებითი საკითხების რეგულაციისთვის მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციების მიერ ეწყობა ერთობლივი ღონისძიებები, ფორუმი, სამიტი, კონფერენციები, მათ შორის აღსანიშნავია ტურიზმის საერთაშორისო დღე-- რომლის მიზანია, მსოფლიომ საზოგადოებას დაანახოს ტურიზმის მნიშვნელობა და მისი სოციალური, კულტურული, პოლიტიკული და ეკონომიკური ფასეულობები. ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზააციის გენერალურმა ანსამბლეამ თავის მესამე სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ტურიზმის საერთაშორისო დღედ გამოცხადებულიყო 27 სექტემბერი (1970წ). ამ დღესთან დაკავშირებით წლების განმავლობაში ეწყობოდა მასშტაბური ღონისძიებები, კონფერენციებზე წარმოდგენილი იყო შემდეგი საკითხები:

- 1980წ ტურიზმის წვლილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში,
- 1981წ ტურიზმი და ცხოვრების ხარისხი,
- 1982წ მოგზაურობის მნიშვნელობა: კარგი მასპინძლები და კარგი სტუმრები,
- 1983წ მოგზაურობა/დასვენება დადებითი მუხტია, მაგრამ იმავდროულად დიდი პასუხისმგებლობაა ყველასთვის,
- 1984წ ტურიზმი საერთაშორისო ურთიერთგაგების, მშვიდობისა და ერთიანობისათვის,
- 1985წ ახალგაზრდული ტურიზმი: კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა მშვიდობისა და მეგობრობისათვის,
- 1986წ ტურიზმი დიდი ძალა მსოფლიო მშვიდობისათვის,

- 1987წ ტურიზმი განვითარებისათვის,
- 1988წ ტურიზმი: განათლება ყველასათვის,
- 1989წ ტურისტების თავისუფალი გადაადგილება წარმოადგენს მსოფლიოს,
- 1990წ ტურიზმი გაუცნობიერებული ინდუსტრიაა, ჰააგის დეკლარაცია,
- 1991წ კომუნიკაცია, ინფორმაცია და განათლება: ტურიზმის განვითარების დიდი რესურსი,
- 1992წ ტურიზმი: სოციალური და ეკონომიკური სოლიდარობის ფაქტორი,
- 1993წ ტურიზმის განვითარებისა და გარემოს დაცვა ხანგრძლივი ჰარმონიისათვის,
- 1994წ კვალიფიციური პერსონალი და ტურიზმი,
- 1995წ WTO, მსოფლიო ტურიზმის მომსახურების 20 წელი,
- 1996წ ტურიზმი, შემწყნარებლობის და სიმშვიდის ფაქტორი,
- 1997წ ტურიზმი, 21–ე საუკუნის მთავარი საქმიანობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საქმეში და გარემოს დაცვის საკითხში,
- 1998წ საზოგადოების კერძო სექტორთან თანამშრომლობა. მთავარი გასაღები ტურიზმის განვითარებისთვის და ხეშეწყობისათვის,
- 1999წ ტურიზმი, მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვა (მასპინძელი ქვეყანა ჩილე), 2000წ ტექნოლოგია და ტურიზმი, ორი გამოწვევა ტურიზმისთვის 21–ე საუკუნის გარიჟრაჟზე (მასპინძელი ქვეყანა გერმანია),
- 2001წ ტურიზმი, დაკარგული მშვიდობა და ცივილიზაციათაშორისი დიალოგი (მასპინძელი ქვეყანა ირანი),
- 2002წ ეკოტურიზმი, მდგრადი განვითარების გასაღები,
- 2003წ ტურიზმი, წამყვანი ძალა სიღარიბის აღმოფხვრის საკითხში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და სოციალური ჰარმონიის საქმეში,
- 2004წ სპორტი და ტურიზმი, ორი სასიცოცხლო ძალა ურთიერთგაგებისათვის, კულტურისა და მსოფლიო ხალხთა განვითარებისათვის (მასპინძელი ქვეყანა მალაიზია),
- 2005წ მოგზაურობა და ტრანსპორტი ჟიულ ვერნის წარმოდგენაში და იმ დროინდელი რეალობა 21–ე საუკუნეში (მასპინძელი ქვეყანა კატარი),
- 2006წ ტურიზმის ფასეულობები (მასპინძელი ქვეყანა პორტუგალია),
- 2007წ ტურიზმი ღია კარი ქალებისათვის (მასპინძელი ქვეყანა შრი ლანკა),

- 2008წ ტურიზმი პასუხობს კლიმატური ცვლილებების გამოწვევას და გლობალურ დათბობას (მასპინძელი ქვეყანა ინდოეთი),
- 2009წ ტურიზმი, მრავალფეროვნების ზეიმი (მასპინძელი ქვეყანა: აფრიკა),
- 2010წ ტურიზმი და ბიომრავალფეროვნება (მასპინძელი ქვეყანა ჩინეთი).

მეოცე საუკუნეში საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევდა, რომ კულტურა აღარ იყო ტურიზმის ამოცანა, არამედ პირიქით თავად ტურიზმი იყო კულტურა.კულტურული ატრაქციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტურიზმში ყველა დონეზე, დაწყებული მსოფლიო კულტურის ყველზე საინტერსო გლობალური ფაქტიდან დამთავრებული იმ ატრაქციამდე, რომელებიც თავის თავში მოიცავენ ლოკალურ იდენტობებს [124].

ვეილერისა და ჰოლის მიხედვით მემკვიდრეობასა და ხელოვნებას თავისი წვლილი შეჰქონდა ტურისტული დესტინიციის აპელირებაში, თუმცა, ბოლო წლებში კულტურა გაანალიზებულ იქნა, როგორც მნიშვნელოვანი მარკეტინგული საშუალება, რათა მიეზიდა ის მოგზაურები, რომელთაც განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდათ კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების მიმართ. **ჰოლინშიდის** მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი არის ტურიზმის ინდუსტრიის ყველაზე მზარდი სეგმენტი, იზრდება იმ ტურისტთა რაოდენობა ვინც ეძებს თავგადასავალს, ინტერესდება ქვეყნის კულტურით, ისტორიით, არქეოლოგიით და ინტერკულტურული ურთიერთობებით. კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორების გამო:

- აქვს დადებითი ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენა
- ავითარებს და აძლიერებს იდენტობებს
- იცავს კულტურულ მემკვიდრეობას
- .კულტურის, როგორც ერთგვარი ინსტრუმენტის მეშვეობით ხელს უწყობს საზოგადოებებს შორის ჰარმონიისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.
- ეხმარება კულტურას და მხარს უჭერს ტურიზმის განახლებას.

კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი არ არის მხოლოდ იდენტიფიცირება, მენეჯმენტი და მემკვიდრეობის ღირებულებებისა და ფსაეულობების დაცვა-შენარჩუნება, არამედ უფრო მეტიც კულტურული

მემკვიდრეობის ტურიზმი გულისხმობს იმ გავლენას, რაც საერთოდ ტურიზმს აქვს თემზე/რეგიონზე თუ ქვეყანაზე, ტურიზმის მეშვეობით ადგილობრივი თემი აღწევს ეკონომიკურ და სოციალურ აღმავლობას, ავითარებს სწორ მარკეტინგულ ხედვასა და პრომოუშენს. ტურიზმის დაკავშირებას მემკვიდრეობასა და კულტურასთან უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის და ადგილობრივი თემისათვის ვიდრე თითოეული მათგანის ცალკეულად პრომოუშენს. კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის მთავარი იდეა შემდეგია: „გადაარჩინე და დაიცავი შენი ქვეყნის მემკვიდრეობა და კულტურა, გაუზიარე ის ვიზიტორებს, და მიიღე ეკონომიკური სარგებელი ტურიზმისგან"[68].

1.3 ტურიზმის განვითარების ეტაპები და საქართველოს ადგილი მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში

უდავოა, რომ საქართველო თავისი განუმეორებელი ლანდშაფტით, გეოგრაფიული მდებარეობით, ზღვისა და მთის შერწყმული უიშვიათესი ჰავით, ისტორიულ-არქიტექტურული და ბუნებრივი ძეგლებით, სტუმართმოყვარეობითა და ტრადიციებით განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო ყველა ეპოქაში ყველა სახელმწიფოსათვის და ოდითგანვე იზიდავდა უცხოელ მოგზაურებს.

საქართველოზე გადიოდა აბრეშუმის საქარავნო–სავაჭრო გზა, რომლის სიგრძე 7 000კმ იყო და რომელიც 16 საუკუნის განმავლობაში კვეთდა აზიასა და ევროპას სავაჭრო (ტურისტული) მიზნების გამო. იგი იწყებოდა ჩინეთიდან და გრძელდებოდა ხმელთაშუაზღვამდე.

რუკა 1.1



წყარო: **http://www.geographic.ge/article.php?lang=ge&cat=3&id=68**

აღსანიშნავია, ასევე, საქართველოს სამხედრო გზა, ***ვლადიკავკაზი – თბილისი.*** უცხოელ მოგზაურთა საქართველოში შემოსვლის ძირითადი საშუალება შავი ზღვის სანაოსნო (ფოთის ნავსადგური) იყო, სახმელეთო მოგზაურთათვის კი ვლადიკავკაზი (1799წ). იგი მეფის რუსეთის პირველი ტურისტული ტრასა იყო. შემდგომი ეტაპი უკავშირდება კასპიისპირა და შავიზღვისპირა რკინიგზის მაგისტრალის გაყვანას. საკურორტო მეურნეობა საქართველოში ფაქტობრივად XIX საუკუნის პირველი ნახევირდან იწყება, თუმცა ქართველი ხალხი ძველთაგანვე იყენებდა მინერალურ წყლებს სხვადასხვა დაავდებების სამკურნალოდ და მთის ჰავას ადამიანთა გაჯანსაღების მიზნით. შემთხვევითი არ იყო, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან უნიკალური სამკურნალო თვისებების მქონე კურორტი ბორჯომი რუსეთის მეფის საგვარეულოს ხელში გადავიდა.ამავე პერიოდში დაარსდა კურორტი აბასთუმანი, საზაფხულო აგარაკები გაშენდა კოჯორში. XIX საუკუნის ბოლოდან იწყება შავიზღვისპირა საკურორტო რესურსების ათვისება.მაღალი სამკურნალო ეფექტურობის მქონე საზღვაო კლიმატურ კურორტად იქნა აღიარებული სოხუმი, აშენდა გაგრის საკურორტო კომპლექსი, მეფის რუსეთში უდიდესი სანატორიუმი გულრიფში, პანსიონატები და აგარაკები აჭარაში ზღვის სანაპიროზე (ქობულეთი, მახინჯაური, ციხისძირი). მიუხედავად ამისა, ამ პერიოდისათვის საქართველოში საკურორტო-რეკრეაციული რესურსების ათვისების დონე უმნიშვნელოა და რაც

მთავარია დამსვენებელთა სოციალური ბაზა მეტად შეზღუდული. რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში საკურორტო-რეკრეაციული რესურსების ათვისება და ტურისტული საქმიანობის ერთგვარი აღორძინება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

XX საუკუნის ოციანი წლებიდან განხორციელდა არსებული პანსიონატებისა და აგარაკების ნაციონალიზაცია და იწყება მასობრივი ტურიზმის განვითარება.იგი წარმოადგენდა არასაწარმოო სფეროს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა რესპუბლიკის ტურისტულ საქმიანობას. ამ დარგზე მოდიოდა სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების 4% და დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 1,5%. მთელ საბჭოთა კავშირში ეს დარგი განვითარების დონით, მესამე ადგილზე იყო. რა თქმა უნდა საქრთველოში იმ დროისათვის საკურორტო მეურნეობის და ტურიზმის განვითარების მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი იყო მრვალფეროვანი სამკურნალო-საკურორტო დ რეკრეაციული რესურსების კონცენტრაციის მაღალი ხარისხი და იმავდროულად საბჭოთა პარტიული და სამთავრობო ხელისუფლების სწრაფვა შეექმნათ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში (კერძოდ საქართველოში) პარტიული სამთავრობო ელიტისათვის სამკურნალო და დასვენების იაფფასიანი (ძირითადად პროფკავშირების ხარჯზე) კერები, თუმცა მათთან ერთად გმონაკლის შემთხვევაში ამ ფუფუნებით სარგებლობდნენ „მოწინავე მუშები", „მოწინავე კოლმეურნეები" და სხვა.

საქრთველოში ტურიზმის განვითარების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1921 წლის შემოდგომაზე გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მასობრივი ორდღიანი წრიული ლაშქრობა მარშუტით: თბილისი-კოჯორი-კიკეთი-წყნეთი-თბილისი 145 კაცის მონაწილეობით. იმავე წელს 85 კაცი მონაწილეობით მოეწყო ერთდღიანი ლაშქრობა მარშუტით: თბილისი-კოჯრისციხე-კაბენის მონასტერი—თბილისი. გ. ნიკოლაძის ინიციატივით დამკვიდრდა ყოველ შაბათ-კვირას ერთ, ორ ან რამდენიმე დღიანი ლაშქრობა სხვადასხვა მიმართულებით, ასეთ შეკრება-გასვლებს „ გაფრენს" უწოდებდნენ. 1931 წელს შეიქმნა ამიერკვკასიის ფედერაციის პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება, მასვე ჰქონდა ბეჭდვითი ორგანო, ჟურნალი „ამიერკავკასიის ტურისტი", რომელიც ქ. თბილისში გამოდიოდა. 1940 წელს გმომცემლობამ „ფიზკულტურა და სპორტი" გამოსცა სახელმძღვანელო ტურიზმში ე.წ. „

ტურისტის თანამგზავრი” რუსულ ენაზე, სადაც ტურიზმის სახეების მიხედვით რეკომენდირებული მარშუტები. გამოიცა ტურისტული ბუკლეტი „მზიური საქართველო” ისტორიული ადგილებისა და ძეგლების აღწერითი დახასიათებით ტურისტთა ფართო მასებისათვის. XX საუკუნის 90იან წლებამდე საქართველოში მოქმედებდა 65 ტურისტული ობიექტი 20 ათასი საწოლის ტევადობით, რომლებიც განლაგებული იყო 21 ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე და 800 ათასზე მეტ ტურისტს ემსახურებოდა. საერთაშორისო ტურიზმის ხაზით კი „ინტურისტის” 21 დაწესებულება (სასტუმროები, კემპინგები, მოტელები) 300 ათას უცხოელ სტუმარს მასპინძლობდა. საქართველოზე გადიოდა 87 ტურისტული მარშუტი (მათ შორის საკავშირო მნიშვნელობის).

XX საუკუნის 80იან წლებში ყოველწლიურად საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა და სამკურნლოდ ჩამოსულ დამსვენებელთა რიცხვი შეადგენდა 4 მილიონ კაცს, მათგან კურორტებზე სამკურნალოდ ჩამოსულთა რაოდენობა 2 მილიონს აღწევდა. ადრე არსებული სისტემის პირობებში ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური კავშირი ემსახურებოდა შიდა ტურიზმს. ეს კავშირი დაფუძნებული იყო მოსკოვში. აქ მუშავდებოდა და მზადდებოდა სალაშქრო მარშუტი ტურისტებისათვის, რომელიც მოიცავდა მთელი სსრკ-ის გეოგრაფიულ სივრცეს და წარმომადგენლობები ჰქონდა სსრკ-ის ყველა ქალაქში სადაც იყიდებოდა საგზურები საბჭოთა ტურისტებზე. ტურიზმისა და ექსკურსიების კავშირის მომსახურება მოიცავდა საჰაერო ბილეთების უზრუნველყოფას საქრთველოსა და სსრკ-ს სხვა ქალაქებისათვის. ექსკურსიების განხორციელების პროგრამებს, ტრანსპორტით უზრუნველყოფას, პროდუქტით მომარაგების ორგნიზაციას, მუზეუმებისა და სხვა საინტერესო ადგილების დათვალიერებას.

საბჭოთა ტურისტები საქრთველოში ჩამოდიოდნენ არა მარტო კულტურული და ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად, არამედ, უფრო მეტად დასასვენებლად და სამკურნალოდ. საგზურები იყიდებოდა ცენტრალიზებულად მოსკოვში და ნაწილი ეგზავნებოდა თბილისს, ნაწილი კი ნაწილდებოდა საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში, დიდი მოთხოვნა იყო ცენტრალური აზიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების საგზურებზე, ამან განაპირობა ჯგუფური ტურიზმის ფორმა. საზღვარგარეთ საბჭოთა ტურისტების გაგზავნა ხდებოდა ტუროპერატორ ინტურისტის მიერ, თუმცა ტურისტული ჯგუფები კომპლექტდებოდა პროფკავშირების მეშვეობით, ხოლო

ინტურისტი ამ ჯგუფებს კვლიფიციური გიდ-თარჯიმნებით უზრუნველყოფდა. საერთაშორისო ტურისტების შემოყვანას აკონტროლებდა უცხოური ტურიზმის მომსახურების ადმინისტრაცია, რომელიც ექვემდებარებოდა სსრკ მინისტრთა საბჭოს. თბილისის ინტურისტი შეიქმნა 1950 წელს და 80იან წლებისათვის იღებდა წელიწადში დაახლოებით 100 000 უცხოელ ტურისტს. ტურისტული პროგრამები და მარშუტები უცხოელ ტურისტთა ჯგუფებისათვის მტკიცდებოდა მოსკოვში და ინტურისტის რესპუბლიკური წარმომადგენლები იღებდნენ ამ პროგრამებს შეცვლის ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე[43].

თავისუფალმა საქართველომ 90-იანი წლების დასაწყისში მემკვიდრეობით არცთუისე ცუდად განვითარებული საკურორტო მეურნეობა (ტურიზმი) და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა მიიღო, რაც ჩვეულებრივ ორდინალურ პირობებში საკმაო სასტარტო ბაზას წარმოდგენდა, თუმცა რეკრეციული ტურიზმი საქრთველოში ნაცვლად განვითარებისა უკიდურესად დაეცა. 90-იან წლებში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა --არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ (სამოქალაქო და აფხაზეთის ომებმა), ეკონომიკურმა დაღმასვლამ, სოციალურმა სიდუხჭირემ, ინფრასტრუქტურის მოშლამ, კვალიფიციური კადრების სიმცირემ, უცხო ქვეყნისკენ სწრაფვამ (მიგრაცია) --საერთაშორისო სარბიელზე შელახა ქვეყნის იმიჯი--ამ პირობებში ტურიზმი ვერ იარსებებდა, ტურისტული ინფრასტრუქტურა დევნილთა და მიუსაფართა თავშესაფრად გადაიქცა და ჩვენმა საზოგადოებამ მაქსიმუმი გააკეთა მათ გასანადგურებლად. თუმცა, 1995 წლიდან საქართველოს მტო-ში გაწევრიანებამ, 2004წლიდან კერძო საკუთრების ლეგალიზაციამ, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბებამ, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების სიმრავლემ, დახმარების პროგრამებმა, გრანტებმა, 90-იანი წლების „დაღმასვლიდან ”გამოსვლა განაპირობა, აღსანიშნავია სახელმწიფოს პოლიტიკის გატარება -- ტურიზმის დარგის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებად აღიარება. მაგრამ სამწუხაროდ საქართველო კვლავ მწარე რეალობის წინაშე აღმოჩნდა, 2008 წლის აგვისტოს ავბედითი 5 დღე. ომის შედეგად განადგურებული ინფრასტრუქტურა, არასტაბილური პოლიტიკური, ეკონომიკური და კრიმინოგენული ვითარება ქვეყანაში ტურისტული ნაკადების შემცირების პირდაპირპროპორციული აღმოჩნდა. თუმცა ქვეყანამ შეძლო თანდათან მოეძებნა

კრიზისისგან დაღწევის მცდელობის გზები და კვლავ დაიწყო აღმშენებლობითი პროცესები.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, რომლის ისტორია კაცობრიობის განვითარების ადრეული ხანიდან იწყება. აღსანიშნავია წინაქრისტიანული ხელოვნება. ხუროთმოძღვრული შემოქმედების ადრეული ნიმუშები. საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობათა ნაშთები საქართველოს სხვადასხვა მხარეშია გამოვლენილი, როგორიცაა: იმირის გორა ძვ.წ.VI ათასწლეული, შულავერის გორა, ძვ.წ. V-IV ათასწლეული, ქვაცხელების ნამოსახლარი, ძვ.წ. III ათასწლეული, მეგალითური ნაგებობები თრიალეთში, ძვ.წ. III ათასწლეული, დოლმენები აფხაზეთში, ძვ.წ. III-II ათასწლეული, ციკლოპური წყობის აბულის ციხე ჯავახეთში ძვ.წ. II-I ათასწლეული და მრავალი სხვა. ძველი დროის ქართული სახელმწიფოს (კოლხეთი-იბერია) ისტორიის შესწავლისათვის უმდიდრეს მასალას იძლევა კოლხური, მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურების, როგორც ხუროთმოძღვრული, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები—სამაროვნები, ყოფითი და საბრძოლო იარაღები, ნივთები, რომლებიც ადასტურებენ, როგორც ქართული კულტურის შემოქმედებით თვითმყოფადობას, ასევე ქვეყნის მჭიდრო კავშირს ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის შემოქმედებით აზროვნებაში წინაქრისტიანული ხანის კულტურამ ღრმა ფესვები გაიდგა და კულტურული ტრადიციის მძლავრი მუხტი შექმნა, რომელმაც შემდგომ საუკუნეებში ქართული ხელოვნების თავისებური და განუმეორებელი სახე წარმოქმნა. მთლიანობაში ქართული კულტურისათვის დამახასიათებელია გახსნილობა და აქტიური უერთიერთკავშირი სხვა ბერძნულ, ირანულ, ბიზანტიურ, არაბულ, რუსულ და დასავლურ კულტურებთან. ახალი ფორმებისა და იდეების თავისუფალი მიღება და საკუთარ კულტურულ ტრადიციებზე გააზრება განაპირობების მის მაღალ მხატვრულ დონეს და მსოფლიო მნიშვნელობას. ქართველთა ეროვნული თვითშეგნება ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან. ძველი კულტურა თანამედროვე აზროვნებისა და თვითშეგნების განუყოფელი ნაწილია და არ აღიქმება მხოლოდ, როგორც შორეული წარსულის მოგონება. შესაბამისად, ზრუნვა კულტურულ

მემკვიდრეობაზე ტრადიციულად ღრმად არის გამჯდარი საზოგადოების ცნობიერებაში[84].

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 2008 წელს დაფუძნდა ახორციელებს:

- მუზეუმ-ნაკრძალების, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლებისა და ობიექტების დაცვას, მოვლა-პატრონობასა და პოპულარიზციას;
- სამეცნიერო კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის მართვის ხელშეწყობას;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას;
- საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ექსპონატების შესწავლას, მათი ისტორიული, მეცნიერეული და მხატვრული ღირებულებების განსაზღვრას, კვლევასა და პოპულარიზაციას;
- კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სამეცნიერო ნაშრომების მომზადებას და პუბლიკაციას;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების ფიქსაციასა და ინვენტარიზაციას;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და ობიექტებზე ჩასატარებელი კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიური ექსპერტიზას;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის და შემეცნების მიზნით, კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურისტული პროგრამების მომზადებას[135].

2012 წელს ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა კულტურულ მემკვიდრეობის სფეროში იმერეთის რეგიონში ბაგრატის ტაძრის სრული რეაბილიტაციაა. ერთიანი საქართველოს სიმბოლოს - აღდგენილი ბაგრატის ტაძრის გახსნის ღონისძიება 2012 წლის შემოდგომაზე გაიმართება. 2005-2007 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოხდა ბაგრატის ტაძრის კვლევითი-არქეოლოგიური სამუშაოები. ამავე პერიოდში, სახელმწიფოს დაფინანსებით განხორციელდა ტაძრის გეოლოგიური და კონსტრუქციული მდგრადობის კვლევა. 2008 წელს მომზადდა ძეგლის კონსტრუქციული გამაგრების სრული პროექტი. 2011 წლის 19-29 ივნისს, პარიზში გამართულ იუნესკოს რიგით 35-ე სხდომაზე ბაგრატის ტაძრისა და გელათის სარეაბილიტაციო პროგრამის მსვლელობა დადებითად შეაფასეს. იუნესკოს კომიტეტის 34 სესიის გადაწყვეტილების შესაბამისად ამ ეტაპზე იკრომის, იკომოსისა და იუნესკოს ექსპერტების აქტიური მონაწილეობით და კონსულტაციით მიმდინარეობს ბაგრატის ტაძრის სრული რეაბილიტაცია. შემუშავებული კონცეფციის მიზანი იყო პირველ რიგში, დაცული ყოფილიყოძეგლის ინტერესები, დაკმაყოფილებულიყო საზოგადოების მთავარი მოთხოვნა ძეგლის აღდგენასთან დაკავშირებით, შემუშავებულიყო ძეგლის ინფრასტრუქტურული კონცეფცია თანამედროვე სტანდარტებით, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფდა ბაგრატის ტაძრის ამოღებას საფრთხის ქვეშ არსებული ძეგლების ნუსხიდან[117].

ტურიზმის განვითარებისთვის მიმდინარეობს ქვეყანაში არსებული პოტენციალის და რესურსების შესწავლა რეგიონების მიხედვით; ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა უზრუნველყო საქართველოში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა. აღწერილ იქნა 9 რეგიონი, 58 მუნიციპალიტეტი, სულ 2277 ობიექტი.2012 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარაიზაცია იქნება. ამ მიმართულებით, წლის პირველი პროექტი უკვე განხორციელდა და 100-მდე ქართული ძეგლი მათივე ზუსტი კოორდინატებით Google Map -შია ინტეგრირებული. თითოეულ ობიექტს თან ერთვის სრულყოფილი, სასარგებლო ინფორმაცია, გეოგრაფიული კოორდინატები და ა.შ. რუკის ინსტრუმენტებით შესაძლებელია სივრცითი ანალიზი, ობიექტებს შორის მანძილის განსაზღვრა, კონკრეტული ადგილის

მოახლოება ან დაშორება (ზუმირება). საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შემავალი დანარჩენი ძეგლები Google Map -ზე ეტაპობრივად განთავსდება. Google Map -ზე ძეგლების განთავსება საქართველოს უძველესი არქიტექტურისა და მისი მხატვრული ღირებულების წარმოჩენას კიდევ მეტად შეუწყობს ხელს[78].

საქართველოს კულტრული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის ცენტრმა სამეცნიერო- შემეცნებითი ელექტრონული ჟურნალი "ონლაინ არქეოლოგია" მოამზადა. ორენოვანი ჟურნალი (ქართულ-ინგლისური) ონლაინ არქეოლოგია, განკუთვნილია, როგორც პროფესიონალი არქეოლოგებისთვის, ისე მოყვარულთათვის. ჟურნალი უზრუნველყოფს ინოვაციური, თეორიულ-აღწერილობითი ხასიათის გამოკვლევების გამოქვეყნებას. მისი უმთავრესი მიზანია ქართული არქეოლოგიის პოპულარიზაცია მთელ მსოფლიოში, არქეოლოგიური ტურიზმის განვითარება საქართველოში, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, საერთო დასავლურ სივრცეში ქართული არქეოლოგიის ინტეგრაცია.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამის პრიორიტეტებია:

1. საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რეაბილიტაციისთვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება
2. საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაცია
3. მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია
4. არქეოლოგია
5. კედლის მხატვრობა
6. კულტურულიმემკვიდრეობისმონაცემთაერთიანისაინფორმაციობაზისშე ვსება

7. კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია

2009 წლის 8 ივლისს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს შორის დაიდო შეთანხმება 2009-2010 წლებში კულტურული მემკვიდერობის დარგში თანამშრომლობის შესახებ შემდეგი მიმართულებით:

- კულტურული მემკვიდერობის გეოინფორმაციული სისტემის (GIS)განვითარება საქართველოში;
- ქალაქ თბილისის კულტურული მემკვიდრეობის მართვის სისტემის გაძლიერება;
- არქეოლოგიური საიტებისა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საიტების მართვა;
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: "სოციო-ეკონომიკური განვითარებაზე დაფუძნებული კულტურული მემკვიდრეობა", რომელიც ჩატარდა თბილისში 2010 წელს;
- ევროპული მემკვიდრეობის ქსელისთვის (HEREIN) საქართველოს მხარის ანგარიშის მომზადებაში დახმარება.

აღსანიშნავია ასევე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობა ევროპის საბჭოსთან. სააგენტომ კონფლიქტის რეგიონში (შიდა ქართლი) განახორციელა პროექტი: "კონფლიქტის შემდეგ გადაუდებელი ქმედება კულტურული გარემოსა და საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური რევიტალიზაციისათვის გორის მუნიციპალიტეტში (ევროპის საბჭო)".პროექტი სამი კომპონენტისაგან შედგებოდა:

- კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სოფლების აღდგენისა და რეაბილიტაციის პროცესის სამოქმედო პრინციპები.
- რეაბილიტაციის გეგმა ნიქოზის მონასტრისა და სოფ. ზემონიქოზისათვის.
- ორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი და რეგიონალური მდგრადი განვითარების პროგრამა.

ასევე, ევროპის საბჭოს ინიციატივითა და მხარდაჭერით 2010 წლიდან ხორციელდება პილოტური პროექტი ისტორიულ ქალაქებში კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციისათვის. პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. პროექტის მიზანია ურბანული მემკვიდრეობის სფეროში სამართლებრივი ჩარჩოსა და მართვის გაუმჯობესება, საქართველოს ურბანული მემკვიდრეობის მდიდარი და მრავალფეროვანი რესურსების წარმოჩენა რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და მცირე და საშუალო ზომის ქალაქების დახმარება გამოიყენონ მემკვიდრეობა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი. 2010 წელს პროექტის ფარგლებში მომზადდა მემკვიდრეობის შეფასების დოკუმენტი და პროექტის მიზნების შესაბამისად შეირჩა ე.წ. პრიორიტეტული ინტერვენციის მცირე და საშუალო ზომის ქალაქები: აბასთუმანი, ახალციხე, ბორჯომი, დუშეთი, გორი, მესტია, თელავი, ფოთი, წყალტუბო, ჭიათურა. 2012-2013 წლებში გამოვლინდება კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის შესაძლო ქმედებები, შეფასდება მათი მოსალოდნელი გავლენა ადგილობრივ სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და შემუშავდება სტრატეგიული ინტერვენციის გეგმები, რაც ერთი მხრივ ხელს შეუწყობს ეროვნული და საერთაშორისო ფონდების მობილიზებას, კერძო ინვესტიციების მოზიდვას და მეორე მხრივ განაპირობებს კიდევ უფრო მეტი უცხოელი ტურისტის დაინტერესებას დაადგილობრივი ვიზიტორის მოტივაციის ამაღლებას[135].

საქართველოში ტურიზმი ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. ყოველწლიურად შეინიშნება ტურისტების ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა (საშუალოდ 3-4%, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმის მიმართულებით). ჩატარებული კვლევების მიხედვით, ტურისტების 52%-ს შეადგენს საქმიანი ვიზიტით ჩამოსული ადამიანები, ხოლო 39%-ს - დამსვენებლები. დასვენება/რეკრეაციის მიზნით ჩამოსულ ტურისტებს ყველაზე მეტად იზიდავს კულტურული ტურიზმი, ხიბლავს ქართული სტუმართმოყვარეობა, ადგილობრივი ბუნება, ისტორია, არქიტექტურა, ფოლკლორი და ხელოვნების სხვა დარგები. საქართველოში 2008 წელს ჩამოსული უცხოელების რაოდენობამ 1 291 ათასი კაცი შეადგინა, 2009 წელს 1 500 ათასი, 2010 წელს - 2033 ათასი კაცი (ანუ ზრდა წინა წელთან

შედარებით 36% შეადგინა), დღევანდელი მდგომარეობით კი საქართველოში ჩამოსული უცხოეთის მოქალაქეების რაოდენობა ასე გამოიყურება, იხილეთ ცხრილი 1.6

ცხრილი 1.6

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩამოსული უცხოეთის მოქალაქეები

ქვეყანა	2011 იანვარი	2012 იანვარი
სულ	160.905	227.006
ევროპა	156.384	219.790
ევროპა დ.ს.თ-ს გარეშე	59.009	101.347
ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპა	99.196	120.415
ჩრდილოეთ ევროპა	1.022	1.141
სამხრეთ ევროპა	1.380	1.615
დასავლეთ ევროპა	1.617	2.330
აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა ევროპა	53.169	94.289
ამერიკა	1.563	2.161
კარიბის ქვეყნები	2	37
ცენტრალური ამერიკა	5	9
ჩრდილოეთ ამერიკა	1.588	2.004
სამხრეთ ამერიკა	58	111
აღმოსავლეთ აზია და ოკეანეთი	932	1.285
ახლო აღმოსავლეთი	173	387
სამხრეთ აზია	1.451	2.722
აფრიკა	119	584
აღმოსავლეთ აფრიკა	8	285
ცენტრალური აფრიკა	8	9
ჩრდილოეთ აფრიკა	24	15
სამხრეთ აფრიკა	39	64
დასაველთ აფრიკა	40	211
აღმოსავლეთ აფრიკა	8	285
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა		
ქვეყანა	2011 იანავრი	2012 იანვარი
აზერბაიჯანი	44.315	58.698
ბელორუსია	2442	339

თურქმენეთი	24	208
მოლდოვა	135	204
რუსეთი	13.237	17.227
სომხეთი	34.623	36.856
ტაჯიკეთი	16	37
უზბეკეთი	300	377
უკრაინა	3.504	3.423
ყაზახეთი	774	879
ყირგიზეთი	205	195

წყარო: http://www.gnta.ge/

2013 წელს საქრთველოში ვვარაუდობენ 3 მილიონი უცხოელი მოქალაქის ვიზიტს. 2015 წლისთვის 5 მილიონის ვიზიტს. ცხრილებში 1.7/1.8 და დიაგრამებში 1.1/1.2 გთავაზობთ 2011 წლის მონაცემების მიხედვით უცხოელებისა და ქართველი ტურისტების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებულ ადგილებს. (იხ. ცხრილი 1.7/1.8, დიაგრამა 1.1/1.2)

დიაგრამა 1.1.

უცხოელების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული ადგილები (2011წ მონაცემები)



წყარო: ***http://www.gnta.ge/***

ცხრილი 1.7

უცხოელების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული ადგილები

დესტინაციები	ვიზიტორების რაოდენობა	გატარებული ღამეების საშუალო რაოდენობა
თბილისი	666 151	3

ბათუმი	654 258	3
ქობულეთი	134 499	3
ქუთაისი	81 049	3
მცხეთა	81 219	1
ყაზბეგი	61 768	2
გორი	50 870	3
ბორჯომი	39 338	2
მესტია/უშგული	38 099	3
სიღნაღი	38 288	2
ურეკი	65 685	5
ლაგოდეხი	39 620	2
თელავი	20 949	1
ზუგდიდი	24 243	1
ბაკურიანი	14 252	3
გუდაური	10 199	5
ანაკლია	6 486	3

წყარო: ***http://www.gnta.ge/***

დიაგრამა 1.2

ქართველების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული ადგილები

(2011წ მონაცემები)



წყარო: http://www.gnta.ge/

ცხრილი 1.8

ქართველების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული ადგილები (2011წ მონაცემები)

	დღეების საშუალო რაოდენობა	ღამეების საშუალო რაოდენობა
თბილისი	3	2
ბათუმი	7	6
ქუთაისი	5	5
წყნეთი/მანგლისი	4	4
მცხეთა/არმაზი	3	2
ქობულეთი	9	8
ხაშური/სურამი	8	7
ბაკურიანი	7	6
ზუგდიდი	3	2
სიღნაღი	3	2
გორი	3	3
ზესტაფონი	8	7

წყარო: ***http://www.gnta.ge/***

როგორც ცხრილებიდან 1.7/1.8 და დიაგრამებიდან 1.1/1.2 ჩანს უცხოელების მიერ 2011 წელს ყველაზე მონახულებული ადგილებია **თბილისი** (რომელსაც სტუმრობდა 666 151 უცხოელი ვიზიტორი), **ბათუმი** (654 258 უცხოელი ვიზიტორი), **ქობულეთი** (134 499 უცხოელი ვიზიტორი) და **მცხეთა** (681 219 უცხოელი ვიზიტორი). ქართველი ვიზიტორების მიერ მონახულებული ადგილებია **თბილისი**, **ბათუმი** და **ქუთაისი (მოწამეთა)**. ტურისტულ დესტინაციებში უცხოელ

ტურისტთა მიერ გატარებული ღამეების საშუალო რაოდენობაა 3 ღამე. ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში წარმოგიდგენთ უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების ჯამურ სურათს, უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურას საზღვრის ტიპის, მიზნობრიობისა და ქვეყნების მიხედვით. (იხ. ცხრილი 1.9, 1.10, 1.11, 1.12).

ცხრილი 1.9

უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურა/ჯამური სურათი

ტურისტების ჯამური დანახარჯი 1 278 205 567 ლარი

საშუალო დანახარჯი ერთ ტურისტზე 624 ლარი

აქტივობები	**ჯამში ყველა ტურისტის მიერ გაწეული ხარჯი ლარებში**
საცხოვრებელი	262 973 660
საკვები/სასმელი	362 368 070
კულტურულ/გასართობ ღონისძიებებზე დასწრება	81 859 383
სპორტული აქტივობები და დასასვენებელ ადგილებში სიარული	47 431 273
ადგილობრივი სახმელეთო ტრანსპორტი	122 447 131
ადგილობრივი საჰაერო ტრანსპორტი	2 653 069
სამედიცინო მომსახურება	16 754 220
შოპინგი	205 443 924
ტურები, სამოგზაურო პაკეტები	47 098 136
სხვა დანახარჯები	125 658 571

წყარო: http://www.gnta.ge/

ცხრილი 1.10

უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურა

საზღვრის ტიპის მიხედვით

	აეროპორტი	სახმელეთო საზღვარი
ჯამური ხარჯი	396 419 192 (ლარი)	810 962 132 (ლარი)
ხარჯვის განმახორციელებელი ტურისტების რაოდენობა	286 759 ტურისტი	1 685 487 ტურისტი
საშუალო ჯამური ხარჯი	1 382 (ლარი)	481 (ლარი)

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო ***http://www.gnta.ge/***

ცხრილი 1.11

უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურა მიზნობრიობის მიხედვით

	შვებულება/ დასვენება/ რეკრეაცია	მეგობრების/ ნათესავების მონახულება	ბიზნესი/ პროფესიული საქმიანობა
ჯამური ხარჯი	655 966 826 (ლარი)	250 542 747 (ლარი)	163 422 162 (ლარი)
ხარჯვის განმახორციელებელი ტურისტების რაოდენობა	870 285 ტურისტი	507 132 ტურისტი	160 670 ტურისტი
საშუალო ჯამური ხარჯი	405 (ლარი)	464 (ლარი)	1075 (ლარი)

წყარო: ***http://www.gnta.ge/***

ცხრილი 1.12

უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით

	განვითარებული	განვითარებადი	აზერბაიჯანი	თურქეთი	რუსეთი	სომხეთი
ჯამური ხარჯი	212027975 ლარი	17561832 ლარი	191211 187 ლარი	304685186 ლარი	181777102 ლარი	212885794 ლარი
ხარჯვის განმახორციელებელი უცხოელი ტურისტების რაოდენობა	146762 ტურისტი	163987 ტურისტი	521020 ტურისტი	509413 ტურისტი	206737 ტურისტი	501255 ტურისტი
საშუალო ჯამური ხარჯი	1445ლარი	1071ლარი	367ლარი	598ლარი	879ლარი	425ლარი

წყარო: ***http://www.gnta.ge/***

ამრიგად, უცხოელი ტურისტების ჯამურმა დანახარჯმა 2011 წელს შეადგინა 1 278 205 567 ლარი, ხოლო საშუალო დანახარჯმა ერთ ტურისტზე 624 ლარი. ტურისტები საქართველოში იმყოფებოდნენ სხვადასხვა მიზნით:

- 870 285 უცხოელი ტურისტი შვებულების გასატარებლად (დასვენება-რეკრეაციის მიზნით),
- 507 132 უცხოელი ტურისტი ჩამოვიდა მეგობრების/ნათესავების მოსანახულებლად,
- 160 670 უცხოელი ტურისტი კი ბიზნეს-პროფესიული საქმიანობის მიზნით.

ასევე, საინტერესოა BCG Research-ის მიერ ჩატარებული საერთაშორისო მოგზაურების კვლევა საქართველოს სასაზღვრო პუნქტებში, რომელიც,

საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელდა. კვლევის ობიექტი იყო თბილისის საერთაშორისო აეროპორტი და რამდენიმე სახმელეთო-სასაზღვრო გამშვები პუნქტი (რესპოდენტთა ჯგუფი: უცხოელი ტურისტები). წარმოებული კვლევის შედეგად განსაზღვრულ იქნა მოგზაურების სტრუქტურა, საქართველოში სტუმრობის ხანგრძლივობა, ქვეყანაში ჩამოსვლის მიზანი და მოგზაურობის დანახარჯები. **მოგზაურების სტრუქტურა -** საქართველოში ვიზიტად მყოფ სტუმრებს შორის მამაკაცები სჭარბობენ. სწორედ ისინი შეადგენენ გამოკითხული ვიზიტორების, დაახლოებით, 3\4-ს. სტუმრების მშობლიური ქვეყნების დიაპაზონი ფართოა, თუმცა როგორც მოქალაქეობის, ასევე საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით, ვიზიტორები თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან სხვებს სჭარბობენ. რესპონდენტების მსგავსი განაწილება აიხსნება იმით, რომ სახმელეთო გამსვლელ პუნქტებთან ხდებოდა იმ მოქალაქეების დიდი ოდენობით კონცენტრაცია, რომლებიც მოსაზღვრე ქვეყნების მოქალაქეები\მაცხოვრებლები არიან, ის რესპონდენტები კი, რომლებმაც ქვეყანა საჰაერო გზით დატოვეს, იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. მოცემული ტენდენციის უკეთ დასანახად, კვლევაში ცალ-ცალკეა გამოყოფილი მონაცემები, მიღებული თბილისის აეროპორტსა და სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში. თბილისის აეროპორტში გამოკითხული რესპონდენტები არიან როგორც მეზობელი ქვეყნებიდან, ასევე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან და ევროპიდან. აეროპორტში გამოკითხულ რესპონდენტებში სჭარბობენ გერმანიის მოქალაქეები – გერმანელია, დაახლოებით, ყოველი მეათე გამოკითხული (10.4%). შედარებით მრავლად არიან წარმოდგენილები აშშ-ს (8.6%) და რუსეთის (8%) მოქალაქეებიც. ასევე, გამოიყოფა დანიის მოქალაქეთა რაოდენობა (6%). რაც შეეხება სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში გამოკითხულ ვიზიტორებს, მათი უმრავლესობა აზერბაიჯანის (36.6 %) და თურქეთის (28.2%) მოქალაქეა. სომხეთის მოქალაქეებზე მოდის სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში გამოკითხულების 12.5%. სახმელეთო სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე მიღებულ მოქალაქეობის სტრუქტურას მნიშვნელოვანწილად იმეორებს იმ ქვეყნების სურათიც, სადაც გამოკითხულები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ცხოვრობდნენ – რესპონდენტების 2\3-ის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა აზერბაიჯანი ან თურქეთია, მათი 13.9% კი სომხეთში ცხოვრობს. სხვა ქვეყნებში ბოლო ერთი წლის მანძილზე მაცხოვრებელი რესპონდენტების წილი უმნიშვნელოა. რესპონდენტები, რომლებმაც ქვეყანა საჰაერო გზით დატოვეს, უკანასკნელი 12

თვის მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდნენ. მათგან ყველაზე დიდი წილი გერმანიაზე მოდის (9.6%). ასევე, შედარებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა რუსეთი (8%), ჰოლანდია (7.4%) და აშშ (6.6%). აეროპორტში გამოკითხულების 8.6% უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, ძირითადად, საქართველოში ცხოვრობდა. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ქვეყანაში მუშაობენ მუდმივად ან გარკვეული ბიზნეს აქტივობის გამო თვეობით უწევთ საქართველოში ყოფნა (მაგალითად, სხვადასხვა კომპანიების უცხოელი კონსულტანტები).

ღამისთევა - რესპონდენტების უმრავლესობა (54.3%) სასტუმროში ან საოჯახო სასტუმროში ცხოვრებას ამჯობინებს, თუმცა საკმაოდ დიდია (39.5%) მათი რიცხვიც, ვინც მეგობრის ან ნათესავის კერძო სახლში ჩერდება. შეიძლება თვალი გავადევნოთ მონაცემებს შორის სხვაობას, რომლებიც მიღებულია აეროპორტსა და სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში: აეროპორტში გამოკითხულების დიდი უმრავლესობა – 74.4% სასტუმროში ან საოჯახო სასტუმროში თავსდება, სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში გამოკითხულების ნახევარზე მეტი (54.1%) კი მეგობრის ან ნათესავის კერძო სახლში ცხოვრობს. ნაწილობრივ, ეს შეიძლება იმ გარემოებით აიხსნას, რომ აეროპორტში გამოკითხულების 55.3% ქვეყანას საქმიანი მიზნით ეწვია, სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში გამოკითხულებში კი 37.4%-ს მეგობრებისა და ახლობლების მოსანახულებლად ჩამოსული ადამიანები შეადგენენ.

საქართველოში სტუმრობის ხანგრძლივობა - ვიზიტორების საქართველოში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა 16 დღეა, თუმცა მათი ნახევარზე მეტი (60.1%) ქვეყანაში არ ატარებს 5 დღეზე მეტს. მონაცემები იცვლება ვიზიტორების ქვეყანაში სტუმრობის მიზნების შესაბამისად:

- საქმიანი ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 19.8 დღეს შეადგენს;
- ნაცნობების მოსანახულებლად ჩამოსული რესპონდენტების ვიზიტი, საშუალოდ, 12.1 დღეს გრძელდება;
- დასასვენებლად ჩამოსული გამოკითხულები ქვეყანაში, საშუალოდ, 13.5 დღეს ატარებენ.

თბილისის აეროპორტსა და სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში მიღებული მონაცემები განსხვავებულია. სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში გამოკითხული რესპონდენტების ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა, რომლებიც ქვეყანას დასვენების ან ნაცნობების მონახულების მიზნით ეწვიენ, აღემატება ამავე

მიზნებით ჩამოსული იმ გამოკითხულების ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობას, რომლებიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამოიკითხნენ. საქმიანი ვიზიტის შემთხვევაში, პირიქით – აეროპორტში გამოკითხულებისთვის საქართველოში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა 23.1 დღეა (სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 7.7 დღეს შეადგენს). ამ შემთხვევაშიც, მხედველობაშია მისაღები ზემოთ ნახსენები მიზეზები – რესპონდენტებს შორის, რომლებიც ქვეყანას საჰაერო გზით ტოვებენ, გარკვეული ნაწილი აქტიურად ურთიერთობს ადგილობრივ კომპანიებთან\მისიებთან, რომლებიც საქართველოში მუშაობენ, შესაბამისად, უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც მათი ვიზიტი რამოდენიმე კვირა ან თვეც კი გრძელდება.

ქვეყანაში ჩამოსვლის მიზანი - ვიზიტორებს შორის საქმიანი ვიზიტით ჩამოსული ადამიანები სჭარბობენ (35.9%). მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად ჩამოსულები ვიზიტორების, დაახლოებით, მეოთხედს შედაგენენ. სიდიდით მესამეა დასვენების\რეკრეაციის მიზნით ჩამოსული რესპონდენტების რიცხვი (18.5%). უცხოელებს შორის, რომლებმაც ქვეყანა საჰაერო გზით დატოვეს, 55.3% საქართველოს პროფესიული\საქმიანი მიზნით ეწვია. მათ შორის მცირეა მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად ჩამოსული რესპონდენტების რაოდენობა (11.2%). სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობის (37.4%) ვიზიტი, პირიქით, სწორედ მეგობრებისა და ნათესავების მონახულებას ისახავდა მიზნად. დასასვენებლად ქვეყანაში ჩამოვიდა, დაახლოებით, ყოველი მეხუთე გამოკითხული. რაც შეეხება ბიზნეს\პროფესიულ აქტივობას სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში, ასეთია რესპონდენტების 16.8%.

მოგზაურობის დანახარჯები - დანახარჯების თვალსაზრისით, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება მონაცემები, მიღებული თბილისის აეროპორტსა და სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში. საშუალო დანახარჯი, შეადგენს 814.6 აშშ დოლარს (დღეში, საშუალოდ, 164 აშშ დოლარს), თუმცა აეროპორტში გამოკითხულებისთვის საშუალო დანახარჯი 1592.9 აშშ დოლარია (დღეში 84.7 აშშ დოლარი), სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში გამოკითხულებისთვის კი - 500.3 აშშ დოლარი, (დღეში საშუალოდ, 38.8 აშშ დოლარი). მონაცემები დათვლილია რესპონდენტების 84.8%-სგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლებმაც საკუთარი დანახარჯების გახსენება

შეძლეს\მოისურვეს. სხვაობა აეროპორტსა და სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში მიღებულ მონაცემებს შორის შეიძლება ასე აიხსნას:

- სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა მეზობელი ქვეყნების მკვიდრია, სადაც ცხოვრების დონე\შემოსავლები არ არის მაღალი, რაც შეიძლება მათი დანახარჯების სტრუქტურაზეც აისახებოდეს;.
- ღესპონდენტები (უცხოელი ტურისტები), რომლებიც სახმელეთო გზით ტოვებენ ქვეყანას, ძირითადად, ახლობლების\ნაცნობების მოსანახულებლად არიან ჩამოსულები, რაც სავარაუდოდ, ამცირებს მათ დანახარჯს.
- თბილისის აეროპორტში გამოკითხული რესპონდენტების ნახევარზე მეტი ქვეყანას საქმიანი მიზნით ეწვია. შესაბამისად, მათი ნაწილი ქვეყანაში ხარჯავს არა საკუთარ, არამედ კომპანიის ფულს, რაც მაღალ დანახარჯში ვლინდება. სამოგზაურო პაკეტი შეიძინა რესპონდენტების მინიმალურმა რაოდენობამ – 2%-მა მათგან, ვინც საკუთარი დანახარჯების გახსენება შეძლო. სამოგზაურო პაკეტში, საშუალოდ, 995 აშშ დოლარს იხდიან.

ყველაზე მსხვილი დანახარჯები მოდის განთავსებასა და საკვებზე\სასმელზე. საშუალო თანხა, რომელსაც ვიზიტორები საცხოვრებელში იხდიან, 738.5 აშშ დოლარს (დღეში 46.2 აშშ დოლარი), საკვებზე\სასმელზე გადახდილი საშუალო თანხა კი 328.8 აშშ დოლარს (დღეში 20.6 აშშ დოლარს) შეადგენს. მცირეა იმ ვიზიტორების რიცხვი, რომლებიც სპორტული\რეკრეაციული მომსახურებით სარგებლობენ. კულტურულ მომსახურებაში კი თანხა დახარჯა გამოკითხულების 12.3%-მა - საშუალოდ, 251.8 აშშ დოლარი (15.7 აშშ დოლარი დღეში). ვიზიტორების, დაახლოებით, თანაბარი რაოდენობა სარგებლობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან დაქირავებული ავტომობილით (10.9%-დან 11.9%-მდე). დაქირავებულ ტრანსპორტში საშუალოდ, 163.8 აშშ დოლარს იხდიან, საზოგადობრივ ტრანსპორტში დახარჯული საშუალო თანხა კი 63.3 აშშ დოლარია.

თბილისის აეროპორტში გამოკითხულებიდან (მათ შორის, ვინც საკუთარი დანახარჯები დაასახელა – 84.6%):

- ვიზიტორების მხოლოდ 3.2%-მა შეიძინა სამოგზაურო პაკეტი, რომელშიც, საშუალოდ, 1162.5 აშშ დოლარი გადაიხადა (საშუალო დანახარჯი დღეში – 61.8 აშშ დოლარი).

- დამოუკიდებლად საცხოვრებელი დაიქირავა გამოკითხულების 47.9%-მა. საშუალო დანახარჯმა შეადგინა 881.3 აშშ დოლარი – საშუალოდ, 46.9 აშშ დოლარი დღეში (დანარჩენი რესპონდენტები ცხოვრობდნენ მეგობრებთან ან მათ ქირას უხდიდნენ საქმიანი პარტნიორები).
- სურსათსა და სასმელზე დახარჯული თანხის ოდენობის დასახელება შეძლო რესპონდენტების 48.7%-მა (დანარჩენებისთვის კვების ფულს იხდიდნენ ახლობლები\ბიზნესპარტნიორები). კვებაზე დახარჯული თანხა, საშუალოდ, დღეში 30.5 აშშ დოლარია.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტი გადასაადგილებლად გამოიყენა რესპონდენტების 6.4%-მა. რაც შეეხება ავტომობილის დაქირავებას, ამ სერვისით, რესპონდენტების 12.6%-მა ისარგებლა. ავტომობილის დაქირავებისთვის გაწეული დღიური ხარჯი, საშუალოდ, 11.8 აშშ დოლარს შეადგენს.
- რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას არ უსარგებლია რაიმე ტიპის კულტურული ან სპორტული\რეკრეაციული მომსახურებით. მათთვის, ვინც მსგავსი მომსახურება მიიღო, თანხებმა საშუალოდ, დღეში 10.6 აშშ დოლარი (კულტურული მომსახურება) და 19.4 აშშ დოლარი (სპორტი და რეკრეაციული მომსახურება) შეადგინა.
- სხვა ტიპის დანახარჯებმა (ძირითადად, სუვენირების და საჩუქრების შეძენა), საშუალოდ, 425.3 აშშ დოლარი შეადგინა, თუმცა ასეთი ხარჯი გაწია აეროპორტში გამოკითხულებიდან, დაახლოებით, ყოველმა მეხუთემ.

სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში გამოკითხულებიდან: (მათ შორის, ვინც საკუთარი დანახარჯები დაასახელა)

- საცხოვრებელში არაფერი დაუხარჯავს გამოკითხულების 87.5%-ს. მათ, ვინც დაიქირავა ბინა\ოთახი სასტუმროში, აღნიშნულ მომსახურებაში, საშუალოდ, 203 აშშ დოლარი გადაიხადეს (დღეში, საშუალოდ, 15.7 აშშ დოლარი).
- საკვებში\სასმელში არაფერი დაუხარჯავს გამოკითხულების 42.3%-ს. დანარჩენებისთვის კვებაზე საშუალო დანახარჯმა დღეში 9.8 აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანობაში, საშუალოდ, 127 აშშ დოლარი).
- კულტურულ მომსახურებაში დახარჯულ თანხებზე მიუთითებს რესპონდენტების მეტი რაოდენობა სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში

(20.2%), ვიდრე აეროპორტში (4.2%). (როგორც წესი, ამის მიზეზად აეროპორტში გამოკითხულები მოუცლელობას ასახელებდნენ). ულტურულ მომსახურებაში დახარჯულმა თანხამ სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში გამოკითხულებისთვის დღეში, საშუალოდ, 20.4 აშშ დოლარი შეადგინა.

- სახმელეთო სასაზღვრო პუნქტებში გამოკითხულების 17.2% საქართველოში ყოფნისას სარგებლობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით. შესაბამისმა დანახარჯმა 54.9 აშშ დოლარი შეადგინა. შედარებით ნაკლებია ავტომობილის დაქირავების მაჩვენებელი – ამ მომსახურებით ისარგებლა დაახლოებით, ყოველმა მეათემ გამოკითხულებიდან. ავტომობილის დაქირავებაზე დახარჯული თანხა, საშუალოდ 86.3 აშშ დოლარს შეადგენს.
- სხვადასხვა ტიპის დანახარჯებმა (მაგალითად, სუვენირებსა და საჩუქრებზე), საშუალოდ, 273.1 აშშ დოლარი შეადგინა. ასეთი ტიპის ხარჯი გაწია რესპონდენტების 34.8%.-მა.

საქმიანი ვიზიტი - საქმიანი მიზნით ქვეყანაში ჩამოსული რესპონდენტებიგამოკითხულების 35.9%-ს შეადგენენ. საქმიანი ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 19,8 დღეა. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა - 88.4% მამაკაცია. მოცემულ ჯგუფში სჭარბობენ თურქეთის მოქალაქეები (16.8%). საქმიანი ვიზიტით ჩამოსულ ადამიანებს შორის ასევე შედარებით მაღალი წილით არიან წარმოდგენილები აშშ-ს, გერმანიის და აზერბაიჯანის მოქალაქეები. საქმიანი მიზნით ჩამოსული ვიზიტორების დიდმა უმრავლესობამ - 87.1%-მა მოინახულა თბილისი. საქმიან ვიზიტორებში ასევე „პოპულარული“ ქალაქია ბათუმი – აჭარის დედაქალაქში სპეციალური მისიით ან გავლით იმყოფებოდა გამოკითხულთა 27.5%. ვიზიტორები, რომლებიც ქვეყანას საქმიანი ვიზიტით ეწვიენ, ძირითადად, სასტუმროში ან საოჯახო სასტუმროებში ცხოვრობენ. ხოლოდ ყოველი მეხუთე მეგობრის ან ნათესავის სახლში. ბინაში\სასტუმროში საშუალო დანახარჯი დღეში 49.9 აშშ დოლარს შეადგენს (მთლიანობაში, საშუალოდ, 987.2 აშშ დოლარი). დასახელებულ კატეგორიაში გამოკითხული რესპონდენტების 49.9%-ს საცხოვრებელში თანხა საერთოდ არ დაუხარჯავს. მათი დანახარჯები დაფარეს საქმიანმა პარტნიორებმა. სურსათსა და სასმელზე დახარჯული თანხის ოდენობა, საშუალოდ, 538 აშშ დოლარს შეადგენს (დღეში, საშუალოდ, 27.2 აშშ დოლარი). ავტომობილის დაქირავებაში

(იგულისხმება როგორც მანქანის დაქირავება გარკვეული პერიოდით, ასევე ტაქსი) რესპონდენტები, საშუალოდ, დღეში 14.2 აშშ დოლარს იხდიან, თუმცა მათ უმრავლესობას შესაბამისი მომსახურებით საქმიანი პარტნიორი უზრუნველყოფს. კულტურული, სპორტული\რეკრეაციული მომსახურებით გამოკითხულები, პრქატიკულად, არ სარგებლობენ. მათ საამისოდ არ ჰყოფნით დრო ან ამას იმდენად იშვიათი ხასიათი აქვს, რომ დანახარჯების გახსენებას რესპონდენტების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა ახერხებს. სხვა ტიპის დანახარჯებზე (სუვენირები, ქალაქგარეთ გასვლა) მიუთითებს, დაახლოებით, ყოველი მეხუთე გამოკითხულებიდან (21.8%). საშუალოდ, სხვადასხვა ნივთების შეძენასა და საინტერესო ადგილების მონახულებაზე 350.7 აშშ დოლარს ხარჯავენ (საშუალოდ, 17.7 აშშ დოლარი დღეში). საქმიან ვიზიტს ქვეყანაში, ძირითადად, ბიზნესპარტნიორები ან ნათესავები\მეგობრები განაპირობებენ – ეს ის ხალხია, ვისგანაც ვიზიტორები ქვეყანაში ჩამოსვლამდე იღებენ ინფორმაციას. რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფორმაციის მისაღებად ინტერნეტრესურსსაც იყენებს. გამოკითხულების 3\5-ზე მეტი ქვეყანაში ვიზიტით უბრალოდ ან ძალიან კმაყოფილია. საქმიანი ვიზიტით მყოფი რესპონდენტები, პირველ რიგში, გზების შეკეთებასა და მოძრაობის დარეგულირებას ითხოვენ. რეკომენდაციებში ასევე შედარებით მაღალი სიხშირით სახელდება მეტი საშუალო კლასის სასტუმროს აუცილებლობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ტურისტულ ადგილებზე.

მეგობრების და ნათესავების მონახულება - მეგობრებისა და ნათესავების მონახულების მიზნით ქვეყანაში ჩამოსული რესპონდენტები გამოკითხულების 24.4%-ს შეადგენენ. ახლობლების მოსანახულებლად განხორციელებული ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 12.1 დღეა. მოცემულ კატეგორიაში ქალები სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე დიდი ხვედრითი წილით არიან წარმოდგენილები (37.7%), 2\3-ს კი მამაკაცები შეადგენენ. ახლობლების მოსანახულებლად ჩამოსული რესპონდენტების 44.9% აზერბაიჯანის მოქალაქეა. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რესპონდენტების ინტერვიუირება წითელ ხიდზე და ლაგოდეხში. ახლობლების მოსანახულებლად ჩამოსულ რესპონდენტებს შორის სხვა კატეგორიებთან შედარებით მცირეა მათი ხვედრითი წილი, ვინც მოინახულა თბილისი (52.6%). გამოკითხულების 15.8% ეწვია ბათუმსაც. დანარჩენი ქალაქებიდან შედარებით მაღალი სიხშირით სახელდება მცხეთა (9.3%), მარნეული (9.3%) და ბოლნისი (7.3%). მეგობრებისა და

ახლობლების მოსანახულებლად ჩამოსული რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა – 86.4% მეგობრის ან ნათესავის კერძო სახლში ცხოვრობს. სასტუმროთი ან სხვა ფასიანი საცხოვრებლით ისარგებლა გამოკითხულთა მხოლოდ მეათედმა. საცხოვრებლის დაქირავებაში თანხა დახარჯა რესპონდენტების 6.9%-მა. ამ მიმართულებით დახარჯულმა თანხამ საშუალოდ, 401.8 აშშ დოლარი შეადგინა (33.2 აშშ დოლარი დღეში). საკვებსა და სასმელში არაფერი დაუხარჯავს რესპონდენტების 46.5% (ეს დანახარჯი საკუთარ თავზე აიღეს მეგობრებმა ან ნათესავებმა). დანარჩენებმა კვებაში, საშუალოდ, 163.9 აშშ დოლარი დახარჯეს (დღიურად, საშუალოდ, 13.5 აშშ დოლარი). ქვეყანაში ყოფნისას ავტომობილი\ტაქსი იქირავა რესპონდენტების 12.6%-მა. საშუალოდ დანახარჯმა დღეში 5.7 აშშ დოლარი შეადგინა. საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლა გამოკითხულების 1\4-მა. ისინი დღეში, საშუალოდ, 3.2 აშშ დოლარს ხარჯავდნენ. სპორტული\რეკრეაციული მომსახურებით სარგებლობის მაჩვენებელი უმნიშვნელოა. რაც შეეხება კულტურულ სერვისს, რესპონდენტების 12.1% მასში, საშუალოდ, 16 აშშ დოლარს ხარჯავდა დღეში. რესპონდენტების თითქმის 40% დამატებით დანახარჯებზე მიუთითებს, რამაც, საშუალოდ, 171.8 აშშ დოლარი შეადგინა. დამატებით ხარჯებში გამოკითხულები, ძირითადად, სუვენირების შეძენასა და სხვადასხვა ადგილების მონახულებასთან ერთად ახლობლებისთვის შეძენილ საჩუქრებს და მათთვის ადგილზე დატოვებულ თანხასაც გულისხმობენ.

დასვენება\რეკრეაცია - დასვენება\რეკრეაციის მიზნით ქვეყანაში ჩამოსული რესპონდენტები გამოკითხულების 18.5%-ს შეადგენენ. დასასვენებლად\რეკრეაციის მიზნით განხორციელებული ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 13.5 დღეა. დასასვენებლად ჩამოსული ტურისტების 2\3 მამაკაცია. დასვენება\რეკრეაციის მიზნით ჩამოსულ ტურისტებში რიცხოვნებით გამოირჩევიან თურქეთის მოქალაქეები (23.5%). ასევე სტუმრები გერმანიიდან (8.6%) და ლატვიიდან (7.5%). დასასვენებლად ჩამოსული რესპონდენტების 3\4-მა მოინახულა თბილისი. მათში ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ბათუმი (56.7%) და მცხეთა (32.1%). საგრძნობლად მაღალია სიღნაღის, დავით გარეჯის, ვარძიის, უფლისციხის მონახულების მაჩვენებლებიც. მოცემულ ჯგუფში გამოკითხულების 2\3-ზე მეტი სასტუმროში ან საოჯახო სასტუმროში ცხოვრობდა. 33%-მა კი ისარგებლა მეგობრის ან ნათესავის კერძო სახლით. დამოუკიდებლად სახლის\სასტუმროს ნომრის დაქირავებაში რესპონდენტებმა, საშუალოდ, 290.1 აშშ დოლარი

გადაიხადეს – საშუალოდ, 21.5 აშშ დოლარი დღეში (იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ისინი არ ცხოვრობდნენ მეგობრებთან და საცხოვრებლის ღირებულება არ შედიოდა შეძენილ სამოგზაურო პაკეტში). მოცემულ ჯგუფში სამოგზაურო პაკეტი წინასწარ შეიძინა გამოკითხულების 5%-ზე ნაკლებმა. სამოგზაურო პაკეტის საშუალო ღირებულებამ 1677.8 აშშ დოლარი შეადგინა. როგორც წესი, რესპონდენტები, რომლებსაც აქვთ სამოგზაურო პაკეტი, დამატებით მინიმალურ თანხას ხარჯავენ. საკვებსა და სასმელში გადახდილი საშუალო თანხა 285 აშშ დოლარს შეადგენს, რაც დღეში 21.1 აშშ დოლარის ხარჯვას გულისხმობს. შესაბამისი მონაცემის დასახელება შეძლო გამოკითხულების 52.9%-მა. ავტომობილის გაქირავების სერვისით\ტაქსით ისარგებლა გამოკითხულიდან ყოველმა მეათემ. საშუალო დანახარჯმა დღეში 10.6 აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება საგზაო საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ამ მომსახურებით სარგებლობდა გამოკითხულთა 11.2%, საშუალო დანახარჯმა დღეში კი 9. აშშ დოლარი შეადგინა. დასასვენებლად ჩამოსულები სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე ხშირად სარგებლობენ კულტურული მომსახურებით – ასეთია ყოველი
მეოთხე გამოკითხულებიდან. ისინი კულტურულ მომსახურებაზე, საშუალოდ, 25 აშშ დოლლარს ხარჯავენ დღეში. სხვა ტიპის დანახარჯებმა (სუვენირები, საჩუქრები) საშუალოდ, 366.9 აშშ დოლარი შეადგინა. ასეთი ხარჯი გასწია, დაახლოებით, ყოველმა მეხუთემ გამოკითხულიდან. დასასვენებლად ჩამოსული ვიზიტორების უმრავლესობამ (59.9%) ინფორმაცია ქვეყანაზე ნათესავებისგან\მეგობრებისგან მიიღო. სხვა რესურსებით ინფორმაციის მიღების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირეა[145].

თავი 2. კულტურული მემკვიდრეობის როლი იმერეთის ტურიზმის განვითარებაში

2.1. იმერეთის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დახასიათება

ტერიტორიის ფართობი

იმერეთის ტერიტორიის ფართობი 6 518.8 კმ2-ია, რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 9.4%-ს შეადგენს. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის 221 კმ-ია, უახლოეს პორტამდე (ფოთი) 103 კმ, უახლოეს საერთაშორისო აეროპორტამდე (კოპიტნარი) კი 20 კმ. (იხ. რუკა 2.1. იმერეთის რეგიონები)

რუკა 2.1

წყარო: www.imereti.ge

თვითმმართველი ერთეულები -იმერეთის მხარე წარმოდგენილია 10 საქალაქო დასახლებით, 3 დაბით (შორაპანი, კულაში, ხარაგაული), 529 სოფლითა და 12 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულით (ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი ქუთაისი და ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოს, ჭიათურის მუნიციპალიტეტები). ადმინისტრაციული ცენტრის დაშორება უახლოეს საერთაშორისო აეროპორტთან – 20 კმ-ია, უახლოეს საზღვაო პორტთან (ფოთი) – 102 კმ. რეგიონი მდებარეობს ზღვის დონიდან დაახლოებით 2 850 მ. სიმაღლეზე.

წყალტუბოს რაიონი საქართველოს საკურორტო ფლაგმანი იყო. იგი ცნობილია მინერალური წყლებითა და სამკურნალო აბაზანებით, საკურორტო ინფრასტრუქტურით, რომელმაც გართულებული პოლიტიკური ვითარების დროს დიდი ზიანი განიცადა. ამჟამად, აქ მოქმედებს 2 სანატორიუმი და ბალნეოსერვისის მინერალური წყლების აბაზანები, რომლებიც ემსახურებიან დამსვენებლებს. წყალტუბოს რაიონი გამოირჩევა მთაგორიანი ლანდშაფტით. ტყისა და მთის მასივებით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით, ნაკრძალითა და გამოქვაბულებით. რაიონში შესაძლებელია განვითარდეს სამთო საცხენოსნო, სამთო ქვეითი და ეკოტურიზმი. კარსტული გამოქვაბულების დიდი არჩევანი კარგ შესაძლებლობას იძლევა სპელეო-ტურიზმის განვითარებისათვის.

ხარაგაულის რაიონი წარმოდგენილია ტურიზმის განვითარებისათვის უმდიდრესი რესურსით. უმთავრესი ობიექტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკია, რომელსაც რეგიონში 24000 ჰა ფართობი უჭირავს. მთაგორიანი რელიეფი, უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან – 2180 მ, უნიკალური მთის მდინარეებითა და ტბებით, ფლორითა და ფაუნით, სადაც მრავლადაა ენდემური ჯიშის მცენარეები, რომლებიც მხოლოდ ამ ტერიტორიებისათვისაა დამახასიათებელი. პარკი მდებარეობს თორის, არგვეთის, სამცხის ისტორიულ ფარგლებში და საქართველოს 5 რეგიონს ესაზღვრება. აქედან 2 იმერეთის: ხარაგაულისა და ბაღდათის რაიონებია. პარკის ტერიტორიით იწყება საქართველოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა. აქ ქადაგებდა ქრისტიანულ რელიგიას ანდრია პირველწოდებული, რასაც ყველაზე მაღალ მთაზე აღმართული რკინის ჯვარი მოწმობს. ტერიტორიაზე 200-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთა თემატიკა ამოუწურავი მასალაა ისტორიის მოყვარულთათვის. ხარაგაულის რაიონიდან

იწყება პარკის ორი შესასვლელი - ნუნისი და მარელისი. ეს მარშრუტები 5 კმ-დან 35 კმ-მდე სიგრძისა და განსხვავებული სირთულისაა. ხარაგაულის რაიონი იმერეთის ერთ-ერთი უმდიდრესი საკურორტო ზონაა. კურორტ „ნუნისის“ მინერალური წყალი ჰკურნავს კანის დაავადებებს, შესანიშნავი ჰავაა ბრონქიალური ასთმის სამკურნალოდ და სხვა. აქვეა მინერალური წყალი „ზვარე“.

ბაღდათის რაიონი იმერეთის რეგიონის ერთ-ერთი მდიდარი აგრარული სექტორია. იგი ცნობილია კურორტ „საირმის" მინერალური წყლებითა და რუსი პოეტის ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმით. მინერალური და თერმული წყლების გამორჩეული სამკურნალო თვისებების გამო, კურორტი საირმეს საბჭოთა პერიოდის საქართველოში ყოველწლიურად 80 000-ზე მეტი დამსვენებელი სტუმრობდა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. საირმის განვითარების კომპანიამ კურორტის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება მიმდინარე წელს დაიწყო და გეგმის თანახმად 2013 წლის ბოლოს დაასრულებს. პროექტის ბიუჯეტი 10 მილიონი ლარია, აქედან ექვსი მილიონი კურორტის აღდგენას უკვე მოხმარდა. სამშენებლო სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. საირმედან დაახლოებით ოთხ კილომეტრში, ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნოა. უდაბნოს სპაცენტრის მოწყობაზე ცნობილი გერმანული კომპანია „კრაფტი“ მუშაობს. უდაბნოს სპა ცენტრი სწორედ მათ მიერ წარმოებული უახლესი ტექნოლოგიებით იქნება მოწყობილი: თერმული და ტალახის აბაზანები, შარკო და სხვა.

ვანის რაიონი, ანტიკური კოლხეთის ნაქალაქარი, ცნობილია არქეოლოგიური მუზეუმითა და არქეოლოგიური გათხრებით, (რომელმაც დაადასტურა არგონავტების ცნობილი ისტორიის რეალობა ძველ კოლხეთში) და დიდი ქართველი პოეტის გ. და ტ. ტაბიძეების სახლ-მუზეუმით. რეგიონი მდიდარია ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებით. საკურორტო დარგი წარმოდგენილია კურორტებით „სულორი“ და „ამაღლება“, მინერალური წყლებით, ულამაზესი მთის ლანდშაფტით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით. ვანში შესაძლებელია აგროტურიზმის, საცხენოსნო, ისტორიული და კულტურული, ღვინისა და სამზარეულოს ტურების ორგანიზება. კარგი

შესაძლებლობები აქვს ეკოტურიზმს, საწყალოსნო ტურიზმს მდინარე რიონზე, სათევზაო და სანადირო ტურიზმს.

ტყიბულის რაიონის ტურისტული და საკურორტო პოტენციალი წარმოდგენილია კურორტების სოჩხეთის, საწირის, ცხრაჯვარის, ხრესილის დასასვენებელი კომპლექსებით, ორი წყალსაცავით, რომლებიც იშვიათი სილამაზით გამოირჩევიან და კარგ შესაძლებლობას აძლევენ რაიონს საწყალოსნო და სათევზაო ტურიზმის განვითარებისათვის. ტყიბულის რაიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, კერძოდ, გელათის სამონასტრო კომპლექსი (XII ს.), მოწამეთის მონასტერი (VIII-XI ს.) და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა სპელეოლოგიის კუთხით, მის ტერიტორიაზეა ცუცხვათის 13-სართულიანი მღვიმე, ცხრაჯვარის გამოქვაბულები, ასევე ჭახათის, საკაჟიას, მუხურას მღვიმეები.

ჭიათურის რაიონზე გადის ძველი საქარავნო გზა, რომლის ლანდშაფტი მოფენილია ანტიკური და გვიანი რენესანსის ისტორიული ძეგლებით. რაიონი მდიდარია ფლორითა და ფაუნით, კარსტული გამოქვაბულებით: შვილობისის, ნაკაჭკარის, ხრეითის ვერტიკალური, ხრეითის მრავალსართულიანი, გუნდაეთის, დარკვეთის, ნიგოზეთისა და ტყემლოვანას შუა მდებარე დიდი გამოქვაბულით, რომელთა სიგრძე საშუალოდ 400-500 მ.-ია.

საჩხერის რაიონი ქართველი მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის ა. წერეთლის სამშობლო, ზემო იმერეთი მდიდარია, მთაგორიანი ლანდშაფტით, ფლორითა და ფაუნით. საკურორტო ზონა წარმოდგენილია კვერეთის დასასვენებელი სახლით. ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია ადრეული შუა საუკუნეების ციხე ”მოდი ნახე”, სავანის ეკლესია, ითხვისის ეკლესია. და სხვა.

ზესტაფონის რაიონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ბევრად განაპირობებდა მის როლს საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა ეპოქაში. ისტორიული არგვეთის შუაგული, იშვიათი სილამაზისა და არქიტექტურის ძეგლები, უძველესი ღვინის საცავები, ყურძნის ჯიშები, ყოველივე კარგ პირობას ქმნის აგროტურიზმის განვითარებისათვის. კარგადაა განვითარებული ხალხური რეწვა.

თერჯოლის რაიონი წარმოდგენილია კურორტ „სიმონეთით," ნავენახევის მღვიმით. სოფელ სიმონეთის მკვიდრი იყო დიდი ქართველი მწერალი, მეორე

სერვანტესად წოდებული დ. კლდიაშვილი. რაიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. ჩხარის მთავარანგელოზის, ოქონის დედაღვთისას, გოდოგანის ეკლესიებითა და ციხე-სიმაგრეებით, რომელთა ისტორია მე-7 და მე-10 საუკუნეებით თარიღდება. რაიონში ცხოვრობენ საქართველოს მონარქების-ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლები.

სამტრედიის რაიონში მდებარეობს ოფეთის მე-11 საუკუნის მთავარანგელოზის, საჯავახოს შუა საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესიები, თამარ მეფის ციხე-სიმაგრე სოფელ ტოლებში. სამტრედიაში შესაძლებელია ტურიზმის ისეთი სახეების განვითარება, როგორიცაა: აგროტურიზმი, საწყალოსნო, სამთო, ქვეითი და საცხენოსნო, ეკოტურიზმი, ღვინისა და სამზარეულოს ტურები და სხვა.

ხონის რაიონი უნიკალური ლანდშაფტის მქონე რაიონია, ასხის მთის, კინჩხას გადასასვლელებით, შერეული და ფოთლოვანი ტყის მასივებით, რომლებიც კარგ შესაძლებლობას იძლევა ეკოტურიზმის განვითარებისათვის. აქ შესაძლებელია მეკლდეურობა (ალპინიზმი), საცხენოსნო და დასასვენებელი (შემეცნებითი) დღეების ტურების ორგანიზება. დადიანების გორდის სასახლე, წმინდა გიორგის XVI ს. ეკლესია, მათხოჯის დედათა მონასტერი. რაიონს აქვს კარგი პერსპექტივა სამონადირეო ტურიზმის განვითარებისათვის.

მინერალურ-რეკრეაციული რესურსი - იმერეთის მხარეში მოიპოვება ჭიათურის მანგანუმი, ტყიბულისა და გელათის ქვანახშირი, ბარიტის, დიატომიტის საშენი მასალები, თიხის მარაგები, ბეტონური თიხები (გუმბრიონი), მარმარილო, გამარმარილოებული კირქვები, ტეშენიტების, ბაზალტის საბადოები და სხვა.

ჰიდრო რესურსი - იმერეთის რეგიონში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად, რის გარეშეც წარმოუდგენელია სამრეწველო სექტორის განვითარება. ამჟამად რეგიონში 5 ჰიდროელექტრო სადგურია განლაგებული: რიონჰესი, გუმათჰესი, ვარციხჰესი, ძევრულჰესი, შაორჰესი. მათ მიერ ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 1400-1500 მლნ.კვტ. საათია (28-29 მლნ. ლარი). ჰიდრორესურსების სიუხვე მრავალი მცირე (მინი) ჰესის აგების და ფუნქციონირების პირობებსაც ქმნის.

წყლის რესურსი - რეგიონის ტერიტორია მდიდარია წყლის რესურსით. მხარის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: რიონი, ყვირილა, ცხენისწყალი, წყალწითელა, ჩხერიმელა, ხანისწყალი და სხვა, ასევე ბუნებრივი სამკურნალო წყლები, სუფთა წყაროს წყლები, მიწისქვეშა სასმელი მტკნარი წყლები, სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლები და სხვა.

სატყეო რესურსი - იმერეთის ტყის ფონდის ფართობი 344,0 ათასი ჰექტარია, რაც საქართველოს ტყით დაფარული ფართობის 12,3%-ს შეადგენს. იმერეთის მხარის ტყიანობის პროცენტი 51,8%-ია. ასეთი ვითარება ნოყიერ ნიადაგს ქმნის შესაბამისი ბიზნეს საქმიანობის განვითარებისათვის. ტყით დაფარულ ფართობებზე ყველაზე გავრცელებული ჯიშებია: მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, წაბლი, ძელქვა, აკაცია, ევკალიპტი და სხვ. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ზრდის ტენდენციით ხასიათდება ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობის დინამიკა. კერძოდ, 1995 წელს იგი შეადგენდა 19 098 მ3, 2000 წელს – 45 270 მ3, 2005 წელს – 103 718 მ3, 2009 წელს – 118 035 მ3.

მიწის რესურსი - იმერეთის რეგიონის ტერიტორიის ფართობი 6 518,8 კმ2-ია. მრავალფეროვანია მხარის ნიადაგები, მათი გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, კლიმატი და მცენარეული საფარი განაპირობებენ ნიადაგის ხასიათს. უპირატესი გავრცელება აქვს: ალუვიურ, სუბტროპიკულ ეწერ, ყვითელმიწა, წითელმიწა, ნეშომპალა-კარბონატულ და კომრალ ნიადაგებს, რომელიც გამოიყენება ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურის გასაშენებლად.

მოსახლეობა-რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობამ 2010 წლის მდგომარეობით – 693.5 ათ. კაცი შეადგინა, რაც საქართველოს მოსახლეობის 15.8%-შეადგენს. მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში არიან; ქართველი – 689 924; აფხაზი – 388; ოსი – 639; სომეხი – 1 890; რუსი – 4 924; აზერბაიჯანელი – 274; ბერძენი – 242; უკრაინელი – 636; იეზიდი – 56.

დასაქმება 2010 წლისათვის დასაქმებულთა რაოდენობამ – 29 955 კაცი შეადგინა, რაც წინა წლის ბოლო მონაცემთან შედარებით 18%-ით შემცირდა, ხოლო მთლიანად საქართველოში დასაქმებულების 9.5% შეადგინა. დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებამ 393.0 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ბოლო მონაცემთან შედარებით 26.6%-ით გაიზარდა.

ეკონომიკა -რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი ვაჭრობის სექტორს უკავია, მთლიანი მოცულობის 18%, სახელმწიფო მმართველობას – 16%, სოფლის მეურნეობას – 13.3%, მრეწველობას – 12.5%, მომსახურებას – 11% და ა.შ. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი ზრდა სახელმწიფო მმართველობის სექტორში 56%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ჯანდაცვის სექტორში – 23%, მომსახურების სექტორში – 23%, ვაჭრობის სექტორში – 22% და ა.შ. რეგიონის ეკონომიკა წარმოდგენილია შემდეგი სექტორებით: მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

ინვესტირების საფუძვლები:

- ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა
- ქუთაისი- რკინიგზისა და მაგისტრალების ახლო მდებარეობა
- რკინიგზის ცენტრალურ მაგისტრალამდე მანძილი 8 კმ - სადგურები რიონი და ბროწეულა.
- პორტებთან სიახლოვე, საგზაო და სარკინიგზო ხაზი ფოთისა და ბათუმის პორტებამდე.
- ზესტაფონი-ქუთაისის ავტობანი (მიმდინარე პროექტი, დასრულების ვადა 2013 წელი).

სოფლისმეურნეობა იმერეთის მოსახლეობის 60%-მდე პირდაპირ ან ირიბად სასოფლო სამეურნეო სექტორს უკავშირდება. რეგიონში სტრუქტურულად სასოფლო-სამეურნეო სექტორი კვლავ რჩება მცირე დანაწევრების მიწის ნაკვეთებისაგან შემდგარ მთლიანობად, სადაც მცირე ფერმერები, რომელთა განკარგულებაში 1 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთებია, აწარმოებდნენ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. 1996 წლიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 51% კერძო სექტორშია. აქედან ცალკეული სახეობების მიხედვით კერძო სექტორშია სახნავი მიწების 86%, მრავალწლიანი ნარგავების 80% და სათიბებისა და საძოვრების თითქმის 10%.

კულტურა-გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი, ეროვნული კულტურისა და განათლების კერად წოდებული ქუთაისი საუკუნეების მანძილზე ქმნიდა და აყალიბებდა ქართულ ეროვნულ ცნობიერებას. იყო მინოსი კრეტაზე და აიეტი ქუთაისში, არგონავტები და სახელგანთქმული ოქროს საწმისი, სწორედ

ამ დროიდან დღემდე ქუთაისი ინარჩუნებს თავის ეროვნულ კულტურულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში. ქუთაისში ტრადიციების და თანამედროვეობის შეხამება ყოველთვის საინტერესოდ ვლინდებოდა. აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, შალვა დადიანი, სიმბოლისტური ჯგუფი „ცისფრეყანწელები“ სწორედ ქუთაისში იწყებს თავის შემოქმედებით მოღვაწეობას, აქვე იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველი კრებული, რომელმაც ახალი სიტყვა თქვა ქართულ თანამედროვე პოეზიაში. აქ იწერება საქვეყნოდ ცნობილი ოპერები, მუსიკალური ნაწარმოებები ზაქარია ფალიაშვილის და მელიტონ ბალანჩივაძის მიერ. ვასილ ამაშუკელიც პირველ ქართულ სრულმეტრაჟიან ფილმს სწორედ ქუთაისში იღებს. ყალიბდება ”მუდმივი სცენა” და იწყება ქართული თეატრის ისტორია. ქართული თეატრალური ხელოვნების მექად ქუთაისი 1928-1930წლებში იქცა,როდესაც აქ მოღვაწეობდა დიდი რეფორმატორი და რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.მის მიერ დადგმული სპექტაკლები კ.გუცკოვის ”ურიელ აკოსტა”,შ.დადიანის ” კაკალ გულში”,ე. ტოლერის ”ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ” მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული თეატრის ისტორიაში.

იმერეთის ტურისტული პოტენციალი - იმერეთში 400-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომლებიც წარმართული, გვიან ანტიკური ხანიდან მოყოლებული ვიდრე მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ნათელ წარმოდგენას უქმნის სტუმარს ქართული თვითმყოფადი კულტურისა და ისტორიის შესახებ. იმერეთში განვითარებულია აღმოჩენითი და სათავგადასავლო ტურიზმის სახეები, სამთო ქვეითი, სამთო საცხენოსნო, სპელეო ტურიზმი, რაფტინგი მდინარე რიონზე, ეკო ტურიზმი, აგროტურიზმი, სამონადირეო ტურიზმი. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ქართული ტრადიციების, ღვინისა და სამზარეულოს ტურიზმი. იმერეთის რეგიონში ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციისათვის გაწეულმა მუშაობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, როგორც ორგანიზებული, ასევე არაორგანიზებული ტურისტების რაოდენობის ზრდას. მათ რაოდენობამ 2006 წელს 90.000, ხოლო 2007 წელს- 75,000 კაცი შეადგინა. აქედან 35 და 40 პროცენტი უცხოელი ვიზიტორები იყვნენ.

იმერეთის ტურისტული პროდუქტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები, კურორტები და საკურორტო ზონები წარმოადგენს. დღეს იმერთში 53 საკურორტო და

დასასვენებელი ბაზაა. მათ შორისაა წყალტუბო, ნუნისი, საირმე, სულორი, კვერეთი, საწირე, ზვარე, ამაღლება, რომელთაც სწორი მარკეტინგისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემთხვევაში აქვს პერსპექტივა გახდეს პოპულარული მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 2.1. გთავაზობთ იმერეთის რეგიონის კურორტებისა და დასასვენებელი ზონების ჩამონათვალს პროფილის მიხედვით[12].

ცხრილი 2.1.

იმერეთის რეგიონის კურორტები და დასასვენებელი ზონები

კურორტის დასახელება	**ადმინისტრაციული**	**კურორტის ტიპი**	**ზღვის დონიდან**	**მინიმალური წყლის ტიპი**	**პროფილი**
ამაღლება	ვანი	ბალნეოლოგიური	140მ I-2-ა	ნახშირმჟავა	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
სულორი	ვანი	ბალნეოლოგიური	200მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
ჭოკიანი	ვანი	ბალნეოლოგიური	80მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
გორმაღალა	სამტრედია	ბალნეოლოგიური	200მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური
სამტრედია	სამტრედია	ბალნეოლოგიური	25მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
ზეკარი	ბაღდათი	ბალნეოლოგიური	780მ II-1-გ	სულფიდური	ართროლოგიური
საირმე	ბაღდათი	ბალნეოლოგიური	95-მ II-1-გ	ნახშირმჟავა	უროლოგიური, გასტროენტეროლოგიური
	ხარაგაული	ბალნეოლოგი	600მ	ნახშირმჟავა	გასტროენტერო

ზვარე		ური	II-1-გ		ლოგიური
ნუნისი	ხარაგაული	ბალნეოლოგი ური	II-1-გ	სუსტად სულფიდური	დერმატოლოგიუ რი
საღანძილე	ხარაგაული	კ/ბ	1020მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური , ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
ხიდარი	ხარაგაული	კ/ბ	500მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური , ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
კვერეთი	საჩხერე	ბალნეოლოგი ური	750მ II-1-გ	სულფიდური	ართროლოგიური , ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
სიმონეთი	თერჯოლა	ბალნეოლოგი ური	I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური , ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
წყალტუბო	წყალტუბო	ბალნეოლოგი ური	95-120მ I-2-ა	რადონული, ქლორიდულ-სულფატური	ართროლოგიური , ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
გორდი	ხონი	კლიმატური	600მ II-1-ბ		პროფილაქტიკუ რი, პულმონოლოგიუ რი, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.)
კვალითი	ზესტაფონი	ბალნეოლოგი ური	320მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური , ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
ნიჩაბა	ზესტაფონი	ბალნეოლოგი ური	300მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური , ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური

სვირი	ზესტაფონი	ბალნეოლოგიური	300მ I-2-ა	სულფიდური	
პერევისა	ჭიათურა	კლიმატური	980მ II-1-გ		კარდეოლოგიური
ცირკვალი	ჭიათურა	კლიმატური	650მ II-1-გ		პროფილაქტიკური,
ხრეითის აბანო	ჭიათურა	კ/ბ	1150მ III-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
ზოდის აბანო	ჭიათურა	კ/ბ	650მ II-1-გ	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
საწირე	ტყიბული	კლიმატური	420მ I-2-ა		პროფილაქტიკური,
ხრესილი	ტყიბული	ბალნეოლოგიური	480მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
კურსები	ტყიბული	ბალნეოლოგიური	350მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.),

წყარო: ჭარხალაშვილი კ. გულუა გ. ქუთაისში ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის, ქუთაისი, 2010

ამრიგად, იმერეთის მხარეს, რომელიც წარმოდგენილია 10 საქალაქო დასახლებით, 3 დაბით (შორაპანი, კულაში, ხარაგაული), 529 სოფლითა და 12 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულით (მუნიციპალიტეტი) კულტურული მემკვიდრეობის ამოუწურავი რესურსი გააჩნია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა არ არის ათვისებული როგორც ტურისტული ობიექტი, არსებული სიტუაციის შესასწავლად ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა წინასწარი კვლევა, კვლევითი მეთოდების გამოყენებით, კერძოდ:

- **პირველადი ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი მეთოდი,** ინფორმაციის შეგროვება ინტერნეტის მეშვეობით, ინტერნეტრესურსის გადასინჯვა და ანალიზი.
- **საველე მეთოდი (სოციოლოგიური) --კვლევის ობიექტთან კავშირის ერთერთი ხერხი,** ე.წ. პირადი ინტერვიუები, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური. ზოგი ინტერვიუ გრძელდებოდა 5/10წთ, 15/20წთ ან უფრო მეტი. კვლევის ობიექტი იყო:

  1. ***იმერეთის 5 ეპარქია (22 ეკლესია-მონასტერი),*** გასაუბრება მიმდინარეობდა ეკლესია-მონასტრების მონაზვნებთან, მოძღვრებთან, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან.

  2. ***დაცული ტერიტორია „აჯამეთის ადკვეთილი"*** (ყოფილი ნაკრძალი), პირადი და ჯგუფური ინტერვიუები რეინჯერებთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან.
- **გამოკითხვის მეთოდი,** როგორც პირველადი ინფორმაციის მოპოვების გავრცელებული ფორმა, მომზადდა ანკეტები, გამოკითხვის ფურცლები, სადაც მოცემული იყო შესაბამისი კითხვა-პასუხები ფიქსაციებით, სამიზნე ჯგუფებისათვის (სტუდენტები, ტურისტული სააგენტოები, უმაღლესი სასწავლებლები, სულ 350ცალი ანკეტა).
- **შერჩევის 2 მეთოდიდან გამოვიყენეთ არაალბათური (დეტერმინირებული) მეთოდის** ერთერთი სახე: „თოვლის გუნდის პრინციპით". თავდაპირველად შემთხვევითად ამოვირჩიეთ რესპონდენტთა საწყისი ჯგუფი, შემდეგ კი საწყისი ჯგუფის წევრებს ვთხოვეთ მოეძებნათ გამოკითხვის შესაფერისი კანდიდატები (მოეცათ საკონტაქტო ინფორმაცია) შემდეგ მათ მივმართეთ იგივე თხოვნით და ა. შ. შედეგად მივიღეთ თოვლის გუნდის ეფექტი, რომელიც თოვლში ტრიალისას იზრდება, ამგვარად მოხდა კვლევისათვის და შემდგომი ანალიზისათვის საჭირო მასალის მოძიება.
- **დაკვირვების მეთოდი,** კვლევის ობიექტი: წყალტუბოს მღვიმე, ამჟამინდელი პრომეთეს მღვიმე.
- **კაბინეტური კვლევის მეთოდი,** რომელიც ძირითადად მეორად ინფორმაციას იყენებს. მეორად ინფორმაციაში იგულისხმება მონაცემები, რომლებიც სადღაც, ოდესღაც, ვინმეს მიერ უკვე იყო

შეგროვებული და ხელახლა გამოიყენება, როგორიცაა: ყოველწლიური სტატისტიკური კრებული, კვლევითი ორგანიზაციების პუბლიკაციები, კვლევები და ა.შ.

- ქართულ და ინგლისურენოვანი ლიტერატურის გაცნობა და ანალიზი.
- განხილულ იქნა საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, კანონი კულტურის შესახებ, კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, ტურიზმის ქარტია, ნორმატიული და საერთაშორისო აქტები.

ჩატარებული კვლევების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ მრავალ ქართულენოვან სახელმძღვანელოებში, საერთაშორისო თუ ადგილობრივი კონფერენციების მასალებში, ტურისტული სააგენტოების მიერ შემოთავაზებულ ტურისტულ მარშუტებში ყოველთვის სახელდება ტურიზმის ისეთი მიმართულებები და სახეები როგორიცაა: აღმოჩენითი და სათავგადასავლო ტურიზმი, სამთო ქვეითი, სამთო საცხენოსნო, სპელეო ტურიზმი, რაფტინგი, ეკო ტურიზმი, აგროტურიზმი, სამონადირეო ტურიზმი, ქართული ტრადიციების, ღვინისა და სამზარეულოს ტურიზმი, კულტურული, რელიგიური ტურიზმი—მაგრამ იმერეთის რეალობაში არსად ვხვდებით მიმართულებას, როგორიცაა, კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი.

მიგვაჩნია, რომ იმერეთის გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ძეგლები, იმერული სტუმარმაპსპინძლობის ტრადიცია, ხელოვნება და კულტურა უნიკალური წინაპირობაა კულტურული მემკვიდროების ტურიზმის განვითარებისათვის. პირველად იმერეთის რეალობაში გთავაზობთ რეგიონში ტურიზმის განვითარების ახალ მიმართულებას, შემოგვაქვს ახალი ნიშა-- *„კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი"*, რომელიც თავისთავში მოიცავს ტურიზმის ისეთ სახეებსა და ტურებს, როგორიცაა: რელიგიური, სამუზეუმო, არქეოლოგიური, არქიტექტურული, სპელეო და კანიონ ტურიზმი. რამდენადაც კულტურული მემკვიდრეობა აერთიანებს როგორც, მატერიალურ (ისტორიული, ხუროთმოძღვრული ძეგლები), ისე არამატერიალურ (ხალხური შემოქმედება, ენა, აღმსარებლობა, ტრადიციები, წეს–ჩვეულება) ფასეულობებს, შევეცადეთ კვლევითი მეთოდების საშუალებით გამოგვეკვლია იმერეთის კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის ყველა პოტენციური რესურსი,

დაგვეჯგუფებინა შესაძლებლობები და გამოგვეყო ტურიზმის სხვა მიმართულების მრავალფეროვანი სახეები.

დაგეგმილი თემატური მარშრუტები და ექსკლუზიური ტურები საშუალებას მისცემს იმერეთში მოქმედ ტურისტულ საგენტოებს გაამრავალფეროვნონ თავიანთი ტურები, სამიზნე ტურისტული ობიექტების აღწერით, ფოტოგრაფირებითა და ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრის GPS ხელსაწყოს გამოყენებით უნდა შეძლონ აუთვისებელი ტურისტული რესურსების გამოყენება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს თემატურ ექსკლუზიურ მარშრუტებზე მოთხოვნის გაზრდას, ადგილობრივ და უცხოელ ტურისტთა ინტერესის გაღრმავებას, ყოველივე ეს, კი დადებითად იმოქმედებს შიდა ტურიზმის განვითარებაზე, შემოსავლების ზრდასა და რეგიონში მსგავსი ღონისძიებების სიცოცლხისუნარიანობის შენარჩუნებაზე.

სქემა 2.1-ში გთავაზობთ კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის მიმართულების ძირითად სახეებს, მომდევნო თავებში კი დეტალურად განვიხილავთ იმერეთის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის სამიზნე ობიექტებს, არსებულ რეალობას, პოტენციურ შესაძლებლობებსა და სამომავლო პერსპექტივებს (იხ. შქემა 2.1)

სქემა 2.1

კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი



წყარო: http://www.lifebeyondtourism.org/

თავი 2. 2. იმერეთის დაცული ტერიტორიები, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები

ცნობილია, რომ ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია დედაბუნების მიერ შექმნილი ბუნებრივი რესურსები: მიწა, ზღვა, ტბა, მდინარე, ლანდშაფტი, კლიმატი, ფლორა, ფაუნა, მღვიმეები, მინერალური წყლები და მრავალი სხვა, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში ტურისტული ნაკადების ზრდას და ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას უწყობს ხელს.

მსოფლიოში ტურიზმის განვითარებისათვის ბევრ ქვეყანას არ გააჩნია იმდენი თვითმომადლებული სიკეთე, რაც საქართველოშია, მაგალითად, ესპანეთში წყლის პრობლემაა, მაშინ, როცა, ჩვენთან 2400 მინერალური წყალია, კანარის კუნძულები ფეშენებელური ტურიზმის ცენტრია, მაგრამ ხე არ ხარობს, სასმელი წყალი არ არის, ისტორიულ-კულტურული ძეგლები არ გაჩნია, ისრაელში მკვდარი ზღვის ბალნეოცენტრი ერთი შეხედვით აოცებს ადამიანს, მაშინ, როცა საქართველოში უამრავი კურორტი და საკურორტო ზონა, დაცული ტერიტორიები და ისტორიულ-კულტურული ძეგლებია.

ბოლო 15 - 20 წლის განმავლობაში წინგამსწრები ტემპით ვითარდება ტურიზმი აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში 4%-ით, იმ დროს როცა ევროპაში, რომელიც ტურინდუსტრიის აკვანია, საკმაოდ შემცირდა ტურისტული ნაკადების ზრდის ტემპები 1%-ით, ასეთი ტენდენცია ქმნის ობიექტურ პირობებს რეგიონთა შორის კონკურენციისათვის, როცა ჩნდება ახალი ტურისტული ცენტრები საოცარი ფლორითა და ფაუნით, კულტურულ-ისტორიული ძეგლებითა თუ სხვა ატრაქციებით ტურისტული ნაკადებიც იქეთ ისწრაფვიან.

ასეთი ტენდენცია უკვე საქართველოშიც შეინიშნება, რასაც ადასტურებს ბოლო 5 წლის განმავლობაში ტურისტული ნაკადების 2,5-3-ჯერ გადიდება ძირითადად იმ რეგიონებში, რომლებიც მდიდარია ბუნებრივ-რეკრეაციული, ეკოლოგიურად სუფთა ადგილებითა და უამრავი კულტურული ძეგლებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნების დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს, ქმედით საშუალებას ბუნებრივი, ადამიანის ზემოქმედებით ნაკლებად შელახული ტერიტორიების დაცვა წარმოადგენს. ბუნების ცალკეული მონაკვეთებისა თუ

ობიექტების შენარჩუნების მაგალითები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან არის ცნობილი. იმ დროს (და ნაწილობრივ შემდგომაც) ბუნებრივი წარმონაქმნების გარკვეული სანახების დაცვა ძირითადად საზოგადოების რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდებოდა, მაგალითად ძველი ბერძნები, რომაელები და კელტები უმკაცრესად იცავდნენ „წმინდა ტყეებს". საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი საკანონმდებლო ჩანაწერები ტყეებისა და ბუნების დაცვის შესახებ XII საუკუნით თარიღდება, როდესაც თამარ მეფემ სამეფო ბრძანება გამოსცა ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად. XVII საუკუნეში ვახტანგ VI-ის "კანონთა კრებულში" ყორუღის ტერიტორია მოხსენიებულია, როგორც დაცვის ობიექტი, რომელსაც მცველები იცავდნენ. ამ ტერიტორიაზე აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა. მთიან რეგიონებში არსებობდა მკაცრი დაცვის ქვეშ მყოფი ეგრეთწოდებული "ხატის ტყეები", რომლებიც მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპურ ნაკრძალებს წარმოადგენდა.

პირველი ოფიციალური ნაკრძალი – ლაგოდეხის ნაკრძალი - დაარსდა 1912 წელს კახეთში, ლაგოდეხის ხეობაში. 1920-1930 წლებში დაცული ტერიტორიების რაოდენობა გაიზარდა. მაგრამ 1951 წელს ნაკრძალების უმეტესობა გაუქმდა. არსებული 28 ნაკრძალიდან მხოლოდ ერთი – ლაგოდეხის ნაკრძალი გადაურჩა ამ კამპანიას. 1957 წლიდან მოხდა ზოგიერთი ძველი ნაკრძალის აღდგენა, რის შედეგადაც შემდგომ პერიოდში საქართველოში არსებობდა 14 ნაკრძალი და 5 სატყეო-სამონადირეო მეურნეობა, რაც, შესაბამისად, საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 2.4%-ს შეადგენდა.

საბჭოთა პერიოდში დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა 1958 წლის კანონით ბუნების დაცვის შესახებ. თუმცა, დაცული ტერიტორიების სისტემა იმავდროულად შედიოდა სატყეო სექტორშიც, რაციწვევდა ინტერესთა შეუთახმებლობას ბუნების კონსერვაციასა და სატყეო სექტორებს შორის ყველა დონეზე (ადმინისტრაციული, საკანონმდებლო, მენეჯმენტის, გეგმარების და სხვა). ნაკრძალებში ნებისმიერი სახის ჩარევა კანონით იყო აკრძალული, თუმცა უმეტესობაში კანონი ირღვეოდა. ნაკრძალების დაარსებისას არ გამოიყენებოდა კომპლექსური მიდგომა. აქცენტი კეთდებოდა რომელიმე ერთი სახეობის დაცვაზე და ყურადღება არ ექცეოდა სხვა სახეობებსა და მთლიანად ეკოსისტემას, არ არსებობდა დაცული ტერიტორიების ერთიანი სამართლებრივი ბაზა. აქედან გამომდინარე, ნაკრძალების უმეტესობა დაბალი

ეკოლოგიური ეფექტურობით ხასიათდებოდა. გარდა ნაკრძალებისა და სატყეო-მეურნეობებისა დაცვის კიდევ ერთ ობიექტს წარმოადგენდა "საქართველოს სსრ წითელ წიგნში" შეტანილი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლები. ცოცხალი ბუნების ძეგლებს წარმოადგენდა დიდი ზომის და დიდხნოვანი ცალკეული ხე-მცენარეების მრავალსაუკუნოვანი ეგზემპლარები (მაგ. ჭალა მუხა – "ერისტოს მუხა" საგარეჯოს რ-ში, ასაკი 600 წელი; უთხოვარი – "ხე პატრიარქი" ახმეტის რ-ში და სხვა), სულ 30 ობიექტი. არაორგანული ბუნების ძეგლებს წარმოადგენდა კლდის სვეტები, მღვიმეები, ნამარხი მცენარეულობა, კანიონები და ხეობები, ვულკანური ფორმები და სხვა, სულ 77 ობიექტი. ნაწილი ამ ძეგლებისა მდებარეობდა უშუალოდ ნაკრძალების ტერიტორიაზე. ამ ძეგლების მენეჯმენტი არ ხდებოდა. თუმცა, ბუნების ძეგლების დაზიანებისა და ხელყოფისათვის შესაძლებელი იყო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაც. დაცული ტერიტორია ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომენების შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორიაა ან აკვატორია, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე. 1990 წლიდან საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით დაიწყო დაცული ტერიტორიების თანამედროვე დაგეგმვა და ჩამოყალიბება. შემუშავდა საქართველოს დაცული ტერიტორიების სივრცითი სტრუქტურის განვითარების პირველი სქემა, რაც საფუძვლად დაედო შემდგომ სამუშაოებს. 1995 წელს დაარსდა აღმოსავლეთ კავკასიონის, ივრის, კოლხეთის, აჭარა-იმერეთის, ცენტრალური კავკასიონისა და ერუშეთის, შავშეთისა და აფხაზეთის დაცული ტერიტორიების დაგეგმარების რეგიონები[52].

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", ეს კანონი ქმნიდა იურიდიულ საფუძველს დაცული ტერიტორიების დასაარსებლად, რომელთა დანიშნულებაა დაიცვას ქვეყნის ღირსშესანიშნავი ბუნებრივი გარემო და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა. შედეგად, საქართველოში დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ნორმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მათი ჩამოყალიბების პროცედურა, რომელიც კონსერვაციის მსოფლიო კავშირის (IUCN – The World Conservation Union) რეკომენდაციებს ემყარებოდა. ამ

კანონის მიხედვით საქართველოში შეიძლება არსებობდეს შემდეგი სახის დაცული ტერიტორიები:

- სახელმწიფო ნაკრძალი (მკაცრი დაცვა)
- ეროვნული პარკი (ეკოსისტემის კონსერვაცია და რეკრეაცია)
- ბუნების ძეგლი (ბუნების თავისებურებების კონსერვაცია)
- აღკვეთილი (შენარჩუნება აქტიური მართვის გზით)
- დაცული ლანდშაფტი (ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და რეკრეაცია)
- მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია --ბუნებრივი ეკოსისტემის მდგრადი გამოყენება.

დღეისათვის საქართველოში დაცული ტერიტორიების 5 კატეგორიაა წარმოდგენილი და მათი საერთო ფართობი 511 123 ჰა, რაც ჩვენი ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 7%-ია (იხ. რუკა 2.2 საქართველოს დაცული ტერიტორიები).

რუკა 2.2.



.წყარო: http://www.apa.gov.ge/index.php?site-id=39

დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75% ტყით არის დაფარული. აქედან, სახელმწიფო ნაკრძალების საერთო რაოდენობაა 14, რომელსაც უკავია – 141, 5 ათასი ჰა, 9 ეროვნული პარკის მიერ დაკავებულია 270, 7ათასი ჰა, 17 აღკვეთილს უკავია 64, 1ათასი ჰა, 14 ბუნების ძეგლს 314 ჰა და 2 დაცული ლანდშაფტი მოიცავს 34 , 5 ათას ჰექტარს[79].

რაც შეეხება იმერეთს, იგი წარმოდგენილია დაცული ტერიტორიების შემდეგი კატეგორიებით, როგორიცაა: აჯამეთის აღკვეთილი, სათაფლიას ნაკრძალი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი (მღვიმეები, კანიონები, ჩანჩქერები). 2007 წელს საქართველოს კანონით: **„იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ"** სათაფლიის ნაკრძალის ადმინისტრაციის ბაზაზე შეიქმნა იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები. ისინი კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს გეოლოგიურ, პალეონტოლოგიურ, სპელეოლოგიურ და ბოტანიკურ იშვიათობებს[7].

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 2.2 წარმოგიდგენთ იმერეთის რეგიონის დაცული ტერიტორიების ჩამონათვალს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.

ცხრილი 2.2

იმერეთის რეგიონის დაცული ტერიტორიები ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

დასახელება	**ადმინისტრაციული ერთეული**	**მანძილი ქალაქ ქუთაისიდან**
აჯამეთის აღკვეთილი	ბაღდათის რაიონი	12 კმ
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი	ხარაგაული	58 კმ
სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი	წყალტუბო	7კმ
ყუმისთავის მღვიმის ბუნების ძეგლი (პრომოთეს მღვიმე)	წყალტუბო	25კმ
თეთრა მღვიმის ბუნების ძეგლი	წყალტუბო	26კმ
ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი	წყალტუბო	20კმ

ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი	ტყიბულისა და თერჯოლის საზღვარი	58კმ
ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი	თერჯოლა, სოფელი ნავენახევი	20კმ
ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი	თერჯოლა, სოფელი გოდოგანი	18კმ
იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი	თერჯოლა, სოფელი გოდოგანი	4კმ
საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი	თერჯოლა, სოფელი გოდოგანი	12კმ
წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი	თერჯოლა, სოფელ გოდოგანის ხიდსა და გელათს შორის	5კმ
ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი	ხონი სოფელი კინჩხა	58კმ
ოკაცეს ჩანჩქერი ბუნების ძეგლი	ხონი, სოფელი კინჩხა	58კმ (200-300მ)

წყარო: დევიძე ე. ცაგარეიშვილი ს. იმერეთის დაცული ტერიტორიები, ქუთაისი, 2010

2010/2011წ ქ. ქუთაისში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში თუ რამდენად სმენია ან სტუმრობს საზოგადოება იმერეთის დაცულ ტერიტორიებს, ასეთი სახის შედეგი მივიღეთ, იხილეთ ცხრილი 2.3.

ცხრილი 2.3

იმერეთის დაცული ტერიტორიების შესახებ

	2010			2011		
დასახელება	სტუმრობს	სმენია ამის შესახებ	საერთოდ არ სმენია	სტუმრობს	სმენია ამის შესახებ	საერთოდ არ სმენია
აჯამეთის აღკვეთილი		X			X	
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი	X	X		X	X	
სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალი	X	X		X	X	
ყუმისთავის მღვიმის ბუნების ძეგლი	X	X		X	X	
თეთრა მღვიმის ბუნების ძეგლი			X			X
ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი			X			X
ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი		X			X	
ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი	X	X		X	X	
ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი			X			X
იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი			X			X
საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი			X			X
წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი			X			X
ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი			X		X	
ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი		X		X	X	

წყარო: დევიძე ე. ცაგარეიშვილი ს. იმერეთის დაცული ტერიტორიები, ქუთაისი, 2010

როგორც ჩატარებულმა გამოკითხვამ გვიჩვენა მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია (არ სტუმრობს) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შესახებ, იმავე გამოკვლევამ 2011 წელს იგივე სურათი

აჩვენა, ერთი გამონაკლისის გარდა, 2011 წელს ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლს ტურისტები სტუმრობენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილ 2.4 მოცემული ჩამონათვალი არ არის სრულყოფილი. იმერეთს დაცული ტერიტორიების კატეგორიების კიდევ უფრო მეტი რეალური, მაგრამ აუთვისებელი რესურსი გააჩნია, როგორიცაა:

სოლკოტას მღვიმე (წყალტუბო), სარყუმალის მღვიმე (წყალტუბო), საწურბლიას მღვიმე (ყუმისთავის ტერიტორიაზე, წყალტუბო), გუმბრას მღვიმე (წყალტუბო), სათევზიას მღვიმე (ხონი), დევისხვრელი (სოფელი ლაშე), საგვარჯილე (თერჯოლა), შვალიეთის მღვიმე (ყვირილას ხეობა), დარკვეთის ეხი, თარო კლდე, მღვიმევის მღვიმე, სამგლე კლდე, სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, სატობავის მღვიმე, საძროხიის მღვიმე, საჭინკიის მღვიმე (ჭიათურა)[7].

ვანის რაიონი მდიდარია ჯერ კიდევ შეუსწავლელი და ფართო საზოგადოებისათვის უცნობი მღვიმეებით. მაგალითად ბზვანის თემში 1985 წელს აღმოჩნდა კარსტული მღვიმე სიგრძით 1.2 კმ, რომლის მიკროკლიმატი, სტაბილური ტემპერატურა და ულამაზესი მიკროგარემო დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს,შექმნილი სურათის გამო სასურველი იქნებოდა დაცული ტერიტორიების კოორდინირებული მუშაობისა და ერთიანი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება, დაცული ტერიტორიების სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნა, მოსახლეობის ინფორმირებულობა და რეკლამირება. ცხადია, რომ ქალაქ ქუთაისის შემოგარენის მიწისქვეშა სამყარო ჯერ ბოლომდე გამოუკვლევია. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პროფესორ ლევან მარუაშვილის გაანგარიშებით, ქუთაისის შემოგარენში 1000-მდე წკვარამია (კარსტული ძაბრებისა და ჭების იმერული განმარტება—უფსკურლს, ქვესკნელს, ღრმა ორმოს ნიშნავს). მისივე ცნობით, კირქვების გაშიშვლებულ წყებაში, ქალაქის ჩრდილოეთით, კარსტს შეიძლება შევხვდეთ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. იმერეთი რთული გეოლოგიური აღნაგობის მქონე რეგიონია, შეიძლება ითქვას, ბუნებრივად არის გეოლოგიური მუზეუმი—წერს პროფესორი ოთარ ჩხეიძე თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „იმერეთის ფიზიკური გეოგრაფია”კარსტულ მღვიმეთა სიმრავლით საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. გამოვლენილია 1300 –ზე მეტი მიწისქვეშა ბუნებირვი ძეგლი, რომელთა საერთო სიგრძე 240 კმ-ს ხოლო ჯამური სიღრმე (აღმოჩენილი და დაფიქსირებული) 55 კმ-ს აღწევს. გარდა მღვიმეთა სიმრვალისა, ჩვენი ქვეყნის კარსტული რეგიონები

განსაკუთრებული თვისებებითაც გამოირჩევა. მაგალითად, სიღრმითი მაჩვენებლით საქართველო იმ მცირერიცხოან ქვეყნებს (მექსიკა, ინდონეზია, ინდოეთი, თურქეთი) შორისაა, რომელთა მთიან რეგიონებს სიღრმული ჩაღწევის (2 000 –ზე მეტი) განსაკუთრებული პერსპექტივები აქვთ. საგულისხმოა, რომ მსოფლიოს უღრმესი (1 000 მ-ზე მეტი) კარსტული უფსკურლების პირველი ათეულიდან სამი საქართველოშია. ესენია: ***კრუბერის სახელობის (2240მ) და სარმას (1543 მ) უფსკრულები არაბიკაზე და პანტიუინის სახელობის უფსკრული (1480მ) – ბზიფის ქედზე.*** პლანეტაზე გამოვლენილი და შესწავლილი ზეღრმა 62 უფსკრულიდან 6 საქართველოშია. მათ შორის კრუბერის მღვიმური სისტემა მსოფლიოში ყველაზე ღრმაა და 2 240 მ-ს აღწევს.სპელეოლოგია განიხილავს მღვიმეებს, როგორც რთულ ბუნებრივ წარმონაქმნებს, რომლებიც არსებობენ შეზღუდულ მიწისქვეშა სამყაროში. მათი ელემენტები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები და ამგვარად ქმნიან მიწისქვეშა ლანდშაფტს[3].

საქართველო მღვიმე-უფსკრულების ქვეყანაა. კარსტულ რელიეფს უკავია დაახლოებით საქართველოს ტერიტორიის 7 %. კარსტული რელიეფი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში და გადაჭიმულია კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ფსოუს ხეობიდან ერწოს ტბის მიდამოებამდე. ამ მონაკვეთზე კარსტული ზოლის სიგრძეა დაახლ. 320 კმ. მაქსიმალური სიგანე 30 კმ. დასავლეთ საქართველოს კარსტული ზოლი დანაწევრებულია მდინარეთა ხეობებით, სადაც გაბნეულია ათობით კარსტული მასივი. სპელეოტურიზმის განვითარებისათვის საკუთრივ იმერეთს კარსტული მღვიმეების უდიდესი პოტენციალი გააჩნია. სპელეოტურისტული პოტენციალის მახასიათებლებია;

- მღვიმეთა შესწავლილობა (როგორც აუცილებელი პირობა)
- მიმზიდველობა –ატრაქტულობა (ესთეტური ფაქტორი—საკუთრივ მღვიმის და კარსტული ფორმების მომხიბვლელობა, გარემოს მიმზიდველობა, შთაბეჭდილებების ნაირფეროვნება და სხვა)
- სამკურნალო თვისებები
- ექსტრემალური თვისებები (დასალაშქრი უფსკრულები, სიფონები, ჩანჩქერები, მიწისქვეშა ტბები)

- მდებარეობა (ტურისტულ-გეოგრაფიული მდებარეობა, ტურისტულ მარშუტებთან სიახლოვე, მისასვლელი გზების მდგომარეობა, გარემოს ხასიათი, დასახლებული პუნქტებიდან დაშორება, მღვიმეების მიღწევის ტექნიკური სირთულეები და სხვა)
- მღვიმეში შეღწევისა და გადაადგილების სირთულე
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა
- მღვიმური ლანდშაფტების დაცვის უზრუნველყოფის შესაძლებლობა
- კეთილმოწყობის სავარაუდო მასშტაბები
- რენტაბელობა (დანახარჯებისა და შემოსავლების ოპტიმალური შეთანაწყობა)

სამწუხაროდ, საქართველო ჯეროვნად ვერ იყენებს თავისი კარსტულ სიმდიდრეს. პირველ ყოვლისა ეს ეხება მათი ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებით გამოყენებას, არადა ბევრ ქვეყანაში მღვიმეები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ტურისტული ინდუსტრიისთვის. ტურიზმის ეს დარგი საქართველოში ასე თუ ისე განვითარებული იყო, მაგრამ, ბოლო ათწლეულებში იგი მნიშვნელოვნად დაზარალდა. მღვიმეები სერიოზულად დაზიანდა, ინფრასტრუქტურა მოიშალა, ხოლო რაც შემოგვრჩა თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს, რის გამოც ორგანიზებული ტურები მინიმუმამდე შემცირდა, გასაგებია, რომ ბოლო ათწლეულებში სპელეოტურისტული ინფრასტრუქტურის აღდგენისა და ამ პოტენციალის გამოყენების დრო და საშუალება ნაკლები იყო, მაგრამ ახლა ქვეყანაში შექმნილია ხელსაყრელი საინვესტიციო და სოციალური პირობები რათა სპელეორესურსები სრულად იქნეს ათვსიებული ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებისათვის. საჭიროა მღვიმეთა დაცულობის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს. ჟერ კიდევ გასული საუკუნის 70 იან წლებამდე საქართველოში აღრიცხული რამდენიმე ასეული მღვიმიდან ბუნების ძეგლად გამოცხადდა და სახელმწიფოს დაცვას დაექვემბდებარა 40-ამდე სპელეოობიექტი. სინამდვილეში მხოლოდ ათონის, სათაფლიას და წყალტუბოს მღვიმები იყო მეტნაკლებად დაცული და მოვლილი. დანარჩენი ობიექტები კი, რომელთაც სამეცნიერო-შემეცნებითი, კულტურული ისტორიული და ესთეტური მნიშვენლობა აქვთ, დღემდე უმეთვალყურეოდ არის დარჩენილი. აუცილებელია

ამ ძეგლების დახურვა და დაცვა კეთილმოწყობის სამუშაოების დაწყებამდე. საქართველოს სპელეოტურისტული პოტენციალის ამუშავების ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი სამუშაო გეოგრაფიულმა მეცნიერებმაც უნდა შეასრულოს, საჭიროა მენციერული კვლევების განვითარება ორი ძირითადი მიმართულებით:

1) უნდა აღდგეს და გააქტიურდეს სპელეოლოგიური კვლევები ამ სფეროში არსებული მეცნირეული ცოდნის გასაღრმაველბლად

2) განვითარდეს სპელოტურისტული მიმართულება ტურისტიკის, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერული დარგის ფარგლებში (სპელეო რესურსების კვლევა, რეკრეაციული პოტენციალის შეფასება, ეკოტევადობის დადგენა, მარშუტებისა და ტურების და დამუშავება, ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება და სხვა)

   სასურველი იქნება სპელეო რესურსები დაჯგუფდეს შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

   1. საერთაშორისო ტურისტული პოტენციალის მქონე ობიექტები
   2. შიდატურისტული პოტენციალის მქონე ობიექტები
   3. ლოკალური მნიშვნელობის მქონე ობიექტები[11].

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება უნდა ემსახურებოდეს თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას, რომელშიც დიდი წვლილი უნდა შეიტანოს სახელმწიფომ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტმა და იმავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელუხლებელი ბუნებისა და უძველესი კულტურის უმშვენიერესი სამყარო დაცული ტერიტორიების კატეგორიების სახით ძალზედ დიდი რესურსია რეგიონში ტურიზმის დარგის წარმატებული განვითარებისათვის, რაც თავის მხრივ დადებით ზეგავლენას იქონიებს არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში.რეკლამირებისა და აღიარების კარგი მენეჯმენტი კი ვიზიტორთა ინტერესს უდაოდ ზრდის, ამის მაჩვენებელია ქვემოთ მოყვანილი იმერეთის

სათაფლიისა და პრომეთეს მღვიმეთა კომპლექსის ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით (14.10.2011), იხილეთ დიაგრამა 2.1.

დიაგრამა 2.1.

2011 წლის სათაფლიისა და ყუმისთავის მღვიმეთა სტატისტიკა თვეების მიხედვით



წყარო: http://dpa.gov.ge/index.php?site-id=49&page=1&id=543

აქვე გთავაზობთ, ვიზიტორთა სტატისტიკას დაცული ტერიტორიების მიხედვით 2005-2011 წლებში, იხილეთ დიაგრამები 2.2 და 2.3.

დიაგრამა 2.2

ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოს დაცული ტერიტორიების მიხედვით 2011 წელს



წყარო: http://dpa.gov.ge/index.php?site-id=49&page=1&id=547

დიაგრამა 2.3

ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2005-2011 წლებში



წყარო: http://dpa.gov.ge/index.php?site-id=49&page=1&id=548

როგორც მოყვანილი დიაგრამებიდან ჩანს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა 2011 წლისათვის ყველაზე მაღალია, 2005 წელთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობა 2011 წელს გაიზარდა 52,5-ჯერ.ხოლო 2010 წელთან შედარებით 100 %-იანი ზრდა ფიქსირდება. 2011 წელს დაცულ ტერიტორიებზე 300 000 ვიზიტორიდან 53 000 უცხო ქვეყნის მოქალაქე (ისრაელი, გერმანია, პოლონეთი და ა შ.), 247 000 კი ადგილობრივი ვიზიტორი იყო, ტურისტების უმრავლესობა იმერეთის მღვიმეთა დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირდა - 152 000 ვიზიტორი.

ეროვნული პარკების განვითარების მიზნით 2011წელს დაცული ტერიტორიების სააგენტომ 10 მილიონ ლარამდე გრანტი მოიზიდა. დაცული ტერიტორიბის საგენტო 2012 წელს ტურისტებს შესთავაზებს ახალ ტურისტულ სერვისებს, როგორიცაა კანიონ ტურიზმი, ცხოველებზე დაკვირვების ტურები და ა შ. დაცული ტერიტორიების სააგენტო 2012 წელს 50 % ვიზიტორთა მატებას გეგმავს. იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია მღვიმეთა საერთაშორისო ასოციაციის ვებ–გვერდზე განთავსდა. ვიზიტორებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეუძლიათ, მიიღონ ინფორმაცია იმერეთის მღვიმეთა კომპლექსის ადგილმდებარეობის და მის შემადგენლობაში არსებული უნიკალური მღვიმეების შესახებ; აგრეთვე, დაათვლიერონ ფოტო–გალერეა და აღმოაჩინონ სათაფლიას მღვიმე მსოფლიოს რუკაზე. დღესდღეობით მღვიმეთა საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანებულია მსოფლიოს 22 ქვეყანა. ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო მღვიმეების განვითარებისა და კონსერვაციის ხელშეწყობა, მღვიმეთა ოპერატორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება და ინფორმაციის გაცვლის მეშვეობით საზოგადოების ცნობადობის ამაღლება[79].

უდაოდ დიდია დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა, თუმცა ბევრ ჩვენთაგანს, ბოლომდე გათვითცნობიერებული არა აქვს, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია მათ უშუალოდ ადამიანისათვის. ქვემოთ შემოგთავაზებთ სულ ცოტა 12 სარგებელს, რაც დაცულ ტერიტორიას შეუძლია საზოგადოებას მოუტანოს, კერძოდ, ესენია:

1. *წყალმარეგულირებელი მნიშვნელობა*—ბუნებრივი, ნაკლებად დარღვეული, მით უფრო დაურღვეველი მცენარეული საფარი მდინარეთა წყალშემკრებ აუზებში ერთგვარი „საშრობის' ფუნქციას ასრულებს—ახდენს ატმოსფერული ნალექების სახით ეკოსისტემაში შემოსული წყლის რეგულრებას, წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაედინება ნიადაგში, სადაც შეისრუტება მცენარეთა მიწისქვეშა ორგანოების მიერ, შესაბამისად, მიწისზედა ჩამონადენი ზომიერ მაჩვენებელს არ აჭარბებს, რაც რეგიონს ისეთი უარყოფითი მოვლენებისაგან იცავს, როგორიცაა წყალმოვარდნები, ღვარცოფები. დაურღვეველი ტყეები უმნიშვნელოვანეს ზვავსაწინააღმდეგო ფუნქციასაც ასრულებს.

2. ***ნიადაგის დაცვა*** – დაურღვეველ ან უმნიშვნელოდ დარღვეულ ეკოსისტემებში ბუნებრივი მცენარეული საფარი იცავს ნიადაგებს ჩამორეცხვისა და პროდუქტიულობის დაქვეითებისაგან, ნიადაგის 1სმ ფენის წარმოქმნას საუკუნეები სჭირდება, განდაგურება კი რამდენიმე წელიწადში შეიძლება.

3. ***კლიმატის სტაბილიზება*** – დაურღვევლი ეკოსისტემები, გარდა წყლის მარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი ფუნქციებისა, კლიმატის სტაბილიზატორის როლშიც გვევლინება, დაცულ რეგიონებში ყალიბდება უფრო რბილი კლიმატი, რომელიც არ ხასიათდება მკვეთრი სეზონური და დღეღამური კონტრასტებით და ხშირად კარგად გამოხატული სამკურნალო თვისებების მქონეა. შესაბამისად ასეთ რეგიონს მაღალი რეკრეაციული (საკურორტო) პოტენციალი გააჩნია.

4. ***ბიოლოგიური რესურესბის შენარჩუნება*** –ბუნებრვი ბიოლოგიური რესურსები მათი რაციონალური გამოყენებისას პროდქუტიულობას ინარჩუნებს

5. ***გენეტიკური რესურსების დაცვა***—ბუნებრივ პირობებში, დღესაც ალაგ-ალაგ შემონახულია მრავალფეორვანი გენოფონდი, დაცული ტერიტორიები გენეტიკური რესურსების ერთგვარ რეზერვუარად გვევლინება.

6. ***ტურიზმის განვითარება*** –იმ ადგილებში, სადაც დაცული ტერიტორიების შექმნა ტურიმზის განვითარებასაც ითვალისწინებს, ადგილობრივი ეკონომიკა საგრძნობლად ვითარდება. ქვეყნისათვის ტურიზმს მოაქვს მეტად მნიშვნელოვანი შემოსავალი, ხოლო ლოკალურ დონეზე, იგი ხელს უწყობს მომგებიანი მცირე ბიზნესის განვითარებას (საოჯახო სასტუმროები, კაფე-რესტორნები, სატრანსპორტო მომსახურება, სუვენირების თუ ხალხური რეწვის ნიმუშების წარმოება და სხვა.)

7. ***რეკრეაციული განვითარება***—ადგილობრივ მოსახლეობას დაცულ ტერიტორიებზე არსებული რეკრეაციული (საკურორტო-დასასვენებელი) პოტენცილი დიდ სარგებელს მოუტანს, დასასვენებელი სახლების, საერთოდ ამ საქმიანობისათვის აუცილებელი ობიექტების ამოქმედება რეგიონების ბიუჯეტს დიდად წაადგება,

8. ***სამუშაო ადგილების შექმნა*** – გარდა თვით დაცული ტერიტორიებისათვის საჭირო სამუშაო ადგილებისა და ადამიანური რესურსისა, როგორიცაა: ტყის მცველები, რეინჯერები, ექსკურსიამძღოლები, გამყოლები და სხვა, დამატებითი ადგილები შეიქმნება შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისას (გზებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ტურისტული თუ დასასვენებელი სახლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია და სხვა)

9. ***საგანმანათლებლო ფუნქციები*** – დაცული ტერიტორიები წარმოდეგნს იდეალურ ადგილს სკოლის მოსაწვლეებისა თუ სტუდენტების მიერ საველე პრაქტიკის გასავლელად ბიოლოგიაში, ეკოლოგიაში, გეოლოგიაში, გეორგაფიასა თუ სოციო-ეკონომიკურ დისციპლინებში. ამჟამად ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ხელშწყობით დაარსდა და უკვე ფუნქციონირებს ეკოლოგიური განათლების ცენტრი ყაზბეგში, ანალოგიური ცენტრები დაარსდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. დაცული ტერიტორიების რეგიონებში.

10. ***ჯანმრთელი და უსაფრთხო სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნება*** – სუფთა ჰაერი და წყალი, ქიმიური სასუქებითა თუ პესტიციდებით დაუბინძურებული საკვები პროდუქტები, ლამაზი ლანდშაფტი დაცული ტერიტორიების რეგიონების მოსახლეობის ჯანმრთელი ცხოვრების საწინადარია.

11. ***ტრადიციდული ფასეულობების შენარჩუნება*** – ტრადიციული მეურნეობის განვითარება თუ ხალხური რეწვის შენარჩუნება.

12. ***ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნება*** – ნაკრძალებში გამრავლებული ფრინველები თუ მწერები ხელს შეუწყობენ დაცული ტერიტორიების გარეთ მცენარეთა მტვრის გადატანას და ამით სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ მასზე შემონახულ ხელუხლებელ ბუნებასა და უძველესი კულტურის უმშვენიერეს სამყაროს, ახალ სამოგზაურო ადგილებს, რომელსაც თანამედროვე, განვითარებული ინფრასტრუქტურა ვიზიტორთათვის საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის.

დაცული ტერიტორიების პოტენციური რესურსის სრულყოფილი გამოყენება და აღიარება კი საშუალებას მოგვცემს სათანადო ადგილი დავიმკვიდროთ მსოფლიო ტურიზმის სივრცეში.

ასევე, აღსანიშნავია, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ 2007წ მიღებული გადაწყვეტილება- ხონის რაიონის სოფელ კინჩხის ოკაცეს კანიონი/ოკაცეს ჩანჩქერი ტურისტულ მარშრუტში შეიტანის თაობაზე. იგი სათაფლიის და ყუმისთავის ტურისტულ მონაკვეთში შევიდა.

ოკაცეს ჩანჩქერი --ერთსაფეხურიანი ჩანჩქერია, რომელიც კინჩხის ტაფობში ეშვება და ვიწრო კანიონის ფსკერზე გავლით, სოფელ გელავერის ახლოს, მდინარე ცხენისწყალს უერთდება. აქ წყალს ქანები აქვს გაჭრილი და ჩასაწოლ აბაზანებს აკეთებს. ალაგ-ალაგ, ოკაცე პატარა ტბებს ქმნის, მდინარის ქვევით, უფრო ღრმად 2-5 მ. სიგანის კლდოვან მასივია ე,წ. ანიონი, რომელიც 2 კილომეტრზეა გაჭიმული და ბუნების შედევრადაა მიჩნეული. როგორც ალექსანდრე ფაილოძე წიგნში “გორდი” ამბობს, სამეგრელოს სამთავროში მეფის რუსეთის წარმომაგდენელი კ. ბოროზდინი მოჯადოებული იყო ოკაცეს ჩანჩქერების სილამაზით. არსებობს მისი ჩანაწერი: “200 საჟენი კლდიდან გადმოჰქუხს მდინარე ოკაცე. შვეიცარიაში რომ ასეთი რამ გამოჩნდება, უმალ სანატორიუმები აივსება ტურისტების ფულებით, კავკასია კი, ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს თავის მშვენებას”-ო. სოფელ კინჩხაში ოკაცეს კანიონის უნიკალურობა მდგომარეობს მის საოცრად ღრმა და ვიწრო კანიონში. - სიგანე ზოგან 3-6 მ, როცა სიღრმე – 20 -100 მ მერყეობს. აქ რამოდენიმე ჩანჩქერი, (ერთ ერთის სიმაღლე 70მ.ია) მღვიმე და ტბაა.

მნიშვნელოვანია, ასევე წყალწითელას კანიონი, იგი სოფელ გოდოგანის ხიდსა და გელათს შორის მდებარეობს. მდინარე წყალწითელა სათავეს იღებს ნაქერალას ქედის სამხრეთ ფერდობიდან და ოკრიბის გორაკ-ბორცვიანი მხრიდან ერთვის მდინარე ყვირილას. მდინარის სიგრძე 40კმ-ია, მოწამეთას მონასტრიდან გოდოგანის ხიდამდე წყალწითელა მიედინება ცარცულ კირქვეში. მდინარის ამ ნაწილში შექმნილია ღრმა ხეობა, რომლის სიგრძე 7 კმ-ს უდრის, ხოლო სიგანე 50-150 მ-ს შორის ცვალებადობს. ხეობის ფერდობები ზოგან ციცაბოა და კლდოვანი, რომლებიც დაფარულია კოლხური ტიპის ტყით.აღსანიშნავია, ასევე, მდ.რიონის ხეობა (ქუთაისი-ზარათი), მდ.რუას ხეობა და სათაფლია, მდ.

ოღასყურას ხეობა, მდ.ხანისწყლის ხეობა, მდ. ჩხერიმელას ხეობა, მდ. ყვირილას ხეობა, მდ. სულორის ხეობა და ა.შ.

როგორც ვხედავთ, იმერეთს რეგიონს ხეობათა და კანიონთა დიდი პოტენციური რესურსი აქვს, მათ ტურისტულ ატრაქციად აღიარება კიდევ უფრო მეტი ტურისტის მოზიდვის წინაპირობა იქნება. არსებული პოტენციური რესურსების საფუძველზე ჩვენ თამამად შეიძლება გავიზიაროთ სხვა ქვეყნების გამოცდილება, მაგალითად, დიდი კანიონის ეროვნული პარკი (ingl. Grand Canyon National Park) — ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი ერთ-ერთი უძველესი ეროვნული პარკია არიზონის შტატში. პარკის ტერიტორია მოიცავს დიდი კანიონს და მდინარე კოლორადოს, ის ბუნების საოცრებადაა აღიარებული. დიდი კანიონის ეროვნული პარკის ფართობი შეადგენს 4 927 კმ -ს. დიდ კანიონს ყოველწლიურად მილიონობით ტურისტი ათვალიერებს. ტარდება ექსკურსიები თვითმფრინავითა და ვერტმფრენებით. კანიონი დასერილია მრავალი ვიწრო და განიერი ბილიკით. განვითარებულია საწყლოსნო ტურები. გახსნილია მუზეუმები, რომლებიც კანიონის გეოგრაფიულ და ისტორიულ ფაქტებს ასახავს. 1908 წლის 11 იანვარს, პრეზიდენტ ბენჯამინ ჰარისონის გადაწყვეტილებით ამ ადგილს მიენიჭა ეროვნული მონუმენტის სტატუსი, 1919 წელს კი დიდი კანიონს შეეცვალა სტატუსი და ის უკვე ეროვნულ პარკად იწოდებოდა. 1979 წელს იუნესკომ ეს ტერიტორია მსოფლიო მემკვიდრეობად აღიარა[7].

თავი 2.3. იმერეთის ეპარქიები და ეკლესია-მონასტრები, როგორც რელიგიური ტურიზმის განვითარების წინაპირობა

რელიგიური ტურიზმი ანუ მოგზაურობა რელიგიური მიზნებით, პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში, ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. რელიგიური ტურიზმი თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის შემადგენელი ნაწილია. ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, მეჩეთები, საკულტო ძეგლები და რელიგიის ისტორია ის მოტივაციებია, რის გამოც ხდება შესაბამისი ქვეყნებისა თუ რეგიონების მონახულება, განსაკუთრებით კი სპეციალური მოგზაურობები მომლოცველთათვის. საკულტო ნაგებობებს ნებისმიერი ტურისტული ქვეყანა განიხილავს, როგორც ტურისტულ ობიექტებს და იცავს მათ, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას. მაგალითად, საფრანგეთში ძეგლთა 60%ს სახელმწიფო იცავს და ეს ძეგლები ერთდროულად ითვლება, როგორც რელიგიურ, ისე ტურისტულ ობიექტებად. რელიგიური ტურიზმისადმი ინტერესი ბუნებრივი მოვლენაა საქართველოსთვისაც, იგი, როგორც სამოგზაურო ქვეყანა, ქრისტიანული სამყაროსათვის გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს. გარდა ამისა, ქართველებსაც გააჩნიათ ინტერესი მსოფლიოს ქრისტიანული ცენტრების მიმართ, რაზეც ქართველი მორწმუნეების მიერ ქრისტეშობას იერუსალიმსა და ბეთლემში ამ მიზნებით მოგზაურობა და დღესასწაულის გრანდიოზულად აღნიშვნაც მიუთითებს. ამ ღონისძიებების ორგანიზებამ დასაბამი მისცა ძველ ქართული სასულიერო ტრადიციის -- მომლოცველობის აღორძინებას. ისტორიულად საქართველოში არსებობდა წმინდა ადგილებში სალოცავად გამგზავრების ტრადიცია, რაზეც მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები მიუთითებს. ამავე მიზნებით საქართველოში მცხოვრები ებრაელები და სხვა ერის წარმომადგენლებიც ასევე მოგზაურობდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, 2009 წელს 922მლნ საერთაშორისო ტურისტიდან, დაახლოებით, 330მლნ მომლოცველი და რელიგიური მიზნებით იყო, რომელთაგან უმეტესობას ქრისტიანები, მუსლიმები და ბუდიზმის მიმდევრები წარმოადგენენ. მსოფლიოს რელიგიური ტურიზმის

ყველაზე პოპულარული ცენტრებიდან ტოკიო (იაპონია) ყოველწლიურად30 მლნ-ზე მეტ მომლოცველს მასპინძლობს, ვატიკანი 18 მლნ-ს, პარიზი (საფრანგეთი) 13 მლნ-ს, ინდოეთის დასავლეთის მთიანი მხარე 10 მლნ-ს, იერუსალიმი (ისრაელი) 1,5 მლნ-ს. მსოფლიოში ყველაზე მასიური რელიგიური ტურიზმი ჰაჯ პილიგრიმობა ყოველწლიურად იმართება მთავარ მუსულმანურ სიწმინდეებში მექა და მედინა (საუდი არაბეთი). დანიშნულების ადგილები ხშირ შემთხვევაში ის უძველესი სანახაობებია, რომლებსაც საიდუმლოებებით მოცული წარმოშობის ისტორია აქვთ, მაგალითად, როგორიცაა, პერუში მაჩუ-პიჩუ, ქრისტიანული ადგილები ბლექ მადონა (შავი მადონა) პოლონეთში და როსლინის სამლოცველო (შოტლანდიაში), პირამიდები ეგვიპტეში, სტოუნჰენჯი ინგლისში და ა.შ. პილიგრიმობას საუკუნოვანი ისტორია აქვს, თუმცა რელიგიური ტურიზმის პირველი საერთაშორისო კონფერენცია კვიპროსში მხოლოდ 2006 წელს გაიმართა. მას შემდეგ ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციამ რელიგიური ტურიზმი საბოლოოდ აღიარა დამოუკიდებელ სფეროდ

რელიგიური ტურიზმი მოგზაურობის ინდუსტრიის რამოდენიმე ასპექტს გულისხმობს, კერძოდ, ესენია:

- ***პილიგრიმობა*** (პილიგრიმი--წმინდა ადგილზე სალოცავად მიმავალი მორწმუნე, უცხო მგზავრი, მწირი, ბერი)მომლოცველობა (სალოცავად წასვლა) ქრისტიანობაში ანუ მომლოცველთა ტურიზმი დაკავშირებულია შემდეგ რელიგიურ ღონისძიებებთან: ეკლესია-მონასტრების და სხვა წმინდა ადგილების სალოცავად მონახულება, შრომითი საქმიანობა ამ ძეგლების აღდგენა-განახლების მიზნით ან კიდევ იგივე მიზნებით შემოწირებულობების შეგროვება. გავრცელებულია მომლოცველობა წმინდა მიწაზე მაცხოვრის საფლავისათვის თაყვანისცემის მიზნით. მართლმადიდებული რელიგიური წესების მიხედვით, ასეთი მოგზაურობები გრძელდება არანაკლებ ათი დღისა და ძირითადად ემთხვევა უმნიშვნელოვანეს რელიგიურ დღესასწაულებს.

- ***მისიონერთა მოგზაურობა***

- ***განდეგილობა (თავშესაფარი)***

- *მონასტრის მონახულება და სტუმრად დარჩენა*
- *რელიგიური თემატიკის საექსკურსიო ტურები,* როგორც წესი, ერთდღიანი ღონისძიებებია და მასში მონაწილეობას იღებენ, როგორც ასაკოვანი ტურისტები, ასევე სკოლის მოსწავლეები.
- *სპეციალიზებული ტურები* გათვლილია არანაკლებ სამდღიან მოგზაურობაზე და ითვალისწინებს წმინდა სალოცავებისა და სხვა ღირშესანიშნაობების მონახულებას. შესაძლებელია ზოგიერთი ასეთი ტურის ორგანიზაციისათვის საჭირო იყოს მონასტრის წინამძღვრის ნებართვა, რომ ექსკურსანტებს უფლება მიეცეს საექსკურსიო ობიექტის დასათვალიერებლად[29].

რელიგიური საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების დღიდან იქცევდა უცხოელთა დიდ ინტერესს, ამის კლასიკური მაგალითია, მითი არგონავტების შესახებ, რაც თავის მხრივ, ქვეყნის კულტურული მიღწევებითაც იყო ნაკრნახევი. რელიგიური ტურიზმის ჩამოყალიბება საქართველოში, სავარაუდოდ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად იკიდებს ფეხს და საბოლოოდ ალბათ ჩამოყალიბებულ ფორმას მიიღებს. ის, რაც ფართო მასებისათვის ინტერესის სფეროს მოიცავს და პირობითად შეიძლება ტურისტულ არეალშიც მოვაქციოთ, წმინდა წყლის რელიგიური ტერმინოლოგიით, მომლოცველობას აღნიშნავს, ამ მხრივ საქართველო, ქრისტეშობიდან მოყოლებული დღემდე, ერთ-ერთ პირველ და სავსებით სამართლიან ადგილს იკავებს რელიგიური ტურიზმის სფეროში, ისრაელისა თუ სხვა წმინდა ადგილების მოლოცვასთან ერთად, თუმცა ამ კუთხით ჩვენი ქვეყნის საფუძვლიანი გამოყენება, ტურისტულ კომპანიებთან ერთად რელიგიური ორგანიზაციების ჩარევით არის შესაძლებელი.

ანტიკური ხანის საბერნეთი და რომი თუკი დახვეწილი კოლონიებითა და გრანდიოზული თეატრონებით იპყრობენ დამთვალიერებელთა ყურადღებას როგორც ეგვიპტე უკვდავი პირამიდებით, საქართველო გამოირჩევა ეკლესია-მონასტრების სიმრავლითა და ხუროთმოძღვრების მაღალი დონით. ჩვენი ქვეყნის რელიგიური პოლიტიკა იმთავითვე რჯულშემწყნარებლობაზე იყო აგებული, რაც თავისთავად მრავალფეროვან რელიგიურ მოზაიკას ქმნიდა. რელიგიური ტურიზმის განვითარება მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს ორგანულ ნაწილად

იქცა, მაგ. აღდგომის დღესასწაულზე წმინდა მიწას ათასობით ტურისტი სტუმრობს, ისე, როგორც იტალიის ქალაქ ბარს, წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს, ამ მხრივ არც ჩვენი ქვეყანა არის გამონაკლისი. საქართველო—არაერთი სიწმინდის დამცველი ქვეყანა, მუდამ ექცეოდა უამრავი მორწმუნის ინტერესის სფეროში, მეტიც, მეზობელი სახელმწიფოების დამპყრობლური პოლიტიკის წყალობით, ქართულ ეკლესია-მონასტრებს ტურიზმის თვალსაზრისით თანაბრად იყენებენ თურქეთის თუ აზერბაიჯანის სახელმწიფოები, მხედველობაში გვაქვს, ტაო-კლარჯეთის გუმბათ ჩამოშლილი ტაძრები თუ ისტორიულ ჰერეთში არსებული არაერთი მიტოვებული ეკლესია. ტურისტებისათვის მიმზიდველი სიწმინდეები საქართველოს არაერთ კუთხეში გვხვდება, რაც, თავისთავად გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ, მსოფლიოში რელიგიური ტურიზმის განვითარება საქართველოს გათვალისწინების გარეშე ალბათ შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ოდითგანვე გამოდიოდა ძველი და ახალი აღთქმის სიწმინდეების დამცველად, სწორედ აქ დამკვიდრდა მაცხოვრის ხელთუქმნელი კვართი და მისი განსასვენებლი სვეტიცხოველია, ამიტომაც მას მხატვრულ ლიტერატურაში მეორე იერუსალიმს უწოდებენ. საქართველოში ეკლესია-მონასტრები, ისევე, როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, წარმოადგენდნენ არა მარტო რელიგიურ ცენტრებს, არამედ იმავდროულად –ძველი კულტურის კერებსაც, სადაც საფუძველი ეყრებოდა და საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა სწავლა-განათლება და კულტურის სხვა დარგები, იმერეთში ***გელათის მონასტერი*** XII საუკუნის დამდეგის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია, იგი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს, აქ არსებობდა შუა საუკუნეების ტიპის აკადემია, როგორც საერო-ფილოსოფიური მეცნიერების, ისე სასულიერო-საეკლესიო განათლების თვალსაჩინო კერა. იგი დაარსდა 1106 წელს გელათის მონასტერთან დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით. თანამედროვენი გელათის აკადემიას „ასუად ათინად“, „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად“ იხსენიებდნენ. მონასტერთან ფუნქციონირებდა აკადემია, სადაც მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, ფილოსოფოსები და ღვთისმეტყველები. გელათის მონასტერი საქართველოს მეფეების - ბაგრატიონების საძვალესაც წარმოადგენდა. XVI საუკუნიდან გელათი საეპისკოპოსო საყდარია. მონასტრის ცენტრალური ნაგებობაა ღმრთისმშობლის შობის სახელობის გუმბათიანი ეკლესია. მისი შიდა სივრცე დაფარულია სხვადასხვა დროის მხატვრობით. საკურთხევლის კონქს

ამკობს 1125-1130 წწ. შესრულებული ბრწყინვალე მოზაიკური კომპოზიცია - ფეხზე მდგომი ჩვილედი ღვთისმშობელი და მთავარანგელოზები. დასავლეთის სტოაში XII ს-ის ფრესკებია, რომლებზეც გამოსახულია მსოფლიო შვიდი საეკლესიო კრება. ტაძრის ძირითადი მხატვრობა XVI ს-ის II ნახევარშია შესრულებული. გელათის სამონასტრო ანსამბლში შემავალი ხუროთმოძღვრული ძეგლები XII-XIV საუკუნეებისაა: აკადემია, წმ. გიორგის ეკლესია, რომლის ინტერიერი XVI საუკუნეში მოიხატა, წმ. ნიკოლოზის ორსართულიანი ეკლესია და სამრეკლო, რომელიც ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. მონასტრის გალავანის სამხრეთ კარიბჭეში წმ. მეფე დავით აღმაშენებელია (1184-1225) დაკრძალული[135].

აღსანიშნავია, ***ნუნისის ღვთისმშობლის IX- XIს ეკლესია***, ნუნისის ეკლესიიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ტყის სიღრმეში მდებარეობს ადგილი, რომელსაც «ბერების კლდეს» ეძახიან. მის კომპლექსში შედის კლდეში გამოკვეთილი სამი გამოქვაბული, ლეგენდის თანახმად ნუნისის ღვთისმშობლის ტაძარი ოდითგან საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა «ბერების კლდეს». რამდენიმე წლის განმავლობაში აქ საძიებო სამუშაოებს აწარმოებდნენ «იბერიონთა საძმოს» წევრები, რომლის დროსაც ცხრა მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ლოდით ამოქოლილი შესასვლელი მიწისქვეშეთში და რომელიც, «იბერიონთა საძმოს» მტკიცებით, წინაპართა დატოვებულ საიდუმლოს უნდა წარმოადგენდეს. მათივე მტკიცებით ამ კლდის მიღმა დარბაზში დევს წიგნი, რომელიც სახარებაში მოხსენიებულია «ლაზარედ» და მზის შუქს ელოდება, რომ ნუნისი სამყაროს ცენტრია და აქ არის ნოეს კიდობანი. თუმცა ეს მოსაზრება ჯერ გამოკვლეული არ არის[132].

მოწამეთას სამონასტრო ანსამბლი მდებარეობს გელათის მონასტრის მახლობლად, მდინარე წყალწითელას ხეობაში. იგი აგებულია წმინდა ძმების დავით და კონსტანტინე მხეიძეების უკვდავსაყოფად. ისინი იყვნენ არაგვთა ერისთავები, რომლებიც VIII საუკუნეში შემოსეულ არაბთა ლაშქარს მცირე რაზმით თავგანწირულად შეებრძოლნენ, დიდი წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად, ვერ შეაჩერეს ურიცხვი მტერი და დამარცხდნენ. არაბთა სარდალმა მურვან ყრუმ, შეპყრობილ ერისთავებს ქრისტეს რწმენის უარყოფა მოსთხოვა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. განრისხებულმა მურვანმა დიდი ტანჯვა მიაყენა ძმებს, მაგრამ მათ საშინელი წამება ვაჟკაცურად აიტანეს და მოწამეთა

გვირგვინით შეიმოსნენ. დავითისა და კონსტანტინეს ნეშტი ამ ეკლესიაში ინახება. „მოწამეთობა, ორწიფობა, სახალხო-რელიგიური დღესასწაული’ იმერეთში. იმართება ყოველწლიურად მოწამეთას მონასტერში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხული არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს (VIII ს.) ხსენების დღეს, 15 ოქტომბერს. ასევე, აღსანიშნავია ბაგრატის ტაძარი, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა შესარჩევ კრიტერიმებს შორის-- IV კრიტერიუმის თანახმად, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილია 1994 წელს. "საკათედრო ტაძარი და მონასტერი განსზღვრავენ საქართველოს შუა საუკუნეების არქიტექტურის აყვავების ხანას[140].

ბაგრატის ტაძარი **X-XI სს.** მიჯნა, ერთიანი ქართული სახელმწიფოს სიმბოლო. მისი დამაარსებელია საქართველოს სამეფოს პირველი მეფე ბაგრატ III (978-1014) ბაგრატიონი. ტაძრის მშენებლობა, ფასადზე ამოკვეთილი წარწერის მიხედვით, დასრულდა 1003 წელს. ბაგრატის ტაძარი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობაა, რომლის გუმბათიც ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯს ეყრდნობოდა. მშენებლობის დამთავრებამდე ტაძარს სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი, ხოლო XI საუკუნის I ნახევარში სამხრეთიდან და დასავლეთიდან მდიდრულად მოჩუქურთმებული საზეიმო კარიბჭეები მიაშენეს. ბაგრატის ტაძრის აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის კედლებზე ამოკვეთილია სამშენებლო და მემორიალური წარწერები. ჩრდილოეთის სარკმელზე საქართველოში შემონახული უძველესი არაბული ციფრებია აღბეჭდილი. XVII ს-ის მიწურულს ტაძარი დამპყრობლებმა ააფეთქეს. მისი ნგრევა XVIII-XIX საუკუნეებშიც გრძელდებოდა. ბაგრატის ტაძრის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის კულტურული ნაშთები, მათ შორის IV საუკუნის ტაძრის ფრაგმენტები, 1003 წლის საკურთხევლის წინ მორთული იატაკი და სამეფო სამარხები[117]. ცხრილში 2.4 წარმოგიდგენთ იმერეთის რეგიონში ეპარქიების მიხედვით მოქმედ ეკლესია-მონასტრებს, რუკაზე 2.3 მოცემულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები. (იხ. რუკა 2.3)

რუკა 2.3



წყარო: http://orthodoxy.ge/

ცხრილში 2.4

იმერეთის ეპარქიები და ეკლესია-მონასტრები

ეპარქიები	ადგილმდებარეობა	ეკლესია-მონასტრები
ქუთაის-გაენათის ეპარქია	ქუთაისი, გელათი, მოწამეთა, სოფელიქვილიშორი, სოფელიზედამესხეთი, სოფელისორმონი	• გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტერი, • მოწამეთას წმიდა დავითისა და კონსტანტინეს მონასტერი, • ოღასყურას წმიდა თეკლას მონასტერი, • ქვილიშორის წმიდა გიორგის მონასტერი, • ზედა მესხეთის წმიდა ნინოს მონასტერი, • სორმონის წმიდა სამების მონასტერი
ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია	ჭიათურა, საჩხერე სოფელი მღვიმევი	• მღვიმევის ღვთისმშობლის შობის მონასტერი, • ჯრუჭის წმიდა გიორგის მონასტერი, • კაცხის სვეტის მამათა მონასტერი
ხონისა და სამტრედიის ეპარქია	ხონი, სოფელიმათხოჯი, სოფელიახალბედისეული	• მათხოჯის წმიდა ნინოს მონასტერი, • უძლოურის მაცხოვრის ამაღლების მონასტერი, • ხონის წმიდა საბა განწმედილის მონასტერი
ვანისა და ბაღდათის ეპარქია	ვანი, ბაღდათიმ სოფელი ობჩა	• ობჩის „ხოპის; წმიდა გიორგის მონასტერი, • ბაღდათის წმიდა თამარ მეფის მონასტერი, • ვანის ყოველთა ქართველთა წმინდათა მონასტერი

წყარო: დევიძე ე. იმერეთის ეპარქიები და ეკლესია-მონასტრები, ქუთაისი, 2010

ცხრილში წარმოდგენილი მოქმედი ეკლესია-მონასტრების გარდა იმერეთში მრავლადაა სხვადასხვა პერიოდში აგებული ეკლესიები და მონასტრები, რომლებიც მოიცავენ არაერთ სასწაულმოქმედ ადგილებსა და თქმულებებს. მდიდარი ისტორიული წარსული და განსაკუთრებით ქვეყნის რელიგიური

დანიშნულების ძეგლებისა და სიწმინდეების რაოდენობა და მათი მნიშვნელობა გვაძლევს იმედს, რომ ტურიზმში სწორად გატარებული პოლიტიკის შემთხვევაში, რაც გულისხმობს მომლოცველობისა და რელიგიური ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებასა და მართვას, ქვეყანა არა მხოლოდ შეძლებს მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული და მართმადიდებლური ტურისტული ცენტრის ადგილის დამკვიდრებას, არამედ როგორც მომლოცველებს, ისე ქვეყნის ყველა მოქალაქეს, შესაძლებლობა მიეცემათ სულიერად ამაღლდნენ და განიმტკიცონ რწმენა. მაშინ როდესაც, ეკონომიკური კრიზისის დროს ადამიანები ზოგავენ ნაღდ ფულს პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად და ამცირებენ დანაზოგებს დასვენებასა და მოგზაურობებისათვის, ტურიზმის მიმართულებათა შორის ყველაზე მდგრადი განვითარება აღინიშნება რელიგიურ ტურიზმისა და მომლოცველობაში. ნათელია, რომ იესო ქრისტეს ჯვარცმიდან დღემდე ადამიანთა სულებში მარად ცოცხლობს მაცდურისადმი მაცხოვრის მიმართვა: “არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით.”საქართველოში რელიგიური ფაქტორი ყოველ ეპოქასა და დროში უდიდეს როლს ასრულებდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, საქართველო არა მარტო მრავალეროვანი, არამედ მრავალრელიგიური ქვეყანაც არის. აქ ოდითგანვე მრავალი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა, რომლებიც თავიანთ სარწმუნოებას აღიარებდნენ. ბევრი რელიგიური კონფესია საქართველოში სწორედ შორეული პერიოდიდან იღებს სათავეს და დღემდე მოდის. იუდაიზმი დაკავშირებულია ებრაელთა მოსვლასა და დასახლებასთან საქართველოს ტერიტორიაზე. სომხურ-გრიგორიანული ეკლესია –სომხური მოსახლეობის არსებობასთან, ისლამი არაბთა ბატონობასთან და შემდეგ ამ რელიგიის მაღიარებელ ხალხების ცხოვრებასთან, კათოლიკობა ევროპის ინტერესთან საქართველოსადმი და კათოლიკე მისიონერებთან. აღსანიშნავია, რომ კომუნისტური მმართველობის დროინდელმა აკრძალვებმა თავისი ნეგატიური შედეგი გამოიღო. ხალხი აბსოლუტურად გაუცნობელი შეხვდა რწმენის თავისუფლებას. ამჟამად არსებულმა დიდმა ინტერესმა, უფრო ბევრმა რელიგიურმა ლიტერატურამ, წარმოშვა დიდი ინტერესი რელიგიური დღესასწაულებისა და სიწმინდეებისადმი. დღესდღეობით, იმერეთის რეგიონში არსებულ ყველა სალოცავში წირვა-ლოცვა და რიტუალები შეუზღუდავად სრულდება და უფრო მეტიც, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები დიდ

პატივს სცემენ ერთმანეთის რწმენას და მათ რელიგიურ დღესასწაულებს. თუმცა არის მრავალი ეკლესია-მონასტერი, რომელიც სათანადო ყურადღებას –აღდგენა-განახლებას საჭიროებს. რეგიონში რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ეფექტური სარეკლამო-პროპაგანდისტული კამპანიის წარმართვა მედიის სხვადასხვა საშუალებით. საქართველოს საპატრიარქო აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოსა და დეპარტამენტს შორის შეთანხმებას უკვე მოეწერა ხელი, რომლის მიხედვითაც რელიგიური ტურიზმის განვითარება იგეგმება. არსებობს გარკვეული პუნქტები, რომლებზეც ისინი შეთანხმდნენ. პროექტი უზრუნველყოფს, რომ მოხდება ინფორმაციისა და მონაცემთა ბაზის ურთიერთგაცვლა, ერთობლივად შედგება საინფორმაციო ბუკლეტები და საინფორმაციო გვერდი, დადგინდება მომლოცველთა ტურისტული მარშუტები. მომზადდება ვიდეო და აუდიო მასალები და შეიქმნება მომლოცველთა სახლები (ანუ მონასტერთან არსებული სასტუმროები). პროექტი ითვალისწინებს უცხოეთში ქართველ მომლოცველთა ერთობლივი ტურნეების განხორციელების ხელშეწყობას, უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის საგანმანათლებლო-გაცნობითი ტურების მოწყობას, ეკლესია მონასტრებთან ერთობლივი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების შექმნას და მათი საქმიანობის უზრუნველყოფას. გარდა ამისა, საქართველომ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სემინარში რელიგიური კონფესიების როლი მსოფლიო მემკვიდრეობის მართვაში. 2010 წლის 2-5 ნოემბერს, ქ.კიევში (უკრაინა) გაიმართა პირველი საერთაშორისო სემინარი სახელწოდებით „რელიგიური კონფესიების როლი მსოფლიო მემკვიდრეობის მართვაში", რომლის იდეა მდგომარეობდა მრგვალი მაგიდის გარშემო შეეკრიბა ყველა ის დაინტერესებული მხარე, რომელიც პასუხისმგებელია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებაზე. ღონისძიება ჩატარდა იუნესკოს და უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის ეგიდით. სემინარს ესწრებოდნენ სახელმწიფოებისა და რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები 18 ქვეყნიდან, ასევე კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის საერთაშორისო ცენტრის (ICCROM), ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს ეროვნული კომიტეტის (ICOMOS), გარემოს დაცვის ერთიანი კავშირის (IUCN) და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე პეტრე კანკავა და ამბა

ალავერდის მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე). სემინარის ფარგლებში შემუშავდა დოკუმენტი „მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ფარგლებში, რელიგიური მემკვიდრეობის შენარჩუნების კიევის სემინარის დადგენილება", რომელშიც მკაფიოდ განისაზღვრა რელიგიური კონფესიების ჩართულობის აუცილებლობა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და მართვის საკითხებში. აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად დაედება საკითხის უფრო ვრცელ განხილვას 2011 წელს, ბაჰრეინში დაგეგმილ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 35-ე სხდომაზე. მსგავსი ღონისძიებები დასტურია იმისა, რომ სახელმწიფო ზრუნავს კულტურულ-შემეცნებითი მემკვიდრეობა აიყვანოს უმაღლეს დონეზე, რაც საფუძვლიანი წინაპირობაა არა მარტო რეგიონებში, არამედ მთლიანად საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარებისა. მომლოცველობის საფუძველი და მოტივაციები კი ქართულ სინამდვილეში შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით ჩამოვაყალიბოთ:

1. მორწმუნის მოთხოვნილებაა ეზიაროს სიწმინდეებს, წმინდა ადგილები ახდენენ მორწმუნეებზე სასარგებლო და პოზიტიურ გავლენას. გარდა ამისა, ყველა მორწმუნეში არის სურვილი უმნიშვნელოვანესი რელიგიური ადგილების საკუთარო თვალით ხილვისა და მისგან მადლის მიღებისა.

2. მორწმუნეებს გააჩნიათ სულიერი სრულყოფის მოთხოვნა, ამიტომაც, ათასობით ადამიანი განურჩევლად ასაკისა, იღებს შვებას წმინდა სალოცავების მონახულებით, წმინდა ადგილების აურა, სიწყნარე და იქ არსებული წესრიგი საშუალებას აძლევს ადამიანებს მიუახლოვდეს ღმერთს და გაიმდიდროს საკუთარი სულიერება.

3. მორწმუნეები მომლოცველობის შედეგად იღებენ სულიერ საზრდოს და რჩევებს, საყოველთაოდ ცობილია დიდი რწმენის მქონე ადმიანების მიერ წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ მათი განკურნება და სულიერი გაჯანსაღების მიღწევა.

4. მომლოცველობა საუცხოო საშუალება რელიგიაში განათლების მისაღებად, წმინდა სალოცავები და რელიგიური ცხოვრება იძლევა პასუხს ყველაზე რთულ საკითხებზე, რაც აინტერესებს ახალგზრდობას. არაერთი შემთხვევა ყოფილა ადამიანის ნარკომანიის, ლოთობისა და

სხვა ცოდვებისაგან განთავისუფლებისა. ქრისტეს მოძღვრების სწავლა და შემეცნება ხდება არა მხოლოდ კითხვის მეშვეობით, არამედ რწმენით. სულიერი ამაღლება ხშირ შემთხვევაში სიწმინდეებთან სიახლოვით და მათგან გადმოსული მადლით ხდება.

5. მორწმუნენი ილტვიან წმინდა ადგილებში წმინდა ნაწილების და განსაკუთრებული ძალის მქონე ხატებისათვის პატივის მიგებას, ეს არის საუკეთესო საშუალება მიმე (უმრავლეს შემთხვევაში უმძიმესი), რეალური ცხოვრებიდან მოხდეს სიკეთის, სიყვარულის, ქრისტიანული ერთობის სამყაროში, რაც ყოველდღიურობაში დაბრუნებულ ადამიანს აძლევს ძალას გაუმკლავდეს ცხოვრების უკუღმართობას, მარტოობას და სხვა სოციალურ სიდუხჭირეს.

იმავდროულად, რელიგიური ტურების შეთავაზებისას, სასურველია გათვალისიწნებულ იქნას პოტენციურ ტურისტთა მისწრაფებები და მოთხოვნის შესაბამისად იქნას მიწოდებული საეკლესიო დღესასაწაულები, რომლებშიც შეძლებენ უშუალოდ ჩართვას. ქვემოთმოყვანილ ცხრილში 2.5 წარმოგიდგენთ საეკლესიო დღესასწაულებს[125].

ცხრილი 2.5

საეკლესიო დღესასწაულები

ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი - 11 (24) აპრილი	
ათორმეტთაგან მოძრავი დღესასწაულები	1. ბზობა - იესუქრისტესდიდებითშესვლაიერუსალიმში - 4 (17) აპრილი 2. ამაღლებაიესუქრისტესი - 20 მაისი (2 ივნისი) 3. სულთმოფენობა - სულიწმიდის გარდამოსვლა - 30 მაისი (12 ივნისი).
ათორმეტთაგან უძრავი დღესასწაულები	1.. განცხადება - იესუქრისტესნათლისღება - 6 (19) იანვარი 2. მირქმა - იესუქრისტესმიგებება - 2 (15) თებერვალი 3. ხარება - ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხარება - 25 მარტი (7 აპრილი)

	4. ფერისცვალება - იესუ ქრისტეს ფერისცვალება - 6 (19) აგვისტო 5. მარიამობა - ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინება - 15 (28) აგვისტო 6. ღმრთისმშობლობა - ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობა - 8 (21) სექტემბერი 7. ჯვართამაღლება - მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფე ლისა ჯვრისა - 14 (27) სექტემბერი 8. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანება - 21 ნოემბერი (4 დეკემბერი) 9. ქრისტეშობა - ხორციელად შობა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი - 25 დეკემბერი (7 იანვარი).
დიდი საეკლესიო დღესასწაულები	1.ხორცითა წინადაცვეთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, ხსენება წმ. ბასილი დიდისა - 1 (14) იანვარი 2. წმ. დედისაჩუენისამოციქულთასწორისანინოქართველთგანმანათ ლებელისა - 14 (27) იანვარიდა 19 მაისი (1 ივნისი) 3. წმ. ყოვლადქებულისამოციქულისაანდრიაპირველ წოდებულისა, საქართველოშიქრისტესპირველმქადაგებლისა - 29 აპრილი (12 მაისი) და 30 ნოემბერი (13 დეკემბერი) 4. იოანე ნათლისმცემლის შობა - 24 ივნისი (7 ივლისი) 5. თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი - 29 ივნისი (12 ივლისი) 6. სვეტიცხოვლობა (12 მოციქულის ხსენება) 30 ივნისი (13 ივლისი) 7. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა - 29 აგვისტო (11 სექტემბერი) 8. მცხეთობა - სვეტიცხოვლობა (დღესასწაული საუფლოისა კვართისა და მირონმდინარისა სუეტისა) - 1 (14) ოქტომბერი
გარდამავალი საეკლესიო დღესასწაულები	1. ღირ. შიომღვიმელისა - ყველიერისხუთშაბათი - 18 თებერვალი (3 მარტი) 2. დიდმოწ. თეოდორე ტირონისა - დიდი მარხვის I შაბათი - 27 თებერვალი (12 მარტი). 3. მართლმადიდებლობის ზეიმი - დიდი მარხვის I კვირიაკე - 28 თებერვალი (13 მარტი). 4. ღირ. გრიგოლ პალამასი - დიდი მარხვის II კვირიაკე - 7 (20) მარტი 5. ჯვრის თაყვანისცემის კვირიაკე - დიდი მარხვის III კვირიაკე - 14 (27 მარტი) 6. ღირ. იოანე სინელისა - დიდი მარხვის IV კვირიაკე - 21 მარტი (3 აპრილი) 7. ღირ. მარიამ მეგვიპტელისა - დიდი მარხვის V კვირიაკე - 28 მარტი (10 აპრილი) 8. მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება - ბზობის წინა შაბათი - 3 (16) აპრილი 9. მენელსაცხებლე დედათა და კეთილმორწმუნე მეფე

	თამარისა - აღდგომიდან III კვირიაკე - 25 აპრილი (8 მაისი) 10. მართალი ტაბითასი - აღდგომიდან IV კვირიაკე - 2 (15) მაისი 11. ღირ. დოდო გარეჯელისა - ამაღლების შემდეგი ოთხშაბათი - 26 მაისი (8 ივნისი) 12. ღირ. დავით გარეჯელისა - ამაღლების შემდეგი ხუთშაბათი - 27 მაისი (9 ივნისი) 13. მცხეთის ჯვრის დღესასწაული - სულთმოფენობის შემდეგი ოთხშაბათი - 2 (15) ივნისი 14. ყოველთა წმიდათა - სულთმოფენობის შემდეგი კვირიაკე - 6 (19) ივნისი
კათოლიკე მარხვები	1. დიდი მარხვა - 22 თებერვლიდან - (7 მარტიდან) - 10 (23) აპრილის ჩათვლით. 2. მოციქულთა (პეტრე-პავლობის) მარხვა - 7 (20) ივნისიდან - 28 ივნისის (11 ივლისის) ჩათვლით (22 დღე). 3. მიძინების (მარიამობის) მარხვა - 1 (14) აგვისტოდან - 14 (27) აგვისტოს ჩათვლით. 4. ქრისტეს შობის მარხვა - 15 (28) ნოემბრიდან - 24 დეკემბრის (2012 წლის 6 იანვრის) ჩათვლით
ერთდღიანი მარხვები	1. ყოველი შვიდეულის ოთხშაბათ-პარასკევი (გარდახსნილისა) 2. ნათლისღების წინადღე - 5 (18) იანვარი 3. იოანე ნათლისმცემლისთავის კვეთის დღე - 29 აგვ. (11 სექ.) 4. ჯვრის ამაღლების დღე - 14 (27) სექტემბერი
ხსნილი მსგეფსები	1. შობიდან ნათლისღებამდე - 25 დეკემბრიდან (7 იანვრიდან) - 4 (17) იანვრის ჩათვლით. 2. მეზვერისა და ფარისევლის შვიდეული - 1 (14) თებერვლიდან - 6 (19) თებერვლის ჩათვლით 3. ყველიერის შვიდეული - 14 (27) თებერვლიდან - 20 თებერვლის (5 მარტის) ჩათვლით (ხორცის გარეშე). 4. ბრწყინვალე შვიდეული - 11 (24) აპრილიდან - 17 (30) აპრილის ჩათვლით. 5. სულთმოფენობის შვიდეული - 30 მაისიდან (24 ივნისიდან) - 5 (18) ივნისის ჩათვლით
საეკლესიო სამახსოვრო დღეები	25 მარტი – საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისდღე (1917 წ.) 25 დეკემბერი – უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინტრონიზაციის დღე (1977 წ.). 2 აგვისტო – უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ანგელოზის დღე. 4 იანვარი - უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების დღე (1933 წ.).

წყარო: http://orthodoxy.ge/

რელიგიური ტურიზმი ქართულ სინამდვილეში მოტივირებულია

- ქრისტიანულ სიწმინდეებთან ზიარებით და მადლის მიღებით
- ღმერთთან მიახლოებისა და საკუთარი სულიერების გამდიდრების სურვილით
- განკურნებით და სულიერი გაჯანსაღების მიღწევით
- რელიგიური განათლების მიღების შესაძლებლობით
- წმინდანაწილებისადაგანსაკუთრებულიძალისმქონეხატებისათვისპატივისმიგებისგზით
- ცხოვრებისსიძნელეებთანგასამკლავებლადძალისმოკრებისიმედით

სწორედ, რომ ჩამოთვლილ მომენტებს უნდა გაესვას ხაზი რელიგიური ტურიზმის მარკეტინგულ შეთავაზებაში და არა ტურისტული პროდუქტის მახასიათებლების აღწერას. ამ გზით შესაძლებელი გახდება პოტენციური ტურისტების აქტიურ ტურისტებად გადაქცევა.

თავი 2.4. მუზეუმების როლი კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში

მუზეუმი (ბერძ. ου ío[v] - მუზათა ტაძარი), როგორც წესი, საზოგადოების განვითარების სამსახურში მყოფი მუდმივი ინსტიტუტია და ღიაა ფართო საზოგადოებისთვის. მუზეუმი შესწავლის, განათლების მიზნით ან ვიზუალური სიამოვნებისთვის იძენს, ინახავს, იკვლევს და გამოჰფენს ადამიანთა შემოქმედებისა და მათი გარემოს აღმწერ ფაქტებზე არსებულ მნიშვნელოვან მასალას. მუზეუმები გალერიებისგან განსხვავებით, როგორც წესი, ფინანსური მოგებისთვის არ არსებობენ. მუზეუმი შეიძლება იყოს სამთავრობო, არასამთავრობო ან არა-მომგებიანი, და ასევე კერძო ან საოჯახო. თანამედროვე მუზეუმები გარკვეულ ობიექტზე არიან კონცეტრირებული, და მათი უმრავლესობა შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთს ეკუთვნის ხოლმე, როგორიცაა: სახვითი ხელოვნება, არქეოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ისტორია, კულტურის

ისტორია, მეცნიერება, ტექნოლოგია, ბუნებისმეტყველება. ამ კატეგორიებში შეიძლება უფრო სპეციალიზირებული მუზეუმები არსებობდეს, მაგ. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმები, ადგილობრივი ისტორიის, ავიაციის ისტორიის, სასოფლო-სამეურნეო ან გეოლოგიის მუზეუმები. მათში, როგორც წესი, არის გამოფენილი ან შენახული მოცემული სფეროს მნიშვნელოვანი ნიმუშები. ეს ნიმუშები კატეგორიზებულია და რეგისტრირებულია მუზეუმის კოლექციაში ნიმუშის ნომრით და მის წარმოშობასა და მნიშვნელობაზე დეტალური ჩანაწერი არსებობს. ღია-ცისქვეშა მუზეუმები აგროვებენ და თავიდან აგებენ ძველ შენობებს იმ დროისთვის შესაფერისი ბუნებრივი გარემოს შეხამებით. პირველი ასეთი გარე მუზეუმი იყო მეფე ოსკარ II-ის კოლექცია ოსლოსთან, ნორვეგია, რომელიც 1881 წელს გაიხსნა. 1891 წელს ართურ ჰაზელიუსმა სტოკჰოლმთან დააფუძნა ცნობილი სკანსენი, რომელიც შემდგომში მოდელი გახდა ამგვარი გარე მუზეუმებისთვის ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში, მოგვიანებით კი დანარჩენ მსოფლიოში. გარე მუზეუმთა უმრავლესობა მდებარეობს ისეთ რეგიონებში, სადაც ისტორიულად ხის არქიტექტურა ბატონობდა, ამასთან ხის სტრუქტურების გადატანა შედარებით ადვილია მისი თავდაპირველი ღირებულების დაურღვევლად. საქართველოში ასეთი მუზეუმის მაგალითია თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი მდებარე ვაკის პარკში. შედარებით მოგვიანებით (პირველად საფრანგეთში) გაჩნდა ასევე ეკომუზეუმები. არსებობს ასევე მუზეუმ-ქალაქები (მაგ. მცხეთა) და ღია-ცისქვეშა მუზეუმები იმ ადგილას სადაც ადრე ისტორიული ქალაქები ფუქნციონირებდნენ. მაგ. ოლიმპიის არქეოლოგიური მუზეუმი ისტორიულ ქალაქ ოლიმპიის ადგილას საბერძნეთში. ზოგი მუზეუმი ახერხებს ისტორიული ქალაქების ნარჩენების შეგროვებას და მისგან ამ ქალაქის ფრაგმენტების ხელახლა აშენებას მუზეუმის ტერიტორიაზე. მაგ. პერგამონის მუზეუმი (ბერლინი) გერმანიაში. მუზეუმების როლი მნიშვნელოვანია კულტურულ მემკვიდრეობის ტურიზმში. არავინ დაობს იმ საკითხზე, რომ მუზეუმების გარეშე წარმოუდგენელია კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის სრულფასოვანი და სრულყოფილი არსებობა. მაგრამ, ასევე მნიშვნელოვანია ტურიზმის როლი მუზეუმების განვითარებაში და ის მონაცემები, თუ დამთვალიერებელთა რა პროცენტს შეადგენენ ტურისტები და რა შემოსავალი მოაქვს ტურიზმს მუზეუმებისათვის, მაგალითად 2009 წელს ავსტრიის მონაცემებით: ავსტრიაში (მოსახლეობა 8,5მლნ. ადამიანი) 399 მუზეუმია, რომელთაგან 204 სახელმწიფოა, ხოლო 195 კერძო, დაათვალიერა 11,6

მილიონმა ადამიანმა, რაც ტურისტების საერთო რაოდენობის 43% შეადგენს. ავსტრიის სტატისტიკის დეპარტამეტნის მონაცმეებით, დამთვალიერებელთა 44% მოდის ხელოვნების, ისტორიისა და არქეოლოგიურ მუზეუმებზე, ხოლო 42% რეგიონულ და თემატურ მუზეუმებზე. გერმანიაში (მოსახლეობა 82,5 მლნ ადამიანი), სადაც 6.175 მუზეუმი ფუნქციონირებს (შედარებისათვის – საქართველოში 150 მუზეუმია) 2006 წელს მუზეუმი დაათვალიერა 102,6 მილიონმა ვიზიტორმა. მატერიალური თვალსაზრისით ტურიზმს მუზეუმებისათვის შემოსავლის დიდი წვლილი შემოაქვთ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმები თითქმის ყველა ქვეყანაში სახელმწიფოსაგან იღებენ დახმარებას, ან სრულად მის დაფინანსებაზე არიან.

ტურისტული ორგანიზაციებისა და მუზეუმების ურთიერთობები ყველა ქვეყანაში განსხვავებული და ინდივიდუალურია, რაც დამოკიდებულია ქვეყნის კანონმდებლობაზე, საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების დონეზე, ურთიერთობების არსებულ ტრადიციებზე, ადმინისტარციულ სტრუქტურებზე და სხვა. საქართველოში, სადაც ტურიზმი ერთ უწყებაშია, ხოლო მუზეუმები სხვა უწყებების დაქვემდებარებაში, რა თქმა უნდა განსახვავებული მიდგომაა საჭირო. მუზეუმს, როგორც ინსტიტუციას, შეუძლია მენეჯმენტის მეშვეობით მიაღწიოს სამუზეუმო ბუმს, რისთვისაც საჭიროა ეფექტური რეაქციები, ბაზრის ცოდნა და როგორც ჰ. შპილმანი ამტკიცებს: „დღეს მუზეუმის დირექტორი მენეჯმენტის სრულყოფილად დაუფლების გარეშე—ანაქრონიზმია” (Spielmann, H. ,,Museums and Gallaires, Berlin, 1994) მისი აზრით მუზეუმის მენეჯერი დაკავებული უნდა იყოს შესყიდვებით (მხედველობაშია აუქციონზე ახალი ექსპონატების შეძენა), მშენებლობებით, პრეზენტაციებით, გამოფენებით, ისევე, როგორც დიდაქტიკით და პედაგოგიკით.

ადრეული მუზეუმები შეიქმნა, როგორც სამეფო ან საგვაროვნო კოლექციები, სადაც მათ მფლობელობაში მყოფი ხელოვნების ნიმუშები ან საუცხოო ნამუშევრები შედიოდა. ასეთ გამოფენებს საკვირველებათა ოთახებს ან საინტერესო საგანთა კაბინეტებს უწოდებდნენ. მუზეუმები ღიაა ხალხისათვის და, როგორც წესი, შემსვლელთათვის მცირე გადასახადი არსებობს. ზოგიერთ მუზეუმში პერმანენტულად ან გარკვეულ დღეებში (მაგ. კვირადღეს) შესვლა უფასოა. მუზეუმის ექსპონატები კოლექციაში სხვადასხვა საშუალებით ჩნდება. თავად მუზეუმმა ან მასთან ასოცირებულმა ინსიტუტმა შეიძლება ორგანიზება

გაუკეთოს ექსპედიციებს მუზეუმისათვის მეტი მასალის ან დოკუმენტაციის მოსაპოვებლად. უფრო ხშირად კი, მუზეუმები შეისყიდიან ექსპონატებს, გაცვლის საშუალებით ან კიდევ საჩუქრის სახით იღებენ მათ, მაგ. ანდერძით. იმპრესიონისტთა ხელოვნებით სპეციალიზებულმა მუზეუმმა შესაძლოა საჩუქრად კუბისტური ნამუშევარი მიიღოს, რაც არ ჯდება მუზეუმის გამოფენების ჩარჩოებში, თუმცა მას შეუძლია ეს ნამუშევარი გამოიყენოს საკუთარი გამოფენების ფოკუსის ნამუშევრის მიღებაში (მაგ. გაყიდვით, გაცვლით, და ა.შ.). დიდ მუზეუმებს ჰყავთ ე.წ. შესყიდვების განყოფილება, რომელთა სრული დატვირთვა ამგავრი სახის საქმიანობაა[20].

ხშირად მუზეუმები თანამშრომლობენ ერთმანეთთან ერთობლივი გამოფენების მოსაწყობად, ან საკუთარი გამოფენებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ექსპონატების სხვა მუზეუმებისგან სასესხებლად. ასეთი სპეციალური გამოფენები დროებითია და მასზე მოხვედრა გაცილებით ძვირია, ვინაიდან მუზეუმებს შორის ამგვარი გარიგებები გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ბოლო დროს ინტერნეტის სწრაფ განვითარებასთან ერთად გაჩნდა მუზეუმის ახალი ტიპი - ვირტუალური მუზეუმები. ამგვარ მუზეუმებში "გამოფენილი" ნამუშევრები ვირტუალურია, ხოლო მათ პატრონთა საკუთრებაში არცერთი ექსპონატი არ შედის. მუზეუმთა რაოდენობით წამყვანია ფინეთი. როგორც ამბობენ, ამ ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტი მუზეუმი მოდის ვინემ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. საქართველოში 150 მუზეუმია, 18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღედაა აღიარებული. საკუთრივ იმერეთის რეგიონი 28 მუზეუმითაა წარმოდგენილი. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი მიეკუთვნება საქართველოს ერთ-ერთ უმდიდრეს განძთსაცავს. მუზეუმში მოწყობილია სტაციონალური გამოფენა, რომელიც ასახავს იმერეთის მხარის ისტორიას ქვის ხანიდან თანამედროვეობამდე. ცალკე დარბაზში მოწყობილია ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლების გამოფენა თემაზე: "ქართული ოქრომჭედლობა X-XIX სს." მუზეუმში დაცული მასალებიდან უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ნუმიზმატიკური, პალეოგრაფიული და სხვა კოლექციები-ქართულიმატერიალური და სულიერი კულტურის ფასდაუდებელი ძეგლები. მუზეუმთან მოქმედებს მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სარესტავრაციო ლაბორატორია. 2012 წელს მუზეუმს

დაარსებიდან 100 წელი შესრულდება. დასავლეთ საქართველოში ეს არის ერთ-ერთი მთავარი და უძველესი სამეცნიერო-კულტურული დაწესებულება. სამუზეუმო რეფორმიდან გამომდინარე, მუზეუმის თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, სამეცნიერო ფუნქციების გაძლიერება და ახალი კადრების მოზიდვა წარმოადგენს. ამ მიმართულებით მუზეუმში გადაიდგა პირველი ნაბიჯები. 2009 წელს შეიქმნა მოხალისეთა (ვოლონტერთა) ცენტრი, რომელიც საუკეთესო საშუალებაა გამოცდილების მისაღებად, ცოდნის გასაღრმავებლად და ეროვნული საგანძურის გასაცნობად. მოხალისეები შეიძენენ მუზეუმში მუშაობის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, ჩაატარებენ ექსკურსიებს, მონაწილეობას მიიღებენ ახალ საგანმანთლებლო პროგრამებში, რომელიც ყველა განყოფილებაში არის შემუშავებული კოლექციების მიხედვით. ცენტრში გაერთიანებულია მაგისტრები და დოქტორანტები, რომლებიც ფლობენ უცხო ენას, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, მონაწილეობენ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებში. ცენტრი გამოსცემს ჟურნალს „ხიდი წარსულსა და მომავალს" შორის. მუზეუმი მჭიდროდ თანამშრომლობს სკოლებთან. მოსწავლეებსა და მასწავლებელებს საშუალება ეძლევათ მუზეუმის მასალები გამოიყენონ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში და უშუალო შეხება აქვთ წყაროებთან (ისტორიის, არქეოლოგიის, ლიტერატურის, ხელოვნების და სხვ.) აქ დაცულია 200 ათასზე მეტი სამუზეუმო ნივთი და ექსპონატი. ამჟამად საქართველოში სხვადასხვა პროფილის (ისტორიული, ხელოვნების, მემორიალური, ლიტერატურის და სხვა) და დაქვემდებარების 228 მუზეუმია. მათ შორის: თბილისში – 70 მუზეუმი, აჭარაში – 16, აფხაზეთში – 5 (გასაგებ მიზეზთა გამო, ინფორმაცია არ არის დაზუსტებული), გურიაში – 8, იმერეთში – 28, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 16, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში – 5, სამცხე-ჯავახეთში – 6, შიდა ქართლში – 15, ქვემო ქართლში – 10, მცხეთა-მთიანეთში – 10, კახეთში – 32).

ქვეყნის მუზეუმების 99% ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მათ შორის: 24 მუზეუმი (საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით) ფინანსდება უშუალოდ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან, 12 მუზეუმ-ნაკრძალი და 3 მუზეუმი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, 12 მუზეუმი – თბილისის მერიის, ხოლო

რეგიონებში არსებული მუზეუმები (არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსით) კი – ადგილობრივი მმართველობის ბიუჯეტიდან. კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამიდან სამინისტრო ახორციელებს მუზეუმების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს[94]. საკუთრივ იმერეთი წარმოდგენილია 28 მუზეუმით ქვემოთმოცემულ ცხრილში 2.6 წარმოგიდგენთ იმერეთის რეგიონის მუზეუმთა ჩამონათვალს, მუზეუმებში ექსპონანტების რაოდენობასა და ვიზიტორთა წლიურ რაოდენობის მითითებით.

ცხრილი 2.6

იმერეთის რეგიონის მუზეუმები

დასახელება	**მუზეუმის ტიპი**	**ექსპონანტების რაოდენობა**	**ვიზიტორთა წლიური რაოდენობა**
ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი	ისტორიული	200 000 მეტი	**4300**
დავითკაკაბაძისსახელობისქუთაისი სსახვითიხელოვნებისგალერეა	ხელოვნების	2838	**2600**
ქუთაისისისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი	ისტორიული		
ქუთაისის სპორტის მუზუემი	ისტორიული	1634	**220**
ქუთაისის დავით მხეიძის სახელობის ფოტო-კინო მატიანეს მუზეუმი	ხელოვნების	353	
ქუთაისის საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმი	ისტორიული	2153	**3373**
ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი (ბაღდათი)	მემორიალური	5600	**3000**
საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი	ისტორიული	4000 - ზემეტი	**5909**
გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი	მემორიალური	7885	**4297**
კორნელი კეკელიძის მემორიალური	მემორიალური		

მუზეუმი (ვანი)			
ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი (სამტრედია)	მემორიალური	5 386	**2500**
გიორგი ახვლედიანის სახელობის წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (წყალტუბო)	მხარეთმცოდნეობის	31819	**832**
გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმი (წყალტუბო)	მემორიალური	189	**210**
ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი (წყალტუბო)	მემორიალური	361	**421**
შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი (თერჯოლა)	მემორიალური	342	**120**
დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი (თერჯოლა)	მემორიალური	635	**1440**
ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	ისტორიული	16 292	**1000**
გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი (ჭიათურა)	მემორიალური	533	**200**
ალპინისტ და-ძმა ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი (ჭიათურა)	მემორიალური	279	**180**
საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	ისტორიული	10 862	**361**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი (საჩხერე)	მემორიალური	7294	**7924**
ხონის ისტორიული მუზეუმი	ისტორიული	20 404	**4020**
პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმი	მემორიალური	442	**625**
ირაკლი აბაშიძის სახლ-მუზეუმი (ხონი)	მემორიალური	280	**220**
ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	ისტორიული	8500	**278**
უშანგი ჩხეიძის სახლ - მუზეუმი (ზესტაფონი)	მემორიალური	250	**202**
ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი	ისტორიული	9535	**3210**
სოფლის ისტორიის მუზეუმი (ხარაგაული)	ისტორიული	**876**	

წყარო: http:// http://museum.ge/

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, იმერეთში 10 ისტორიული, 14 მემორიალური და 2 ხელოვნების მუზეემია, სადაც დაცული ექსპონატების საერთო რაოდენობა აღემატება 350 ათასს, ხოლო ვიზიტორთა საერთო რაოდენობა 28 ათასს.

ერთმუზეუმზეგაანგარიშებითდამთვალიერებელთასაერთორიცხვიარაღემატება კაცს, რაცმიუთითებს, იმას, რომ რეგიონის მუზეუმები აქტიურად არ არიან ჩაბმულნი ტურისტთა საექსკურსიო მარშრუტებში. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლიდან ქვეყანაში გამოცხადდა სამუზეუმო რეფორმა, რეგიონალ მუზეუმების დიდ ნაწილში ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაა – დაბალია ბიუჯეტი, შესაბამისად, მინიმალურიახელფასები, ადგილობრივი თვითმართველობა, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, ნაკლებ ყურადღებას აქცევს მუზეუმების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრას. ამ ეტაპზე განსაკუთრებით პრობლემურია მუზეუმების მატერიალური-ტექნიკური ბაზების საკითხი. ყველა მუზეუმის შენობა საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას, გამაგრება-აღდგენას, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას, ფონდსაცავებში ექსპონატთა დაცვისთვის საუკეთესო პირობების შექმნას, საგამოფენო სივრცეების მოწყობას ახალი სტანდარტებით, მუზეუმების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობას. ცხადია, მუზეუმის ხელმღვანელებთან ერთად გარკვეული მუშაობა უნდა ჩაატარონ იმერეთის რეგიონზე მომუშავე საქართველოს ტუროპერატორებმა, რათა აქტიურად იქნას გამოყენებული იმერეთის სამუზეუმო პოტენციალი. ყველა მუზეუმმა უნდა გაუხსნას კარი საზოგადოებას და გააუმჯობესოს მის ხელთ არსებული ინვენტარი (აპარატურა, ტექნიკა, სხვადასხვასაშუალებები) საზოგადოების საკეთილდღეოდ. ამით მუზეუმები უახლოვდებიან თავიანთ დამთვალიერებლებს და უღრმავებენ მათ უშუალო შეხებისა და მონაწილეობის შეგრძნებას, ჩვეული ცხოვრებიდან გადახვევის აუცილებლობის გარეშე. ამის მიღწევა შესაძლებელია მარკეტინგული თეორიების გამოყენების მეშვეობით, ერთ-ერთი ასეთი თეორია გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე საშუალების გამოყენებას გარკვეული სტრატეგიის განსახორციელებლად, ანუ უფრო მოკლედ ჩვენ ვსაუბრობთ ე.წ. „ოთხი –P-ს სტრატეგიაზე. ეს კომბინირებული საშუალებები ხელს უწყობს მუზეუმსა და დამთვალიერებელს შორის ურთიერთკავშირს, ის, რასაც მუზუემი სთავაზობს დამთვალიერებელს (პროდუქტი, პროდუქცია), როგორ ისტუმრებს მუზეუმი საკუთარ ხარჯებს (ფასი), მუზეუმის ადგილმდებარეობა (ადგილი), მუზეუმის „მესიჯის" არსი და საზოგადოებისათვის ამ მესიჯის გადაცემის საშუალებები (რეკლამა). ამ მარკეტინგული ერთობლიობის ფარგლებში ნებისმიერმა მუზუემმა უნდა მიღწიოს ბალანსს. მან უნდა შექმნას იმგვარი პროდუქცია ან მომსახურება, რომელიც დააკამყოფილებს ბაზრის მოთხოვნებსა და ინტერესებს. მის მიერ წარდგენილი პროდუქციის მიწოდების ფორმა. ფასმა

უნდა წარმოქმნას მოთხოვნა, იმავდროულად უმნიშვნელოვანესია ადგილმდებარეობა და გასაღების წერტილის ხელსაყრელი მდებარეობა. მან უნდა მოახდინოს თავისი მომსახურების რეკლამირება ბაზარზე

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის "თვინინგის" პროექტის მიზანი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციური გაძლიერებაა, რათა მან წარმოაჩინოს კულტურა, როგორც საქართველოს განვითარების მთავარი ელემენტი. პროექტი ეყრდნობაშემდეგ საკითხებს: მუზეუმის შენობების, საცავებისა და სახელოსნოების დაგეგმარება, პრევენციული კონსერვაციის ინსტრუქციების დახვეწა და ზოგადი სამუზეუმო სტანდარტების შემოღება. ერმანელი ექსპერტები თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებენ კონსულტაციების, სამუშაო ჯგუფებისა და სემინარების მეშვეობით. გარდა ამისა, სასწავლო ვიზიტები და სტაჟირებები ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებში ხელს შეუწყობს ქართველი კოლეგების ცოდნის გაღრმავებას. "თვინინგის" ეს პროექტი ეროვნული მნიშვნელობის მქონე ორი კულტურული დაწესებულების თანამშრომლობის უნიკალური შესაძლებლობაა. პროექტი, რომლის ხანგრძლივობა 27 თვეა, ოთხ კომპონენტად იყოფა. თითოეული მათგანი განხორციელდება ადგილობრივ დონეზე სხვდასხვა ღონისძიებების მეშვეობით.

კომპონენტი I "მხარდაჭერა რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრის შესაქმნელად". საქართველოს ეროვნული მუზეუმის რეორგანიზაციის გეგმა ითვალისწინებს რესტავრაცია-კონსარვაციის ახალი ცენტრის აშენებას. ერმანელი ექსპეტრები ქართველ სპეციალისტებს შემდეგ საკითხებში გაუწევენ კონსულტაციებს: სამშენებლო ანალიზი, მშენებლობის დაგეგმარება, შენობის არქიტექტურა, საცავების, სარესტავრაციო სახელოსნოებისა და კვლევითი ლაბორატორიების აღჭურვა.

კომპონენტი II "პრევენციული კონსერვაციის გაუმჯობესება". რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით გერმანული მხარე წარმოადგენს რეკომენდაციებს პრევენციული კონსერვაციისთვის. ქართველი სპეციალისტების სასწავლო ვიზიტის შემდეგ აღნიშნული რეკომენდაციები მომდევნო ეტაპზე გადაინაცვლებს–დაინერგება პრაქტიკაში და შეიქნება

სახლემძღვანელო. ხანგრძლივი სტაჟირება ბერლინში ქართველ ექსპერტებს საშუალებას მისცემს, უფრო გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა ამ სფეროში.

ომპონენტი III "კოლექციების გადატანის საცდელი პროექტი". საქართველოს ეროვნული მუზეუმი ხელოვნების მუზეუმისა და მისი საგამოფენო დარბაზებისა და საცავების მოდერნიზაციას აპირებს. შაცდელი პროექტი გულისხმობს ხელოვნების ნიმუშების გეგმურ საცავ-შენობაში გადატანის პროცედურების შემუშავებას აღმოსავლური კოლექციის მაგალითზე. შხვადასხვა ეტაპზე ქართველი და გერმანელი ექსპერტები აღწერენ სამუშაოს მოცულობას, შეიმუშავებენ დაგეგმარების პროცესს და ინსტრუქციებს კოლექციის გადასატანად, გადაიტანენ კოლექციას და შეაფასებენ ჩატარებულ სამუშაოს.

კომპონენტი IV "სტანდარტების კრებულის მომზადება და შერჩეულ მიმართულებაში მათი დანერგვა". ბერლინელი ექსპერტები საქართველოს ეროვნულ მუზეუმს დაეხმარებიან მუზეუმის სტანდარტების მიღებაში შემდეგ სფეროებში: საზოგადოებასთან ურთიერთობა, გამოფენები და ექსპონატების დროებით გადაცემა, სამართლებრივი ასპექტები და პარტნიორობის განვითარება, ადამიანური რესურსები და ფინანსური საკითხები. თავდაპირველად გადამუშავდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სტანდარტები. ქართველი ექსპერტების ბერლინში სტაჟირების შემდეგ შემუშავდება მომავალში გასატარებელი სტანდარტების პროექტი, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გერმანელ კოლეგებთან ერთად დაინერგება[94].

როვნული მუზეუმის დაარსება ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სტრუქტურული, ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო რეფორმების საწყისად მიიჩნევა. ღეფორმა თანამედროვე მენეჯმენტისა და ერთიანი ადმინისტრირების სისტემის დანერგვას ითვალისწინებს. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შემუშავებას. დაცულ კოლექციებში უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესებას სამუზეუმო სფეროს საგანმანათლებლო საქმანობის გაფართოებასა და აკადემიური და სამუზეუმო საქმიანობის კოორდინირებას.

თავი 2.5. არქეოლოგიური ძეგლები, როგორცარქეოლოგიურიტურიზმისგანვითარებისწინაპირობა

ტერმინი "არქეოლოგია" წერილობით წყაროებში პირველად პლატონის (ძვ. წ. 427-347 წწ.) "დიალოგებში" გვხვდება. აქ არქეოლოგია ფართო მნიშვნელობით იხმარება– საერთოდ ძველი ამბების გადმოსაცემად, ისტორიის აღსანიშნავად. Iს. ამ ტერმინს უფრო კონკრეტული მნიშვნელობა უჩნდება: არქეოლოგია, აღნიშნავს ამა თუ იმ ხალხის ისტორიის უძველეს პერიოდს. ასე მაგალითად, დიოდორე სიცილიელი (ძვ. წ. 80-29 წწ.) "ელინთა არქეოლოგიაში" გულისხმობს ბერძენთა უძველეს ისტორიას (ტროის ომამდე). დაახლოებით ასეთივე მნიშვნელობით ხმარობდნენ ამ ტერმინს სხვა ბერძენი მწერლებიც: სტრაბონი, დიონისე ჰალიკარნასელი, იოსებ ფლავიუსი. რომაულ მწერლობაში ძვ. წ. I ს. ბერძნული "არქეოლოგიის" შესატყვისია " სიძველეები" (Antiquitates).

არქეოლოგია – (არქეო – /ბერძნ. არცჰაიოს - ძველი/, რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, მიუთითებს მისი შემცველი სიტყვების კავშირს სიძველესთან. მაგ., არქეოგრაფია, არქეოლოგია, არქეოპტერიქსი) – მეცნიერება, რომელიც კაცობრიობის ისტორიულ წარსულს სწავლობს ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვით. არქეოლოგიური ძეგლები ერთადერთი წყაროა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიის უძველესი ნაწილის შესასწავლად. არქეოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს დამწერლობიანი ეპოქების ისტორიის შესასწავლადაც. არქეოლოგიური კვლევის შედეგები ავსებს და აზუსტებს წერილობითი წყაროების ცნობებს. არქეოლოგთა აღმოჩენილია თვით დამწერლობის უძველესი ძეგლებიც. ნივთიერი ძეგლების მოსაპოვებლად ტარდება არქეოლოგიური გათხრები, რასაც წინ უძღვის არქეოლოგიური დაზვერვა. განათხარი მასალის შესწავლისას არქეოლოგია ეყრდნობა ნივთიერი ძეგლების განსაზღვრისა და კლასიფიკაციის საკუთარ მეთოდებს. ამგვარი შესწავლის შემდეგ არქეოლოგიური ძეგლები ისტორიულ წყაროდ იქცევა[146].

არქეოლოგია საქართველოში XIX საუკუნეში ჩაისახა, თუმცა არქეოლოგიურ გათხრებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. არქეოლოგიურ ძეგლთა თავმოყრისა და შესწავლის ცდები დაკავშირებულია 1852 წელს დაარსებულ კავკასიის

მუზეუმთან (ამჟამად ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი) და 1873 წელს დ. ბაქრაძის ინიციატივით დაარსებულ კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებასთან. ადამიანის მიერ შექმნილი ნივთიერი კულტურის ძეგლები, არქეოლოგიური კვლევის საგანს წარმოადგენენ. არქეოლოგიურ ძეგლს განეკუთვნება ყველაფერი, რასაც ადამიანის არსებობისა და მოქმედების კვალი ატყვია. მაგალითად, ნამოსახლარები, ნასოფლარები, ნაქალაქარები, თავდასაცავი, საკულტო და სამეურნეო ნაგებობათა ნანგრევები, გზები, ხიდები, აბანოები, სარწყავი სისტემები, წყალსადენები და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, სამთო გამონამუშევრები, სამარხები, საბრძოლო და სამეურნეო იარაღ-საჭურველი, საყოფაცხოვრებო საგნები, ჭურჭელი, ტანსაცმელი, სამკაული, ხელოვნების ძეგლები, წარწერები, ადამიანის საოჯახო და სამეურნეო-სამრეწველო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები და სხვა.

იმერეთის რეგიონში, ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის მთავარი ღირსშესანიშნაობაა ანტიკური ნაქალაქარი, რომელიც 2007 წლის 24 ოქტომბრიდან შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. ანტიკურ ხანაში აქ მდებარეობდა ძველი კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელმაც აყვავებას მიაღწია ძვ. წ. III-I სს-ში. ვანში ქალაქური ტიპის დასახლება განვითარდა იმ უძველეს დასახლებათა საფუძველზე, რომელთა ნაშთები ახლა მრავლადაა ფიქსირებული ვანსა და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე (კეჭინარა, ციხესულორი, გორა, ბაგინეთი, ინაშაური, სულორი, ძულუხი, ბუღნარი, ბზვანი), აგრეთვე მის აღმოსავლეთითაც - ფერსათი, ზეკარი, ბაღდათი (იხ. რუკა 2.4)

რუკა 2.4

ვანის მუნიციპალიტეტი

წყარო: http://vani.org.ge/files/upload-file/photo/7.jpg

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული, ჯერჯერობით უძველესი არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებით თარიღდება და კერამიკული ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ძველი ანტიკური ხანის ვანის ნაქალაქარი განლაგებულია ქ. ვანის მიმდებარედ არსებულ ბორცვზე და მოიცავს დაახლოებით 8,5 ჰექტარ ფართობს. ვანის ქალაქობის პერიოდში 2 უმთავრესი ეტაპი გამოიყოფა:

1. **ძვ. წ. VI-IV სს.**
2. **ძვ. წ. III საუკუნის დასწყისი – ძვ. წ. I საუკუნის შუა წლები.**

პირველი ეტაპი წარმოდგენილია ხის საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობებით, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სამსხვერპლოებით, მრავალფეროვანი კერამიკული მასალის შემცველი კულტურული ფენებით და მდიდრული სამარხებით. ვანი წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის (სკეპტუხიის) ცენტრს და მმართველი ზედაფენის რეზიდენციას. ძვ. წ. III საუკუნიდან იწყება ახალი ეტაპი ვანის ძველი ქალაქის ისტორიაში. იგი ხდება დიდი სატაძრო ცენტრი. ამ პერიოდს განეკუთვნება გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძვ. წ. III საუკუნის გალავნის კედელი, კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, კონტრფორსებიანი ნაგებობა, მრგვალი ტაძარი, შვიდსაფეხურიანი საკურთხეველი და მრავალი სხვა.

ვანს, როგორც უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენების პოტენციურ წყაროს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიაქციეს ყურადღება. 1847-1848 წლებში საქართველოსა და კავკასიაში მოგზაურობდა ფრანგი ქართველოლოგი აკადემიკოსი მარი ბროსე. ქუთაისში ყოფნისას საპატიო სტუმრისათვის მიურთმევიათ მამაკაცის თავის ქანდაკება, რომელიც „საჩინოს" ერთ-ერთ საფლავში ყოფილა ნაპოვნი (სამწუხაროდ ქანდაკების ადგილმდებარეობა ამჟამად უცნობია). მარი ბროსეს აღწერით ქანდაკება იყო - „მამაკაცის ბიუსტი მხრების დასაწყისამდე, თმიანი და წვერიანი, არწივისებრი დიდი ცხვირითა და სარდონიკული სიცილით". ხოლო 1876 წელს ქართული გაზეთი "დროება" წერდა: "აქ ისე წვიმა არ მოვა, რომ არ ჩამოიტანოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწკვები, ხან ბეჭდები, ხან რა და ხან რა ნივთეულობა... დიდი სიმდიდრე უნდა იყოს ამ გორაზე..." სწორედ ამ სტატიის შემდეგ დაინტერესდა ექვთიმე თაყაიშვილი ვანით და 1896 წელს დაიწყო პირველი არქეოლოგიური

გათხრები ქალაქის ტერიტორიაზე, რომელმაც სისტემატიური ხასიათი 1947 წლიდან მიიღო.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმი 1985 წლის 25 სექტემბერს დაფუძნდა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ინიციატივით.1985 წლის 25 სექტემბერს. მუზეუმის გახსნას დაემთხვა შავიზღვისპირეთის პრობლემებისადმი მიძღვნილი მსოფლიო არქეოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ტარდება ყოველ მესამე წელს. მუზეუმში განთავსებულია სხდომათა დარბაზი, ბიბლიოთეკები, სარესტავრაციო და ფონდების განყოფილებები. ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება 1985 წლიდან ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის უმეტესობა. ვანში აღმოჩენილი მდიდრული სამარხების ინვენტარის საფუძველზე 1987 წელს მუზეუმში გაიხსნა ოქროს ფონდი, რომელშიც ინახება ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშები ვანის ნაქალაქარიდან. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიცია ასახავს ვანის ტერიტორიაზე არსებული კულტურის განვითარების პერიოდს ძვ. წ. VIII ს-დან I ს-ის ჩათვლით (ბრინჯაოს ქანდაკებები, მათი ცალკეული ფრაგმენტები, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობანი, ნუმიზმატიკის ნიმუშები)[115].

წარსული დიდების ამსახველი ისტორიული, არქეოლოგიური ძეგლებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წყალტუბოს მხარე და მისი შემოგარენი. აქ დასახლებულ ნაგებობებთან ერთად მრავლად გვხვდება სპელეოლოგიური ძეგლებიც (კრისტალური მღვიმეები და უფსკრულები), რომლებიც ხშირად ისტორიულ ძეგლებთან არიან შერწყმული ბუნებრივი და ხელოვნური სიმაგრეების კომპლექსებს ქმნიან. აქაური ციხე-კოშკები ზოგჯერ უშუალოდ მღვიმე უფსკრულებზეა დაშენებული, ერთმანეთთან დაკავშირებულია საიდუმლო გვირაბებით, რომლის წყალობითაც კიდევ უფრო გაზრდილია მათი სიმტკიცე. ამიტომაა, რომ ბევრმა ციხე-სიმაგრემ, როგორც ჩვენი წინაპრების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლომ, დღემდე მოიტანა ჩვენი სამშობლოს შორეული წარსულის ღრმა საიდუმლოებით მოცული მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

წყალტუბოსა და მის შემოგარენში განლაგებული ციხე-კოშკები (ხომულის, ქვილიშორის, ჩუნეშის, გვიშტიბის, მათხოჯის, გორდის, ღვედის, ნამაშევის, ცუცხვათის, დღნორისის და სხვა), ტაძრები თუ სხვა საკულტო ძეგლები, რომლებიც ერთმანეთს გადაჰყურებენ, საუცხოოდ არიან შეხამებული გარემო პირობებს და სტრატეგიულად შერჩეულ რელიეფში მოხერხებულად არიან ჩამჯდარი. როგორც არქეოლოგიურმა კვლევამ უჩვენა, აქაური სპელეოლოგიური ძეგლები, რომლებიც საოცარი სილამაზის კალციტოვანი ნაღვენთებითაა დამშვენებული, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, ადამიანის მიერ გამოყენებული ყოფილა მუდმივ საცხოვრებლად (ქვისა და ქვა სპილენძის ხანაში), ხოლო უფრო გვიან თავდასაცავად. ამაზე მიგვანიშნებს მღვიმეებში დაცული კულტურის ნაშთები და ქვის წყობით ამოხერგილი შესასვლელები, როგორც სპელეოლოგიური ძეგლი. სათაფლია და თეთრი მღვიმე ყოველდღიურად ასობით ადგილობრივ თუ ჩამოსულ ტურისტს ემსახურებოდა. ამ მხრვ დიდი პერსპექტივები აქვს სოფელ ყუმისთავში აღმოჩენილ უნიკალურ და უდიდეს კარსტულ მღვიმეს „წყალტუბოს“, სადაც კვლევით და კეთილმოწყობით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა მისი პირველი აღმომჩენი ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ თნამშრომელი ჯუმბერ ჯიშკარიანი.

ადამიანის ცხოვრების კვალი წყალტუბოს მრავალ მღვიმესა და ეხში დადგინდა. მაგრამ ყველაზე შედეგიანი მაინც თეთრი მღვიმე და საწურბლიას ეხი გამოდგა. ორივე სადგომი ადამიანს საცხოვრებლად ორჯერ გამოუყენებია, პირველ ზედა პალეოლითში (ძველი ქვის ხანა), 30-40 ათასი წლის წინათ და მეორედ - ქვა სპილენძის ხანაში, 7 ათასი წლის წინათ.

აღნიშნული ძეგლების ზედა პალეოლითურ (ძველი ქვის ხანის) ფენებში აღმოჩნდა მატერიალური კულტურის ნიშნები. მიკვლეული ნაშთების შესწავლის საფუძველზე დადგინდა იმდროინდელი ფლორა, ფაუნა და კლიმატური პირობები, როგორც არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, ადამიანი დიდ ადგილს უთმობდა სარიტუალო ცერემონიალს, იმ დროისათვის, უკვე ჩასახულია და ვითარდება ხელოვნება და რელიგია. თეთრა მღვიმეში ნაპოვნი იქნა კავკასიაში ყველაზე ადრეული იარაღი-სპილენძის ისრის პირი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-4 მე-5 ათასწლეულით თარიღდება. წყალტუბოს მხარეში ქვის ხანის კიდევ მრავალი ნამოსახლარი იქნა მიკვლეული (ხომული ქვაბა,

ფაცრისთვის, ზედა ქვილიშორის, შავგორას მღვიმეები). მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ნასოფლარ მელოურის აღმოჩენებმა. აქ გაითხარა ღია ტიპის მრავალფენიანი ნამოსახლარი, რომლითაც დადგინდა, რომ აქ ადამიანს უცხოვრია, როგორც ძველი ქვის ხანაში (აშელი, უსტიე). ისე ახალი ქვის ხანაში (ადრე ნეოლითი). ამდენად ჩანს, რომ ამ მხარეში უძველესი ისტორიის ორი საფეხურიდან (აშელი) მოყოლებული, დღემდე ცხოვრება არ შეწყვეტილა. ზემოთ აღწერილ უძველეს ნამოსახლარებს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წყალტუბოს ექსპედიცია 1974 წლიდან იკვლევდა. მოპოვებული მასალები, კამერალური დამუშავებისა და მეცნიერულ მიმოქცევაში შესვლის შემდგომ წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ბარდებოდა. 1986 წლიდან გათხრები გრძელდებოდა სოფელ ყუმისთავში მდებარე საწურბლიას ეხში. 1987 წელს წყალტუბოს ტერიტორიაზე კიდევ ახალი აღმოჩენები მოხდა. სახელდობრ, სოფელ მუხიანში გამოვლინდა ანტიკური ხანის სამაროვანი, ხოლო ქვედა მაღლაკში წინა ანტიკური ხანის ვრცელი ნამოსახლარი. სამწუხაროდ არასათანადო ყურადღების გამო, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოების დროს ორივე ძეგლი ზიანდება. ქვესამარხების არსებობა მუხიანში ორ ადგილზეა დაფიქსირებული. სამწუხაროდ, აქაც, პირველ სამაროვანზე შვიდი სამარხი ე.წ. მოყვარულების მიერ უნებართვოდ არის „გათხრილი“. ამოღებული მასალის ერთი ნაწილი სხვადასხვა დროს ბათუმის, ქუთაისისა და წყალტუბოს მუზეუმებში მოხვედრილა, ნაწილი კი დღემდე გაბნეულია[60].

ზემოთჩამოთვლილი ძეგლები ის უნიკალური არქივია, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ ვერ შეცვლის(A unique archive that can never be replaced). არქეოლოგიამ ადამიანები წარსულის საძიებლად მსოფლიოში სამოგზაუროდ გამოიწვია, ყოველწლიურად ათასობით ტურისტი ნახულობს პირამიდებს ეგვიპტეში, იმისათვის რომ, ტურიზმს გაუკეთდეს რეკლამა მექსიკის მთავრობა მილიონიბით პესოს ხარჯავს უძველესი ქალაქი თეოტიჰუაკანის აღსადგენად. უმეტესი პოპულარული ტურისტული პაკეტები საზღვარგარეთ მოიცავენ არქეოლოგიურ ტურებს. საქართველოში და კერძოდ იმერეთში არსებული რესურსი კი არქეოლოგიური ტურიზმის განვითარების საფუძველი უნდა იყოს[59].

არქეოლოგიური ტურიზმი, რომელსაც ზოგჯერ არქეოტურიზმით მოიხსენიებენ გახლავთ მოგზაურობა, რომელიც ფოკუსირებულია უძველესი ისტორიული ადგილების მონახულებაზე. ტურისტის/ვიზიტორის მთავარი

მოტივაციაა წარსულის წვდომა და უძველესი ისტორიული კულტურებისადმი ინტერესი. არქეოლოგიური ტურიზმი შეიძლება მოიცავდეს ვიზიტს მუზეუმებში, ისტორიული დანიშნულების ადგილებში, არქეოლოგიურ პარკებში, და უფრო მეტიც, ტრადიციულ ეროვნულ ცეკვებსა თუ ფესტივალებზე დასწრებას და ა.შ. არქეოლოგიური ტურიზმი მსოფლიოში არ გახლავთ ტურიზმის ახალი სახე, იგი დღესდღეობით ძალზედ პოპულარული გახდა, ყოველწლიურად ათასობით ტურისტი მოგზაურობს არქეოლოგიური ადგილების მოსანახულებლად, და ფაქტობრივად იგი გახდა შემოსავლიანი ბიზნესი. რისთვის გვჭირდება არქეოლოგიური ტურიზმი? აქ შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე ფაქტორი

- **ინტერესი**--წარსულის წვდომა, თავგადასავლები და აღმოჩენა
- **სახელმწიფო შემოსავლები** --არქეოლოგიური ტურიზმი შემოსავლიანი ბიზნესია. ტუროპერატორები, სახელმწიფო, ადგილობრივი თემი იღებს ტურიზმიდან შემოსავლებს (შესვლის დროს დაწესებული თანხა და ა.შ) ტურიზმი ასევე ეხმარება ლოკალურ ბიზნეს (სასტუმროები, რესტორნები, სუვენირის მაღაზიები) და ქმნის უამრავ სამუშაო ადგილს.
- **აღიარება/ცნობადობა** -პოპულარიზაცია, რეკლამირება არქეოლოგიური ადგილების, საზოგადოების ინფორმირებულობა იზიდავს გაცილებით მეტ ვიზიტორს/დამთვალიერებელს.
- **თემის (რეგიონის/რაიონის) განვითარება** --ადგილობრივი თემის ჩართულობა არქეოლოგიური ადგილების სიცოცხლიუნარიანობის შენარჩუნებაში, რაც თავის მხრივ ადგილობრივი რეგიონის ეკონომიკურ აღმავლობას განაპირობებს.
- **ტუროპრატორები და ტურისტები** --ტუროპერატორები (ფინანსურად) და ტურისტები (გამოცდილებას იღებენ) სარგებლობენ არქეოლოგიური ადგილების ვიზიტის დროს, კარგად დაგეგმილი ტური ზრდის ტურისტთა ინტერესს და ცნობიერებას.

აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური ტურიზმის განვითარებას თან ახლავს გარკვეული საფრთხეები, ეს შეიძლება იყოს:

- არქეოლოგიური ადგილების დაზიანება --ტურისტთა არაინფორმირებულობის შემთხვევაში შესაძლებელია დათვალიერების დროს დაზიანდეს გარემო. ამის მაგალითად ავიღოთ სტოუნჰენჯი, რომელიც დღესდღეობით შემოსაზღვრულია ღობით და ვიზიტორები ვერ ეხებიან ქვებს. უფრო მეტიც, ყოფილა შემთხვევები, როცა დესტინაციის ადგილი საერთოდ დაუხურავთ და შესვლა აკრძალულია ვიზიტორებისათვის, უამრავი გამოქვაბული ევროპაში (ლასკაუკსი, ალტამირა და ა.შ.) დაიხურა რათა თავიდან აეშორებინათ პრეისტორიული წარწერების/ ნახატების დაზიანება.

- ტურისტული დესტინაციის მზარდმა ინტერესმა, შესაძლოა ასევე გაზარდოს ვანდალური შემთხვევები (ძარცვა), კარგი მენეჯმენტის შემთხვევაში წინასწარ უნდა იქნას მიღებული უსაფრთხოების ზომები. ბევრ ქვეყანას აქვს მკაცრი კანონი, მაგრამ ხშირ შემთვევაში მიუხედავად მკაცრი კანონისა ვანდალიზმის ფაქტები მაინც ფიქსირდება და აქ უკვე ტუროეპრატორების, ვიზიტორების ვალია მონიტორინგი აწარმოონ.

- სამიზნე ვიზიტროთა ჯგუფი სწორად არ არის შერჩეული --თემატურობა (მისი ინტერპრეტაცია).

არქეოლოგიური ადგილები განხილულ უნდა იქნან, როგორც საერთო რესურსი – ჯერ ერთი, მას სარგებელი მოაქვს ყველასთვის (ზრდით) და მეორე, ყველას თავისი წვლილი შეაქვს ამ საერთო რესურსში. არქეოლოგიური ტურიზმის სახელმძღვანელო პრინციპები ასეთია:

- შევინაჩუნოთ და დავიცვათ არქეოლოგიური ძეგლი (არქეოლოგიური ადგილი უნდა პასუხობდეს ადეკუატურ ინფრასტრუქტურას და მზად იყოს ვიზიტორისათვის)

- არქეოლოგიური ადგილის მხარდაჭერის მცდელობა—უარყოფითად არ უნდა ვიმოქმედოთ არქეოლოგიური ადგილის შენარჩუნებაზე

- სამიზნე ჯგუფებმა უნდა მოინხულონ არქეოლგიური ადგილები

- მხარი უნდა დავუჭიროთ ადგილობრივი თემის ჩართულობას პროექტებში, რაც მიზნად ისახავს არქოლოგიური ადგილებისათვის ინვესტიციების მოზიდვას ან სხვა ღონისძიებებს.
- უნდა მივაწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია ვიზიტორს.

არქეოლოგიური ადგილების ვიზიტის დროს ტურისტმა სასურველია იცოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- მოსანახულებელი ადგილის/თემის კულტურული და ისტორიული ინფორმაციის ფლობა საბაზისო დონეზე .
- დადგენილი ქცევის წესები/ნორმების დაცვა
- ყურადღოს ტუროპერატორის თუ გიდის მითითებები
- ყურადღება მიაქციოს მინიშნებებს.

ტურისტს ეკრძალება:

- აცოცება, ჩამოჯდომა ან დგომა არქეოლოგიურ სტრუქტურებზე
- რაიმეს გადაადგილება, ის რაც ზედაპირიდან აიღე დააბრუნე იმავე ადგილზე (ნუ დაარღვევ წესებს)
- არასოდეს გადააბიჯო იმ ადგილებს, სადაც მიმდინარეობს გათხრები
- გაითვალისწინე ყოველი აკრძალვა
- ნუ დატოებ საკუთარ ნივთებს/ნუ დააბინძურებ გარემოს
- ვიზიტისას წააწყდებით თუ არა ვანდალურ გამოვლინებებს დაუყონებლივ აცნობეთ ამის შესახებ პასუხისმგებელ პირს, შესაძლოა მხოლოდ თქვენ ხართ ამ ფაქტის მომსწრე[144].

ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთაღნიშნული უფლება-მოვალეობანი, რომელიც მკაცრად უნდა დაიცვას ტურისტმა არქეოლოგიური ძეგლების მონახულებისას ხელს შეუწყობს იმერეთის კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიან და გრძელვადიანი განვითარების გეგმას.

თავი III. იმერეთის ტურიზმის პრობლემების გადაჭრის გზები და განვითარების პერსპექტივები

3.1. იმერეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალის შეფასება

საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს და აშკარა უპირატესობას ანიჭებს ბაზრის მოთხოვნის სტიმულირებას. ისეთი მაღალი ტურისტული და საკურორტო პოტენციალის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, იკვეთება ტურიზმის პრიორიტეტულობის შემდეგი კრიტერიუმები:

- ტურიზმის ექსპორტაბელურობის მაღალი დონე და აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლების ზრდაში მისი დიდი პოტენციალი;
- მოსახლეობის დასაქმების მასშტაბური შესაძლებლობა;
-რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების რეზერვების არსებობა (ამის შესაძლებლობას იძლევა ტურისტული პოტენციალის ბუნებრივ-გეოგრაფიული გაადგილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;
- ეკონომიკის სხვა დარგების (ტურიზმის მომიჯნავე დარგები) განვითარების სტიმულირება და სხვა.

უკანასკნელ წლებში კი აღინიშნება შემოსულ უცხოელ ტურისტთა ზრდის მკვეთრი ტენდენცია, თანამედროვე პირობებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მიმართულებებია:

- შემომყვანი ტურიზმის ხელშეწყობა და სტიმულირება
- შიდა ტურიზმის განვითარება
- კომპეტენტური კადრების მომზადება და გადამზადება
- ტურიზმის სახელმწიფო რეგულირება
- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაცია
- საქართველოს რეგიონების ტურისტული რესურსების პოპულარიზაცია

- რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გზით და ა.შ.

უდავოა, რომ საქართველოს შუაგულში - იმერეთში დაწყებულმა აღმშენებლობამ ახალი მასშტაბები გამოკვეთა ტურიზმის დარგის წარმატებული განვითარების საქმეში.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, 2007 წლის სექტემბერში, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ქუთაისის მეორე დედაქალაქად და ტურისტულ ქალაქად ჩამოყალიბებასთან.

სამშენებლო სამუშაოები 2007 წლის ნოემბრის თვეში დაიწყო. პროექტი რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველი ეტაპი სამეფო უბანს, თეთრი ხიდის მიმდებარე ტერიტორიას, ცისფერყანწელთა, წმინდა ნინოს, წერეთლისა და პუშკინის ქუჩებს (6ჰა), სულ 38 შენობას შეეხო. მათ შორის სრული, რეკონსტრუქცია–რეაბილიტაცია ჩაუტარდა 31 შენობას, აშენდა 7 ახალი ნაგებობა. განხორციელდა მიწისქვეშა სამუშაოები, შეიცვალა კომუნიკაცია, ელექტრო მომარაგების სადენები, ბუნებრივი აირის მილები, წყალგაყვანილობა, ქუჩები მოპირკეთდა ქვაფენილით, დამონტაჟდა თანამედროვე ტიპის განათება. ისტორიული უბნის იერსახის აღდგენა–რეაბილიტაცია განხორციელდა საარქივო მასალებზე დაყრდნობით. პროექტის ავტორია ჯგუფი „არქიტექტორები–ჯი“, პროექტის პირველი ეტაპის ღირებულებამ შეადგინა 18 მლნ დოლარი. სარეაბილიტაციო პროექტის მეორე ეტაპი მოიცავს აღმაშენებლის მოედანსა და მის მიმდებარე ტერიტორიას (ფალიაშვილისა და რუსთაველის ქუჩები).

აღდგენილია და რესტავრირებულია ისტორიულად და არქიტექტურულად მნიშვნელოვანი შენობები სარეაბილიტაციო უბანში: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პირველი საჯარო სკოლა; კინოთეატრი „რადიუმი“, კინოთეატრი „მონპლეზირი”, სასტუმრო „ორიენტი“, ოქროს ჩარდახი, ყოფილი სპორტული სკოლა, თეთრი ხიდი, თოჯინების თეატრი, წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზია – მესამე საჯარო სკოლა, ეროვნული ბანკის შენობა, ქუთაისის ოპერის თეატრი.

ქალაქის კოლორიტული იერსახის შენარჩუნებისათვის ისტორიული ხიდების – თეთრი, წითელი და ჯაჭვის ხიდების რეაბილიტაცია განხორციელდა. სავალ ნაწილებზე შეიცვალა არსებული ფილები, განახლდა რკინის კონსტრუქციები, ქუთაისის ხიდებს შორის უძველესია ჯაჭვის ხიდი, რომელიც მერვე საუკუნეში ლეონ მეფემ ააგო. სამივე ხიდის რეაბილიტაციის ღირებულება 240 000 ლარს შეადგენს. პროექტი ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდა[118].

ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, კიდევ უფრო იზრდება იმერეთის რეგიონის როლი ტურიზმის განვითარებაში, ყველასათვის ცნობილია იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაში შეტანილი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები: ბაგრატის ტაძრისა და გელათის სამონასტერო კომპლექსის მნიშვნელობა. რეგიონში ტურიზმის განვითარების სტიმულია საქართველოს კანონი იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ, რომელშიც დაცული ტერიტორიების 12 ძეგლია შეტანილი. რაც ექსტრემალური, ეკო და სპელეოტურიზმის განვითარების კარგ საშუალებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, ასევე სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალისა და წყალტუბოს (ყუმისთავის, პრომეთეს) კარსტული მღვიმის ტურისტული კომპლექსები.

2011 წლის 5 აპრილს ქუთაისში შეიქმნა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ქუთაისის მერიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. მისი მისიაა ხელი შეუწყოს ტურიზმის განვითარებას იმერეთის რეგიონში, შეასრულოს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია ტურისტსა და ტურისტულ სერვისებს შორის, ცენტრში შემოსულ ტურისტს მიაწოდოს სრული ინფორმაცია განთავსების, კვების, ტრანსპორტირების, ისტორიული ძეგლების, ეროვნული პარკებისა და სხვა ტურისტული ატრაქციების შესახებ. ანკეტირების საფუძველზე მოახდინოს იმერეთის რეგიონში არსებული და ახლადგახსნილი ტურისტული ინფრასტრუქტურის აღრიცხვა, აღწერა და ფოტომასალის მოძიება, რაც თავსდება შესაბმის ვებ-გვერდზე www.mygeorgia.ge/tourism. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს რეგიონში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის საერთო მონაცემთა ბაზაში მოხვედრას[78].

იმერეთის რეგიონს ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეაქვს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციას და ქ. ქუთაისის მერიას. ამასთანავე, აღსანიშნავია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტის ტურიზმის მიმართულების მიერ ჩატარებული ღონისძიებები, რაც დაკავშირებულია სტუდენტების პრაქტიკა-სტაჟირებასთან, დასაქმებასთან, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა და კონფერენციებში მონაწილეობასთან და ა.შ.

იმერეთის რეგიონსა და საერთოდ დასავლეთ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკურ, მათ შორის ტურიზმის განვითარებას, ხელს შეუწყობს სახელმწიფოს ხელდასხმით საქმიანი, კულტურული, სპორტული და სხვა ღონისძიებების სტაბილური დაგეგმვა-ჩატარება, როგორც ქუთაისში, ასევე რეგიონის სხვა ქალაქებში.

მიმდინარე ღონისძიებების მიუხედავად, იმერეთის რეგიონში ჩვენს მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე არაერთი პრობლემა გამოიკვეთა, რომლის მიხედვითაც გავაკეთეთSWOT ანალიზი და რასაც წარმოგიდგენთ ცხრილებში 3.1 და 3.2

ცხრილი 3.1

SWOTანალიზი (ტურიზმში არსებული ძლიერი და სუსტი მხარეები იმერეთის რეგიონში)

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• გეოგრაფიული მდებარეობა, ზომიერი კლიმატი • ისტორიულ-არქიტექტურული და კულტურული ძეგლები • ეპარქიები, ეკლესია-მონასტრები (სინაგოგები) • კურორტები (ბალნეოლოგიური და სამკურნალო წყლები) • მუზეუმები • დაცული ტერიტორიები • მთავრობის მხარდაჭერა (ახალი ინიციატივები, ინვესტიციები) • ჰიდრო რესურსები (წყაროს წყლები) • სატყეო და მიწის რესურსები • ლიტერატურა, ფოლკლორი, ტრადიციები • იმერული სამზარეულო • საზღვაო პროტებთან სიახლოვე • ეკოლოგიურად სუფთა	• აუთვისებელი ტურისტული რესურსები • ინფორმაციული ვაკუუმი • განუვითარებელი ინფრასტრუქტურა (მწყობრიდან გამოსული გზები, კომუნიკაციები და სხვა) • ენობრივი ბარიერი • ისტორიულ-არქიტექტურული და კულტურული ძეგლების დაუცველობის ხარისხი • სატრანსპორტო საშუალებების სიმცირე • მომსახურების დაბალი დონე • ფინანსური რესურსების სიმცირე • პროფესიული კადრების სიმცირე • რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის არარსებობა • ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ინვესტიციების მოზიდვისადმი ნაკლები ინტერესი • რეგიონში შემოსულ ვიზიტორთა და ტურისტთა აღურიცხაობა • რეგიონში ტურისტებიდან მიღებული შემოსავლების სტატისტიკის არარსებობა • განთავსების საშუალებების სიმცირე

სასოფლო პროდუქტი • არქეოლოგიური ძეგლები • არქიტექტურული ნაგებობანი • კარსტული მღვიმეები, კანიონები, ხეობები	• სუსტი მენეჯმენტი • ტურისტული პოტენციალის სრულად გამოუყენებლობა • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სერვისის უქონლობა • ინფრასტრუქტურული შეუსაბამობა ტურისტულ პოტენციალთან • რეგიონში რეგისტრირებულია 25-ამდე ტუროპერატორი და ტურსააგენტო, თუმცა ფუნქციონირებს მხოლოდ რამოდენიმე **რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი გარემო ფაქტორები, ასევე წარმოდგენილი გვაქვს როგორც, სუსტი მხარეები, კერძოდ:** **დემოგრაფიული გარემო** -- მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებზე ზემოქმედება (მოსახლეობის დაბერება, მიგრაცია, საგანმანათლებლო დონის შემცირება, ინფორმაციული ვაკუუმი და სხვა) **ეკონომიკური გარემო**--შექმნილმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ პირდაპირი ზეგავლენა იქონია მოსახლეობაზე (უმუშევრობა, შემოსავლების დონე, კრედიტებზე ვერ ხელმისაწვდომობა) **პოლიტიკური გარემო-** 1989 წლიდან დაწყებულმა პროცესებმა, საკუთარი წარმოების მოშლამ, მეწარმეობის განვითარების ხელისშეშლამ, მრეწველობისა და სოფლისმეურნეობის დანგრევამ რეგიონზე უარყოფითად იმოქმედა **ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემო** - ბუნებრივი რესურსების განუკითხავად განძარცვა, რეგიონის უნიკალური ჯიშის ტყეების (აჯამეთის აღკვეთილში --მუხის ხეები) განადგურება, უკანონო ჭრა, ენერგო რესურსის არ გამოყენება, ჯართის ჩასაბარებლად ხელოვნურად განძარცვული ქარხნები და ფაბრიკები

	და ა.შ. **სამეცნიერო-ტექნიკური გარემო** - ახალი ტექნოლოგიების არ არსებობა, სამეცნიერო- კვლევითი და საცდელი მეურნეობების მოშლა, კვალიფიციური კადრების სიმცირე, ენობრივი ბარიერი, **სოციალურ-კულტურული გარემო-** სახეცვლილი ფასეულობები, ადამიანთა ძირითადი შეხედულებები და ქცევის ნორმები, სოციალური დაყოფა, დომინანტი იყო „ძლიერის უფლება", ვიწრო ანგარებიანი ორიენტაცია

ბუნებრივია, რომ რეგიონის ტურისტული პოტენციურობის ადეკვატური უნდა იყოს შეთავაზებაც. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული ფირმების რიცხვი, რომლებიც ტურისტების მიღებაზე წარმატებით მუშაობენ, ათეულს არ აღემატება. მრავალ ხელისშემშლელ მიზეზთა შორის ქვემოთჩამოთვილი მიზეზების გათვალისწინებაა აუცილებელი:

- კულტურულიმემკვიდრეობის ტურიზმის ტურები მოიცავს, როგორც წესი, ერთხელ ამორჩეულ ობიექტებს და ასეთი ტური გადის რამდენიმე ტურისტული ფირმის მიერ გაკვალულ მარშრუტებზე. არავინ ცდილობს სიახლის შეტანას და ინოვაციური მეთოდების დანერგვას. უამრავი შთამბეჭდავი ძეგლი რჩება ტურისტული ფირმებისა და, შესაბამისად, ტურისტების ყურადღების გარეშე.
- სახელმწიფოარ არის დაკავებული ტუროპერატორებისათვის რეკომენდაციების გაცემით, მათთვის ძეგლების ნუსხის შედგენითა და მათი ინფორმაციული უზრუნველყოფით. არ არის კავშირი სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის.
- ნაწილობრივ ხდება ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია (მარკირება). პრაქტიკულად არარსებობს არც სახელმწიფო და არც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე რაიმე მარეგულირებელი ნორმა (ინსტრუქცია,წესი). სადღეისოდ ძალიან ბევრ ტერიტორიულ ერთეულში (ტურისტულ ზონებში) ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ქუჩების და მოედნების უმეტესობაზე არ არის განთავსებული ქუჩების სახელწოდება, ან

არის მესაკუთრის სურვილისამებრ ზოგიერთ ადგილას განთავსებული ან კიდევ არის მხოლოდ ქართულ ენაზე, რაც უცხოელი ტურისტებისათვის ქმნის გარკვეულ დისკომფორტს.

- ტუროპერატორები ფაქტობრივად არ ეწევიან პროფესიულ საქმიანობას ახალი ტურისტული მარშრუტების შესაქმნელად, რადგან მათთვის ასეთი საქმიანობა არ არის დიდი მოგების მომტანი.
- უღიმდამოა ტურისტული რეკლამა, არავინაა დაკავებული საპრეზენტაციო და სასუვენირო პროდუქციის ხარისხით. არ ხდება მოთხოვნა-მიწოდების კვლევა.
- კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში თითქმის არაა ჩართული რაიონებისა და სოფლების მუზეუმები, არ არსებობს მათი გამოყენების პროგრამა ან გეგმა.

იმერეთის რეგიონში ჩატარებული რაოდეონობრივი კვლევის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის თანახად SWOT ანალიზში (იხ. ცხრილი 3.2), ასევე წარმოვადგინეთ, ის შესაძლებლობები, რომელიც მას გააჩნია ტურიზმში არსებული სუსტი მხარეებისა და პრობლემების გადასაჭრელად, ასევე ის საფრთხეები, რომელიც სავარაუდოდ ხელს შეუშლის აღნიშნული შესაძლებლობების განხორციელებას.

ცხრილი 3.2

SWOT –ანალიზი (იმერეთში ტურიზმში არსებული სუსტი მხარეების დაძლევის შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები)

შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• ტურიზმის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება • ტურისტული პოტენციალის, მიზნობრივი ობიექტების	• სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არასათანადო დამოკიდებულება • დაცული ტერიტორიების სტატუსის ანულირება/ვერ შენარჩუნება

კვლევა და შესწავლა • ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და რაიონთაშორისი და სასოფლო გზების მოწესრიგება • ტურიზმის პოლიტიკის გამტარებლებისა და ექსპერტების შეხვედრების ორგანიზება, დისკუსია-დებატები და პრობლემათა პრიორიტეტიზაცია • ახალი ტურისტული დესტინაციების ტურისტულ ატრაქციად აღიარება • კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების კლასიფიკაცია • ინვესტიციების მოზიდვა ტურობიექტების აღდგენა-განახლებისათვის • ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზება და ჩართულობა ტურიზმის ინფრასტუქტურის განითარებაში • ტურისტული პროდუქტის გამრავალფეროვნება და მომსახურების გაუმჯობესება • ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მიზნობრივად გამოყენება • პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადება • ტურისტული ნაკადების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა • ადგილობრივ მოსახლეობაში ტურიზმში არსებული კულტურული ღირებულებების წინწამოწევა	• არასაკმარისი ინვესტიციები ტურობიექტების აღსადგენად • სტატისტიკური ინფორმაციის ვაკუუმი • ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან პასიური დამოკიდებულება და ნაკლები ინტერესი • ტურისტთა განთავსების საშუალებების სიმცირე • ენებისმცოდნე პროფესიული კადრების სიმცირე • არაკოორდინირებულობა სახელმწიფოსა და კერძო სექტორებს შორის • ტურისტული ბაზრის შეუსწავლელობა მოთხოვნა-მიწოდების დასარეგულირებლად • ერთფეროვანი ტურისტული პროდუქტების მიწოდება • სუსტი მენეჯმენტი • საერთაშორისო უარყოფითი მოსაზრებები საქართველოში მოგზაურობის უსაფრთხოების შესახებ • მომსახურების დაბალი დონე

გარდა ზემოთაღნიშნული შესაძლებლობებისა, იმერეთის რეგიონში უნდა გავითვალისწინოთ:

- მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების გაძლიერება;
- სოფლის მეურნეობის და მთლიანად აგროსამრეწველო სექტორების პოტენციალის ამაღლება;
- ტექნოპარკების და ინდუსტრიული ზონების წარმოქმნისათვის შესაბამისი ბაზის არსებობა;
- რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, ხალხური შემოქმედებისა და სტუმარმასპინძლობის ტრადიციები;

ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისს ქონდა და აქვს ტურისტების მიღებისა და განაწილების ფუნქცია, რასაც განაპირობებს დიდი და მცირე კავკასიონის ქედების და შავი ზღვის სიახლოვე, იმავდროულად იმერეთზე გადიოდა „დიდი აბრეშუმის გზა“, რაც, ყველა ეპოქაში სატრანსპორტო მაგისტრალურ კვანძს წარმოადგენდა.

რაც შეეხება მოსალოდნელ საფრთხეებს, რეგიონის ტურიზმის განვითარების შესაბამისი ხელშეწყობისა და შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენების გზით, ზოგიერთი მათგანი შეიძლება დაძლეული იქნას ადგილობრივი და სახელმწიფო ორგანოების მხარდაჭერის ძალისხმევით (მაგ. დაცული ტერიტორიების სტატუსის შენარჩუნება, ინვესტიციების მოზიდვა, განთავსების საშუალებების სიმძლავრეთა ზრდა, ენებისმცოდნე პროფესიული კადრების მომზადება, მენეჯმენტის გაუმჯობესება, მომსახურების დონის ამაღლება და სხვა) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, იმერეთის რეგიონის საინფორმაციო ცენტრის მიერ რეგიონში შემოსული ვიზიტორების რაოდენობის სტატისტიკურ აღრიცხვას და მათ მიერ რეგიონში შემოსული თანხების გაანგარიშებას.

SWOT ანალიზის საფუძველზე ასევე, წარმოგიდგენთ PESTLE და SMART ანალიზს (იხ. ცხრილები 3.3/3.4) სადაც რეგიონში არსებული პრობლემები და გასათვალისწინებელი გარემოებები წარმოდგენილია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, სამართლებრივ და გარემოსდაცვითი ფაქტორების მიხედვით და განიხილავს სპეციფიკურ, გაზომვად, მიღწევად, რელევანტურ და დროში შეზღუდულ ანალიზის კომპონენტებს, კერძოდ:

ცხრილი 3.3

PESTLE-ანალიზი

ანალიზის კომპონენტები	ჩატარებული ანალიზის ძირითადი შედეგები და გასათვალისწინებელი გარემოებები
Political პოლიტიკური	***<u>არსებული მდგომარეობა:</u>*** რეგიონული ეკონომიკური განვითარების მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკიდან გამომდინარე მზარდი ინტერესი; ლიბერალური კანონმდებლობა, სტაბილური მდგომარეობა, ტურიზმის ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემო. ***<u>გასატარებელი ღონისძიება:</u>*** რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემდგომი განვითარება, საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო ბაზარზე, ქვეყანაში(რეგიონში), როგორც შემომყვანი, ისე შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე, უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია.
Economic ეკონომიკური	***<u>არსებული მდგომარეობა:</u>*** ომის და კრიზისის შემდგომი სტაბილური ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში, გაცვლითი კურსის და ინფლაციის სტაბილურობა, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების სიმრავლე; ინვესტიციების ზრდა, რეგიონალურ დონეზე დასაქმების შესაძლებლობების გაჩენა ტურისტულ სექტორში. ***<u>გასატარებელი ღონისძიება:</u>*** რეგიონის ეკონომიკური განვითარებისმეტი ხელშეწყობა ინფრასტრუქტურის მშენებლობის, ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის და მასტიმულირებელი ღონისძიებების გატარებით, ტურიზმის გლობალურ ბაზარზე ქართული, რეგიონული ტურ-პროდუქტის კონკურენტიანობის ამაღლება, ტურიზმის სფეროში პროფესიული კადრების მომზადების ხელშეწყობა და განათლების დონის ამაღლება.

Social **სოციალური**	***<u>არსებული მდგომარეობა:</u>*** რეგიონის 11 მუნიციპალიტეტში სოციალური ინფრასტრუქტურის საშუალო/დაბალი მდგომარეობა/პირობები, ინფორმაციული ვაკუუმი, მოსახლეობის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) მიგრაცია რაიონული ცენტრებიდან ქალაქებსა და დედაქალაქში, რაიონულ დასახლებებსა და დაბებში ადგილობრივ მკვიდრთა უმუშევრობის მაღალი დონე, სოციალურად შეჭირვებული ოჯახების სიმრავლე ***<u>გასატარებელი ღონისძიება:</u>*** სახელმწიფოს მიერ დამატებითიფონდების გამოყოფა რეგიონის სოციალური ინფრაქტრუქტურის განვითარებაზე; მიგრაციის ხელისშემწყობი ფაქტორების აღმოფხვრა, დასაქმების შესაძლებლობების გაჩენა აგროსექტორის და ტურიზმის განვითარების გზით.
Technological **ტექნოლოგიური**	***<u>არსებული მდგომარეობა:</u>*** რეგიონის/რაიონის დონეზე თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართ წვდომა დაბალია, რაც გავლენას ახდებს წარმოების ეფექტიანობაზე, არასაკმარისი კომუნიკაცია, ინტერნეტ რესურსებზე ვერ მისაწვდომობა ***<u>გასატარებელი ღონისძიება:</u>*** ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, კომუნიკაციების აღდგენა, ბაზრის შესწავალა და მოთხოვნის შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება
Legal **სამართლებრივი**	***<u>არსებული მდგომარეობა:</u>*** არსებობს თვითმმართველობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, თუმცა რეგიონული განვითარების მარეგულირებელი ცალკე კანონი არ არსებობს; შედარებით მწირია რეგიონული და ადგილობრივი კანონმდებლობა; ხშირია ცვლილებები სხვა სახის კანონმდებლობაში, რაც გავლენას ახდენს სტაბილური პოლიტიკის დაგეგმვაზე. ***<u>გასატარებელი ღონისძიება:</u>*** ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში უფრო დეტალური უფლებამოსილებების

	ჩამოყალიბება და ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის პასუხისმგებლობების მკაფიოდ გამიჯვნა, ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური განვითარების სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფა.
Environmental **გარემოსდაცვითი**	***<u>არსებული მდგომარეობა:</u>*** გარემოს დაბინძურების მინიმიზაციის ტექნოლოგიების არ არსებობა ეკოტურიზმში, დაცული ტერიტორიების მართვის სუსტი მენეჯმენტი (მაგ. აჯამეთის აღკვეთილი), ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ რეგულაციების და კონვენციების არ არსებობა და ა.შ. ***<u>გასატარებელი ღონისძიება:</u>***ეკოტურისტული მომსახურების ხარისხის მენეჯმენტის სრულყოფა, რეგიონული და ადგილობრივი სატყეო პოლიტიკის ფორმირება და ტყეების ეფექტური მენეჯმენტი; ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების შეფასება.

წინამდებარე SMART-ანალიზი ეყრდნობა PESTLE-ანალიზში არსებულ მდგომარეობას და მოცემულია, ის ზოგადი რეკომენდაციები, რომლებზეც უნდა იყოს დაფუძნებული სხვადასხვა სახის აქტიობების (რეფორმების) გატარება სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში შეზღუდული ანალიზის კომპონენტებზე დაყრდნობით.

ცხრილი 3.4

SMART-ანალიზი

ანალიზის კომპონენტები	ჩატარებული ანალიზის ძირითადი შედეგები და გასათვალისწინებელი გარემოებები
Specific **სპეციფიკური**	***<u>ზოგადი აღწერა:</u>*** რეგიონი 12 ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს, თითოეული მუნიციპალიტეტი სპეციფიკური ტურისტული რესურსით გამოირჩევა, აღსანიშნავია, რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, კურორტებისა და საკურორტო ზონების სიმრავლე, წარმოდგენილია დაცული ტერიტორიების კატეგორიები სამიზნე ობიექტებით (ნაკრძალი, აღკვეთილი, ბუნების ძეგლი/მღვიმე/კანიონი, ეროვნული პარკი), კულტურა,

	ხელოვნება და ტრადიციები. ქ, ქუთაისს ჰქონდა და აქვს ტურისტების მიღებისა და განაწილების ფუნქცია, რასაც განაპირობებს დიდი და მცირე კავკასიონის ქედების და შავი ზღვის სიახლოვე, იმავდროულად იმერეთზე გადიოდა „დიდი აბრეშუმის გზა“, რაც, ყველა ეპოქაში სატრანსპორტო მაგისტრალურ კვანძს წარმოადგენდა ***<u>გასათვალისწინებელი გარემოება:</u>*** სტრატეგიული გეგმის მომზადების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები: • მოხდეს აუთვისებელი ტურისტული რესურსების ათვისება • ისტორიული, კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობის გამოყენება მეტი ტურისტების მოსაზიდად • რეგიონის/რაიონის, დაბების და სოფლების საზოგადოებრივი აღიარება, არსებული რესურსის სათანადო რეკლამირება • ტურისტულ ობიექტებისათვის სწორი სტრატეგიის შემუშავება
Measurable **გაზომვადი**	***<u>ზოგადი აღწერა:</u>*** კრიტერიუმები, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული რეგიონის ეკონომიკური განვითარების მოკლე თუ გრძელვადიან სტრატეგიაში უნდა იყოს გაზომვადი. ამ კომპონენტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია განხილულ და შეფასებულ იქნას წარმატება ან გატარებული რეფორმის შედეგი. ***<u>გასათვალისწინებელი გარემოება:</u>*** • დაიგეგმოს გაზომვადი ღონისძიებები, რომელთა შეფასება გარკვეული კრიტერიუმებით არის შესაძლებელი; • შეფასებები მოზდეს არა უშუალოდ გეგმის დასრულების შემდგომ, არამედ შუალედურ პერიოდშიც, რათა გადახრების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი გამოსწორება.

	• აქტივობების შესაბამისად განხორციელდეს მონიტორინგი
Attainable **მიღწევადი**	***<u>ზოგადი აღწერა:</u>*** მიზნები, რომლებთა განხორციელებას ისახავს რეგიონში ტურიზმის განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის სტრატეგიაუნდა იყოს მიღწევადი ანუ შედეგზე ორიენტირებული. ***<u>გასათვალისწინებელი გარემოება:</u>*** • სამხარეო ხალისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების შედეგები უნდა იყოს მიღწევადი. • მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანების განხორციელება უნდა დაეკისროს პასუხისმგებელ პირებსა თუ უწყებებს, რათა გამოჩნდეს თითოეული რგოლის ვალდებულება და პასუხისმგებლობა (სამოქმედო გეგმის ცალკეული კომპონენტების შეუსრულებლობაზე).
Relevant **რელევანტური**	***<u>ზოგადი აღწერა:</u>***რეგიონულ და ლოკალურ დონეზე ეკონომიკური განვითარების ღონისძიებები უნდა იყოს მიზანთან მიმართებაში ადეკვატური (შესაბამისი). ***<u>გასათვალისწინებელი გარემოება:</u>*** • დასახული ამოცანების განხორციელება უნდა გამომდინარეობდეს სტრატეგიის მიზნებისაგან • ღონისძიებები უნდა გატარდეს გაწერილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად • ყველა ქმედება ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით უნდა იყოს დაკავშირებული.
Time-bound **დროში** **შეზღუდული**	***<u>ზოგადი აღწერა:</u>*** რეგიონის ეკონომიკური განვითარების გეგმა დროში შემოსაზღვრულია ანუ ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა შესრულდეს და დაიწყოს ახალი ეტაპი. ამიტომაც მნიშვნელოვანია, დროითი კალენდრის მეშვეობით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, პერიოდულად მათი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება

	(სრულყოფა) გეგმის სიცოცხლისუნარიანობისათვის. ***<u>გასათვალისწინებელი გარემოება:</u>*** • ადგილობრივი და რეგიონული განვითარების გეგმას კონკრეტული დროითი პერიოდი უნდა გააჩნდეს და ამ დროში ხორციელდებოდეს. • გეგმის დროითი კალენდარი მცირე პერიოდებად უნდა დაიყოს (წლები და კვარტლები მაინც), რათა შესაძლებელი იყოს რიგი აქტივობების ზუსტად დროში განხორციელება.

3.2. რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარების პრინციპები

კოალიცია „ეროვნული ნდობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის", რომელიც შეიქმნა 1996 წელს კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმს განსაზღვრავს როგორც, მოგზაურობას - ღირშესანიშნავი ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ადგილების მონახულებას, შემეცნებისა და წარსულთან ზიარების მიზნით. ტურისტების 70% მსოფლიოში მოგზაურობს კულტურული მემკვიდრეობის ადგილების სანახავად (ისტორიული ადგილები, ეროვნული პარკები, მუზეუმები და ა.შ.). კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი ყველაზე გრძელვადიანია (ხანგრძლივი პეირიოდის ტურები) ტურიზმის სხვა სახეობებთან შედარებით. ტურიზმი ეკონომიკური განვითარების მძლავრი ინსტრუმენტია. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს ახალ ბიზნეს შესაძლებლობების გაჩენას, აძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას. როცა, რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის განვითარება სწორად მიმდინარეობს, იგი ეხმარება რეგიონს დავიცვათ და გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული საგანძური და გავაუმჯობესოთ ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების ხარისხი. ტურიზმის დაკავშირებას მემკვიდრეობასა და კულტურასთან მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის, ვიდრე მათ ცალცალკე ანალიზს. სწორედ ამაში მდგომარეობს კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის მთავარი იდეა: შევინახოთ, გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყნის, რეგიონის მემკვიდრეობა და კულტურა, გავუზიაროთ ის სხვას და მივიღოთ ეკონომიკური სარგებელი. ზემოთთქმულის უფრო ნათლად ჩამოსაყალიბებლად კარგი იქნება თუ შევადგენთ ასეთ ფორმულას:

ტურიზმი + კულტურა + მემკვიდრეობა = მდგრად განვითარებას (ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკური აღმავლობა)

წყარო: http://www.culturalheritagetourism.org/

ფორმულაში მოცემულ კატეგორიათა ერთობლიობის წარმატებული მენეჯმენტი კი ტურიზმის მდგრადი განვითარების გარანტიაა.

კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის უპირატესობები და სარგებელი გამოიხატება შემდეგში

- კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმს შეიძლება ჰქონდეს დიდი ეკონომიკური ზეგავლენა ლოკალურ დონეზე.
- ეკონომიკური სარგებელია – მცირე ბიზნესი, ახალი სამუშაო ადგილები და ა.შ.
- კარგი მენეჯმენტისა და სტრუქტურის მქონე ტურიზმის რეგიონლაურ პროგრამას შეუძლია გააუმჯობესოს ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების დონე.
- ადგილობრივ მოსახლეობას აქვს უპირატესობა ვიზიტორს გაუწიოს მომსახურება.
- კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის სიამაყის განცდას.
- ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაციას.
- კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი ქმნის ახალ შესაძლებლობებს ტურისტებისათვის გაეცნონ უცნობ ადგილებს, ეზიარონ უცხო ქვეყნის ხალხთა ტრადიციებს.
- ტურისტთა ნაკადის მატებასთან ერთად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების უფრო მეტი შესაძლებლობები ჩნდება.
- კარგად ინტერპრეტირებული სანახაობები აცნობენ ვიზიტორებს მათ მნიშვნელობას და კიდევ ერთხელ არწმუნებენ მნახველებს მსგავსი ადგილების დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობაში.

კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის თანამედროვე გამოწვევები და მოთხოვნები

- როცა, რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძირითადი არსი მდგომარეობს არსებული რესურსის ვიზიტორისათვის შეთავაზებაში, ამ შემთხვევაში ამ რესურსის (კულტურული მემკვიდრეობის) დაცვა-შენარჩუნება აუცილებელი პირობაა.

- კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის პროგრამების ძირითადი მოთხოვნაა პროპაგანდა გაუწიოს ტურიზმს და ხმამაღლა განაცხადოს, რომ ტურიზმს დამანგრეველი ეფექტი არ აქვს, პირიქით იგი იზიარებს რეგიონის მთავარ ღირებულებებს, არ ანადგურებს იმას, რაც ტურისტებს ესოდენ იზიდავთ.

- რადგან ტურიზმი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა, მას თავისი მოთხოვნებიც გააჩნია. ტურიზმი ზოგადად "სუფთა" ინდუსტრიაა (არ იყენებს საშიშ ქიმიკატებს, არ სჭირდება საკვამურები და აშ.) მაგრამ მას აქვს მოთხოვნა ინფრასტრუქტურაზე: - გზებზე, აეროპორტებზე, წყლით უზრუნველყოფაზე, საჯარო სამსახურებზე, როგორიცაა: პოლიცია, სახანძრო, დაცვა და ა.შ.

- ის პრობლემები, რაც ზოგადად ფიქსირდება, როგორიცაა: ვიზიტორთა ზრდა, სტრესი, ორიენტირი ინფრასტრუქტურაზე, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე, როგორც საფერი (Safer) ამბობს მხოლოდ ტურიზმის განვითარების საწყისი ეტაპია და ტურისტული ინდუსტრიის საქმეა. მოთხოვნა არა მხოლოდ ვიზიტორის ზეგავლენიდან, არამედ ვიზიტორის მოლოდინიდან გამომდინარეობს, ანუ ის, ელის ხარისხიან პროდუქტს და ადეკვატურ მომსახურებას.

- ტურიზმი არსებითად მომსახურების ინდუსტრიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის დამოკიდებულია ადამიანთა ქცევებზე, კომპეტენციებზე, მათ სამუშაო ტიპზე, ადგილმდებარეობაზე და ა.შ.

- ტურიზმი შესაძლებელია არ განვიხილოთ, როგორც ქვეყნის/ რეგიონის ეკონომიკური განვითარების უნივერსალური საშუალება, მაგრამ, უდავოა, რომ, იგი ნამდვილად ეკონომიკური აღმავლობის ერთერთი საშუალებაა.

საინტერესოა კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის პროგრამის დირექტორის **ემი ჯორდან ვების (ამერიკა),** ასევე კოალიციის სხვა წევრების მიერ 1996 წლიდან შემუშავებული რეკომენდაციები კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის განვითარებისათვის. მათ მიერ ჩატარებული

კვლევებისა და მოთხოვნის საფუძველზე შემუშავებული იქნა კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის გეგმა, ხუთი სახელმძღვანელო პრინციპი და ოთხი ძირითადი საფეხური (იხ. დიაგრამა 3.1), რომელსაც ქვევით დეტალურად განვიხილავთ და იმავდროულად მიგვაჩნია, რომ მათ მიერ შემოთავაზებული საფეხურებისა და პრინციპების მორგება თავისუფლად შეუძლია იმერეთის რეგიონს არსებული პოტენციური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. (იხ. დიაგრამა 3.1)

დიაგრამა 3.1

ოთხი ძირითადი საფეხური რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის წარმატებული განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობისათვის

წყარო: http://www.culturalheritagetourism.org/

ამრიგად, რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის წარმატებული განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობისათვის კოალიციის„ეროვნული ნდობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის" მიერ შემუშავებული 4 საფეხური

საჭიროებს, ისეთი ღონისძიებებისა გატარებას, როგორიცაა: რეგიონის პოტენციური ტურისტული რესურსის (კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები) კვლევა, მოძიება, შეფასება და ანალიზი. ტურისტულ ობიექტებთან მიმართებაში გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის მზადება, სამიზნე ტურისტული ობიექტებისა და ტურების/მარშრუტების შეთავაზება, ქვეყნის კულტურული, ისტორიული და ბუნებრივი რესურსების საზოგადოებრივი აღიარება, დაცვა-შენარჩუნების და მართვის ღონისძიებების გატარება.

ასევე წარმოგიდგენთ ხუთ სახელმძღვანელო პრინციპს რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის წარმატებული განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობისათვის, კერძოდ:

პრინციპი I.

თანამშრომლობა(Collaborate) --- ერთობლივი მუშაობით უფრო მეტად მიიღწევა დადებითი შედეგი ვიდრე დამოუკიდებლად. წარმატებულ კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის პროგრამებს შეუძლიათ ერთად შეკრიბონ ისეთი პარტნიორები, რომლებიც წარსულში არ თანამშრომლობდნენ. პარტნიორული ურთიერთობების დამყარება მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ იმისათვის, რომ ის მხარს უჭერს ლოკალურ დონეზე განვითარებას, არამედ იმიტომ, რომ ტურიზმი ითხოვს იმ რესურსებს, რომლებიც არცერთ ორგანიზაციას არ შეუძლია შესთავაზოს. ტურიზმის წარმატება მდგომარეობს პოლიტიკური და ბიზნეს ლიდერების, ტურისტული სააგენტოების, მხატვრების, ხელოვნებათმცოდნეების, სასტუმრო მოხელეების, ოპერატორების და ტურიზმის სფეროში დაკავებულ ადმიანთა, აქტიურ თანამონაწილეობასა და თანამშრომლობას. რეგიონალური პარტნიორობა ხელს უწყობს რეგიონის პრიორიტეტების წინწამოწევას, რესურსების გამოყენებას, ფულადი შემოსავლების ზრდას და საბაზრო პოტენციალის გაფართოებას.

პრინციპი II.

 **რელევანტურობა**(Find theFit) – ლოკალური, რეგიონალური/ქვეყნის უპირატესობები და პოტენციური რესურსები მრავალფეროვანია. მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი ამერიკაში კარგად არის განვითარებული რადგან, მოგზაურებს/ტურისტებს აინტერესებთ ის, რაც განსხვავებულია, მათ აქვთ სურვილი შეიგრძნონ ნებისმიერი განსაკუთრებული ადგილი თუ პერიოდი. იმისათვის, რომ ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი იყოს წარმატებული უნდა განისაზღვროს ადგილობრივი თემის, რეგიონის, ქვეყნის რეზიდენტებს აქვთ ტურიზმის განვითარების სურვილი? რატომ აქვთ ამის სურვილი? ტურიზმიდან შემოსავალი როგორ ზეგავლენას იქონიებს თემზე/რეგიონზე? როგორ არის ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა განვითარებული? ჯგუფური ტურების ორგანიზება შეუძლია თუ არა ადგილობრივ დონეზე? ერთდროულად 40 ადამიანის მიღება და განთავსება არის შესაძლებელი? რეგიონს შეუძლია თუ არა უმასპინძლოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ვიზიტორებს და ა.შ.

პრინციპი III.

 **ღირშესანიშნავი ადგილების პიარი**(Make sites and programs come alive)-- ადამიანის/ადგილის დრამატული ისტორია აინტერესებს ვიზიტორს და არა კონკრეტული თარიღი თუ სახელწოდება. დასათვალიერებელი ადგილების ინტერპრეტირება არის ყველაზე მნიშვნელოვანი და სწორედ ეს ქმნის „მესიჯს" უფრო მეტად შემოქმედებითს და ამაღელვებელს, სტუმრისათვის მთავარია ფაქტი. თქვენ უნდა შეძლოთ ვიზიტორის 5 გრძობის დატყვევება, ნანახიდან ვიზიტორს შემდეგი სახის ინფორმაცია რჩება და იგი პროცენტულად ასე ნაწილდება:

10% რჩება იმისაგან, რასაც ისმენს,

30% რჩება იმისაგან, რასაც კითხულობს,

50% რჩება იმისაგან, რასაც ისინი ხედვენ,

90% რჩება იმისაგან, რასაც აკეთებენ, რის პროცესშიც არიან ჩართულნი.

პრინციპი IV.

ფოკუსირება ხარისხსა და ავთენტურობაზე (Focus on quality and authenticity) --ნამდვილი ისტორია/ რეალური ამბავი მოსაყოლად ნამდვილად ღირს--რადგან სწორედ ეს სიახლე განასხვავებს წარმოდგენილ ქვეყანას სხვა ქვეყნისაგან, შენს მიერ აღწერილი ადგილი უნიკალური და ერთადერთია, რომელსაც თავისებური შარმი აქვს და ყოველთვის მიიზიდავს ტურისტს.

პრინციპი V.

 **დაცვა-შენარჩუნება**(Preserve and protect) --- ძირფესვიანად განვაახლოთ და აღვადგინოთ, ნუ შევალამაზებთ მხოლოდ გარეგნული ეფექტის მოსახდენად. ცუდი ფაქტია იმ წარწერის ნახვა, რომელზეც მითითებულია, რომ ოდესღაც „x” წელს, აქ ასეთი ნაგებობა იდგა, უფრო მეტიც ტრადიციების მივიწყება არანაკლებ ტრაგიკული საკითხია. ტრადიციების, ადათ-წესების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებით და მათი სწორი პრომოუშენით, ვიცავთ მომავალს. კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი აწმყოს მნიშვნელოვანი ნაწილია და იმ მომავლის რომელსაც ვაშენებთ. მაშინ, როცა ვსაუბრობთ ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის განვითარებაზე ამ მიმართულებაში უნდა დავუშვათ ტურიზმის სახეების: ისტორიული ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, რელიგიური ტურიზმი, არქეოლოგიური ტურიზმი,

არქიტექტურული ტურიზმის ერთდროული თანაარსებობა, რომელთა წარმატებული განვითარება, კარგად გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა, რეგულაციები მდგრადი განვითარების მყარი გარანტია, როგორც რეგიონისთვის ისე, ქვეყნისათვის[147].

კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმს ვერ განვიხილავთ ეკონომიკური, ფუნქციური, შემეცნებითი, სოციალური და პოლიტიკური ღირებულებების გარეშე. კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით,

ეკონომიკური ღირებულება მოიაზრება, როგორც თავად მემკვიდრეობის ობიექტის მიერ ან მისი კონსერვაციის შედეგად წარმოქმნილი ღირებულება. ეკონომიკურ ღირებულებას მოგების ოთხი პოტენციური წყარო აქვს. ესენია: ტურიზმი, კომერცია, გამოყენება და კეთილმოწყობა. ნებისმიერი მათგანის არასწორი მართვა იწვევს მემკვიდრეობის ობიექტის არასასურველ განვითარებას ან სრულ განადგურებას. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, როცა ორიენტაცია მიმართულია აბსოლუტურ მოგებაზე, დანახარჯებისა და მოგების სწორი ბალანსის შემუშავების ნაცვლად.

ფუნქციური ღირებულება დაკავშირებულია ეკონომიკურთან, რადგანაც იგი გულისხმობს შენობის ან არეალის თავდაპირველი ფუნქციის უწყვეტობას ან მათთვის ახალი, თავსებადი ფუნქციის მინიჭებას. ნანგრევებად ქცეული ობიექტის თავდაპირველი ფუნქციური ღირებულება დაკარგულია, მაგრამ მან შესაძლებელია შეიძინოს ახალი ფუნქცია, რაც მოემსახურება ობიექტის ინტერპრეტაციის პროგრამის მოთხოვნებს. ტრადიციული ფუნქციების უწყვეტობა უზრუნველყოფს ობიექტის არსის იმგვარ აღქმას, როგორიც ვერასოდეს მიიღწევა შემეცნებითი გამოფენებით. შესაბამისი გამოყენება ასევე აადვილებს კონსერვაციას. შეუსაბამო, არასწორი ადაპტაცია კი ხშირად იწვევს ობიექტის დეგრადაციას, არასასურველ ცვლილებებს ან დანგრევას.

მემკვიდრეობის ობიექტის ***შემეცნებითი ღირებულება*** მოიცავს მის პოტენციალს კულტურული ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით და ასევე კულტურისა და ისტორიის გაცნობიერებას, რასაც ხელს უწყობს, როგორც ისტორიული ობიექტების დღევანდელ ცხოვრებაში ჩართვის საშუალებას. მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების სწორად ჩართვა სასწავლო პროგრამებში არსებითია. თუმცა ტურიზმზე აქცენტის

გაკეთება, ხშირად იწვევს ობიექტის თავდაპირველი იერსახის გაუმართლებელ რეკონსტრუქციას ან დანგრევას და არაგანახლებადი არქეოლოგიური მტკიცებულებების განადგურებას.

მემკვიდრეობის ობიექტის ***სოციალური ღირებულება*** დაკავშირებულია ტრადიციულ სოციალურ საქმიანობებთან და თავსებად დღევანდელ გამოყენებასთან. სოციალური ღირებულება ასახავს ადგილობრივ თემში თანამედროვე სოციალურ ურთიერთქმედებას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური და კულტურული თვითმყოფადობის ჩამოყალიბების პროცესში. სოციალურმა ღირებულებამ შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივ გარემოზე ზრუნვა, რაც ასევე უზრუნველყოფს მემკვიდრეობის ობიექტის მოვლა-შენარჩუნებას, სოციალური ერთობისა და პატივისცემის ნაკლებობამ კი შეიძლება შეაფერხოს კონსერვაცია.

პოლიტიკური ღირებულება ხშირად დაკავშირებულია მემკვიდრეობის ობიექტის ისტორიის ამა თუ იმ, რეგიონისა ან ქვეყნისათვის საყურადღებო მოვლენასთან. ეს მოვლენები განსაზღვრავენ ობიექტის დღევანდელ მნიშვნელობას იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება თანამედროვე პოლიტიკურ პრიორიტეტებს. ღირსშესანიშნავი ადგილის პოლიტიკურ მნიშვნელობას შეუძლია დაგვეხმაროს ფონდების გაზრდასა და საზოგადოების ყურადღების მიმართვაში მისი დაცვისა და კონსერვაციისკენ.მეორე მხრივ, ცუდად გააზრებულმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი განვითარება და ავთენტურობის დაკარგვა. ჩამოთვლილი ღირებულებების ზემოაღნიშნული დაჯგუფება ინდიკატორულია და შეიძლება შეჯერდეს მემკვიდრეობის ობიექტების ეროვნულ და ადგილობრივ ღირებულებებთან.ეს ჯგუფები წარმოადგენს სასარგებლო ჩარჩოს უფრო დეტალური შეფასების პროცესისათვის. მრავალმა ამ ღირებულებათაგან, განსაკუთრებით თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურმა ღირებულებებმა, მემკვიდრეობის ობიექტზე, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს, გააჩნია ღირებულების ტიპს და იმას, თუ ზოგად შეფასებაში მას რა ადგილს მივუჩენთ. შესაბამისად, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, იმ ღირებულებების მკაფიო განსაზღვრას, რომელის გამოც, უნდა იქნას შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ესა თუ ის მემკვიდრეობის ობიექტი.

კულტურული მემკვიდრეობის საერთო უნივერსალური ღირებულების მქონე ობიექტები და ძეგლები ადამიანთა ცივილიზებული განვითარების ხანგრძლივი პროცესის მაცნედ გვევლინებიან. ისინი, როგორც ჩვენი, ისე სხვა ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის ცოდნის, გააზრების, განახლებული ინტერპრეტაციის შექმნისა და შთაგონების წყაროა. ჩვენი უფლება, მოვალეობა და პასუხისმგებლობაა მათი შენახვა, არა მხოლოდ ამჟამინდელი, არამედ მომავალი თაობებისათვის.

იმისათვის, რომ სრულად მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის, როგორც განუხრელი ეკონომიკური განვითარების ფაქტორის გამოყენება აუცილებელია გაღრმავდეს კულტურული მემკვიდრეობისა და მისი ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების მნიშვნელობის გააზრება, გათვალისწინებულ უნდა იქნას კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებული ხასიათი, და იმავდროულად, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას არ უნდა შეილახოს კულტურული მემკვიდრეობისათვის დამახასიათებელი ფასეულობები.

3.3. იმერეთში კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის სამომავლო პერსპექტივები

ტურიზმი მჭიდროდაა ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების/ყოფის სხვადასხვა სექტორზე: წარმოებაზე, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე, ვაჭრობაზე და ყველა დანარჩენ მომსახურებაზე---რომელსაც იგი ეხმარება და რომელთაგან, ასევე, თვითონაც იღებს დახმარებას. ტურიზმი -- ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს ხელს უწყობს ახალი ბიზნეს იდეების/ამოცანების დაგეგმვასა და განვითარებას, აუმჯობესებს ცხოვრების სტილს, ახდენს დივერსიფიკაციას ლოკალურ დონეზე და ინარჩუნებს რეგიონის/ქვეყნის უნიკალურ ხასიათს, ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას, 70% ტურისტებისა მსოფლიოში მოგზაურობს კულტურული მემკვიდრეობის ადგილების სანახავად (ისტორიული ადგილები, ეროვნული პარკები, მუზეუმები და ა.შ.), კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი ყველაზე გრძელვადიანია (ხანგრძლივი პერიოდის ტურებია) ტურიზმის სხვა სახეობებთან შედარებით, იგი არ არის სეზონური.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, საქართველოში შემოსულ ტურისტთა საერთო რაოდენობა 1995 წლიდან 2010 წლის ჩათვლით—15 წლის განმავლობაში გაიზარდა 85.5 ათასიდან 2033,0ათასამდე—ტურიზმის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს ციფრი 2015 წლისათვის 5 მლნ-ს მიაღწევს[78]. ე.ი. თითქმის 24-ჯერ მეტია საბაზისო წელთან შედარებით. საქართველოს მასშტაბით ტურისტების ნაკადთა დინამიკა აღნიშნული წლების განმავლობაში, კარგადაა წარმოდგენილი, მაგრამ აქაც ვხვდებით ისეთ წინააღმდეგობას, როგორიცაა რეგიონში/რაიონებში შემოსული ვიზიტორთა მიზნების არ დაფიქსირება, ამდენად ვერ გამოვყოფთ მათგან ცალკე ტურისტთა ნაკადებს. ეს ხარვეზები აუცილებლად გამოსასწორებელია.

იმერეთში ტურისტთა ნაკადების სტატისტიკური აღრიცხვა არ ხდება, ეს იმით აიხსნება, რომ რეგიონში 2010 წლამდე არ არსებობდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, რომელიც დაარეგისტრირებდა იმერეთის ცალკეულ მუნიციპალიტეტებში შემოსულ ტურისტთა რაოდენობას და რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა საერთო რაოდენობის დაანგარიშება. იმერეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრმა მოგვაწოდა მხოლოდ 2011 წლის მონაცემები, რომლის მიხედვითაც;

2011 წელს ქუთაისში ჩამოვიდა და ღამე გაათია 81 049 უცხოელმა (საშუალო ღამის თევების რაოდენობა - 3 ღამე) და 30 448 ქართველმა ტურისტმა. ამათგან ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სერვისით ისარგებლა 2564 უცხოელმა ტურისტმა და 618 საქართველოს მოქალაქემ[119].

აღსანიშნავია, რომ სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალში მთავარი ტურისტული მარშრუტი იწყება ძირითადი სანახაობიდან - დინოზავრის ნაკვალევიდან და მიემართება კომპლექსის კულტურულ ცენტრში, ლამაზი ხეივნით შედის „დინოზავრის პარკში“, სადაც განთავსებულია გართობისა და განვითარების ობიექტები. ტურისტული ბილიკი მიემართება 330 მეტრიან კარსტულ მღვიმეში, რომლის გამოსასვლელიდან იხსნება ხედები ქ. ქუთაისზე, გელათის მონასტერსა და იმერეთის სოფლებზე. 2011 წელს სათაფლია მოინახულა 86653 ტურისტმა, შემოსავლებმა შეადგინა 331368 ლარი[121].

პრომოთეს (წყალტუბო) კარსტული მღვიმე უნიკალური ბუნებრივი მოვლენაა და მას გააჩნია უდიდესი შემეცნებითი ფასეულობა, როგორც სამეცნიერო-სპელეოლოგიური, ასევე ტურისტული გამოყენების თვალსაზრისით. მღვიმის

მთავარი ბილიკის სიგრძე 1 კმ-ს აღემატება და წარმოადგენს მრავალფეროვან სანახაობას: დარბაზები, კამარები, გალერეები, მიწისქვეშა მდინარე, გაქვავებული ნაკადების, სტალაგმიტების და სტალაქტიტების უმდიდრესი ფორმები. 2011 წელს პრომეთეს მღვიმე მოინახულა 70331 ტურისტმა. თუმცა შემოსავლები არ დაფიქსირებულა რადგან გახსნასთან დაკავშირებით მღვიმის დათვალიერება იყო უფასო[141].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის რეგიონში მოხვედრილი უცხოელი ვიზიტორების თუ ადგილობრივი საქართველოს მცხოვრებთათვის იმერეთის რეგიონის მონახულება ძირითადად ამოიწურება ქ. ქუთაისისა და მისი შემოგარენის დათვალიერებით, კერძოდ, გელათის, მოწამეთას, სათაფლიას, ბაგრატის ტაძრისა და გეგუთის ციხის ნანგრევებით. თუმცა ამათ გარდა კიდევ უამრავი შეუსწავლელი და ფეხდაუდგმელი მღვიმე და სხვა მრავალი ტურისტული ატრაქციაა იმერეთის სხვადასხვა რაიონებში და მიგვაჩნია, რომ ისინი აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართულნი საექსკურსიო მარშრუტებში. რეგიონის ტუროპერატორების მიერ უნდა შეიქმნას იმერეთის არქეოლოგიური ძეგლების მოსანახულებლად სპეციალური ტური, რომელიც ხელს შეუწყობს არქეოლოგიური ადგილების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას და ეკონომიკური შემოსავლების ზრდას.

ქუთაის-გაენათის, ჭიათურა-საჩხერის, ხონისა და სამტრედიის, ვანისა და ბაღდდათის ეპარქიები სხვადასხვა წმინდათა სახელობის ტაძრებითაა წარმოდგენილი და სხვა კულტურულ ღირშესანიშნაობებთან ერთად ამ უძველესი ტაძრების მონახულებაც საინტერესო იქნება, როგორც საქართველოს, ისე უცხოელი მოქალაქეებისათვის. უნდა მოეწყოს რელიგიური თემატიკის საექსკურისო ერთდღიანი ტურები ასევე სკოლის მოსაწვლეებისა და სტუდენტებისათვის.

აუცილებელია ასევე, ქვეყნის სამუზეუმო სივრცეში გაგრძელდეს ქმედითი ღონისძიებები 2004 წელს დაწყებული სამუზეუმო რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად, რაც იქნება ქვეყნის მუზეუმებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მყარი გარანტია და კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის განვითარებისათვის ერთგვარი ხელშეწყობა. რეფორმის განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია საქრთელოს მუზეუმებში არსებული დღევანდელი მდგომარეობითა და მთელი რიგი პრობლემებით,

რომელთა მოგვარებაც ეტაპობრივად მიმდინარეობს, მაგრამ გადაუჭრელი საკითხები ჯერ კიდევ არსებობს, კერძოდ, მუზეუმების მართვის მექანიზმების არასაკმარისი ეფექტურობა, მოძველებული და ამორტიზებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, ექსპონატთა დაცვის მძიმე მდგომარეობა და არასრულფასოვანი ინფორმაცია მათ შესახებ, საზოგადოებისა და მუზეუმების გაუცხოება და შესაბამისად დამთვალიერებელთა რაოდენობის შემცირება, ახალი კადრების მოზიდვისათვის შესაბამისი პირობებისა და თანამშრომელთა სოციალური პირობების შექმნა.

მუზეუმმა კარგი სამუშაო ურთიერთობა უნდა დაამყაროს საკუთარ მომხმარებელეთან სამუზემო მომსახურების მიმართ ინტერესის შენარჩუნების და გაფართოების მიზნით. დაუშვებელია შესასვლელი გადასახადის გაუქმება, ვინაიდან ის წარმოადგენს მუზეუმის შემოსავალს, თუმცა მნახველთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის განსხვავებული გადასახადები უნდა დაწესდეს, ან მოეწყოს აქციები და ფასდაკლებები. მუზეუმის გახსნის საათები უნდა იყოს მოსახერხებელი და მისასადაგებული ყველა ჯგუფთან, რათა მუზეუმი დამთვალიერებელთა ფართო წრეებს მოემსახუროს. მუზეუმმა უნდა შესთავაზოს თავის დამთვალიერებელს დასვენებისა და წახემსების საშუალება, რათა ხალხი უფრო დიდხანს დარჩეს და მუზეუმს დამატებითი შემოსავლები შემოუვიდეს. მაღაზიის გახსნა ნამდვილად იქცევა შემოსავლის წყაროდ და წარმატებით დაფარავს მუზეუმის საექსპლუატაციო ხარჯებს. იდეალურ შემთხვევაში მაღაზია უნდა აწარმოებდეს და ყიდდეს ექსპონანტების რეპროდუქციებს, მაკეტებს, რომლებიც უნდა გამოირჩეოდეს დიდი მრავალფეროვნებით. მუზეუმების შემოსავალი მომდინარეობს სხვადასხვა წყაროებიდან: მაღაზიებიდან, კაფეებიდან, ბილეთების ფასებიდან, საგანმანათლებლო პროგრამებიდან. გარდა ამისა, შემოსავლის წყაროებია შემდეგი სახის შემოწირულობები: ფინანსური შემოწირულობები და გრანტები კერძო პირებისაგან, კონკრეტული ხარჯის ან მუზეუმის სხვადასხვა განყოფილების მიერ წამოწყებული პროგამების დასაფინანსებლად (მაგალითად: ხელოვნების ნიმუშის შეძენა, ბიბლიოთეკარის ხელფასის დაფინანსება და ა.შ), უფასო საბანკო მომსახურება, მედიაში მუზეუმის რეკლამის უფასო განთავსება, ქონების შემოწირულობა, ამის მაგალითია იზოლირებული შენობები, ბინები ან სხვა ტიპის ქონება, რომელსაც მუზეუმი ან გაყდის ან გამოიყენებს, რომ განათავსოს მასში სხვადასხვა განყოფილება. მუზეუმმა უნდა გამონახოს თავისი სპონსორების აღიარებისა და

პატივისცემის გზები, სასურველი იქნება ყველა დონორის წერილობითი დაფიქსირება „შემოწირულობათა ჟურნალში", რომელსაც მუზუემი მუდმივად განაახლებს და რომლის ნახვა ყველა დაინტერესებულ მხარეს შეეძლება. ადგილმდებარეობის რეკლამირება აუცილებელია იმისათვის, რომ პოტენციურ მომხმარებელს ჰქონდეს ინფორმაცია მუზუემის მდებარეობის, ქალაქის ცენტრიდან მასთან მისასვლელი ზუსტი მარშრუტის და ტრანსპორტის საშუალებების შესახებ. დღესდღეობით მუზეუმები არსებობას ვეღარ განაგრძობენ მარტოოდენ თავიანთი კოლექციების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნების ხარჯზე, მათ უნდა დაამტკიცონ, რომ საზოგადოებას მთელ რიგ მრავალფეროვან მომსახურებასაც სთავაზობენ, რომ ამართლებენ დახარჯულ სახსრებს და კულტურული ინდუსტრიის სხვა დარგებთან კონკურენტუნარიანები არიან.

მუზეუმებში სადაც არქეოლოგიური მასალები ინახება შეიძლება გაკეთდეს პირველყოფილი ადამიანების ფიტულები, ან მოეწყოს მათი საცხოვრებლის მოდელი. ან პოეტებისა და მწერლების სახლმუზეუმებში დამონტაჟდეს ტელე და ვიდეო აპარატურა, რის მეშვეობითაც მოხდება ეკრანიზებული ნაწარმოებებიდან ნაწყვეტების ჩვენება ან პოეტების აუდიო ჩანაწერების მოსმენა. მაგალითად: დავით კლდიაშვილის მუზეუმში შეიძლება მოეწყოს მისი ეკრანიზებული ნაწარმოებებიდან ნაწყვეტების ჩვენება ან გალაკტიონ ტაბიძის სახლმუზეუმში შეიძლება ტურისტებმა მოისმინონ თვით პოეტის მიერ წაკითხული ლექსი.

სასურველია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესახებ რუკის აღდგენა პირვანდელ მდგომარეობამდე. ეს გულისხმობს ყველა შესაფერისი რუკის ასლის მოგროვებას, დაწყებული ყველაზე ბოლო დროინდელი დიდი მასშტაბის რუკებიდან წარსულის ყველა პერიოდის რუკების მთელი წყებით დამთავრებული. რუკები უნდა გამოსახავდეს საკმარის არეალს ღირსშესანიშნავი ადგილის და მისი ლანდშაფტის იდენტიფიცირებისათვის. ასევე მათ უნდა ახლდეს თხრობითი განმარტებები, რაც განსაზღვრავს თვალსაჩინო თავისებურებებს და შეიცავს კონტექსტუალურ და განმარტებით ინფორმაციას.

ამჟამად, დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ქ. ქუთაისის აღდგენა-განახლებისათვის. "პოეზიის 365 დღე" - პროექტის ფარგლებში პრომეთეს მღვიმეში ახალგაზრდა პოეტებისა და სოფელ გეგუთის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო ტური მოეწყო, რის შემდეგაც

შთაბეჭდილებებით სავსე ახალგაზრდებმა მღვიმის ეზოში შემოქმედებითი ლიტერატურული საღამო მოაწყვეს. ღონისძიება გარემოს დაცვის სამინისტროს ორგანიზებით და ბილაინის მხარდაჭერით გაიმართა.

რეგიონის ახალგაზრდობისათვის ქუთაისის უკეთ გასაცნობად საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელის ასოცირებული პროფესორის სერგო ცაგარეიშვილის ინიციატივით დამუშავდა საფეხმავლო ტურისტული მარშუტი.

- „ოქროს ჩარდახი– პირველი სკოლა–ბულვარი–აღმაშენებლის მოედანი–ჯაჭვის ხიდი–ქვის კიბეები–ბაგრატი–უქიმერიონი–ეროვნული პარკი–წითელი ხიდი". „რომანტიკული ტური" წყვილებისათვის, რომელშიც შედის რომანტიკული მსოფლიოს გაცნობა, საუბარი სიყვარულზე, გელათში ჯვრისწერის რიტუალში მონაწილეობა, კონკურსი ეროვნულ ცეკვებში, სიმღერებში, პოეზიაში, გამარჯვებულთა დაჯილდოვება და სხვა. ტური ერთდღიანია და მისი ღირებულება ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის[60].

გარდა ზემოხსენებული საფეხმავალო მარშრუტისა სასურველი იქნებოდა მრავალი სხვა საფეხმავლო სივრცეების შექმნა და სხვა ქვეყნების მაგალითების/მოდელების გაზიარება. თითქმის ყველა ძველმა ევროპულმა ქალაქმა გამოყო ფეხით სასიარულო ზონები, რომლებიც ძირითადად მთავარი სავაჭრო ქუჩების გაყოლებაზეა განლაგებული. ტრანსპორტით მიდგომა ჩვეულებრივ შეზღუდულია მომსახურების მანქანებით, ისიც დღის შედარებით წყნარ პერიოდებში. ბევრ შემთხვევაში, ეს რაიონები ძალიან კარგად მუშაობს სხვადასხვა თვალსაზრისით:

• მოქალაქეებისათვის შექმნილია შედარებითი სიმშვიდის ოაზისები ძირითადი სატრანსპორტო არტერიების ხმაურისა და დაბინძურებისაგან;

• ძველი რაიონები დაცულია მსუბუქი და სატვირთო მანქანებით გამოწვეული ფიზიკური გაცვეთისაგან;

• სადარბაისლო და ვიზუალური წესრიგის შეგრძნების შენარჩუნება მანქანებისაგან ფორმადაუკარგავ რაიონებში, სადაც მაგ., შერჩენილია ტრადიციული წესითა და მასალით მოკირწყლული ქუჩები; ქვაფენილები და ა.შ.

• ეს უბნები მაგნიტისებრ მიმზიდველია ადგილობრივი მაცხოვრებლებისა თუ ჩამოსულთათვის, რაც მასტიმულირებელია ეკონომიკის გასაცხოვლებლად.

ფეხით სასიარულო ზონების შექმნა ქ. ქუთაისის მაგალითზე წარმატებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ იგი დაეყრდნობა ფაქტორების ფართო სპექტრის ანალიზს, სადაც გეგმარებისას გათვალისწინებული იქნება, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური ფაქტორები.

ჩვენს მიერ წარმოებული კვლევის თანახმად, იმერეთში ოფიციალურად რეგისტრირებული 25 ტურსააგენტოდან ფუნქციონირებს, მხოლოდ რამდენიმე სააგენტო, მათ მიერ იმერეთის რეგიონში დაგეგმილი და განხორციელებული ტურები შემოიფარგლება 1 ან 2 დღიანი მარშრუტებით, როგორიცაა: ქუთაისის ღირშესანიშნაობების დათვალიერება (გელათის მონასტერი, ბაგრატის ტაძარი, მოწამეთას მონასტერი, გეგუთის ციხის ნანგრევები, სათაფლიას, პრომეთეს და ნავენახევის მღვიმეები, მუზეუმები, ოქროს ჩარდახი, მწვანეყვავილა და ა.შ.) მაშინ, როცა არსებული პოტენციური რესურსის საფძველზე არაერთი საინტერესო მარშრუტის დაგეგმვა და კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის შეთავაზებაა შესაძლებელი. მაგ. სოფელ შროშას და ზესტაფონის მუნიციპალიტეტს პოტენციურად გააჩნია დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტურისტულ ობიექტად ჩამოყალიბების პერსპექტივა, რომელსაც შეუძლია თვისობრივად ახალი ტურისტული პროდუქტი შესთავაზოს მთელი წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსულ უცხოელ თუ ადგილობრივ ტურისტს. სოფელი შროშა - მდებარეობს მდინარე ძირულის ხეობაში. ზღვის დონიდან 400 მეტრი, ზესტაფონიდან 18კმ. ქ. ქუთაისიდან 43კმ. სოფელში გადის საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი.

შროშა მეთუნეობის უძველესი კერაა საქართველოში, ამ სოფელში ოდითგანვე თიხის არაჩვეულებრივ ნიმუშებს ამზადებენ (უნდა აღინიშნოს, რომ მეთუნეობა ხუთ ძირითად დარგად იყოფა, ესენია: მექვევრეობა, მეაგურეობა, მეკრამიტეობა, მეთონეობა, მეჭურჭლეობა). მწირი და სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი წითელი მიწა, აქაურებისათვის ნამდვილი სიმდიდრის საბადოა, თიხა სოფლიდან 4/5კმ-ის მოშორებით ტყეში მოიპოვება. თითოეული ნივთის დასამზადებლად, ჭურჭელი იქნება, თონე თუ ქვევრი, სპეციალურ მიწას არჩევენ და ზელენ. აქ მეთუნეობის (რეწვა) საუკუნოვან

ტრადიციას (მეთუნეობასთნა ერთად ხეზე მუშაობა) ყოველი ოჯახი სათუთად იცავს და თაობიდან თაობას გადასცემს. სოფელ შროშაში XX-ს-ის დასაწყისში ქარხანა აშენდა, სადაც კერამიკული ნაწარმის ქარხნული წესით დამზადება დაიწყეს, თუმცა ტრადიციულ, მამაპაპურ მეთოდებს ადგილობრივი მკვიდრნი არ ივიწყებენ. აქ შესაძლებელია იხილოთ, თუ როგორ მზადდება ქვევრი, ნატიფი დოქები და ქართული სუფრისათვის ასევე სახასიათო ფიალები, ყანწები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჭინჭილები, სუვენირები ტრადიციული ეროვნული ორნამენტებით რომლებიც გამოფენილია გარე ბაზრობაზე[118]. აღნიშნულის ბაზაზე შევიმუშავეთ სრულიად ახალი 10 კაციანი ორგანიზებული თემატური ტური, როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ვიზიტორებისათვის, იხ. ცხრილი 3.4

ცხრილი 3.5.

თემატური ტური: „მეთუნეობა"

დესტინაცია	**ქუთაისი-შროშა-ზესტაფონი-ქუთაისი**
სამიზნე ჯგუფი	უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორი, მეთუნეობის საკუნოვანი ტრადიციით დაინტერესებული სხვადასხვა ასაკის ადამიანები, პროფესიული სკოლების მოსწავლეები,უმაღლესი სასწავლებლების ტურიზმის პროფილის სტუდენტები
ვიზიტორთა რაოდენობა	10კაცი
ტურის ხანგრძლივობა	2 დღე
კილომეტრაჟი	180კმ
სატრანსპორტო მომსახურება	ორი გზა, შიდა გადაადგილება
ტრანსპორტით მომსახურების მთლიანი ღირებულება	40 ლარი
განთავსება სასტუმრო სახლში (მთლიანი ღირებულება)	200ლარი
სასწავლო მასალის მთლიანი ღირებულება	60ლარი
კვება (3-ჯერადი)	300 ლარი
სულ ტურის ღირებულება	600 ლარი
ტურისტული სააგენტოს ხარჯები 6%	636
მოგება 20%	763
ტურის ღირებულება 1 კაცზე	76 ლარი (2 დღე)

მიგვაჩნია, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ინოვაციები მრავალფეროვანია, გარდა თეორიული ასპექტებისა და სამომავლო წინადადებებისა, ჩვენ ასევე, გთავაზობთ სრულიად ახალ და განსხვავებულ თემატურ ტურებს საკუთრივ იმერეთში, თემატური ტური „მეთუნეობ"-ის გარდა, ასევე წარმოგიდგენთ კომბინირებულ ორგანიზებულ ტურს „იმერეთის კულტურული მემკვიდრეობა" (არქეოლოგიური, კანიონ, სპელეო, რელიგიურ, ისტორიულ-არქიტექტურულ-კულტურული და სამუზეუმო მარშრუტი) და „არქიტექტურულ ტურს ქუთაისში". მოცემული ტურების გაანგარიშებები და პროგრამები იხილეთ ***დანართში 1.***

დასკვნები და წინადადებები

- ტურიზმი ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიაა მსოფლიოში, რომლის განვითარებასაც ქვეყანაში განაპირობებს შიდა სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო და ეკონომიკური განვითარების მისაღები დონე. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას ქვეყნებში, სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით.

- ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და გონივრული კანონმდებლობის დანერგვა. ტურიზმი პრაქტიკულად შეთავსებადია მეურნეობის ყველა დარგთან და ადამიანთა ყოველგვარ საქმიანობასთან, რამდენადაც სწორედ მათი დიფერენციაცია ქმნის სხვადასხვაობებს რეკრეაციული გარემოს პოტენციურ შესაძლებლობებს შორის და იწვევს ადამიანებს შორის მოთხოვნების წარმოშობას მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში ყოფნაზე, დასვენებაზე, რეკრეაციასა და შემეცნებაზე.

- კულტურულ ტურიზმს პიროვნების უშუალო კონტაქტით კულტურულ ღირებულებებთან შემეცნების შეუცვლელი ეფექტი გააჩნია. მას ასევე წვლილი შეაქვს ენდოგენური პოტენციალის განვითარებაში, ხელს

უწყობს რეგიონის/ქალაქის თვითმყოფადობის და ბაზარზე გაყიდვის უნიკლური შეთავაზების გაჩენას, ამასთანავე, ადგილობრივი მოსახლეობის და მეწარმეთა საქმიანობის დაკავშირებას და, შესაბამისად, ახალი საქმიანი კონტაქტების და შესაძლებლობების გაჩენას. კულტურული ტურიზმის მნიშვნელობა ხასიათდება რამდენიმე კომპონენტით, გარდა ეკონომიკური და სოციალური სარგებლისა იგი ახდენს ქვეყნის ტურისტულ იდენტიფიცირებას, ხელს უწყობს კულტურულ მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ადამიანებს შორის ჰარმონიისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.

- კულტურული ატრაქციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტურიზმში ყველა დონეზე, დაწყებული მსოფლიო კულტურის ყველზე საინტერსო გლობალური ფაქტიდან დამთავრებული იმ ატრაქციამდე, რომელებიც თავის თავში მოიცავენ ლოკალურ იდენტობებს. კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი არის ტურიზმის ინდუსტრიის ყველაზე მზარდი სეგმენტი, იზრდება იმ ტურისტთა რაოდენობა ვინც ეძებს თავგადასავალს, ინტერესდება ქვეყნის კულტურით, ისტორიით, არქეოლოგიით და ინტერკულტურული ურთიერთობებით.

- კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმს აქვს დადებითი ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენა, იცავს კულტურულ მემკვიდრეობას, კულტურის, როგორც ერთგვარი ინსტრუმენტის მეშვეობით ხელს უწყობს საზოგადოებებს შორის ჰარმონიისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას, ეხმარება კულტურას და მხარს უჭერს ტურიზმის განახლებას.

- კულტურული ტურიზმი მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტებისათვის. ისი განვითარებისათვის რამდენიმე წინაპირობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი –მუზეუმების (მათ შორის ისტორიულ- არქიტექტურული ძეგლების) რეაბილიტაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ინტეგრაცია ერთიან საინფორმაციო სისტემაში (რაცშესაძლებელს გახდის ინტერნეტის საშუალებით მუზეუმის და ექსპოზიციის შესახებ ინფორმაციის წინასწარ მიღებას და საექსკურსიო ტურების დაგეგმვას და დაჯავშნას), ასეთივე

სისტემაში სხვა კულტურული ღონისძიებების ასახვა (კონცერტები, თეატრალური დადგმები და ა.შ.).

- ძალზედ მნიშვნელოვანია ტრადიციული ყოველწლიური კულტურული ღონისძიებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა – სხვადასხვა ტიპის ფესტივალები (კინო, თეატრალური, საოპერო და საბალეტო, კლასიკური, ფოლკლორული, ჯაზ, როკ, პოპ მუსიკის და სხვა), კონფერენციები, ფორუმები და ა.შ.) ამ ღონისძიებების ტრადიციული და განმეორებადი ხასიათი, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ფორმალური და არაფორმალური თანამშრომლობის და დაახლოვების პროცესს, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ქსელების ჩამოყალიბებას დ მეორე მხრივ, გაუადვილებს ტუროპერატორებს ტურისტული სერვისების დაგეგმვას და აღნიშნული ღონიძიებების ინტეგრაციას შეთავაზებულ ტურისტულ პაკეტში.

- რეგიონმა რომ იარსებოს, საჭიროა ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოავლინოს შემოქმედებითი ძალები და საუკუნეებს გადასცეს თავიანთი ისტორიიის კვალი. კულტურული მემკვიდრეობა ინტრუმენტია, რომელიც უზრუნველჰყოფს ამ მიზნის მიღწევას, აერთიანებს რა წარსულს, აწმყოსა და მომავლს. კულტურა ტურიზმის ჩათვლით წარმოადგენს განვითარების საფუძველს, კულტურული მემკვიდრეობა ეს არის სხვა ხალხებთან ურთეირთობის გასაღები, გამუდმებული დიალოგი სხვადასხვა ცივილიზაციებისა და კულტურებს შორის.

- კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის პროგრამების ძირითადი მოთხოვნაა პროპაგანდა გაუწიოს ტურიზმს და ხმამაღლა განაცხადოს, რომ ტურიზმი არ ანადგურებს რეგიონის მთავარ ღირებულებებს, არ ანადგურებს იმას, რაც ტურისტებს ესოდენ იზიდავთ.რადგან ტურიზმი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა, მას თავისი მოთხოვნებიც გააჩნია. ტურიზმი ზოგადად "სუფთა" ინდუსტრიაა (არ იყენებს საშიშ ქიმიკატებს, არ სჭირდება საკვამურები და ა.შ.) მაგრამ მას აქვს მოთხოვნა ინფრასტრუქტურაზე - გზებზე, აეროპორტებზე, წყლით

უზრუნველყოფაზე, საჯარო სამსახურებზე, როგორიცაა: პოლიცია, სახანძრო, დაცვა და ა.შ.

- მოთხოვნა არა მხოლოდ ვიზიტორის ზეგავლენიდან, არამედ ვიზიტორის მოლოდინიდან გამომდინარეობს, ანუ ის ელის ხარისხიან პროდუქტს და ადეკვატურ მომსახურებას.

- ტურიზმი არსებითად მომსახურების ინდუსტრიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის დამოკიდებულია ადამიანთა კომპეტენციებზე, მათ სამუშაო ტიპზე, ადგილმდებარეობაზე და ა.შ.

- ტურიზმი შესაძლებელია არ განვიხილოთ, როგორც ქვეყნის/ რეგიონის ეკონომიკური განვითარების უნივერსალური საშუალება, მაგრამ, უდავოა, რომ, იგი ნამდვილად ეკონომიკური აღმავლობის ერთერთი საშუალებაა.

- ტურიზმის განვითარებას საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ სახელმწიფოსა და ერის ისტორიის, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და ქართველი ხალხის მრავალ- საუკუნოვან თვითმყოფადი ტრადიციების მსოფლიოში პოპულარიზაციისათვის.

- ტურიზმისა მდგრადი განვითარების კონცეფცია პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს ტურიზმის გრძელვადია სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით, რომელშიც ქვეყნის ყველა რეგიონის მიხედვით, წლებისა და შესასრულებე სამუშაოთა პროექტების სახით გათვალისწინებული იქნება ქვეყანაში არსებული ადგილობრივი ადამიანური და მდიდარი ბუნებრივ-კულტურული რესურსების ეფექტური გამოყენება;

- დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ მასზე შემონახულ ხელუხლებელ ბუნებასა და უძველესი კულტურის უმშვენიერეს სამყაროს, ახალ სამოგზაურო ადგილებს, რომელსაც თანამედროვე, განვითარებული ინფრასტრუქტურა ვიზიტორთათვის საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის. დაცული ტერიტორიების პოტენციური რესურსის სრულყოფილი გამოყენება და აღიარება კი საშუალებას მოგვცემს სათანადო ადგილი დავიმკვიდროთ მსოფლიო ტურიზმის სივრცეში. დაცული ტერიტორიების

სისტემის ჩამოყალიბება უნდა ემსახურებოდეს თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას, რომელშიც დიდი წვლილი უნდა შეიტანოს სახელმწიფომ და ადგილობრივმა სტრუქტურებმა.

- რელიგიური საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების დღიდან იქცევდა უცხოელთა დიდ ინტერესს. რელიგიური ტურიზმის ჩამოყალიბება საქართველოში, სავარაუდოდ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად იკიდებს ფეხსდა საბოლოოდ ალბათ ჩამოყალიბებულ ფორმას მიიღებს. რეგიონში რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ეფექტური სარეკლამო-პროპაგანდისტული კამპანიის წარმართვა მედიის სხვადასხვა საშუალებით.

- მუზეუმის ხელმღვანელებთან ერთად გარკვეული მუშაობა უნდა ჩაატარონ იმერეთის რეგიონზე მომუშავე საქართველოს ტუროპერატორებმა, რათა აქტიურად იქნას გამოყენებული იმერეთის სამუზეუმო პოტენციალი. მუზუემმა უნდა მიღწიოს ბალანსს. მან უნდა შექმნას იმგვარი პროდუქცია ან მომსახურება, რომელიც დააკამყოფილებს ბაზრის მოთხოვნებსა და ინტერესებს. მის მიერ წარდგენილი პროდუქციის მიწოდების ფორმამ ან ფასმა უნდა წარმოქმნას მოთხოვნა, იმავდროულად უმნიშვნელოვანესია ადგილმდებარეობა და გასაღების წერტილის ხელსაყრელი მდებარეობა. მან უნდა მოახდინოს თავისი მომსახურების რეკლამირება ბაზარზე.

- არქეოლოგიური ადგილები არის განსაზღვრული, მილევადი და არა განახლებადი რესურსი, ისინი არიან უნიკალურები და შეუცვლელები, იმავდროულად დესტრუქცია (დანგრევა/განადგურება) ასეთი ადგილებისა ხშირი ვიზიტის დროს მუდმივი და გარდაუვალია, რის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია შემუშავებულ იქნას სწორი სტრატეგია.

- საქართველოში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ახლებური გააზრება და შეფასება, ფუნქციური კლასიფიკაციის

საფუძველზე ტურიზმის პრიორიტეტული სახეობების გამოვლენა და მათი ფართო რეკლამირება;

- ტურიზმმცოდნეობის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა და დარგისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა;

- საჭიროა შემუშავდეს ქვეყანაში ტურიზმის კომპლექსური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება რეგიონებში ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პოტენციალისა და რესურსების შესახებ ერთიან საინფორმაციო ბაზას.

- სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ფენებისათვის სპეციალური პროგრამით შემუშავებული ტურისტული მომსახურების გაწევა;

- რეგიონის უნიკალური გეოგრაფიული თუ კლიმატური მახასიათებლები, პრაქტიკულად, ყველა სახის ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. მით უფრო, რომ რეგიონში შესაბამისი ტრადიციაც არსებობს და მოთხოვნილებაც

- ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა საზოგადოების, მთავრობისა და უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს თუ რას ეფუძნება მისი კონკურენტული უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით და გაუმჯობესოს მომსახურება. ტურიზმის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო შესაბამისი რეგულაციებითა და ინფრასტრუქტურის მოწყობით. უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება ინვესტიციებს, რომელიც წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას ტურიზმის განვითარებისთვის.

- ორიენტირება ტურიზმის განვითარებაზე მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ისტორიული, რელიგიური და არქეოლოგიური ძეგლების დაცვასა და მოფრთხილებას,

ადგილობრივი ფოლკლორის, ტრადიციების, ხელოვნებისა და სამზარეულოს დაცვასა და შენარჩუნებას;

- ტურისტთა ნაკადის ზრდა საშუალებას აძლევს მოსახლეობას, რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი ნაწარმის ექსპორტზე გატანას, ადგილზე მოახდინოს მისი პროდუქტის რეალიზაცია;

- ბაზარზე ტურისტული პროდუქტი წარმოდგენილი უნდა იყოს მომხმარებლის მოთხოვნილებების გათვალისწინებით და მათ დასაკმაყოფილებლად. მომსახურება უნდა პასუხობდეს ტურისტის მატერიალურ (ღამისთევა, ტრანსპორტი, კვება) და სულიერ(შემეცნებით,კულტურულ-გასართობ) მოთხოვნილებებს. ტურისტული პროდუქტის ხარისხს განსაზღვრავს შემადგენელი კომპონენტების რაოდენობა და მათი ჰარმონიულობა:

- ტურისტული მიმზიდველობა (კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, ტრადიციული მეურნეობა, სოფლის ცხოვრება და სხვა..), ადგილობრივი მომსახურება (სასტუმრო, კვება), ტრანსპორტი, კომუნიკაცია, ინფორმაცია და რეკლამა, შუამავალი- ტურისტული სააგენტოები, ტუროპერატორები, ტურისტი. თუ ტურისტული პროდუქტი მოიცავს ყველა აქ ჩამოთვლილ მომსახურებას იგი მაღალი ხარისხისაა და ტურისტული შეთავაზება წარმატებულია.

- საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის წარმოჩენა და ადგილობირვი მოსახლეობის თვითშეგნებისა და საიმაყის განცდის გამყარება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების გზით.

  - იმერეთის რეგიონის რაიონებისა და სოფლებისათვის პერსპექტიული განვითარების კომპლექსური, ქალაქგეგმარებითი სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება, რომელიც დაეყრდნობა რეგიონის განსახლების სტრატეგიულ გეგმას.
  - რეგიონის რაიონებისა და ქალაქების ისტორიულ უბნებში უნდა შენარჩუნდეს არსებული გეგმარებითი სტრუქტურა, არქიტექტურული და სივრცითი აქცენტები ტრადიციული მასალით, გამოიყოს

საცალფეხო ბილიკები, შეკეთდეს ან ახლად მოეწყოს საინჟინრო კომუნიკაციები.

- დღესდღეობით იმერეთში ჩამოყალიბებული ტურისტული სამსახურების სტრუქტურა არ არსებობს, აუცილებელია რეგიონის თითოეულ რაიონში ჩამოყალიბდეს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები.
- დადგინდეს ისტორიული და არქიტექტურული ღირებულებების მქონე ობიექტების ნუსხა, შესრულდეს მათი ანაზომები, მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ობიექტის სტატუსი, კონკრეტული ობიექტისათვის განისაზღვროს ექსპლუატაციის რეგლამენტი.
- რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის კომპლექსური შესწავლა და მისი ოპტიმალური გამოყენებისათვის რეკომენდაციების შემუშავება.
- ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალი ობიექტების საპილოტო პროექტების დამუშავება, როგორიცაა: ტურისტული ცენტრები, სააგენტოები და ა.შ.)
- მრავალფეროვანი ტურების დამუშავებისა და ბაზარზე წარდგენის ღონისძიებები, ტურისტული ბიზნესი მოითხოვს პროდუქტის სისტემატიურ განახლებას და დახვეწას. ამ თვალსაზრისით საჭიროა კვლევითი სამუშაოების პერმანენტული წარმოება, პარალელურად აქცენტის გაკეთება ტრადიციულ სახალხო და რელიგიური დღესასწაულების დაგეგმვის, ჩატარების ახალი ფორმების ძიებასა და განხორციელებაზე.
- იმერეთის, როგორც ტურისტული რეგიონის რეკლამირება საქართველოსა და უცხოეთში, მისი ტურისტული და საკურორტო, ისტორიული და კულტურული პოტენციალის პოპულარიზაციის ღონისძიებები
- იმერეთის, როგორც საერთაშორისო კონფერენციების, კონგრესებისა და შეხვედრების ჩატარების რეგიონალური ცენტრის იმიჯის ჩამოყალიბების ღონისძიებები.

- საგანმანათლებლო და პრევენციული ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვის მნიშვნელობისა და მათი ხელყოფისაგან აღმკვეთი კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი ზომების შესახებ.
- რეგიონის დონეზე გატარებულ იქნას კადრების მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებები (ტურიზმის ინდუსტრიისთვის ადამიანური რესურსების განვითარება, ტრეინინგები ტრენერთათვის და ა.შ.)
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა.
- მცირე და საშუალო წარმოების განვითარების მხარდაჭერა ტურიზმის ინდუსტრიაში.
- ახალი ტურიზმის მიმართულებების დანერგვა.
- გიდებისა და გიდთარჯიმანთა სამსახურების ჩამოყალიბება.
- იმერეთის ყოველწლიური ტურისტული კატალოგის გამოშვების ორგანიზება.
- იმერეთის ტურისტული გზამკვლევის, სარეკლამო აფიშების, რუკების გამოცემა.
- იმერეთის ტურისტული პროდუქტის ამსახველი ვებგვერდის მომზადება, სარეკლამო ფილმების მომზადება და გავრცელება.
- საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობის მიღება.
- იმერეთში მოქმედი ტუროპერატორების, საკურორტო-რეკრეაციული ბაზების წარმომადგენელთა ბიზნეს კონფერენციების ორგანიზება.
- ნიშნებისა და მაჩვენებლების შეთანხმებული სისტემის შემოტანა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.
- რეგიონში შემოსულ ადგილობრივ და უცხოელ ვიზიტორთა აღრიცხვიანობა, სტატისტიკური მონაცემების მონაცემთა ბაზაში შეტანა.
- იმერეთის რეგიონში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების წესით ყოველწლიური კონკურსის გამოცხადება (სუვენირების წარმოება და ა.შ.).

- რეგიონში ტურისტების განთავსებისათვის ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისი სახლების (სასტუმრო სახლები) ქსელის განვითარება (ადგილობრივი ტრადიციების წინწამოწევა).
- მომსახურების გაუმჯობესება.
- ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის გაერთიანება და კოორდინაცია, როგორიცაა: სახელმწიფო სტრუქტურები, ადგილობრივი თვითმართველობები, ტურისტული სააგენტოები, ტუროპერატორები, ადგილობრივი მოსახლეობა და თვით ტურისტები.
- გეოინფორმაციული სისტემების გამოყენების შესაძლებლობები რეგიონში (ქაღალდის რუკების ან აერო/სატელიტური ფოტო გადაღების სივრცითი მონაცემების შეტანისა და დამუშავების ქვესისტემები, შენახვისა და ძიების ქვესისტემები, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ობიექტის სწრაფად მოძებნას, აქტუალიზაციას და კორექტირებას).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. აფაქიძე გ. ფირცხალაიშვილი გ. ექსკურსიამცოდნეობა, ბათუმი, 2009.
2. ბარკალაია ბ. ეკოტურიზმი და მოსახლეობა, თბილისი, 2000.
3. ბაგრატიონი გ. დავითაშვილი ა. შალვაშვილი ლ. ტრადიციული დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი საქართველოში. გამომცემლობა „შემეცნება“. თბილისი, 2005
4. გელოვანი ნ. არუთინოვა ი. არჩვაძე მ. ქუთაის-გელათის მუზეუმ-ნაკრძალი, თბილისი, 1987.
5. გერბერა კ. კულტურული ტურიზმის ეკონომიკური ეფექტის შესახებ, ქართული ხელოვნება ევროპისა დ აზიის კულტურათა კონტექსტში, თეზისები, ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2008.
6. დევიძე ე. იმერეთის ეპარქიები და ეკლესია-მონასტრები, ქუთაისი 2010.
7. დევიძე ე. ცაგარეიშვილი ს. იმერეთის დაცული ტერიტორიები, ქუთაისი 2010.
8. დოლიკაშვილი ლ. ჩეკურიშვილი ნ. ღვინჯილია მ. ტურიზმის ეკონომიკა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009
9. ვადაჭკორია ვ. უშვერიძე გ. ჯალიაშვილი ვ. საქართველოს კურორტები, თბილისი, 1982.
10. თაბაგარი ი. კულტურული ტურიზმი ურთიერთობები ეკლესიასა და ტურიზმის ინდუსტრიას შორის, ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში, თეზისები, ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2008.
11. თუმანიშვილი დ. ხუროთმოძღვრების კონსერვაცია, პრინციპები, მოსაზრებები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამა, გამომცემლობა „ნეკერი“, 2007
12. იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია, იმერეთის მხარე, პასპორტი, ქუთაისი, 2007.
13. კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, თბილისი, 2007.
14. კუბეცია მ. გეოკომპლექსები და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემები (იმერეთის მაგალითზე), თბილისი, 2006.

15. კოჭლამაზაშვილი ლ. ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები, თბილისი, 2004

16. კოჭლამაზაშვილი ლ. ტურიზმის ეკონომიკა, თბილისი, 2009

17. კოჭლამაზაშვილი ლ. მარკეტინგი ტურიზმში, თბილისი, 2009

18. კოჭლამაზაშვილი ლ. რეკლამა ტურიზმში, სალექციო კურსი, 2012

19. კოჭლამაზაშვილი ლ. ტურისტული საწარმოს მენეჯმენტი, სალექციო კურსი, 2012

20. კვარაცხელია ნ. კულტურული ტურიზმი, თბილისი, 2004

21. კვარაცხელია ნ. საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები, ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში, თეზისები, ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2008

22. ლორთქიფანიძე რ. ბუნებათსარგებლობა, ქუთაისი 2010.

23. ლუხუტაშვილი ნ. ჯულაყიძე ე. ტურიზმის მენეჯმენტი, ქუთაისი, 2009.

24. მაისურაძე დ. ხუციშვილი თ. ვერბეცკი ი. ტურიზმი ძველი დროიდან დღემდე. თბილისი, 2009.

25. მაისურაძე დ. ხუციშვილი თ. ხომერიკი გ. ვერბეცკი ი. ტურიზმის შესავალი. თბილისი, 2011

26. მესხია ი. ტურიზმის განვითარების სტრატეგია საქართველოს ეკონომიკური პრიორიტეტების სისტემაში, ეკონომიკა და ბიზნესი, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულიკონფერენცია, ბათუმი, 2011

27. მეტრეველი მ. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, თბილისი 2011.

28. მეტრეველი მ. ტურისტულ ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2006

29. მეტრეველი მ. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, თბილისი, 2008.

30. მეტრეველი მ. ტურიზმის ბიზნესი, თბილისი, 2011.

31. ნეიძე გ. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხამრე ზონა, თბილისი, 2009.

32. როგავა გ. საქართველოს ეკლესიის ისტორია, თბილისი, 1995.

33. სააკაშვილი ნ. ჩილინგარიშვილი თ. საქართველო ტურიზმის და კურორტების ქვეყანა, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2011

34. საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები. ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2010

35. საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ, თბილისი, 2001, №990-II

36. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997, №13/14

37. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, თბილისი, 2007წ 8 მაისი

38. საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციები 2010-2017 წლებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია, თბილისი, 2010

39. საქართველოში შიდა ტურიზმის სამომხმარებლო კვლევა, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, თბილისი, 2009

40. საქართველოს გეოგრაფიული ატლასი, ქარჩხაძის გამომცემლობა, 2006

41. სოხაძე ა. მარკეტინგული კომუნიკაციები და რეკლამა ტურიზმში, ქუთაისი, 2009.

42. სოხაძე ა. ლომთაძე მ. ტურიზმის ეკონომიკა, ქუთაისი, 2007.

43. სოხაძე ა. ლომთაძე მ. ტურიზმი, ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა, ქუთაისი, 2004.

44. ტურიზმის საფუძვლები (დამხმარე სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო). ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრის გამომცემლობა „ლიგამუსი“, 2011

45. ტურისტული საქმიანობის დაგეგმვა (ტურიზმის მდგრადი განვითარება). 1 ნაწილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2010

46. უცხოელი ვიზიტორების კვლევა საქართველოს სასაზღვრო პუნქტებში, რაოდენობრივი კვლევის შედეგები, „ეისითი კვლევა”, თბილისი 2011

47. ფილდენი ბ. მ. ჯოკილეტო ი. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, თბილისი, 2007.

48. ქარქაშაძე ნ. ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგიები და მისი მნიშვნელობა იმერეთის რეგიონისათვის, ეკონომიკა და ბიზნესი, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2011

49. ქეიჯუდი მ. ქართული კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ეკონომიკური რესურსი, ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა

კონტექსტში, თეზისები, ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2008

50. ყამარაული ს. მარკეტინგი, თბილისი, 2002.

51. შავიანიძე ო. შავიანიძე გ. შავიანიძე მ. წყალტუბოს სამკურნალო ფაქტორები, თბილისი, 1992.

52. შანშიაშვილი პ. საქართველოს ტურისტული კონკურენტუნარიანობის გაზრდა დაცული ტერიტორიების ქსელის შექმნის მეშვეობით, ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში, თეზისები, ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2008

53. შენგელია ი. საქართველოს ტურიზმის როლი საერთაშორისო ბიზნესში, ეკონომიკა და ბიზნესი, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2011

54. შიშნიაშვილი რ. საქართველოს დაცული ტერიტორიების აწმყო და მომავალი, თბილისი, 1997.

55. შუბლაძე გ. დოლიკაშვილი ლ. ტურიზმის მარკეტინგი. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009

56. ჩერქეზიშვილი ტ. ტყე და ადამიანი. თბილისი, 2009

57. ჩიხლაძე ნ. იმერეთის რეგიონის, როგორც ბრენდის ფორმირების საკითხისათვის, ეკონომიკა და ბიზნესი, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2011.

58. ჩოხელი ე. ნარმანია დ. ტურისტული კომპანიების სტრატეგიების შემუშავება და შერჩევა, ეკონომიკა და ბიზნესი, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2011.

59. ჩხეიძე ო. სასწავლო გეომორფოლოგიური ექსკურსიები იმერეთში, თბილისი, 2000.

60. ცაგარეიშვილი ს. იმერეთის რეგიონის რეკრეაციული რესურსების რაციონალური გამოყენება და ეკოლოგიური შეფასება, ქუთაისი, 2009.

61. ჭარხალაშვილი კ. გულუა გ. ქუთაისში ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის, ქუთაისი, 2010

62. ხარაძე ნ. კვარაცხელია პ. რელიგიური ტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში, ეკონომიკა და ბიზნესი, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულიკონფერენცია, ბათუმი, 2011.

63. ჯავახიშვილი დ. კურორტოლოგია, თბილისი, 1972.

64. ჯაფარიძე დ. კულტურული ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში, ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში, თეზისები, ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2008

65. ჰასკელი ბ. ტურიზმი საქართველოში, ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში, თეზისები, ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2008,

66. BLUEPRINT FOR NEW TOURISM, World Tourism and Travel Council, 2007

67. Chistou E. Overview of heritage and cultural tourism products, international cultural tourism, 2009

68. Christou E. Heritage and cultural tourism: a marketing- focused approach 2008

69. Feather J. Managing the documentary heritage: issues for the present and future. In: Gorman, G.E. and Sydney J. Sh., Preservation management for libraries, archives and museums. London: Facet. 2006

70. ICCROM Working Group ,,Heritage and Society" DEFINITION OF CULTURAL HERITAGE REFERENCES TO DOCUMENTS IN History, Selected by J. Jokilehto, (Originally for ICCROM, 1990) , Revised for CIF: 15 January 2005

71. ICOMOS, International Cultural Tourism Charter. Principles and Guidelines For Managing Tourism At Places Of Cultural And Heritage Significance. ICOMOS International Cultural Tourism Committee. 2002.

72. Jokilehto J. Definition of cultural heritage, ICCROM, 2005

73. Tomaszevki A. Giometti S. The image of heritage, changing perception, permanent responsibilities, Florence, Italy, 2009.

74. Thurley S. Into the future. Our strategy for 2005-2010. In: Conservation Bulletin , English Heritage, 2005.

75. UNESCO World Heritage Center, World Heritage Information Kit, 2005

76. World Heritage Information Kit, UNESCO world heritage centre, France, 2005

77. http://www.questia.com/library/book/culture-a-critical-review-of-concepts-and-definitions-by-clyde-kluckhohn-a-l-kroeber-alfred-g-meyer-wayne-untereiner.jsp

78. http://www.gnta.ge/

79. www.apa.gov.ge

80. http://www.newworldencyclopedia.org/entry/Edward_Burnett_Tylor

81. www.geotourism.ge

82. www.geotrace.ge

83. http://www.economy.ge/upload-file/pdf/Imereti.pdf

84. www.georgiaunivers.com

85. http://www.wtoelibrary.org/home/main.mpx

86. www.travel-guide.ge

87. http://dictionary.reference.com/browse/culture

88. www.ruraltourism.ge

89. http://www.nyu.edu/econ/user/bisina/Palgrave_culturaltransmission2.pdf

90. www.traveling.ge

91. www.ali.ge

92. www.culture.ge

93. http://www.dzeglebi.ge/statiebi/arqeologia.html

94. www.museum.ge

95. http://whc.unesco.org/

96. http://whc.unesco.org/en/convention

97. http://whc.unesco.org/en/modernheritage/

98. http://whc.unesco.org/en/activities/643/

99. http://www.tourismfortomorrow.com/bin/pdf/original_pdf_file/wttc_blueprint_final.pdf

100. http://whc.unesco.org/en/series

101. http://www.icomos.org.ge/

102. http://whc.unesco.org/en/list/710

103. http://unwto.org/

104. http://sdt.unwto.org/en/content/about-us-5

105. http://logica.ugent.be/philosophica/fulltexts/3-6.pdf

106. http://www.auditoriumalduomo.com/uk/default_uk.asp

107. http://www.heritagesites.ge/

108. http://www.cultureindevelopment.nl/Cultural_Heritage/What_is_Cultural_Heritage

109. http://www.gaccgeorgia.org/FSCHerit.htm

110. http://www.culturalheritage.cc/md/wrapper.vm?page=/md/index.vm

111. http://ec.europa.eu/culture/index_en.htm

112. http://tskaltuboresort.ge/index.php?page=1399&lang=geo

113. http://www.nyu.edu/econ/user/bisina/Palgrave_culturaltransmission2.pdf
114. http://www.tourism-futures.org/content/category/4/29/53/
115. http://vani.org.ge/eng
116. http://www.tourismfortomorrow.com/bin/pdf/original_pdf_file/wttc_blueprint_final.pdf
117. http://www.istoria.ge/dzeglebi/bagrati.htm
118. http://kutaisi.gov.ge/
119. http://kutaisi.gov.ge/tourism/
120. http://hotel.bagrati1003.ge/
121. http://kutaisi.gov.ge/tourism/tours/
122. http://www.wttc.org
123. http://www.sachkhere.ge/
124. http://unwto.org/en/programmes
125. http://orthodoxy.ge/
126. http://chiatura.ge/
127. http://chiatura.wen.ru/gverdebi/mgvimevi.html
128. http://dpa.gov.ge/sataflia/
129. http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=40&info_id=1619
130. http://imereti.ge/index.php?lang_id=eng&sec_id=84&info_id=128
131. http://www.economy.ge/#tourism
132. http://www.nunisi.ge/
133. http://www.economy.ge/upload-file/pdf/geo-world-economic-outlook.pdf
134. http://www.economy.ge/upload-file/pdf/Imereti.pdf
135. http://www.heritagesites.ge/
136. http://dpa.gov.ge/?site-path=news&page=3&site-lang=en
137. http://dpa.gov.ge/index.php?site-id=49&page=1&id=548
138. http://dpa.gov.ge/index.php?site-id=49&page=1&id=547
139. http://dpa.gov.ge/index.php?site-id=39&page=1&id=23
140. http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/m/mocameta.html
141. http://dpa.gov.ge/index.php?site-id=39&page=2&id=42

142. http://literatura.mcvane.ge/main/fesvebi/kutxeebi/6268-Array.html

143. http://vani.org.ge/municipality/

144. http://history-world.org/archeology.htm

145. http://statistics.unwto.org/sites/all/files/pdf/georgia_inbound_0.pdf

146. http://archaeology.about.com/od/archaeology101/a/archaeologyis.htm

147. http://www.culturalheritagetourism.org/

დანართი 1.

პროგრამა: თემატური ტური: „მეთუნეობა”

<table>
<tr><th>დაგეგმილი ღონისძიებები</th><th>შენიშვნა</th></tr>
<tr><td>1 .დღე. დესტინაცია: ქუთაისი-შროშა ჩამოსვლა, განთავსება, სადილი, თავისუფალი დრო, პროგრამის გაცნობა, მოკლე ინსტრუქტაჟი (ვიზიტორების ფოკუს ჯგუფებად დაყოფა, როლებისა დაფუნქციების განაწილება, ერთი ფუკუს ჯგუფი გაეცნობა ტრადიციული სამზარეულოს წესებს და უშუალოდ ჩაერთვება სასწავლო ტრეინინგში „იმერული ხაჭაპურისა და ლობიოს მომზადების წესი, მეორე სამიზნე ჯგუფის მონაწილეები იმოგზაურებენ თიხის სამყაროში, წითელი მიწისაგან სამეთუნეო მორგვზე თავიანთი ხელებით დაამზადებენ მათთვის სასურველ ჭურჭელს) გარე ბაზრობის დათვალიერება, შემაჯამებელი შეხვედრა, „ხაჭაპური party”</td><td rowspan="3">თემატური ტურის დაგეგმვისა და განხორციელების პერსპექტივა: შესაძლებელია ამ ტურის როგორც დამოუკიდებლად, ცალკე 2დღიან ტურად ორგანიზება, ისე ჩართვა გრძელვადიან კულტურული მემკვიდრეობის ტურში, რომელიც აუცილებლად იქნება გათვლილი იმერეთის რეგიონზე.

ტურისტები შეისწავლიან სხვადასხვა თიხის ჭურჭლის დამუშავება-გამოწვას, უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას ამ პროცესში, შესაძლებლობა ექნებათ თავიანთი ნამუშევარი სუვენირად წაიღონ, გაეცნობიან იმერულ სამზარეულოს,
კვება მოხდება ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა და ნატურალური სოფლის პროდუქტით და აშ.</td></tr>
<tr><td>II. დღე. დესტინაცია: შროშა-ზესტაფონი
სოფელი შროშასა და მეზობელი სოფლების ღირშესანიშნაობების დათვალიერება (კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (ციხისა და ორი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევები (XI-XIIსს/XIVს), მარმარილოს კარიერი, თიხის საბადო (წითელი მიწა), მდინარე ძირულას ხეობა (მცირე ზომის ჩანჩქერები), სოფლების: ამსაისი (13კმ ზესტაფონიდან), საწაბლე (25კმ ზესტაფონიდან), ქვედა საწუმბო (18კმ ზესტაფონიდან). შორაპნის ციხე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი(ისტორიული), უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი (მემორიალური) მონახულება.
საღამოწვეულება, სამახსოვრო ჯგუფური ფოტო, „მოგონებათა” ალბომში სურვილების დატოვება</td></tr>
<tr><td>III. დღე. გამგზავრება
შროშა-ქუთაისი (ან ტურისტთა მოთხოვნის შესაბამისი დესტინაცია)</td></tr>
</table>

2. იმერეთის კულტურული მემკვიდრეობა

დესტინაცია	1. ქუთაისი - გელათი – მოწამეთა - ბაგრატი 2. ქუთაისი - ვანი – ანტიკური ნაქალაქარი –ჭყვიში – ქუთაისი 3. ქუთაისი – წყალტუბო – ქუთაისი 4. ქუთაისი –ხონი – ზემო გორდი – ქუთაისი 5. ქუთაისი – ჭიათურა –საჩხერე – ქუთაისი 6. ქუთაისი- ხარაგაული- ქუთაისი
სამიზნე ჯგუფი	უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორები
ვიზიტორთა რაოდენობა	10კაცი
ტურის ხანრგძლივობა	6 დღე
კილომეტრაჟი	360 კმ
ტრანსპორტით მომსახურების მთლიანი ღირებულება	80 ლარი
განთავსება სასტუმრო სახლში (მთლიანი ღირებულება) 6 დღე/10 კაცზე	1200ლარი
სამიზნე ობიექტებზე (მუზეუმები, მღვიმეები) ბილეთების საერთო ღირებულება	100 ლარი
კვება (3-ჯერადი) 6 დღე/10კაცზე	2400ლარი
სულ ტურის ღირებულება	3780 ლარი
ტურისტული სააგენტოს ხარჯები 6%	4006ლარი
მოგება 20%	4807ლარი
ტურის ღირებულება 1 კაცზე	480ლარი

პროგრამა: იმერეთის კულტურული მემკვიდრეობა

დაგეგმილი ღონისძიებები	**ლეგენდები, მითები, თქმულებები, ტრადიცია**
I დღე: ჩამოსვლა, განთავსება, დესტინაცია: ქუთაისი – გელათი – მოწამეთა - ბაგრატი – გეგუთის ციხე დარბაზი რესტორანი „გელათი", თავისუფალი დრო, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეა, ქუთაისის სპორტის მუზეუმი,	უცნობი ავტორის "დავით და კონსტანტინეს მარტვილობა" მოგვითხრობს არგვეთის მთავრების საოცარი თავდადების შესახებ. როცა ძმებმა მურვან ყრუს სარწმუნოების შეცვლაზე უარი განუცხადეს, არაბთა სარდლის ბრძანებით, 10 დღე აშიმშილეს ისინი და შემდეგ კიდევ სცადეს მოლაპარაკება, მაგრამ მაინც უარი მიიღეს. მაშინ დავითი და კონსტანტინე წმიდა კოზმანისა და დამიანეს ტაძრის მახლობლად (შემდგომდროინდელი „ჯაჭვის ხიდის" ქვემოთ), მდინარის ნაპირას გაიყვანეს, ხეზე დაკიდეს და სასტიკად აწამეს. მერე ხელ-ფეხი შეუკრეს, ქედზე ლოდები გამოაბეს და მდინარეში გადააგდეს. ღამით აღსრულდა სასწაული: ზეციდან მიწაზე სამი ნათლის სვეტი გარდამოვიდა, შუქმა გაანათა

ქუთაისის დავით მხეიძის სახელობის ფოტო-კინო მატიანეს მუზეუმი, ქუთაისის საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმი გასეირნება ღამის ქუთაისში	იქაურობა. ღვთის ნებით მოწამეების ქედს „ლოდნი შემოეძარცვნეს" და მათი სხეულები წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა. მსახურებმა ცხედრები ნაპირზე გამოასვენეს. უცებ მოესმათ ნათლის სვეტიდან გამომავალი ხმა, რომელმაც მოუწოდა მათ, მინიშნებულ ადგილას წაესვენებინათ წმინდანთა ნაწილები. წყალწითელას ხევში ღრმად ჩაჭრილ კლდოვან ყელს ჩაუდგა პროცესია და მივიდა იმ ადგილამდე, სადაც ადრე ხარების სახელობის ეკლესია იდგა. ნაეკლესიარში ძველთაძველი აკლდამა იყო, იქ დაასვენეს მოწამენი. ამ ადგილს მოწამეთა ეწოდა. XI საუკუნეში ბაგრატ III ააშენა დანგრეული ეკლესია და მასში გადაასვენა წამებული გმირები. ამ დრომდე წმინდანთა გაუხრწნელი და უვნებელი ცხედრები თავშექცევით იწვნენ სამარეში და მრავალ სასწაულებრივ კურნებას აღასრულებდნენ „ვითარცა - ესე თვით მათ ითხოვეს ღმრთისაგან". გადმოცემის მიხედვით კი მონასტერი სწორედ იმ ადგილზეა აგებული, სადაც დავითი და კონსტანტინე აწამეს. (წყარო: http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/m/mocameta.html)
II დღე ქუთაისი – ვანი - ქუთაისი ანტიკური ნაქალაქარი-მუზეუმები (არქეოლოგიური მუზეუმი ქ.ვანი, გორგასლის ქ. №33, სახვითი ხელოვნების მუზეუმი. ქ. ვანი, სოლომონ II-ს ქ.№2. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ–მუზეუმი (სოფელი ჭყვიში), კორნელი კეკელიძის სახლ-მუზეუმი (სოფელიტობანიერი). რესტორანი „ მწვანებუნება".	ანტიკური ნაქალაქარი, რომელიც 2007 წლის 24 ოქტომბრიდან შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. ნიშანდობლივია, რომ ნაქალაქარი დაკავშირებულია მსოფლიოში ცნობილ არგონავტების მითთან. ძველი ქალაქი დაარსდა ბერძნულ ცივილიზაციამდე. სახელწოდება „ვანი" აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის განმარტებით, ძველქართულად ნიშნავდა „სახლს", „სადგურს", „დაბას", „საცხოვრებელს". (წყარო: http://vani.org.ge/municipality/)
III. დღე. ქუთაისი – წყალტუბო – ქუთაისი სათაფლიასა და პრომეთეს მღვიმეები, თავისუფალი დრო, არქიტექტურული ქუთაისი: საფეხმავლო ტურისტული მარშუტი. ოქროს ჩარდახი–I სკოლა–ბულვარი–აღმაშენებლის მოედანი–ჯაჭვის ხიდი–ქვის კიბეები–უქიმერიონი–ეროვნული პარკი–წითელი ხიდი, მწვანეყვავილა	შესაძლებელია ორგანიზებული ტური მოეწყოს ორმაისობას: ორმაისობა ჯერ კიდევ საუკუნის წინ იმართებოდა ქუთაისში „გვირილობით", დოღით, ორატორთა შეჯიბრით, საქველმოქმედო აქციებითა და საყოველთაო სახალხო ზეიმით ბულვარში. „გიმნაზისტკები" და „გიმნაზისტები" ბულვარში გართობა-სეირნობის დროს იაფ ლატარეას ათამაშებდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შესაწირად.. ამ დღეს ფაეტონზე შემდგარი ქუთაისელი ლამაზმანი გაშლილი თმით და თეთრი გრძელი კაბით, უძღვოდა საყოველთაო მსვლელობას ბაღის კიდეზე. გვიანღამემდეისმოდასასულეორკესტრისდა

	„ბაბთიანი“ გიტარისხმებიქალაქისცენტრში... ასეგრძელდებოდა 1909 წლიდან 1919 წლამდე... მიუხედავადიმისა, რომ ქუთაისში ტრადიციად იქცა „ორმაისობა“, ამ თარიღის წარმომავლობა ცოტა მოგვიანებით დაზუსტდა. 1987 წელსცნობილიგახდა, რომ „ორმაისობის“ სასტარტო ნიშანი დათვლის წერტილი „გვირილობა“ იყო . პირველად გვირილები კალათაში ჩააწყოდა გაყიდვა დაიწყო პატარა გოგონა საშა ჩიქოვანმა, რომელიც ეცადა სიღარიბისაგან სიკვდილისათვის განწირული ჭლექით შეპყრობილი ადამიანებისათვის ერთი დღე მაინც გაენათებინა... ყიდდა გვირილებს და შემომწირველებს გულზე გვირილას აბნევდა...1919 წლის შემდეგ ტრადიცია 2008 წელს ქუთაისის მერიის ინიციატივით აღდგა და სხვა ღონისძიებებთან ერთად „გვირილობის თეატრალიზებული სანახაობაც მოეწყო...
IV. დღე. ქუთაისი –ხონი – ზემოგორდი - ქუთაისი ოკაცეს კანიონი, ოკაცეს წყალვარდნილების კასკადი, ოსხაპოს ტბა, ბზის ხეები, სოფელ გორდში დადიანების სახლი და ბაღი-უნიკალური დენდროპარკი. პიკნიკი ადგილობრივი ველური მსხლის “ჭყუნტის” არაყის დაგემოვნება.	ოკაცეს კანიონის სიგრძე 2კმ-ია და ბუნების შედევრადაა მიჩნეული. როგორც წიგნში „გორდა” ალექსანდრე ფაილოძე ამბობს, სამეგრელოს სამთავროში მეფის რუსეთის წარმომაგდენელი კ. გოროზდინი მოჯადოებული იყო ოკაცეს ჩანჩქერების სილამაზით. არსებობს მისი ჩანაწერი: „200 საჟენი კლდიდან გადმოჰქუხს მდინარე ოკაცე. შვეიცარიაში რომ ასეთი რამ გამოჩნდება, უმალვე სანატორიუმები აივსება ტურისტების ფულებით, კავკასია კი ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს თავის მშვენებას“-ო. (წყარო: http://literatura.mcvane.ge/main/fesvebi/kutxeebi/6268-Array.html)
V. დღე. ქუთაისი – ჭიათურა –საჩხერე – ქუთაისი კაცხის სვეტის მონასტერი, კაცხოურის ხეობა, მღვიმევის ღვთისმშობლის შობის მონასტერი, ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტერი, ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სოფელი სხვიტორი, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი, მოდინახეს ციხე, არქეოლოგიური ძეგლი ნაჩერქეზევი, ჭიათურას კიდული საბაგირო გზები,	1954 წელს ჭიათურაში აშენდა სსრკ–ში პირველ სამგზავრო საბაგირო გზა, ქალაქის ცენტრსა და პერევისის სამრეწველო უბანს შორის. სამგზავრო საკიდი საბაგირო გზების რაოდენობა ჭიათურის შემოგარენში ორ ათეულზე მეტია, რაც ერთ–ერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. მეტად დანაწევრებული რელიეფის გამო, ხშირად საავტომობილო გზა ქალაქის ცალკე უბნებს შორის რამდენიმე კილომეტრია, ხოლო დაკიდული საბაგირო გზა, რომელიც ღრმა ხეობებს გადაჰკვეთს, რამდენიმე ასეულ მეტრამდე, ზოგჯერ კილომეტრამდეც ამცირებს მანძილს. ზოგჯერ ასეთი გზა ვიწრო და ღრმა ხეობებზე დაკიდებულ ხიდს მოგვაგონებს. წარსულში საქართველოს ბევრ კუთხეში და მათ შორის ჭიათურაშიც იყო ასეთი ხიდების პროტოტიპები. ეს იყო გარეული ვაზის ლერწმისაგან დაწნული ბაგირებით

	დაკიდებული ხიდები, რომლებიც მთის მდინარის ან ღრმა ხეობის ნაპირებს აერთიანებდნენ. ასეთი ხიდები შემორჩენილი იყო ზემო იმრეთში XIX ს-ის მიწურულში. შემდეგ ვაზის მაგივრად ფოლადის ბაგირი შემოვიდა ხმარებაში (წყარო: http://chiaturainfo.ge/index.php?newsid=384)
VI. დღე: ქუთაისი-ხარაგაული- ქუთაისი უბისა - წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი, ნუნისის ღვთისმშობლის ტაძარი, ბალნეოლოგიური კურორტი სამთა ნუნისი, ვახანის ციხე, ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი,	ნუნისის ეკლესიიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ტყის სიღრმეში მდებარეობს ადგილი, რომელსაც «ბერების კლდეს» ეძახიან. მის კომპლექსში შედის კლდეში გამოკვეთილი სამი გამოქვაბული, ლეგენდის თანახმად ნუნისის ღვთისმშობლის ტაძარი ოდითგან საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა «ბერების კლდეს». რამდენიმე წლის განმავლობაში აქ საძიებო სამუშაოებს აწარმოებდნენ «იბერიონთა საძმოს» წევრები, რომლის დროსაც ცხრა მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ლოდით ამოქოლილი შესასვლელი მიწისქვეშეთში და რომელიც, «იბერიონთა საძმოს» მტკიცებით, წინაპართა დატოვებულ საიდუმლოს უნდა წარმოადგენდეს. მათივე მტკიცებით ამ კლდის მიღმა დარბაზში დევს წიგნი, რომელიც სახარებაში მოხსენიებულია «ლაზარედ» და მზის შუქს ელოდება, რომ ნუნისი სამყაროს ცენტრია და აქ არის ნოეს კიდობანი. ეს მტკიცება ჯერ გამოკვლეული არ არის. (წყარო: http://www.nunisi.ge/)
VII. დღე. გამგზავრება	

არქიტექტურული ტური ქუთაისში

დესტინაცია	ქუთაისი
სამიზნე ჯგუფი	უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორები განურჩევლად ასაკისა (ასევე, სკოლის მოსწავლეები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები)
ვიზიტორთა რაოდენობა	10 კაცი
ტურის ხანრგძლივობა	1 დღე
სატრანსპორტო მომსახურება	შიდა გადაადგილებისათვის
ტრანსპორტით მომსახურების მთლიანი ღირებულება	15 ლარი
დამხმარე მასალები (მთლიანი ღირებულება)	50ლარი
კვება (2-ჯერადი)	300ლარი
სულ ტურის ღირებულება	365ლარი
ტურისტული სააგენტოს ხარჯები 6%	387
მოგება 20%	464

ტურის ღირებულება 1 კაცზე	46ლარი

პროგრამა: არქიტექტურული ტური ქუთაისში

დაგეგმილი ღონისძიებები	დამატებითი ინფორმაცია
მოკლე ექსკურსი ქუთაისის შესახებ. ძველი ქუთაისის ამსახველი ფოტოების დარიგება, ტურის მონაწილეთა სამიზნე ჯგუფებად დაყოფა, როლებისა და ფუნქციების გადანაწილება (ფოტოებისგადაღება, შთაბეჭდილებების დაფიქსირება, სიახლეების მითითება და ა.შ.) ალაფურშეტი	ქუთაისის დოკუმენტური ისტორია იწყება ძვ. წ. III საუკუნიდან, თუმცა ანტიკური ავტორები მას თვლიან ძველი კოლხეთის სამეფოს (ძვ. წ. VIII ს.) დედაქალაქად. ქუთაისის ძველი სახელებია: აია, ქუთაია, ქუთათისიუმი. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელის (VI ს.) ცნობით: „მოხირისის მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი; მის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე... მაშინ ამ ციხეს კოტაიონს უწოდებდნენ ელინურ ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან... სხვები კი ამბობენ, ძველ დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო; აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახდნენ, კოლხიდის ქვეყანას კიკვიტატიდსო“
ქუთაისის არქიტექტურული ძეგლების დათვალიერება (ძველი ნაგებობანი, ხიდები, მდინარე რიონის მარცხენა და მარჯვენა სანაპირო). საღამო წვეულება	ქალაქის ისტორიული ხიდების – თეთრი, წითელი და ჯაჭვის ხიდები. უძველესია ჯაჭვის ხიდი, რომელიც მერვე საუკუნეში ლეონ მეფემ ააგო. სამივე ხიდის რეაბილიტაციის ღირებულება 240 000 ლარს შეადგენს. პროექტი ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდა 2011წ. (წყარო: http://kutaisi.gov.ge/news/id/35)